www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | შაბათი, 26 აპრილი, 2003 წელი. №114 (326) | ფასი 50 თეთრი

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს

"და მე გეტყვი შენ, რამეთუ შენ ხარ კლდე, და ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკლესიაი ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ერეოდნენ მას"
მათე 16.18

ეს ისტორიული ფოტო 1921 წლის თებერვლის ანექსიიდან შვიდი თვის შემდეგ, გელათშია გადაღებული. საქართველოს მენშევიკური მთავრობა უკვე საფრანგეთშია - ემიგრაციაში, აქა-იქ სულ უფრო იშვიათად ისმის სროლის ხმა - ეს ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმია, რომელიც საქართველოს გასაბჭოებას ვერ ეგუება. ვერ ეგუება დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერც ქართული ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესია. თბილისში წითელი დროშა ფრიალებს... ბოლშევიკი სერგო ორჯონიკიძე კი ახალ სისხლიან რეპრესიებს იწყებს.

სამღვდელო კრებული თბილისს გამოერიდა და გელათში შეიკრიბა არჩევანის გასაკეთებლად. საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსულან სასულიერო პირები, შემდგომ აღმოჩნდება, რომ ეს მათი უკანასკნელი დიდი თავყრილობაა, შესაბამისად, მათი ფოტოც უკანასკნელია - ერთად გადაღებული.

პატრიარქი უნდა აირჩიონ. საბჭოთა საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქი. კრებულმა იცის, კომუნისტები სამღვდელოებას დევნიან, ქრისტიანობას კრძალავენ, ეკლესიებს ანგრევენ, ადამიანებს ხვრეტენ, სისხლის გუბეებს აყენებენ ... ერთმანეთს არ უზიარებენ ამ რეალობას, ყველა გრძნობს, სასიკვდილო განაჩენის ტოლფასია საბჭოთა საქართველოს პერიოდში პატრიარქად კურთხევა.

არადა, არჩევანი გასაკეთებელია, ქართველ ერს მლოცველი მამა, ხოლო სამოციქულო ეკლესიას საჭეთმპყრობელი სჭირდება, კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე ახალი გარდაცვლილია... ახალი პატრიარქის კურთხევაა აუცილებელი.

ორი ღირსეული მღვდელმთავარია პატრიარქობის კანდიდატი - ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი (ხელაია) და ქუთათელ-გაენათელი ნაზარი (ლეჟავა). კრება პირველ მათგანს - ამბროსი ხელაიას გამოარჩევს პატრიარქად, ერთი თვის შემდეგ მისი ინტრონიზაციის ცერემონიაც შედგება სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში... ეს ის ამბროსია, რომელიც კომუნისტებს მიმართავს შემდგომ: ჩემი სული ღმერთს ეკუთვნის, გული სამშობლოს, ხორცი კი თქვენთვის მომიგდია საძიძგნად... ამ სიტყვებს, უკვე 80-იანი წლების ბოლოს, დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი თანამედროვეობა სულგანაბული წაიკითხავს.

იმავე კრებაზე სასულიერო აკადემიის დაარსებაზეც იმსჯელებენ და ეს მაშინ, როცა სასულიერო განათლება კომუნისტებმა უკვე აკრძალეს და ქრისტიანობის სახალხოდ მქადაგებელი ადგილზე იხვრიტება.

ფოტოზე აღბეჭდილთა უმრავლესობის ვინაობა დღემდე დაუდგენელია. გამორიცხული არ არის, მკითხველმა ამოიცნოს ოჯახის წევრი, ნათესავი, ახლობელი...

ფოტოზე მეორე რიგში (ცენტრში) სხედან კათოლიკოს-პატრიარქობის კანდიდატები, მარცხნივ ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ამბროსი ხელაია (ამ კრებამ იგი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქად აირჩია, ნაწამები აღესრულა 1927 წელს); მარჯვნივ კვერთხით - ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი ნაზარი ლეჟავა (დახვრიტეს 1924 წელს სამღვდელო კრებულთან ერთად საგანგებო სამეულის გადაწყვეტილებით).

ფოტოზე ამბროსი ხელაიასგან მარცხნივ - ალავერდელი ეპისკოპოსი პიროსი ოქროპირიძე. მოკლეს თელავში 1922 წელს, რადგან ალავერდის საგანძურის კომუნისტებისთვის გადაცემის აქტს ხელი არ მოაწერა. მისგან მარცხნივ - დეკანოზი და ცნობილი პუბლიცისტი მარკოზ ტყემალაძე, გარდაიცვალა 1936 წელს, დაკრძალულია სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში. მარკოზისგან მარცხნივ - არქიმანდრიტი ნესტორ ყუბანეიშვილი, შემდგომში წილკნელი მთავარეპისკოპოსი, გარდაიცვალა 1938 წელს. ნესტორისგან ორის გამოკლებით მარცხნივ - არქიმანდრიტი იოანე მარგიშვილი, შემდგომში ბოდბელი მიტროპოლიტი, გარდაიცვალა 1929 წელს. მარგიშვილის ზურგს უკან, დგას დიმიტრი ლაზარიშვილი, შემდგომში ნინოწმინდელი მთავარეპისკოპოსი, გარდაიცვალა 1947 წელს, დაკრძალულია ქაშვეთის ტაძარში. ნაზარისაგან მარჯვნივ - ურბნელი ეპისკოპოსი დავით კაჭახიძე, გარდაიცვალა 1935 წელს. დავითისგან მარჯვნივ - დეკანოზი კალისტრატე ცინცაძე, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, გარდაიცვალა 1952 წელს. კალისტრატე ცინცაძის ზედა რიგში, ნაცრისფერ ანაფორაში – დეკანოზი მათე გორდეზიანი. მისგან ზედა რიგში თეთრ ანაფორაში მისი ძმა. მისგან ზემოთ და მარცხნივ - ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი - გრიგოლ ფერაძე, შემდგომში მღვდელ-მონაზონი და მღვდელ-მოწამედ შერაცხული. ეს მისი უკანასკნელი ფოტოა საქართველოში, იგი რამდენიმე კვირაში დატოვებს საქართველოს და, სწორედ ამ კრების გადაწყვეტილებით, გერმანიაში გაემგზავრება სასწავლებლად. 1942 წელს მოწამეობრივად აღესრულება ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში. ეპისკოპოს პიროსის ზედა რიგში თეთრ სამოსში ცნობილი პუბლიცისტი რაფაელ ივანიცკი - ინგილო, შემდგომ, ემიგრაციაში, მღვდელ-მონაზონი. ივანიცკისგან მარცხნივ – დეკანოზი ქრისტეფორე ციცქიშვილი, შემდგომში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, გარდაიცვალა 1932 წელს.

ზედა რიგში, მარცხნიდან მეოთხე - საჩხერის ეკლესიის დიაკვანი ვასილ ტყემალაძე, მის შემდეგ, ანუ მარცხნიდან მეხუთე – საჩხერის ეკლესიის წინამძღვარი, ვასილის ძმა, ლუკა ტყემალაძე. ძმები 1924 წელს დააპატიმრეს და დასახვრეტთა ვაგონიდან შემთხვევითობის წყალობით დააღწიეს თავი.

აგრეთვე ფოტოზე არიან:

მარცხნიდან მეორე (მესამე რიგში) - მღვდელ-მონაზონი გერმოგენი აბაშიძე, დავით გარეჯელის მადლის ქვის გადამრჩენელი - დახვრიტეს 1937 წელს.

მარტვილელი დეკანოზი გიორგი გეგეჭკორი, ბაბუა მსახიობ გიორგი გეგეჭკორისა, დეკანოზი იოსებ წერეთელი, მღვდელი ფილიმონ ცინცაძე, ამბროსი ახობაძე, შემდგომში პროტოდიაკონი, მამასთან ერთად და სხვები. ფოტოზე აღბეჭდილთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ამოსაცნობია, თუ ამოიცანით თქვენი ოჯახის წევრი, წინაპარი, გთხოვთ, გვაცნობოთ.

ეს უნიკალური ფოტო ქვეყნდება პირველად. დედანი ინახება მერაბ ტაბლიაშვილის ოჯახში, მისი მეუღლე მარინა ტყემალაძე-ტაბლიაშვილი არის ვასილ და ლუკა ტყემალაძეების შთამომავალი.

მასალა მოამზადა საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო გალობის ცენტრის თანამშრომელმა ლუარსაბ ტოგონიძემ

ამინდი

თბილისი	19
ქუთაისი	14
ბათუმი	10
სოხუმი	12
ფოთი	11
თელავი	18
ზუგდიდი	12
გორი	14
ახმეტა	18
ჭიათურა	13
გაგრა	13
სამტრედია	13

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1500
ევრო	2.3545
გირვანქა სტერლინგი	3.3839
რუბლი	0.0691

ქრემლი არასწორ რჩევებს უჯერებს

ჰაველ ფელგენჰაუერი
"მოსკოუ ტაიმსი"

"ერაყში ამერიკის გამარჯვების გამო, კრემლში ხალხი ძალიან დამწუხრებული ჩანს," – მითხრა ჩემმა მეგობარმა, რომელსაც იქ ძალიან ახლო კონტაქტები აქვს.

რაც დრო გადის, მით უფრო აშკარა ხდება ერაყის ომის დროს რუსული საგარეო და სამხედრო პოლიტიკური ელიტის სიბეცე, რამაც არასწორი გადაწყვეტილებების მიღება და, საბოლოო ჯამში, ამერიკასთან ურთიერთობების გაუარესება განაპირობა. სამი ადამიანი - პუტინის ადმინისტრაციის უფროსი ვოლოშინი, პარლამენტის ზედა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე მარგელოვი და პრეზიდენტის თანაშემწე საგარეო ურთიერთობების საკითხებში პრიხოდკო - მაქსიმალურად ცდილობდნენ პროამერიკული საგარეო პოლიტიკის შენარჩუნებას, მაგრამ გაერთიანებული ანტიამერიკული ლობის წინააღმდეგ, მათი მცდელობა უნაყოფო აღმოჩნდა.

კრემლთან დაახლოებული წყაროების ცნობით, პრეზიდენტისათვის ინფორმაციის მიწოდებაზე საგარეო საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და სადაზვერვო სამსახურებს სრული მონოპოლია ჰქონდათ. გადაწყვეტილებებიც ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიიღებოდა. ომის დაწყებამდე ეს უწყებები კრემლში აგზავნიდნენ დასკვნებს იმის თაობაზე, რომ ბრძოლები, სულ ცოტა, რამდენიმე თვეს მაინც გასტანდა, თუ რამდენიმე წელს არა; რომ ამერიკა ვიეტნამის მსგავს ჭაობში აღმოჩნდებოდა; რომ მოსკოვს ერთმნიშვნელოვნად უნდა დაეჭირა მხარი ბაღდადისათვის და ა.შ.

პროდასავლურად განწყობილმა პოლიტიკოსებმა ნელ-ნელა დათმეს პოზიციები. ბოლო წუთამდე მათ იმედი ჰქონდათ, რომ მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის კომპრომისის მიღწევა მოხერხდებოდა. ერთ-ერთმა მათგანმა მწარედ მითხრა: "ვინც მის კაბინეტში შედიოდა, პუტინი ყველას "ჰოს" ეუბნებოდა, იმის მიუხედავად, სტუმრის პოზიცია პრო-ამერიკული იყო თუ ანტი-ამერიკული. საბოლოო ჯამში, სადამის მომხრეთა ლობი ჩვენზე მრავალრიცხოვანი აღმოჩნდა".

გაგრძელება A5 გვერდზე

„პარლამენტი საარჩევნო კოდექსს არასერიოზულად უდგება"

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები საკმაოდ გააღიზიანა პარლამენტის ხელმძღვანელობის მიერ ხუთშაბათს მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომელიც საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ფრაქციათა შორის კონსულტაციების გაგრძელებას გულისხმობს. "სამართლიანი არჩევნების" წევრებს ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ პოლიტიკურ სპექტრს საარჩევნო კანონმდებლობაში არაფრის შეცვლა არ სურს და მისთვის სავსებით მისაღებია, მომავალი საპარლამენტო არჩევნები იმავე საარჩევნო ადმინისტრაციებმა გამართონ, რომლებსაც თავად პოლიტიკოსები "კორუმპირებულებს", "დისკრედიტირებულებს" და "პოლიტიკური დაკვეთების შემსრულებლებს" უწოდებენ.

თამარ მჭედლიშვილი

ორი დღის წინ პარლამენტის სხდომათა დარბაზში განვითარებულ მოვლენებს "სამართლიანი არჩევნების" წარმომადგენლები საკმაოდ გულდასმით ადევნებდნენ თვალს. იმის მიუხედავად, რომ დეპუტატებმა საარჩევნო კოდექსსა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესზე საუბარს თითქმის ოთხი საათი დაუთმეს, ამ განხილვას, როგორც მოგეხსენებათ, დიდი შედეგი არ მოჰყოლია. უბრალოდ, გადაწყდა: თუკი მომავალ კვირას დანიშნული კონსულტაციები შედეგს ვერ მოიტანს და სახელისუფლებო და ოპოზიციური ფრაქციები ცესკოს დაკომპლექტების წესთან დაკავშირებით შეთანხმებას ვერ მიაღწევენ, დეპუტატები, პირველად, ინტერფრაქციული ჯგუფის მიერ მომზადებულ წინადადებებს განიხილავენ და მხოლოდ ამის შემდგომ – სახელისუფლებო ფრაქციების მიერ ინიცირებულ კანონპროექტს.

დეპუტატთა შორის გამართული დისკუსიის დასრულებისთანავე "სამართლიანი არჩევნების" წევრებმა საკმაოდ შემაშფოთებელი დასკვნა გააკეთეს. ამ ორგანიზაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ნუგზარ კუპრეიშვილმა ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა: "**როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია, არსებული ცენტრალური საარჩევნო კომისიის ძველი შემადგენლობის დატოვებას აპირებს. ჩვენი მოსაზრების სისწორე ხუთშაბათის სხდომის მიმდინარეობამაც დაადასტურა. თანაც, ამ უმნიშვნელოვანეს საკითხზე მსჯელობას მხოლოდ 21 დეპუტატი ესწრებოდა.**"

საგულისხმოა, რომ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისთვის აბსოლუტურად მიუღებელი აღმოჩნდა როგორც ოპოზიციის, ასევე სახელისუფლებო ფრაქციების მიერ მომზადებული პროექტები, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების წესს ეხება. მათთვის ყველაზე მისაღები ის პუნქტია, რომელიც პარლამენტმა ორი წლის წინ უკვე დაამტკიცა და რომელიც ცენტრალური საარჩევნო კომისიის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებით დაკომპლექტებას გულისხმობს.

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 რეკლამა

B2 კულტურა | B3 ანკეტა | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 განცხადებები | B7 სტილი | B8 სხვადასხვა

აფხაზები დამოუკიდებლობის დაკარგვას არ გამორიცხავენ

აფხაზეთში ვითარება უკიდურესად დაიძაბა. აფხაზური სეპარატიზმის ერთ-ერთი იდეოლოგი, ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა უახლოეს მომავალში სისხლისღვრას და "აფხაზეთის დამოუკიდებლობის დაკარგვას" არ გამორიცხავს.

"აფხაზეთში არსებული ვითარება ხალხს ყელში ამოუვიდა. თუ ასე გაგრძელდა, სისხლისღვრა გარდაუვალია", - განაცხადა სტანისლავ ლაკობამ სოხუმის სახელისუფლებო ტელევიზიით გამოსვლისას.

ვითარების უკიდურესად დაძაბვაში მან, არძინბას ხელისუფლებასთან ერთად, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოები დაადანაშაულა. **"აფხაზი ძალოვანები პრეზიდენტ არძინბას კლანის ინტერესებს ემსახურებიან და მის ბრძანებას ასრულებენ",** - განაცხადა ლაკობამ. მისი მონაცემებით, სწორედ ძალოვანების ქმედებებს უკავშირდება როგორც აფხაზეთის დემოკრატიული ძალების აღიარებული ლიდერის ზურაბ აჩბასა და ბიზნესმენ აკა არძინბას მკვლელობები, ასევე მიმდინარე წლის 19 აპრილს ვეტერან მეომართა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია "ამცახარას" ოფისში განხორციელებული აფეთქება.

აფხაზეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში უახლოეს ხანებში მოსალოდნელი "დიდი რყევების" შედეგად, "დამოუკიდებლობის შესაძლო დაკარგვის" თავიდან ასაცილებლად, ლაკობამ აფხაზეთში მოქმედ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას "გონიერებისაკენ" მოუწოდა.

სოხუმის ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი სერგეი შამბა კი აფხაზეთში ვითარების დაძაბვაში პრეზიდენტ არძინბას გარემოცვას ადანაშაულებს.

"პრეზიდენტის გარემოცვა, რომელმაც აფხაზეთში ეკონომიკური პრობლემების მოგვარება ვერ შეძლო, არძინბას, არსებული ვითარების შესახებ, არასწორ ინფორმაციას აწვდის", - განაცხადა შამბამ სოხუმის სახელისუფლებო ტელევიზიით გამოსვლისას. აფხაზეთში შექმნილ ვითარებაში საკუთარ დანაშაულს შამბა ვერ ხედავს. **"მე მხოლოდ საგარეო-პოლიტიკური კურსის ფორმირება მევალებოდა და ამ სფეროში წარმატებები სახეზეა",** - აღნიშნა მან.

ინტერ-პრესი

კვლავ მსჯელობები და საუბრები...

ეუთო-ს გაფართოებულმა ბიურომ აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის კონფლიქტების მოგვარების საკითხებზე იმსჯელა. **"აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ეუთო-ს კომისიას ბევრი პრობლემა აქვს",** - განაცხადა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ გენადი სელეზნიოვმა, რომელიც კოპენჰაგენში დასრულებული ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდა.

"დიდი მცდელობის მიუხედავად, საერთაშორისო ექსპერტებმა ქართველი და აფხაზი პარლამენტარების ლონდონში შეკრება ვერ შეძლეს", - აღნიშნა სელეზნიოვმა.

რაც შეეხება დნესტრისპირეთის კონფლიქტს, მისი მონაცემებით, შემოდგომაზე ეუთო კიშინიოვში მოლდოვისა და დნესტრისპირეთის პარლამენტართა მონაწილეობით კონფერენციის გამართვას გეგმავს, რომელზეც ფედერალიზმისა და კონფლიქტთან დაკავშირებით არსებული წინადადებების განხილვას ვარაუდობს.

ეუთო-ს მორიგი გაფართოებული სხდომა როტერდამში გაიმართება და მასზე ერაყის ომის შემდგომი პრობლემების განხილვაა დაგეგმილი.

ინტერ-პრესი

„აღორძინება" პარლამენტიდან გადის?

"აღორძინება" პარლამენტში მოღვაწეობის აზრს ვეღარ ხედავს. როგორც ფრაქცია "აღორძინების" წევრი სანდრო ბრეგაძე აცხადებს, უახლოეს დღეებში პარტიისა და ფრაქციის ლიდერების აჭარის მეთაურ ასლან აბაშიძესთან შეხვედრა გაიმართება და გადაწყდება, დარჩება თუ არა "აღორძინება" პარლამენტში. ამ შეხვედრაზე პოლიტიკოსები იმაზეც იმსჯელებენ, მომავალ პარლამენტში მოღვაწეობა ღირს თუ არა, საერთოდ.

ბრეგაძე აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება სეპარატისტულად ემიჯნება რეგიონებს და პარლამენტი აჭარიდან ინიცირებულ არც ერთ წინადადებას არასდროს არ იღებს. **"ხელისუფლების პოლიტიკის შედეგად, საქართველომ დაკარგა აფხაზეთი, სამაჩაბლო, ფაქტობრივად, დაანგრია სამეგრელო, ახლა კი, მიზანმიმართულად ცდილობს აჭარის ჩამოშორებას",** - თქვა მან.

პრაიმ-ნიუსი

მოკლედ

თბილისი. ოპოზიციური ძალების გაერთიანების თაობაზე პარტიათა ლიდერების კონსულტაციებში პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აქტიურადაა ჩართული. "გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერის, მიხეილ მაჭავარიანის თქმით, ბურჯანაძეს ოპოზიციის გაერთიანების დიდი სურვილი აქვს და, ამ თვალსაზრისით, ოპოზიციურ პარტიათა ლიდერებთან სისტემატურად კონტაქტობს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" ლიდერი, საპარლამენტო ფრაქცია "ახალი აფხაზეთი - ქრისტიან-დემოკრატის" თავმჯდომარე ვაჟა ლორთქიფანიძე კატეგორიულად მოითხოვს პარტიის აჭარა-გურიის სამხარეო ორგანიზაციის ხელმძღვანელის ნატო იმნაძის საცხოვრებელი სახლის კართან, პარასკევს დილით მომხდარი აფეთქების ფაქტის გამოძიებას.

ვაჟა ლორთქიფანიძემ მოუწოდა ყველა პოლიტიკურ პარტიას, რათა ხმა აღიმაღლონ ძალადობის წინააღმდეგ, რადგან მისი თქმით, ყოველივე ეს საქართველოს ძმათამკვლელ ომში დააბრუნებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. კახეთის რეგიონული პოლიციის უფროსი ზურაბ ტუშური უარყოფს ინფორმაციას პანკისის ხეობაში ქართველი ძალავანების მიერ დევნილი ჩეჩნებისა და ადგილობრივი ქისტების შევიწროების შესახებ. მის ავტორს, დეპუტატ გამახარიას ტუშური სახელმწიფოებრივი აზროვნების არქონაში ადანაშაულებს. საქართველოს შინაგანი ჯარების სარდალი გიორგი შერვაშიძე კი გამახარიას პანკისის ხეობაში ეპატიჟება, რათა ადგილზე ანახოს, რა "ძალადობას" ეწევიან ქართველი ჯარისკაცები ხეობაში მიმდინარე ანტიკრიმინალური და ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ფრაქცია "აღორძინების" წევრი, პარლამენტარი სანდრო ბრეგაძე ამტკიცებს, რომ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ლიდერი მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ხუთშაბათს, ბათუმური ბლოკის მიერ ინიცირებული "სეზ"-ის კანონპროექტის წინააღმდეგ გამოვიდა, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან ალიანსშია". **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი აცხადებს, რომ "დაკ"-ს შემოდგომაზე დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში მოკრძალებული შედეგი ექნება და "აღორძინების" პოლიტიკური სისუსტე მათი ხმაურის საფუძველი ხდება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერი ვანო ზოდელავა ოპოზიციური პარტიების ლიდერებს ქონებრივი დეკლარაციების "ზედმიწევნით ზუსტად შევსებას" ურჩევს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი "დამალული აგარაკებისა და ოფისების ნუსხის გამოქვეყნებით" იმუქრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსი" "სეზი-ს შესახებ" კანონპროექტის ჩავარდნას აპროტესტებს და ამ ფაქტს ხელისუფლების ძალადობრივი პოლიტიკის მორიგ გამოვლინებად აფასებს. პარტიის ლიდერის გიორგი კობახიძის განცხადებით, საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ხელისუფლება ქვეყანაში ვითარებას დღითიდღე ძაბავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციაში კატეგორიულად უარყოფენ "აღორძინებისა" და, პირადად, ასლან აბაშიძის რაიმე კავშირს "ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" წევრ ნატო იმნაძის წინააღმდეგ განხორციელებულ ტერაქტთან. პარტიის წარმომადგენელთა განცხადებით, "აღორძინების" ამ კონტექსტში მოხსენიება **"პროვოკაცია და პროვინციული პოპულიზმია". ინტერ-პრესი**

პოლიტიკური გარიგება თუ შეცდომა?

მერაბ მეტრეველი

კემულარია "ლეიბორისტებს" უტევს.

გუშინ "ნაციონალებმა" "ლეიბორისტები" კიდევ ერთხელ "მოიკითხეს". თურმე, სეზ-ისთვის ხმა ეულ "ლეიბორისტს" ფრიდონ ინჯიას მიუცია. ეს საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ კოტე კემულარიას მთელი ლეიბორისტული პარტია "აღორძინებასთან" გარიგებაში დაედანაშაულებინა. **"ჩემთვის უცნობია, "ლეიბორისტებმა" ამ კანონპროექტს რა მოტივით დაუჭირეს მხარი. ეს ან პოლიტიკური გარიგებაა, ან დიდი პოლიტიკური შეცდომა,"** – ბრძანა კემულარიამ სპეციალურად მოწვეულ პრესკონფერენციაზე.

"დღეს არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ასეთი ზონები საქართველოში ისედაც არსებობს, აბაშიძეს აქვს აჭარაში, შევარდნაძეს - ქვემო ქართლში, რკინიგზაზე, ფოთში... ეტყობა ამ ადამიანებს ახლა იმის შიში აქვთ, რომ არჩევნებს ვეღარ მოიგებენ და ამ ზონების ოფიციალურად გაფორმება სურთ," – ამბობს კემულარია, თუმცა იმას აღარ განმარტავს, ასეთ შემთხვევაში, შევარდნაძემ თავის "მოკავშირე" აბაშიძეს ამ კანონპროექტის გატანაში რატომ აღარ დაუჭირა მხარი.

ნათელაშვილი ბრალდებას თავის სტილში პასუხობს: **"უკანასკნელმა გონებაჩლუნგმაც კი იცის, რომ "ლეიბორისტული" პარტია პარლამენტში არ არის წარმოდგენილი არც პარტიის, არც ფრაქციის და არც დეპუტატთა ჯგუფის სახით. თუ მილიონების დატაცებაში ეჭვმიტანილ კემულარიას ჰალუცინაციები დაეწყო, ჩემი პრობლემა არ არის. ინჯია არის მაჟორიტარი დეპუტატი და შეუძლია ის გადაწყვეტილება მიიღოს, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის."**

ამაზე "ნაციონალები" ამბობენ, რომ ინჯია "ლეიბორისტული" პარტიის რიგითი წევრი კი არა, ერთ-ერთი ლიდერია და ასეთი არგუმენტი თავის გასამართლებლად არ გამოდგება. ისე, ალბათ არც იმის გახსენება იქნება ურიგო, რომ ბატონ ფრიდონს თავიდანვე თბილი ურთიერთობები ჰქონდა აბაშიძესთან. ამდენად, პიროვნული მოტივის გამორიცხვაც არ შეიძლება.

კულუარებში კი უკვე აქტიურად საუბრობენ, რომ ნათელაშვილი მზადაა, დაფინანსების სანაცვლოდ, აბაშიძეს თავის სიაში ოთხი კაცი ჩაუსვას. ამავე ხმების თანახმად, "ლეიბორისტებს" ასეთივე კავშირი ხელისუფლებასთანაც უნდა ჰქონდეთ, თუმცა ეს, ჯერჯერობით, მხოლოდ კულუარული ვერსიებია.

საქართველო - ნატო-ს სტანდარტებსა და რეალობას შორის

ოფიციალური წრეების ინფორმაციით, მაისის დასაწყისში საქართველოს ესტუმრება ნატო-ს სამხედრო ექსპერტთა დელეგაცია, რომელიც საბოლოოდ გაარკვევს, თუ რა გაკეთდა საქართველოს სამხედრო ძალებში ნატო-ს სტანდარტებზე გადასასვლელად და შესაბამის დასკვნებს ალიანსის ხელმძღვანელობას წარუდგენს. კერძოდ, აქცენტი გაკეთდება PARP-ის, ანუ ნატო-ს "პარტნიორობის დაგეგმარების და მიმოხილვის პროცესთან" მიერთების დროს, 1999 წელს საქართველოს მიერ ნაკისრ პარტნიორობის 29 მიზნის შესრულების მდგომარეობაზე.

კობა ლიკლიკაძე
რადიო "თავისუფლება" სპეციალურად "24 საათისთვის"

23 აპრილიდან თბილისში იმყოფება ნატო-ს სტანდარტიზაციის საგენტოს სამუშაო ჯგუფი, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს ალიანსის ქვეყნებისთვის დადგენილი ერთიანი სტანდარტებისა და მოთხოვნების ნუსხას აცნობს. ქართული მხარის ინფორმაციით, სამომავლოდ, სწორედ ამ ნუსხის მიხედვით შემუშავდება შესაბამისი კონცეფცია, რომელმაც საქართველოს შეიარაღებისა და ტექნიკის ნატო-ს საერთო სტანდარტებზე ეტაპობრივი გადასვლა უნდა უზრუნველყოს.

ვიდრე პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ნატო-ში გაწევრიანების სურვილს ოფიციალურად გამოთქვამდა, საქართველოში ფიქრობდნენ, რომ ალიანსისკენ მიმავალ გზაზე ქვეყანას, უწინარესად, დასავლეთის მოდელზე აგებული სამხედრო სტუქტურა და ახლებურად მოაზროვნე ლიდერები ესაჭიროება. რა თქმა უნდა, ეს მოთხოვნები კვლავაც იმპერატიულია. თუმცა, ნატო-ს პრაღის სამიტის შემდეგ, საქართველოს სამხედრო სისტემას ალიანსის სტანდარტების მიღწევა მრავალი მიმართულებით მოუხდება. მაგრამ, სანამ ტოტალური თავსებადობის პროცესი დაიწყებოდეს, როგორც ირკვევა, ნატო-ს სტანდარტებზე გადასვლას ჯერ თავდაცვის სამინისტროს ის უწყება უნდა დაექვემდებაროს, რომელიც საქართველოს სამხედრო ძალებში ამ საზომებს ადგენს.

"სტანდარტიზაციისა და მეტროლიგიის სამსახურის გარეშე, წარმოუდგენელია ნებისმიერი არმია. სტანდარტი - ეს არის კანონი, წესები ურთიერთქმედებისა. მე ვფიქრობ, რომ, თუ ასეთი ნორმატიული ბაზა არ შეიქმნა, ვერ მივაღწევთ რეალურ ინტეგრირებას სხვა ქვეყნების სამხედრო სისტემებთან და ნატო-ში გაწევრიანებაზე ოცნება ოცნებად დაგვრჩება". - ამბობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კვლევებისა და ტექნოლოგიების სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი გოგი თავაძე. მას მიაჩნია, რომ პრობლემა სისტემურ მიდგომას მოითხოვს, ანუ: თავდაპირველად საჭიროა შესაბამისი პროგრამის შექმნა, სადაც ნათლად იქნება განსაზღვრული მოქმედების გეგმა და პასუხისმგებელი ქვედანყოფების უფლება-მოვალეობები. საფუძვლად კი აღებული იქნება გერმანიის ბუნდესვერის გამოცდილება. ნატო-ს სტანდარტიზაციის სააგენტოს წარმომადგენლის ვიცე-პოლკოვნიკ გერჰარდ ჰოფენშტაინის თქმით, ამგვარი პროგრამის შესაქმნელად ჯგუფი ქართველ სპეციალისტებთან ერთად მთელი წლის განმავლობაში იმუშავებს.

"ვინაიდან საქართველო ჩართულია ნატო-ს წევრებთან და პარტნიორებთან ერთად სამშვიდობო ოპერაციებში, ამიტომ ქართველ სამხედროებს ესაჭიროებათ იმ ტექნიკური და ოპერატიული სტანდარტების ცოდნა, რომლებსაც მოკავშირეები იყენებენ. სხვათა შორის, გერმანიასაც სჭირდება ეს," - განაცხადა სასტუმრო "თორში" გამართულ სემინარზე ვიცე-პოლკოვნიკმა გერჰარდ ჰოფენშტაინმა.

თუმცა, გარკვეულ სეგმენტებში ნატო-ს სტანდარტებთან თავსებადობის მიღწევა საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მაინც მოახერხეს. მაგალითად, წლის ბოლოსთვის ქვეყანას უკვე ეყოლება სამშვიდობო ბატალიონი, დაწყებულია თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბების ფუნქციონალური გამიჯვნის პროცესი, ოფიცრებისთვის გახსნილია ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები, ნატო-ს საგანმანათლებლო სტანდარტებს უახლოვდება ეროვნული თავდაცვის აკადემიაც. ეს ტრანსფორმაცია სათავეს ოთხი წლის წინ ნატო-ს პარტნიორობის დაგეგმარებისა და მიმოხილვის პროცესთან (PARP) მიერთებით იღებს.

1999 წელს, როდესაც საქართველოს სახელით PARP-ის პროცესს უერთდებოდა, დავით თევზაძე ფიქრობდა, რომ ამ ვალდებულებას მთელი ხელისუფლება ისეთივე სერიოზულობით მოეკიდებოდა, როგორც ნატო-ს ის ახალი წევრი ქვეყნები, რომლებმაც ამ ინიციატივას სწორედ ალიანსის გაფართოების პირველი ტალღის წინ ჩაუყარეს საფუძველი. საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ნატო-სთან სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბის უფროსის, ვიცე-პოლკოვნიკ ირაკლი ბატკუაშვილის თქმით, პარტნიორობის ეს 29 მიზანი საქართველოს რომ შეესრულებინა, ქვეყანას გაცილებით გაუადვილდებოდა ნატო-ში გაწევრიანების პროცედურების გავლა.

თანაც, როგორც ირკვევა, ეს არ იყო ისეთი ვალდებულებები, რომელთა განხორციელებაც, სურვილისა და სწორი მენეჯმენტის შემთხვევაში, გადაულახავ პრობლემად გადაიქცეოდა, თუნდაც, საქართველოს მსგავსი შესაძლებლობის ქვეყნისთვის. მით უფრო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნატო-ს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა, რომლის პრეზენტაციასაც საქართველოს ხელისუფლება მიელტვის, უფრო ყოვლისმომცველია და გაცილებით რთული ვალდებულებების შესრულებას უკავშირდება.

"ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ მათ - ამ ქვეყნებს, არა მარტო ნატო-ს სტანდარტების შესატყვისი შეიარაღება უნდა ჰქონდეთ, არამედ ოფიცერთა მენტალიტეტი და ქვეყნის პოლიტიკური სისტემაც უნდა პასუხობდეს დასავლეთის სტანდარტებს," - აცხადებს ვიცე-პოლკოვნიკი ირაკლი ბატკუაშვილი.

ღირს გავიხსენოთ, რომ თავდაპირველად სამხედრო უწყებამ ენერგიულად მიჰყო ხელი თავსებადობის ამ მიზნების რეალიზებას: კოჯრის სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე დაიწყო სამშვიდობო ბატალიონის ჩამოყალიბება, გაიხსნა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები ოფიცრებისთვის, სტრუქტურული რეორგანიზება შეეხო ჯარის ყველა სახეობას და მმართველობებს, მაგრამ ოთხი წლის გასვლის შემდეგაც კი თავდაცვის სამინისტროში არ არსებობს ზუსტი სურათი იმისა, თუ რომელი ამოცანა შესრულდა და რომელი - ვერა. არადა, როგორც თავდაცვის მინისტრის მოადგილე გელა ბეჟუაშვილი აცხადებს, საქართველოს სამხედრო უწყების ხელმძღვანელობამ უკვე მიიღო ნატო-დან კითხვარი, რომლის მიხედვითაც მას ძალიან მალე მოუხდება ანგარიშის ჩაბარება: **"ეს არის კომპლექსური დოკუმენტი, რომელზეც ჩვენ ვმუშაობთ ძალიან ინტენსიურად. მე ვერ გეტყვით ახლა მოკლედ, თუ რა არის შესრულებული და რა - არ არის. აი, ამ ჯგუფის შეხვედრის შემდეგ ჩვენ შეგვეძლება სურათის დახატვა, თუ რა გაკეთდა, რა ვერ გაკეთდა, რა არ გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს. მერე ბრიუსელში, მაისის ბოლოს, ჩატარდება უკვე ამ დოკუმენტის განხილვა, 19+1-ის ფორმატში, სადაც ოფიციალურად, ძალიან მაღალ დონეზე იქნება შეფასებული ის რეფორმა, რომელიც დღეს არა მარტო თავდაცვის სამინიტროში, არამედ ზოგადად ქვეყანაში, უსაფრთხოების სფეროში ხორციელდება."**

მანამდე კი, სანამ ასეთი "მაღალი შტილის" შეფასება არ არსებობს, სამხედრო უწყებაში თავს იმით იმშვიდებენ, რომ თავად ნატო-ს ქვეყნების ფინანსური და ტექნიკური დახმარებით დაწყებული გარდაქმნები, უპირველესად კი ამერიკული "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამით მომზადებული ბატალიონები, ქვეყანას აქტივში ჩაეთვლება. და რაკიღა არა მხოლოდ **"საქართველოს სჭირდება ნატო, არამედ - პირიქით, ნატოსაც სჭირდება საქართველო"**, შემუშავების შემდეგ, სტანდარტიზაციის პროგრამასაც გამოუჩნდებიან უცხოელი დონორები.

"აზოტის" უშიშროებას ლევან კენჭაძე იცავს

მაია მოსიაშვილი

თითქმის ნახევარი წლის განმავლობაში გაჩერებული "აზოტი" აპრილის პირველ რიცხვებში ამუშავდა და გვარჯილის გამოშვება დაიწყო. ძნელი სათქმელია, რატომ, თუმცა ფაქტია, რომ გვარჯილის ფასი ადრინდელთან შედარებით საკმაოდ გაიზარდა. კვლავ გაჩერებულია კოსმეტიკური ფანქრების საამქრო, ხოლო პერსონალი შვებულებაშია გაშვებული. კაპროლაქტამის წარმოების გაშვებას ქარხნის ახალი მეპატრონეები ზაფხულისათვის აპირებენ. განზრახვის სერიოზულობაზე ისიც მიანიშნებს, რომ შვებულებაში მყოფი მუშა-მოსამსახურეები სამუშაოზე გამოიძახეს.

პირველი საკადრო ცვლილება, რომელიც "იტერამ" რუსთავის ქიმიურ ქარხანაში განახორციელა, რეაბილიტაციის მმართველის შეცვლა იყო. მათ ანატოლი შჩოგოლევი სპეციალურად ჩამოიყვანეს რუსეთიდან. შჩოგოლევი უკვე საკმაოდ გაშინაურდა "აზოტში". **"აქამდე მთელი უბედურება დიციპლინის დაბალი დონიდან და პროდუქციის უხარისხობიდან მოდიოდა. ახლა მოთხოვნები იქნება ძალიან მკაცრი და, თუ რომელიმე პიროვნება შემჩნეული იქნება რაიმე დარღვევაში, პროფკავშირებთან ერთად ერთობლივ გადაწყვეტილებას მივიღებთ მისი გათავისუფლების შესახებ,"** - აცხადებს ახალი რეაბილიტაციის მმართველი.

"იტერამ" ქარხანაში სხვა საკადრო ცვლილებებიც განახორციელა. "აზოტის" გენერალური დირექტორის გიორგი გოგოლაძის პირველ მოადგილედ ანდრეი პარშუტინი დაინიშნა, რომელიც 34 წლისაა. პარშუტინი ოთხი წლის მანძილზე "როსნეფტზაპად"-ში მუშაობდა, 1996 წლიდან დღემდე კი - "იტერას" კომპანიების საერთაშორისო ჯგუფში. პარალელურად მას გავლილი აქვს რუსეთის სახელმწიფო სამსახურის აკადემიის გადამზადების კურსი.

შეიცვალა გენერალური დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში. ეს პოსტი ვლადიმირ ნაუმკინმა დაიკავა, რომელიც აქამდე "შკონინოაზოტში" მუშაობდა. ფინანსებისა და ეკონომიკის დარგში გენდირექტორის მოადგილედ ქართული კადრი გამოიყენეს, ის ზურაბ გოზალიშვილი გახლავთ, რომელიც ჯერ საგადასახადო დეპარტამენტში, ხოლო შემდეგ სს "თბოელექტროცენტრალში" მუშაობდა. ბოლო სამი წლის მანძილზე გოზალიშვილი "საქგაზში" ერთ-ერთ საპასუხისმგებლო თანამდებობას იკავებდა.

"აზოტის" უშიშროების შეფად "იტერამ" ლევან კენჭაძე შეარჩია. ახლო წარსულში საქართველოს უშიშროების სამინისტროს ანტიტერორისტული ცენტრის უფროსი, გენერალ-მაიორი, დღეს "აზოტის" პერიმეტრის დაცვის საკითხებით არის დაკავებული და, როგორც ამბობენ, საკმაოდ წარმატებულადაც.

"აზოტის" დირექციის განცხადებით, დღეს დიდი სამუშაოები ტარდება გვარჯილის თვითღირებულების შესამცირებლად, თუმცა ამ პროცესის დასრულების კონკრეტული ვადა ჯერჯერობით უცნობია.

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგუშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

არჩევნების მოახლოებასთან ერთად კრიმინალები აქტიურდებიან

ბელა მახარაძე

ქვეყანაში კარგად ფესვგადგმული კრიმინალური ვითარება პიკს აღწევს, გახშირდა თავდასხმები, მკვლელობები და დაყაჩაღებები. სამართალდამცავების განცხადებით, სიტუაცია კონტროლს ექვემდებარება, ვიტალი ხაზარაძე კი ამბობს, რომ კრიმინალების გააქტიურება გაზაფხულის ბრალია. მაგრამ, საპირისპიროს ფიქრობენ ოპოზიციური ძალის წარმომადგენლები და ამ ყველაფერს არჩევნებს უკავშირებენ. გთავაზობთ რამდენიმე პოლიტიკოსის შეფასებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გოკა გაბაშვილი

ვიტალი ხაზარაძე

ბელა ბელაბერიძის ფოტოები

საარჩევნო კამპანიის მოახლოებასთან ერთად, საქართველოში აქტიურობას არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიები, არამედ კრიმინალებიც იჩენენ. ამ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში გახშირდა თავდასხმები, ყაჩაღობები და, რაც ყველაზე მეტად შემაშფოთებელია, მკვლელობები. ამასთან დაკავშირებით, განსხვავებული მოსაზრებები აქვთ სახელისუფლებო და ოპოზიციურ მხარეებს. ოპოზიციის შეფასებით, ეს მდგომარეობა ძალზე შემაშფოთებელია; სახელისუფლებო ფლანგის წარმომადგენლები კი აცხადებენ, რომ მდგომარეობა კონტროლირებადია და კრიმინალური შემთხვევები ნელ-ნელა კლებულობს.

"გაერთიანებული დემოკრატების" გენერალური მდივნის გოკა გაბაშვილის აზრით, "**ამ მხივ ძალიან მძიმე ვითარებაა, მე ამას ყველაფერს ვუკავშირებ არჩევნებს, რადგან გამოსწორების ნაცვლად, მდგომარეობა უარესობისკენ მიდის. ეს იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ დღეს ხელისუფლება მთლიანად გადართულია არჩევნებზე და ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა საერთოდ არ აინტერესებს, ერთადერთი საზრუნავი არჩევნების გაყალბებით ჩატარებაა.**" გაბაშვილი აცხადებს, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად, თუ მდგომარეობა არ შეიცვალა და ხელისუფლება "**გონს არ მოეგო**", ქვეყანაში დემოკრატიისათვის ბრძოლა უშედეგო იქნება.

სრულიად განსხვავებულ და ორიგინალურ შეფასებას იძლევა ვიტალი ხაზარაძე, ის აცხადებს, რომ არ შეიძლება არ აღინიშნოს სამართალდამცავების მიღწევები ამ სფეროში, თავად კრიმინალების გააქტიურებას კი ასე ხსნის: "**ტრადიციულად, გაზაფხულზე ყოველთვის მწვავდება კრიმინალური ვითარება, მაგრამ ამასთანავე გაძლიერდა სამართალდამცავების მოქმედება. ამ ფაქტის დაკავშირება არჩევნებთან არის მარაზმი, ვინც ამას პოლიტიკური ნიშნით გამოიყენებს, ესე იგი ის ვერ ერკვევა მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.**" როგორც ხაზარაძე აცხადებს, არჩევნები და კრიმინალები ერთმანეთთან არანაირ კავშირში არ არიან. ის იხსენებს იმ დროს, როცა თავად იყო აღმასკომის თავმჯდომარე და აღნიშნავს, რომ მაშინაც გაზაფხულობით მწვავდებოდა კრიმინალური ვითარება. თურმე, გაზაფხული ქართველი კრიმინალებისათვის ყველაზე კარგი სეზონი ყოფილა.

"ახლები", ისევე როგორც "დემოკრატები", კრიმინალების გააქტიურებას არჩევნების მოახლოებას უკავშირებენ. დავით კოღუაშვილის თქმით, იმისათვის, რომ არჩევნები ნორმალურად ჩატარდეს, საჭიროა ოპოზიციური ძალების სრული მობილიზება. "**დღეს ძალზე არასახარბიელო მდომარეობაა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი - თბილისში. ჩვენს ოფისზე თავდასხმის ფაქტი დღემდე არ არის გამოძიებული, არც არანაირი წინსვლა ამ მიმართებით არ იგრძნობა. არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მდგომარეობა უფრო მეტად დაიძაბება. ამიტომ აუცილებელია ოპოზიციის მობილიზება. რაც შეეხება ჩვენს გაერთიანებას, ჯერჯერობით ეს საკითხი გადაწყვეტილი არ არის და მიმდინარეობს მოლაპარაკებები.**" კოღუაშვილი ერთმნიშვნელოვნად აცხადებს: იმისათვის, რომ ჩატარდეს დემოკრატიული არჩევნები, აუცილებელია ოპოზიციის ერთობლივი მუშაობა ამ საკითხებზე. მას არ აქვს ხელისუფლების იმედი და კრიმინალების გააქტიურებას, ხაზარაძისაგან განსხვავებით, გაზაფხულს ვერ დააბრალებს.

„პარლამენტი საარჩევნო კოდექსს არასერიოზულად უდგება„

ჰირველი გვერდიდან

შეგახსენებთ, რომ პარლამენტმა ეს გადაწყვეტილება ორი წლის წინ მიიღო, მაგრამ მისი ამოქმედება ვერ შეძლო, რადგან საარჩევნო კოდექსის თანახმად, თითოეულ კანდიდატს, დასამტკიცებლად, პარლამენტართა ორი მესამედის თანხმობა ესაჭიროებოდა, რაც, თავად დეპუტატების თქმით, აბსოლუტურად არარეალური იყო. მაშინვე დეპუტატთა საკმაოდ სოლიდურმა ნაწილმა (რომლებმაც თავად მისცეს ხმა კანონს), განაცხადა, რომ "**თითოეული კანდიდატი რომელიღაც პარტიის მიერ არის მართული და რთული წარმოსადგენია, მან პარლამენტართა ორი მესამედის მხარდაჭერის მოპოვება შეძლოს.**" სწორედ ამ საბაბით, საარჩევნო კოდექსის გარდამავალ დებულებაში ჩაიწერა, რომ, ახალი წესის მიღებამდე, დღეს მოქმედ საარჩევნო ადმინისტრაციებს უფლებამოსილება გაუგრძელდებოდათ. მოგვიანებით, პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი, რომელსაც დღეს პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი და ოპოზიციურ პარტიათა აბსოლუტური უმრავლესობა უჭერს მხარს. თანაც, ამ მოდელის მომხრეები, საკუთარი პოზიციების გასამყარებლად, "ევროსაბჭოს" რეკომენდაციებს იშველიებენ, რომლის თანახმად, საარჩევნო ადმინისტრაციებში პარტიები თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი.

თუმცა პარლამენტში მოვლენები ყველაზე ცუდი სცენარით ვითარდება: დეპუტატები პოლიტიკურ ტრიბუნას მხოლოდ განცხადებებისა და ურთიერთბრალდებებისთვის იყენებენ, რეალურ შედეგამდე კი ჯერ ისევ შორია.

"**ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო საარჩევნო კოდექსის კანონპროექტების მიმართ არასერიოზულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს და საეჭვოა, საერთოდ მისი მიღება მოხდეს**", – ამბობს ნუგზარ კუპრეიშვილი და დასძენს, რომ "სამართლიანი არჩევნები" არც ინტერფრაქციულ და არც სახელისუფლებო ჯგუფების მიერ წარმოდგენილ ვარიანტებს ცსკო-ს დაკომპლექტების შესახებ მხარს არ უჭერს.

კუპრეიშვილს არგუმენტად ბოლო (ადგილობრივი) არჩევნები მოჰყავს. მისი თქმით, ცესკო-ს პარტიული პრინციპით დაკომპლექტების მოდელმა, რასაც ინტერფრაქციული ჯგუფის პროექტი ითვალისწინებს, გასულ არჩევნებში უკვე აჩვენა, "**რასთან შეიძლება გვქონდეს საქმე.**"

მეორე მხრივ, არასამთავრობოები პირდაპირ აცხადებენ, რომ დაკომპლექტების სახელისუფლებო ჯგუფის ვარიანტი "**საშიშროებებით არის აღსავსე**", რადგან ამ მოდელის მიღების შემთხვევაში, პრეზიდენტი შევარდნაძე (რომელიც ხელისუფლების საარჩევნო ბლოკის ლიდერია) პარლამენტს დასამტკიცებლად კომისიის წევრებს თავად წარუდგენს. "**ადვილი გასათვლელია, რომ, ამ შემთხვევაში, იგი ვერ გახდება სამართლიანობის გარანტი,**" – ამბობს კუპრეიშვილი.

თავად არასამთავრობოები ნაფიც მსაჯულთა მიერ დაკომპლექტებული საარჩევნო ადმინისტრაციების შექმნის ინიციატივით გამოვიდნენ, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, პოლიტიკურმა სპექტრმა ეს მოდელი დაიწუნა, თუმცა პოლიტიკოსებმა ღია კრიტიკისაგან თავი შეიკავეს და ამ პროექტს "**შორეული პერსპექტივა და საარჩევნო ადმინისტრაციების ხვალინდელი დღე**" უწოდეს.

საქართველოს დსთ-ს სტრუქტურებისგან თავი შორს უჭირავს

რუსუდან ნიკურაძე
საკ. კორ. მოსკოვში

25 აპრილს მოსკოვში გამართული დსთ-ს მთავრობების მეთაურთა შეხვედრა რუსეთში სამთავრობო კრიზისს დაემთხვა. რუსეთის მთავრობის კაბინეტში ვიცე-პრემიერების გადანაცვლებამ და თავად პრემიერ კასიანოვის სავარძელშერყეულმა ძალაუფლებამ ბევრი ვერაფერი შემატა ორიენტირებადაკარგულ თანამეგობრობას.

საქართველოს წარმოადგენდნენ საქართველოს სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია, რუსეთში საქართველოს ელჩი ზურაბ აბაშიძე და დსთ-ს აღმასრულებელ კომიტეტში საქართველოს სრულუფლებიანი წარმომადგენელი ვალირან ადვაძე.

რუსეთის სამთავრობო კრიზისი შეხვედრის დღის წესრიგზეც აისახა - გადაწყდა დსთ-ში გაბნეული ვალების შეგროვება და ერთ-ერთ მთავარ თემად ფინანსურ-ორგანიზაციული საკითხები გამოცხადდა. მაგალითად, საქართველომ ოფიციალურად ახარა ყველას, რომ თანამეგობრობის რესპუბლიკებისადმი მრავალწლიანი დავალიანების დაფარვის ნაანტრი პროცესი დაიწყო და დსთ-ს ორგანოებში საქართველოს წარმომადგენლებს ხელფასს, სამოწყალოდ, მეზობელი რესპუბლიკების საწევროებიდან კი არ გადაუნაწილებენ, არამედ საკუთარი სამშობლო გადაუხდის და ა.შ. აღსანიშნავია ისიც, რომ დსთ-ს აღმასრულებელი კომიტეტისადმი საქართველოს შარშანდელი დავალიანება გადახდილია.

მოსკოვის შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო დსთ-ს სახელმწიფოების ერთიანი სავალუტო ბაზრის ორგანიზება, თუმცა უკრაინა და საქართველო ამაზე უარს აცხადებენ. დსთ, როგორც მომხიბვლელი საერთაშორისო ბაზარი, მაინც დიდი საგანგებო საკითხია. ეს ბაზარი ერთ-ერთ ადგილზეა ბოლოს ... ...

რუსეთში მსოფლიოში სიდიდით მეოთხე ნავთობგიგანტი იქმნება

აჟიოტაჟი რუსეთის ორი უმსხვილესი ნავთობკორპორაციის - "იუკოსი"-ისა და "სიბნეფტ"-ის შერწყმის შესახებ არ ცხრება. ანალიტიკოსების შეფასებით, ამ ორი ნავთობგიგანტის გაერთიანების შემთხვევაში წარმოიქმნება ნავთობის იმპერია, რომელიც მსოფლიოს უმსხვილესი ნავთობკომპანიების ათეულში შევა. უფრო მეტიც, ანალიტიკოსთა მტკიცებით, ახალი კომპანია მსოფლიოს ყველაზე უმსხვილეს ნავთობმომპოვებელ საწარმოთა სიაში მეოთხე ადგილს დაიკავებს. შერწყმის შესახებ ოფიციალური განცხადებები ამ კვირაშია მოსალოდნელი.

სოფიკო ოხანაშვილი
თორნიკე შარაშენიძე

"იუკოსი" "ლუკოილის" შემდეგ სიდიდით რუსეთის მეორე ნავთობმომპოვებელი საწარმოა. იგი 1,72 მილიარდი ტონა ნავთობისა და 127 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მარაგს განაგებს. რაც შეეხება "სიბნეფტს", მის განკარგულებაში 1,13 მილიარდი ტონა ნავთობისა და 70 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მარაგია. თავისი სიდიდით ახალი კომპანია მხოლოდ ისეთ გრანდებს ჩამორჩება, როგორებიცაა "ექსონმობილი," "ბრიტიშ პეტროლიუმი" და "შელი."

გარიგების საწყის ეტაპზე "იუკოსი" 3 მილიარდს გადაიხდის ნაღდ ფულად "სიბნეფტის" 20 პროცენტის სანაცვლოდ. დამატებით კომპენსაციად კი ნავარაუდევია "იუკოსის" აქციათა 36 პროცენტის "სიბნეფტის" აქციონერთა ხელში გადასვლა. გეგმის მიხედვით, გარიგება წლის ბოლოს უნდა დასრულდეს.

"იუკოსისა" და "სიბნეფტის" შერწყმა გვარიანად შეარყევს "ლუკოილის" – აქამდე რუსეთის უმსხვილესი ნავთობკომპანიის - ჰეგემონიას. მის ახალ მეტოქეს, ზემოთ აღნიშნული რეზერვების გარდა, ხელთ ექნება 2500 ბენზინგასამართი სადგური და 10 ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა რუსეთში, ბელარუსსა და ლიტვაში. მათი დღიური პროდუქცია 2,3 მილიონი ბარელი ნავთობი იქნება, რაც რუსეთის ყოველდღიური ნავთობწარმოების 29 პროცენტს შეადგენს და კუვეიტის ნავთობწარმოებას უტოლდება.

Reuter-ის ინფორმაციით, საქმიანი გარიგების თანახმად, ახალი საწარმოს აქციების 46 პროცენტს მიიღებს ჯგუფი "მენატეპი", რომლის მთავარი აქციონერი "იუკოსის" ხელმძღვანელი ხოდოროვსკია. ახალი კონცერნის თავმჯდომარის თანამდებობაზეც მისი კანდიდატურა განიხილება. "სიბნეფტის" აქციონერები (ან მათ უკან მდგომი დევნილი ბორის ბერეზოვსკი), სავარაუდოდ, 25-პროცენტიან წილს და 1,2 მილიარდი აშშ დოლარიდან 1,4 მილიარდ აშშ დოლარამდე ოდენობის თანხას მიიღებენ. გასულ კვირას "იუკოსმა" უკვე მიმართა რამდენიმე დასავლურ ბანკს 1,3 მილიარდი აშშ დოლარის გამოყოფასთან დაკავშირებით. საწარმოების გაერთიანების პირველი მცდელობა 1998 წელს უშედეგოდ დამთავრდა. ერთ-ერთ მიზეზად იმას ასახელებენ, რომ მხარეებს ახალი კომპანიის მართვის მოდელზე განსხვავებული შეხედულება ჰქონდათ. მეორე მცდელობის შედეგიანად დასრულების შემთხვევაში, ანალიტიკოსების აზრით, წარმოიქმნება ძალიან დიდი ეკონომიკური ძალაუფლებისა და პოლიტიკური გავლენის მქონე უმსხვილესი კერძო კომპანია.

ახალი კონცერნის კაპიტალი ფასდება 35 მილიარდ აშშ დოლარად. ანალიტიკოსების აზრით, ამ ორი ნავთობგიგანტის შერწყმა, სხვა შედეგების გარდა, ასევე საგრძნობლად შეამცირებს მართვაზე გასაწევ ხარჯებს. "იუკოსი" ყველანაირად ცდილობს, არ დაუშვას უცხოური კონცერნების რუსეთის ბაზარზე გაძლიერება. შეგახსენებთ, რომ თებერვალში BP-მ რუსეთის ნავთობის ბიზნესში 6,75 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიცია განახორციელა. ამისთვის კი მულტინაციონალურმა კონცერნმა ადგილობრივ ჰოლდინგში, რომელიც ჯგუფი "ალფასა" და ტიუმენის ნავთობის კომპანიის საფუძველზე შეიქმნა, 50-პროცენტიანი წილი მიიღო. ამ ჰოლდინგის ღირებულება 18 მილიარდ აშშ დოლარს აჭარბებს.

მონიტორინგი

გთხოვთ, მიაქციოთ ყურადღება, რომ ცენტრალური და შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის ექვსი თვის პროგნოზი შეცვლილია 3.27 მილიონი ლარით. კერძოდ, გაზრდილია გრანტების ექვსი თვის გეგმა 3.27 ლარით.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება

ოპერატიული ინფორმაცია 25 აპრილისთვის

მილიონ ლარებში

დასახელება	ექვსი თვის პროგნოზი	შესრულება	%	24 აპრილი
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები	521.20	263.26	51%	4.29
ცენტალური ბიუჯეტის შემოსავლები და გრანტები	376.49	187.24	50%	2.82
საგადასახადო შემოსავლები	310.64	154.76	50%	2.59
სოციალური ფონდი	116.81	65.19	56%	1.26
საგზაო ფონდი	24.05	10.96	46%	0.21
დეფიციტის დაფინანსება	112.16	67.61	60%	0.00

„ბორჯომი" და „მირგოროდსკაია" ერთიანდება

შესაძლოა, ორივე ბერეზოვსკის ხელში აღმოჩნდეს

გვანცა კვინიკაძე

რუსული პრესა "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიისა" (GG&MW) და მინერალურ წყალ "მირგოროდსკაიას" მწარმოებელი უკრაინული კომპანია IDS-ის სტრატეგიულ ალიანსში გაერთიანების შესახებ იუწყება. ამ გარიგების ორგანიზატორად და ზემოხსენებული ქართული და უკრაინული კომპანიების ახალ მფლობელად, საქართველოში კარგად ცნობილ, რუს ოლიგარქ ბორის ბერეზოვსკისთან დაკავშირებული საინვესტიციო ბანკი "სალფორდია" დასახელებული. GG&MW-ს ხელმძღვანელობა ადასტურებს უკრაინულ IDS-თან ალიანსის შექმნაზე მუშაობას და ამ შეთანხმებას, პრაქტიკულად, მიღწეულად მიიჩნევს. თუმცა, "სალფორდის" მიერ "ბორჯომის" მწარმოებელი კომპანიის აქციათა შეძენის ფაქტს კატეგორიულად უარყოფს. ასეთივე განცხადებებს აკეთებს "სალფორდის" ხელმძღვანელიც და აცხადებს, რომ GG&MW-სა და IDS-ის გარიგებაში "სალფორდის" როლი მხოლოდ საკონსულტაციო მომსახურებით შემოიფარგლა. უკრაინულ IDS-თან გაერთიანების ოფიციალურად გამოცხადებას GG&MW მომავალი კვირის დასაწყისში აპირებს. მაშინვე გახდება ცნობილი ის ფინანსურ-ეკონომიკური პირობები, რომელიც მათ გაერთიანებას დაედება საფუძვლად.

ბორის ბერეზოვსკი

"უოლ სთრით ჯორნალისა" და "ფაინენშალ თაიმსის" პარტნიორ რუსულ გაზეთ "ვედომოსტის" ინფორმაციით, **"საინვესტიციო ბანკი "სალფორდი", რომელმაც ცოტა ხნის წინ ქართული კომპანია "ბორჯომი" იყიდა, ახლა უკრაინული კომპანია IDS-ის თანამფლობელი გახდა. ეს კომპანია მინერალურ წყალ "მირგოროდსკაიას" ასხამს. IDS უკრაინის არაალკოჰოლური სასმელების ბაზარზე ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანიაა, რომლის ბრუნვამ შარშან 45 მილიონი დოლარი შეადგინა და მას უკრაინის ბაზრის 14 პროცენტი უკავია".** "ვედომოსტის" წყაროების თანახმად, "სალფორდმა" IDS-ის წილი, მისი თანამფლობელებისგან: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და საინვესტიციო ფონდ "უკრაინისგან" გამოისყიდა. თუმცა, არც "სალფორდის" და არც IDS-ის ხელმძღვანელობამ "ვედომოსტის" ეს ინფორმაცია ოფიციალურად არ დაადასტურა. მხოლოდ EBRD-ს უკრაინის ბიურომ განაცხადა იმის თაობაზე, რომ მან თავისი კუთვნილი აქციების 10-პროცენტიანი პაკეტი მართლაც გაყიდა.

ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული გარიგება "სალფორდისთვის" მეტად წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს, იმის გათვალისწინებით, რომ იგი IDS-ისა და GG&MW-ს გაერთიანებას გულისხმობს. საუბარია იმაზე, რომ "მირგოროდსკაიასა" და "ბორჯომის" მწარმოებელი კომპანიების ძლიერი და სუსტი მხარეები (უმთავრესად, მარკეტინგის სფეროში) ერმანეთს დააბალანსებს. ანუ, "ბორჯომი" უკრაინულ წყალს დასავლეთისა და რუსეთის ბაზრებზე შესვლაში, ხოლო "მირგოროდსკაია" ქართულ მინერალურ წყალს უკრაინის ბაზარზე პოზიციების განმტკიცებაში დაეხმარება. **"ერთი წლის შემდეგ, "სალფორდი" ყოფილ საბჭოთა კავშირში სასმელი წყლით მოვაჭრე ერთ-ერთ უმსხვილეს კომპანიას გააკონტროლებს, რომლის წლიური ბრუნვა 50 მილიონ დოლარს და, შესაბამისად, "ნაზრანისა" და "სვიატოი ისტოჩნიკის" ბრუნვებს გადაჭარბებს,"** – ასეთია "ვედომოსტის" პროგნოზი.

ამავე პერსპექტივებზე, ოღონდ, ახალ ალიანსში "სალფორდის" რაიმენაირი წილობრივი მონაწილეობის გარეშე, საუბრობენ GG&MW-ს წარმომადგენლებიც. ისინი ადასტურებენ, რომ IDS-თან უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში სტრატეგიული პარტნიორობის თაობაზე მართლაც მიდიოდა მოლაპარაკებები და ისინი, ფაქტობრივად, წარმატებით დასრულდა. **"ამჟამად ზუსტდება ალიანსის სტრუქტურა და ფინანსური საკითხები და, სავარაუდოდ, სამშაბათს კომპანია, უკრაინელებთან ერთად, ალიანსის შექმნის თაობაზე ოფიციალურად განაცხადებს,"** – აცხადებენ კომპანიაში. იმას, რომ "სალფორდმა" GG&MW-ს აქციები იყიდა (ან აპირებს), კომპანიაში უარყოფენ, თუმცა ამის შესახებ თებერვლის დასაწყისში ავტორიტეტული ბრიტანული გაზეთი "ფაინენშალ თაიმსი" იუწყებოდა. **"ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულებზე რეგისტრირებულმა საინვესტიციო ბანკმა "სალფორდმა", რომელიც პერიოდულად კონსულტაციებს უწევს ბორის ბერეზოვსკის კომპანიებს, თავისი ფონდის - "New World Value Fund" მეშვეობით "ბორჯომის" მთავარ მწარმოებელ კომპანიაში 50-პროცენტიანი წილი 50 მილიონ დოლარად შეიძინა,"** – წერდა გაზეთი. მაშინ მინიშნება კეთდებოდა იმაზე, რომ ბორის ბერეზოვსკი ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მინერალური წყლების ცნობილი მარკების ერთ ჰოლდინგში გაერთიანებას გეგმავდა და თვალი რამდენიმე მათგანზე ეჭირა. "ფაინენშალ თაიმსის" ცნობით, "სალფორდმა" GG&MW-ში IFC-ს, EBRD-სა და კომპანია Baring Vostok Partners-ის წილები გამოისყიდა, რასაც GG&MW-ში კატეგორიულად უარყოფენ. დაახლოებით იგივე სქემაზეა საუბარი IDS-თან მიმართებაშიც: როგორც უკვე აღვნიშნეთ, უკრაინულ კომპანიაში "სალფორდმა" აქციები ასევე EBRD-სა და ერთ-ერთ თანამფლობელ საინვესტიციო ბანკ "უკრაინისგან" შეიძინა.

მიუხედავად იმისა, რომ "ვედომოსტის" სტატიაში "სალფორდის", როგორც GG&MW-სა და IDS-ის ახალი მფლობელის გეგმები ქართულ-უკრაინულ ალიანსთან მიმართებაში საკმაოდ დაწვრილებით არის აღწერილი, "სალფორდის" საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი გიორგი ბედინეიშვილი მისი კომპანიის მიერ როგორც IDS-ში, ისე – GG&MW-ში წილის შეძენის ფაქტს უარყოფს. **"ჩვენ, უბრალოდ, კარგი ურთიერთობები გვაქვს GG&MW-ს მენეჯმენტთან და IDS-თან გაერთიანებასთან დაკავშირებით კონსულტაციებსაც ვაწარმოებდით, მაგრამ წილი არც ერთ მათგანში არ გვიყიდია,"** – განაცხადა ბედინეიშვილმა "24 საათთან" საუბრისას. მან ასევე უარყო, ის, რომ "სალფორდი" მინერალური წყლების მწარმოებელი კომპანიების ჰოლდინგის შექმნას აპირებს. აწ უკვე ლონდონელი ბერეზოვსკის ქართველ პარტნიორ ბედინეიშვილს ვერ აუხსნია, რატომ ქვეყნდება ყველაზე ავტორიტეტული ბრიტანულ გაზეთში ასეთი "დაუჯერებელი" ინფორმაციები.

"იტერა" საქართველოში შეიძლება "გაზპრომმა" შეცვალოს

დედაქალაქში გაზი ისევ არ არის. "თბილგაზის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ცაავა კი აცხადებს, რომ "საშუალება გამოძებნეს" და "იტერასთვის" ფულის გადარიცხვა, "თბილგაზის" ანგარიშის დაყადაღების მიუხედავად, მაინც მოახერხეს. თუმცა, როგორც "იტერას" პრეს-მდივანმა ევგენი ოსტაპოვმა "24 საათს" მოსკოვიდან აცნობა, რუსულ კომპანიას აპრილის ფული ჯერაც არ მიუღია. მისივე ცნობით, "იტერას" "გაზპრომისთვის" სამხრეთ კავკასიის გაზის ტრანზიტის ფული აქვს გადასახდელი. "ამდენად, "იტერა" საქართველოს წინასწარი გადახდის გარეშე ვერ მოემსახურება," – განაცხადა "იტერას" პრეს-მდივანმა.

მაია ურუშაძე

მიუხედავად ამისა, თბილისში იმედოვნებენ, რომ "იტერა" ორშაბათიდან გაზის მოწოდებას გაზრდის. როგორც ჩანს, მთავრობას რუსული კომპანიის "შეშინების" იმედი აქვს, რადგან ქართულ ბაზარზე "იტერას" "გაზპრომით" ჩანაცვლების თაობაზე უკვე ინტენსიური საუბრები მიდის. მოლაპარაკების პროცესი კი "თბილგაზში" "ახალი მენეჯმენტის" – საქართველოს გაზის კორპორაციის პრეზიდენტ ალეკო გოცირიძის "ხელდასხმული" ამხანაგობის შესვლას უკავშირდება.

საქმე ისაა, რომ ბოლო დროს გაზის რუსული გიგანტი - "გაზპრომი" "იტერას" მიმართ პოლიტიკას უფრო და უფრო ამკაცრებს. ამ პროცესებს ექსპერტები სამხრეთ კავკასიის გაზის ბაზარზე დამკვიდრებისთვის ბრძოლას უკავშირებენ. გაზის მრეწველობის რუსულმა გიგანტმა უკრაინის სადისტრიბუციო ბაზრიდან "იტერა" უკვე განდევნა და, ამასთან ერთად, "აართვა" გაზის საბადოების საკონტროლო პაკეტები, რის გამოც "იტერას" გაზის მოპოვებაში წილი საგრძნობლად შეუმცირდა. გარდა ამისა, "იტერას" სამხრეთ კავკასიაში – საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში გაზი თურქმენეთიდან, "გაზპრომის" მილებით შემოაქვს. ეს უკანასკნელი კი მას სატრანზიტო თანხას წინასწარ სთხოვს და, დაგვიანების შემთხვევაში, მილსადენებს უკეტავს.

აქედან გამომდინარე, თბილისის გაზმომარაგება გაცილებით ღრმა და მასშტაბურ პროცესებზეა დამოკიდებული. შემთხვევითი როდია, რომ მოსკოვში მყოფი სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე გუშინ "გაზპრომის" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარეს, ალექსეი მილერს ეწვია. შეხვედრაზე ისევ წამოიწია "გაზპრომთან" ერთობლივი საწარმოს შექმნის საკითხმა. ამ ერთობლივ საწარმოს საქართველოს მაგისტრალური გაზსადენები, ანუ საქართველოს გაზის კორპორაციის ქონება უნდა გადაეცეს.

შეგახსენებთ, რომ თავის დროზე ალეკო გოცირიძემ გაზის კორპორაცია სწორედ "გაზპრომთან" ურთიერთობის განსამტკიცებლად ჩამოაყალიბა. თუმცა, მოგვიანებით, "გაზპრომმა" თურქეთის ბაზარზე შესვლისთვის "ბლუსტრიმის" გზა ირჩია და საქართველოს მაგისტრალურ გაზსადენებს შავი ზღვის ფსკერზე ახალი მილსადენის გაყვანა ამჯობინა. ახლა კი, როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობაში საკითხი "გაზპრომთან" ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე კვლავ დღის წესრიგში დადგა.

ამ ვითარებაში, ძნელი ასახსნელი არც ისაა, თუ რატომ გასდევს ფონად "გაზპრომთან" შერწყმაზე განახლებულ საუბარს "თბილგაზის" "ახალი მენეჯმენტისათვის" გადაცემის პროცესი. მას შემდეგ, რაც "ახალი მენეჯმენტის" მიღმა ალეკო გოცირიძის ინტერესები დაფიქსირდა, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მერიამ ტენდერი "ზემოდან დაკვეთით" – უშუალოდ გოცირიძის უწყებისთვის გამოაცხადა.

სხვათა შორის, გაზის კორპორაციისთვის "თბილგაზის" გადაცემა მთავრობამ ერთხელ უკვე სცადა. მაშინ "იტერასთან" ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ მოლაპარაკებები ჩაიშალა და "იტერა" ალეკო გოცირიძესთან დათმობაზე აღარ წავიდა. მან გოცირიძეს არ მისცა ზამთარში წინასწარი გადახდის გარეშე თბილისის უწყვეტი გაზმომარაგების გარანტია, რაც გაზის კორპორაციას "თბილგაზში" თავისი შესვლის გამართლებისთვის აუცილებლად სჭირდებოდა. ამის გამო, მთავრობა იძულებული გახდა, "თბილგაზი", მერიის პროტესტის მიუხედავად, მუნიციპალიტეტისთვის "გადაებურთავებინა".

და ბოლოს, რიტორიკული კითხვა, **გვექნება თუ არა გაზი?**

ახლა, როცა "თბილგაზის" ტენდერში "ახალმა მენეჯმენტმა" უკვე გაიმარჯვა, ხელშეკრულების გაფორმებამდე და მისთვის "თბილგაზის" გადაცემამდე უმნიშვნელოვანესი საკითხი რჩება გადასაწყვეტი. კერძოდ, უნდა გაირკვეს, თუ ვინ მოაწვდის გაზს თბილისს და რა ვალდებულებები ექნება "თბილგაზის" ახალ მენეჯერს მომწოდებლის წინაშე. სწორედ ეს არის მიზეზი ალეკო გოცირიძის გახშირებული ვიზიტებისა მოსკოვში "იტერას" და "გაზპრომის" ოფისებში.

მანამდე კი თბილისის გაზმომარაგება კვლავ "იტერას" ხელში რჩება. 22 აპრილს პრეზიდენტმა შევარდნაძემ ქალაქის მერს, ვანო ზოდელავას კიდევ ერთხელ ააღებინა სესხი "იტერასთვის" გადასახდელად, ფინანსთა მინისტრს კი "ურჩია", ეს თანხა საგადასახადო შემოსავლებიდან გადაეხადა. შესაბამისად, მომავალ კვირაში გაზის მოწოდება ისევ აღდგება. რასაკვირველია, მხოლოდ ერთი თვით. გაზის მოწოდების პრობლემას კი საბოლოო გადაწყვეტა მანამდე არ უწერია, სანამ "იტერასა" და "გაზპრომს" შორის ურთიერთობა არ გაირკვევა, ხოლო "თბილგაზი" მისთვის წინასწარ შერჩეულ პატრონს - "ახალ მენეჯმენტს" არ ჩაბარდება.

ფერმერების საქმიანობა ჩინოვნიკების განწყობაზეა დამოკიდებული

სოფიკო ოხანაშვილი

"მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციისა" და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მომზადებულ კანონპროექტს "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დამატებითი პრივატიზების შესახებ" უკვე დასრულებული და დაზუსტებული სახით აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტში განსახილველად მაისის პირველ რიცხვებში შეიტანს. თუმცა, სანამ კანონპროექტი საკანონმდებლო ორგანოში ოფიციალურად იქნება წარდგენილი, მისი ავტორები და შესაბამისი სახელმწიფო უწყებები კანონპროექტში არსებული რამდენიმე დეტალის დასაზუსტებლად 30 აპრილს, პარლამენტში გამართავენ სხდომას, რომელსაც არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ფერმერები დაესწრებიან. პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარის ბეჟან გონაშვილის შეფასებით, "სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დამატებითი პრივატიზების შესახებ" კანონპროექტის იდეა სწორი და მხარდასაჭერია, მაგრამ ზოგიერთი საკითხი დახვეწას და დამუშავებას მოითხოვს. **"მართალია, ჩვენს ფერმერებს დღეს უკვე შეძენილი აქვთ პირუტყვი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, აშენებული აქვთ ფერმები, პირუტყვის სადგომები და ამ დროს მიწა მათი არ არის - მიწა სახელმწიფოსია. ხშირად ეს ფერმერებს სერიოზულ ბარიერებს უქმნის, ჩინოვნიკების კეთილგანწყობაზეა დამოკიდებული მათი შემდგომი საქმიანობა".**

ამავე კანონპროექტის ამუშავების აუცილებლობაზე საუბრობს დამოუკიდებელი ექსპერტი ალექსანდრე თვალჭრელიძე. მისი შეფასებით, აღნიშნული კანონპროექტის ამოქმედება ხელს შეუწყობს მიწის ბაზრის ჩამოყალიბებას, რაც სოფლის მეურნეობის სფეროს შემდგომი განვითარებისათვის აუცილებელი კომპონენტია. **"რადგან პრივატიზების გზით წავედით, აუცილებლად უნდა დავასრულოთ ეს პროცესი"**, - აღნიშნა ექსპერტმა.

ᲙᲠᲔᲛᲚᲘ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠ ᲠᲘᲪᲮᲕᲔᲑᲡ ᲣᲯᲔᲠᲔᲑᲡ

ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ A3 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ისინი, ვინც ამერიკას ერაყში დამარცხებას უქადდა, დღეს აცხადებენ, რომ ამერიკელებმა, უბრალოდ, მოქრთამეს ერაყელი გენერლები, რომლებმაც, წინააღმდეგობის გაწევის ნაცვლად, ჯარისკაცები სახლში გაუშვეს. რუსეთის ელიტას მიაჩნია, რომ მათი კოლეგები სხვა ქვეყნებიდან მათსავით კორუმპირებულნი არიან.

გასულ კვირას სატელევიზიო ინტერვიუში ევგენი პრიმაკოვმა რუსული ელიტის ანტიამერიკული უმრავლესობის განწყობა გადმოსცა, როდესაც განაცხადა, რომ "ერაყში ამერიკული ბლიცკრიგი ჩაიშალა". პრიმაკოვის აზრით, სამ კვირაში 400-ათასიანი არმიით საფრანგეთისოდენა ქვეყნის დამარცხება, თანაც ისე, რომ მსხვერპლმა 150-ს არ გადააჭარბა, ჩაშლილი ბლიცკრიგი ყოფილა.

პრიმაკოვმაც გაიზიარა მოსაზრება, რომ ამერიკელებმა ბაღდადამდე ქრთამით გაიკვლიეს გზა: კარგად გადაუხადეს გენერლებსა და ფადაინების მეთაურებს იმისათვის, რომ ჯარისკაცები სახლში გაეშვათ. პრიმაკოვმა განაცხადა, რომ "ანტი-ამერიკანიზმი მცდარი პოლიტიკაა", მაგრამ აშშ-ს მოქმედებები ახლო აღმოსავლეთში ევროპაში ნაცისტების პოლიტიკას შეადარა. მისი აზრით, ერაყის კრიზისი კიდევ ერთი ნაბიჯი იყო მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების გზაზე, რადგან "ევროპა აღსდგა ამერიკის წინააღმდეგ".

პრიმაკოვის მოსაზრებები მხოლოდ გადამდგარი პოლიტიკოსის პირადი აზრები არ არის. ომის დაწყებამდე იგი ძალზე ახლოს იყო კრემლში გადაწყვეტილების მიღების პროცესთან. გარდა ამისა, მისი პროტეჟე, საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი არის მთავარი პასუხისმგებელი ამ უთავბოლო საგარეო პოლიტიკაზე.

აშშ-ს გამარჯვებამ და იმ ფაქტმა, რომ ერაყელთა დიდი ნაწილი თავს გათავისუფლებულად მიიჩნევს, საგარეო საქმეთა სამინისტროს სიჯიუტე ვერ შეარყია. ანტისაომარი კოალიციის ერთ-ერთი ლიდერი, საფრანგეთი სწრაფად იცვლის პოზიციას და აცხადებს, რომ საჭიროა ერაყის წინააღმდეგ სანქციების სასწრაფო გაუქმება. რუსეთი კი დაჟინებით მოითხოვს, რომ სანქციები მხოლოდ იმ შემთხვევაში გაუქმდეს, თუ გაერო-ს შეიარაღების ინსპექტორები დაადასტურებენ, რომ ერაყს მასობრივი განადგურების იარაღი არ გააჩნია. ინსპექტირების პროცესს შეიძლება რამდენიმე თვე და წელიც დასჭირდეს.

ამერიკელი დიპლომატები ამბობენ, რომ რუსეთს შეუძლია ერაყის აღდგენაში მონაწილეობა მიიღოს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მოსკოვი მოიქცევა ისე, როგორც ნამდვილი პარტნიორი. არის მინიშნებები იმაზეც, რომ ივანოვის გათავისუფლება საგრძნობლად შეუწყობდა ხელს ურთიერთობების ნორმალიზაციას.

2001 წელს, მმართველი ელიტის სურვილის საწინააღმდეგოდ, პუტინმა პრო-ამერიკული საგარეოპოლიტიკური კურსი აირჩია, 2003 წელს ანტიამერიკულმა ლობიმ მაინც თავისი გაიტანა, და საგარეო პოლიტიკის სადავეები ჩაიგდო ხელში. პუტინს კიდევ შეუძლია, მას წინააღმდეგობა გაუწიოს, მაგრამ საკითხავია, მოინდომებს თუ არა ამის გაკეთებას.

ᲐᲨᲨ-ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲘᲡ ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲔᲑᲘ ᲣᲨᲔᲓᲔᲒᲝᲓ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ

REUTERS

აშშ-ის წარმომადგენელი ჯეიმს კელი

შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ კორეას შორის პეკინში გამართული მოლაპარაკებების დროს ჩრდილოეთ კორეამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ბირთვულ იარაღს ფლობს. ფხენიანის წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ მათ პლუტონიუმის გადამუშავება დაასრულეს, რომელიც დამატებითი ბომბების წარმოებისთვის შეიძლება გამოიყენონ.

კრიზისი გასული წლის ოქტომბერში დაიწყო, როდესაც აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილემ – კელიმ ფხენიანში ადგილობრივ მაღალჩინოსნებს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამების დამადასტურებელი ფაქტები ჩაუტანა. მაშინ ჩრდილოეთ კორეამ პროგრამების არსებობა აღიარა, მაგრამ დასძინა, რომ ატომური ბომბი თავდასაცავად სჭირდება. ამის საპასუხოდ ამერიკელებმა ჩრდილოეთ კორეას ნავთობის მიწოდება შეუწყვიტეს. ჩრდილოეთ კორეამ კი ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორები ქვეყნიდან გააძევა. მოგვიანებით კი ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებიდან გამოვიდა.

ადმინისტრაციასთან დაახლოებული წყაროების თანახმად, პეკინში მიმდინარე სამდღიანი მოლაპარაკებების დროს ფხენიანმა ამერიკელებს მიანიშნა, რომ ჩრდილოეთ კორეამ შესაძლოა, ბირთვულ ამბიციებზე ხელი აიღოს. თუმცა, მოლაპარაკებების დასასრულს, საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ფხენიანელმა დიპლომატებმა განაცხადეს, რომ უფლებას იტოვებენ, ატომური ბომბი გამოცადონ, ან იგი ვისაც სურთ, იმას მიჰყიდონ.

აშშ-ის მაღალჩინოსნები კვლავ ცდილობენ, ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლის, გენერალ რი კუნის დამაბნეველი განცხადებები გაანალიზონ.

ამერიკა და მისი მოკავშირეები შიშობენ, რომ ბირთვული იარაღით აღჭურვილმა სტალინისტურმა ჩრდილოეთ კორეამ შეიძლება აზიური სახელმწიფოები დაანგრიოს, ან ბირთვული მასალები ურჩ სახელმწიფოებსა და ტერორისტებს მიჰყიდოს.

ჩინეთში შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ჯეიმს კელი გუშინ ცალკე შეხვდა ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ლი ჭაოსინს. შემდეგ კი სამივე მხარემ ერთობლივი ბრიფინგი ჩაატარა, მაგრამ დეტალებზე საუბრისგან ყველამ თავი შეიკავა.

სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა ჩრდილოეთ კორეა მოლაპარაკებების დაწყების წინ გააფრთხილა, რომ "ფხენიანს იმის შთაბეჭდილება არ უნდა შეექმნას, თითქოს შეერთებული შტატები და მისი პარტნიორები მათი მუქარით დაშინებულნი არიან, ან თითქოს მათი ქმედებები დათმობებისაკენ გვიბიძგებს. ისინი ძალიან ცდებიან, თუ ასე ფიქრობენ".

პეკინიდან ამერიკის წარმომადგენელი ჯეიმს კელი სეულში მიემგზავრება, სადაც ის მოლაპარაკებებს გამართავს სამხრეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრთან, ხოლო შემდეგ ტოკიოში ჩავა. სეული და ტოკიო ჩრდილოთ კორეის ბირთვული პროგრამებით ყველაზე მეტად არიან შეშფოთებულები. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ კრიზისის გაღრმავების შემთხვევაში ფხენიანი ბირთვულ იერიშს სწორედ მათზე მიიტანს.

მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ ჩინეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა, რომლის თანახმად, მხარეები მომავალ შეხვედრებზე შეთანხმდნენ, პეკინში გამართულმა მოლაპარაკებებმა კი მხარეებს შორის ურთიერთგაგება განამტკიცა.

რი კუნიმ მოლაპარაკებების დროს აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ კორეამ ბირთვულ რეაქტორ იონპიონში კიდევ ექვსი ბომბის დასამზადებლად აუცილებელი პლუტონიუმის გადამუშავება თითქმის დაასრულა. შეერთებული შტატების სადაზვერვო სამსახურების ინფორმაციით, მათ დამატებითი რაოდენობის პლუტონიუმის გადამუშავება არ დაუფიქსირებიათ. ასე რომ, ან რომ იცრუა, ან დაზვერვამ ვერ იმუშავა სათანადოდ.

დასავლური წყაროების ცნობით, სამდღიანი მოლაპარაკებების დროს ჩრდილოკორეელები ბუნდოვან ფრაზებს იყენებდნენ. ერთადერთი, რაც მათ გარკვევით განუცხადეს ამერიკელებს, იყო: "ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული". დროდადრო ისინი აღნიშნავდნენ, რომ მათ შესაძლოა, ბირთვულ იარაღზე ხელი აიღონ" გარკვეული პირობებით, რომლებიც ბუშის ადმინისტრაციისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

დაბნეულობას ისიც განაპირობებს, რომ კორეულ ტექსტებში ფხენიანის განცხადებები სხვა შინაარსისაა, ხოლო ინგლისურ თარგმანში სულ სხვანაირად იკითხება.

ამერიკის ადმინისტრაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის თქმით, "ძნელია გაარჩიო, რა არის ფხენიანის რეალური განზრახვა და რა ტაქტიკური განცხადება".

ᲐᲢᲘᲞᲣᲠᲘ ᲕᲜᲔᲕᲛᲝᲜᲘᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲡ

ჩინეთის ხელისუფლებამ ატიპურ პნევმონიასთან ბრძოლის ახალი ღონისძიებების თაობაზე განაცხადა. დაახლოებით ოთხი ათას ადამიანს, რომელთაც პნევმონიით დაავადებულ ხალხთან ჰქონდათ კონტაქტი, სახლებში დარჩენა ებრძანათ.

გარდა ამისა, მკაცრი კარანტინი დაწესდა ჩინეთის დედაქალაქის ორ საავადმყოფოზე. ერთ-ერთი კლინიკის ექიმმა სააგენტო "ბი-ბი-სის" კორესპონდენტს განუცხადა, რომ მისი საავადმყოფო სავსეა ატიპური პნევმონიით ინფიცირებულებით.

ჩინეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ცნობით, პირველი მაისის დღესასწაულზე სტუდენტებს და მასწავლებლებს სპეციალური სამედიცინო შემოწმების გავლის გარეშე ქალაქის დატოვება მკაცრად აეკრძალათ. ამავდროულად ჰონგ-კონგში ექიმები აკვირდებიან სამი ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობას, რომელთა დედებიც ატიპური პნევმონიით იყვნენ დაავადებულები.

დღეისათვის პეკინში ატიპური პნევმონიით 39 ადამიანია დაღუპული.

ასევე მძიმე მდგომარეობაა შექმნილი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებშიც. ვიეტნამი დაფიქსირდა ვიეტმანის ტერიტორიაზეც. თუმცა, პირველივე შედეგების გამოვლენა ვიეტნამის ხელისუფლებამ დროულად მოახერხა. თუკი ორშაბათამდე ინფიცირებულთა რაოდენობა არ გაიზრდება, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია მზად არის, განაცხადოს, რომ ვიეტნამი გახდა ის პირველი ქვეყანა, რომელმაც ატიპური პნევმონიის ლიკვიდაცია მოახერხა. მალაიზიაში გაიხსნა სამხრეთ აზიის ქვეყნების ჯანდაცვის ხელმძღვანელების საგანგებო შეხვედრა. რეგიონის მედიცინის წარმომადგენლები შეეცდებიან, დასახონ ერთობლივი გზები ატიპურ პნევმონიასთან საბრძოლველად.

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲛᲐᲡ ᲐᲠᲝᲢᲔᲡᲢᲔᲑᲡ

თურქეთმა გუშინ პროტესტი გამოთქვა პარიზის ცენტრში სომეხთა გენოცოდის მსხვერპლთა მონუმენტის გახსნასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ ეს ფაქტი ორმხრივ ურთიერთობებზე იმოქმედებს.

ძეგლი 24 აპრილს გაიხსნა, სომხების გენოციდის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს. სომხები ამტკიცებენ, რომ 1915-17 წლებში ოსმალთა იმპერიაში დაახლოებით მილიონნახევარი სომეხი ამოწყვიტეს. თურქები ამას დაჟინებით უარყოფენ.

ძეგლის გახსნას პარიზის ცენტრში დაესწრნენ ქალაქის მერი ბერტრან დელანო და რამდენიმე ასეული სომხური წარმოშობის მოქალაქე. **ასოშეიტედ პრესი**

ᲘᲡᲚᲐᲛᲣᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ "ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜ-ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲔᲑᲨᲘ" ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ ᲡᲣᲠᲡ

ევროპის ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსის თავმჯდომარემ, ბელგიის ყოფილმა პრემიერმა უილფრიდ მარტენსმა განაცხადა, რომ თურქეთის პრემიერ-მინისტრმა, ერდოგანმა, მას მიმართა თხოვნით "სამართლიანობისა და განვითარების პარტიის" ალიანსში მიღების შესახებ.

მარტენსის თქმით, მან უპასუხა, რომ საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა იმ შემთხვევაში, თუ გერმანელი ქრისტიან-დემოკრატები დათანხმდებოდნენ.

სამართლიანობისა და განვითარების პარტია თავისი ისლამისტური ფესვებითაა ცნობილი, თუმცა ამავე დროს იგი აცხადებს, რომ თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანება მისი მთავარი მიზანია. **თურქიშ დეილი ნიუსი**

ᲩᲘᲜᲔᲗᲘ "ᲓᲘᲓᲘ ᲠᲕᲘᲐᲜᲘᲡ" ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐᲖᲔ ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲔᲡ

პეკინში ვიზიტისას საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟან-პიერ რაფარენმა განაცხადა, რომ ჩინეთი მიიწვია მსოფლიოს 7 ყველაზე განვითარებული ქვეყნისა და რუსეთის ("დიდი რვიანი") სამიტზე, რომელიც ივნისში, საფრანგეთის ქალაქ ევიანში უნდა გაიმართოს. რაფარენის თქმით, ეს უპრეცედენტო გადაწყვეტილება პრეზიდენტმა შირაკმა მიიღო. ჩინეთი "დიდი რვიანის" სხდომებს არასოდეს დასწრება. რუსეთიც საკითხთა მხოლოდ ერთი ნაწილის განხილვაში იღებს მონაწილეობას.

"დიდ რვიანში" შედიან: აშშ, საფრანგეთი, გერმანია, ბრიტანეთი, იაპონია, იტალია, კანადა და რუსეთი. **როიტერი**

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐᲨᲘ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡᲢᲛᲐ ᲐᲕᲢᲝᲑᲣᲡᲘ ᲒᲐᲘᲢᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘ ᲛᲫᲘᲕᲚᲐᲓ ᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ

25 წლის შეიარაღებულმა მამაკაცმა ქალაქ ბრემენში გაიტაცა სამარშრუტო ავტობუსი, რომელშიც 15 მგზავრი იმყოფებოდა. გატაცებიდან 2 საათის შემდეგ გერმანიის პოლიციამ მოახერხა გამტაცებელთან კავშირის დამყარება. თუმცა, გამტაცებელმა პოლიციასთან საუბარი არ ისურვა და არც მოთხოვნების შესახებ განუცხადებია რამე.

მოგვიანებით პოლიციამ ავტობუსში ცრემლმდენი ხელყუმბარის შეგდება მოახერხა, ხოლო შემდეგ გამტაცებელი, რომელიც ხელყუმბარის მოქმედების შედეგად ისედაც პარალიზებული იყო, მხარში დაჭრეს. განიარაღებული ტერორისტი 3-საათიანი დევნის შემდეგ დააპატიმრეს.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲢᲐᲠᲘᲙ ᲐᲖᲘᲖᲘ ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲡ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲓᲘᲠᲡᲘᲐᲛᲕᲘᲚᲘ

პენტაგონის მაღალჩინოსანი წარმომადგენლის განცხადების თანახმად, აშშ-ს სამხედრო ქვედანაყოფებმა ერაყში სადამ ჰუსეინის მთავრობის ვიცე-პრემიერი ტარიკ აზიზი დაუპატიმრეს. მას ბრალი ედება ქუვეითის, ირანის და საკუთარი ხალხის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენაში.

ტარიკ აზიზი ნლების განმავლობაში ერაყის პრეზიდენტის, სადამ ჰუსეინის მარჯვენა ხელად ითვლებოდა და ოფიციალურ ბაღდადს საერთაშორისო დონეზე წარმოადგენდა. წარსულში ის ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობასაც ასრულებდა. აშშ-ს მიერ გამოქვეყნებულ ერაყელ ძებნილთა სიაში ტარიკ აზიზი 43-ე ნომრად ირიცხებოდა. ამერიკელი სამხედრო წარმომადგენლების თქმით, მისი დაპატიმრებით კოალიციამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ვითარებაში მოხდა ტარიკ აზიზის დაპატიმრება. წინასწარი ინფორმაციით, იგი თავად ჩაბარდა ამერიკელებს.

არ არის გამორიცხული, რომ ერაყის ყოფილი ვიცე-პრემიერი ფლობდეს ინფორმაციას თავისი პრეზიდენტის ადგილსამყოფელის თაობაზე. ამერიკელი სამხედროები დარწმუნებულები არიან, რომ მას ასევე გააჩნია მონაცემები ერაყის შეიარაღების პროგრამების, მათ შორის, მასობრივი განადგურების იარაღის თაობაზე.

ტარიკ აზიზი სადამ ჰუსეინის ერთგული თანამებრძოლი იყო. მან ერაყელ დიქტატორთან ერთად მუშაობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იანი წლებში დაიწყო, როდესაც ერაყში ბაასის პარტია ჩამოყალიბდა.

ქვეყანაში კრიზისული პერიოდის დადგომის დროს, როდესაც 1991 წელს ერაყმა მარცხი განიცადა, აზიზი ჰუსეინის დიპლომატიური წარმომადგენელი გახდა. დახვეწილმა მანერებმა, ინგლისურის ენის თავისუფლად ფლობამ მის საერთაშორისო იმიჯს შეუწყო ხელი.

1991 წელს, როდესაც ერაყის წინააღმდეგ საერთაშორისო კოალიციამ ოპერაცია "უდაბნოს ქარიშხლის" განხორციელება დაიწყო, ტარიკ აზიზი აშშ-ს იმჟამინდელ სახლმწიფო მდივანთან ჯეიმს ბეიკერთან მოლაპარაკებებს ანარმოებდა. **"მე მას ვარწმუნებდი, რომ თუკი ერაყი გადაწყვეტდა ჩვენი ძალების წინააღმდეგ მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენებას, მაშინ ამერიკელი ხალხი საპასუხო ზომების მიღებას მოითხოვდა. მე ვარწმუნებდი, რომ ჩვენ ადექვატური პასუხის გასაცემად, საკმარისი რესურსები გაგვაჩნდა,"** - იხსენებს ჯეიმს ბეიკერი.

ტარიკ აზიზის მიმართ ჰუსეინის ნდობის საიდუმლო მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ აზიზი დიქტატორის ხელისუფლებას საფრთხეს არ უქმნიდა. ის არავითარ კავშირში არ იყო ჰუსეინის ოჯახურ კლანთან და ბიზნესთან. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ტარიკ აზიზი ქრისტიანია და მის უკან ერაყში არანირი სერიოზული პოლიტიკური ან რელიგიური ძალის შექმნა არ მოხერხდებოდა, რომელიც ჰუსეინის სიმშვიდეს დაარღვევდა. და, რაც მთავარია, სადამის წინააღმდეგ მოქმედების სურვილი თავად ტარიკ აზიზს არასდროს გასჩენია. **"მე ერაყელი ვარ. მე დავიბადე ერაყში და დავრჩები აქ, ჩემს სამშობლოში. თუკი ჩვენ თავს დაგვესხმიან, ჩვენ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე და ბოლო ტყვიამდე დავიცავთ თავს,"** - აცხადებდა ტარიკ აზიზი.

REUTERS

ტერიკ აზიზი

უკანასკნელი ომის დაწყებამდე, აზიზმა თავისი მოქმედება საერთაშორისო არენაზე საგრძნობლად გააქტიურა. ის ინტერვიუებს აძლევდა დასავლეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, ხვდებოდა რომის პაპს. ამდენად, დამხობილი რეჟიმის ყველა წევრს შორის, ტარიკ აზიზი დასავლეთისათვის ყველაზე გამორჩეულ პირად ითვლებოდა.

გუშინვე, აშშ-ს სამხედროებმა ერაყის დაზვერვის – მუჰაბარათის ყოფილი შეფი ფარუქ ჰიჯაზი დაუპატიმრეს. ისიც სადამ ჰუსეინთან დაახლოებულ პირად ითვლებოდა.

როგორც ჩანს, აშშ-ის სპეცდანაყოფები ერაყის დამხობილი ხელისუფლების წევრების აქტიურ ძებნას გაგრძობენ. ცხადია, თავად ერაყის ყოფილი პრეზიდენტი კვლავ ნომერ პირველ ძებნილად რჩება, თუმცა მისი ადგილსამყოფელი ჯერჯერობით უცნობია. ზოგიერთი ვერსიით კი, სადამ ჰუსეინი ცოცხალი აღარ არის.

ამასთან დაკავშირებით, კომენტარი თავად აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა გააკეთა. მისი თქმით, არსებობს ინფორმაციები სადამ ჰუსეინის სიკვდილის შესახებ. ამასთანავე მან აღნიშნა, რომ ერაყში დემოკრატიის დამყარებას, სულ ცოტა, ორი წელი მაინც დასჭირდება.

"ჩვენ არასდროს განვაცხადებდით ამას, ვიდრე დამადასტურებელ ინფორმაციას არ მივიღებდით, მაგრამ პიროვნება, რომელიც დაგვეხმარა პირდაპირი საჰაერო დარტყმის განხორციელებაში ირწმუნება, რომ სადამი, სულ ცოტა, მძიმედ დაიჭრა," - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა.

აშშ-ს სამხედრო და დაზვერვის წარმომადგენლების განცხადებით, არავინ იცის, რა მოუვიდა სადამს მას შემდეგ, რაც მის წინააღმდეგ ორი საჰაერო დარტყმა განხორციელდა. ზოგიერთი სადაზვერვო ოპერატიული ინფორმაციის თანახმად, ის დაიღუპა, ხოლო ზოგი წყარო კი ამტკიცებს, რომ ერაყის პრეზიდენტი გადარჩა. ამ ეჭვების გაფანტვა მხოლოდ და მხოლოდ ერთი რამით არის შესაძლებელი: სადამი, მკვდარი ან ცოცხალი, უნდა აღმოაჩინონ.

„ოცნების კოშკების" მსხვრევის საჭიროება

არასამთავრობო ორგანიზაცია "ადამიანის ჰარმონიული განვითარების ხელშემწყობი საზოგადოება" საქართველოში პირველად თბილისის რამდენიმე საშუალო სკოლის გამოსაშვებ კლასში ახორციელებს პროექტს - "არალეგალური შრომითი მიგრაცია და ადამიანებით ვაჭრობის პრევენცია". პროექტი "Mercy Corps"-ის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს.

ლელა მარგიანი

"ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ პრევენციული პროგრამებით - მოზარდი თაობისთვის ინფორმაციის მიწოდებით არის შესაძლებელი არალეგალური მიგრაციის და ადამიანებით ვაჭრობის - ტრეფიკინგის შემცირება", - მიაჩნია საზოგადოების ხელმძღვანელს ნანა ნაზაროვას. პროექტი მიმდინარეობს ზოგადსაგანმანათლებო საშუალო სკოლების გამოსაშვებ მე-9 და მე-11 კლასებში. ვინაიდან პროექტი ხორციელდება "Mercy Corps"- ის ფინანსური მხარდაჭერით, სკოლები შეირჩა ისანი-სამგორის და გლდანი-ნაძალადევის რაიონებში, იქ, სადაც ფუნქციონირებს ამ დონორი ორგანიზაციის რაიონული ოფისები.

პროექტის განხორციელება დაიწყო 1 დეკემბრიდან. იგი 6 თვე გაგრძელდება - შეირჩა 36 სკოლა, სკოლის დირექტორების რეკომენდაციით შერჩეულ ამდენივე მასწავლებელს ჩაუტარდა 5 დღიანი ტრენინგები. პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა ორი ბროშურა, გამოიცა ბუკლეტი - "საზღვარგარეთ სამუშაოდ წამსვლელთათვის".

პროექტში მონაწილე ყველა მასწავლებელი აღნიშნავს ამ პრევენციული პროგრამის აუცილებლობას და სკოლის მოსწავლეების დიდ ინტერესს. რამდენიმე მასწავლებელმა ისიც კი თქვა, რომ ტრენინგებამდე მათ თავადაც ბევრი არაფერი იცოდნენ არალეგალური შრომითი მიგრაციისა და ტრეფიკინგის შესახებ.

39-ე საშუალო სკოლა თბილისის გარეუბანში-გლდანში მდებარეობს. სკოლაში 1200 მოსწავლეა. სკოლის ახალგაზრდა დირექტორს მანანა დავითაიას კარგად ესმის მსგავსი პრევენციული პროექტის განხორციელების საჭიროება. მისი თქმით, "ტრეფიკინგი მარტო პირადი ტრაგედია არაა, ეს ქვეყნის, მიკრორაიონის, სკოლის ტრაგედიაა." ამიტომ 39-ე სკოლა თავიდანვე ჩაერთო პროექტში, რადგან პრობლემას მანამდე უნდა შველა, სანამ "ურემი გადაბრუნდება".

ჩვენ დავესწარით მე-9 კლასელთა გაკვეთილს, რომელიც პროექტის მონაწილე ისტორიის მასწავლებელმა ნინო ტურაშვილმა ჩაატარა. გაკვეთილის მსვლელობისას გაირკვა, რომ ახალგაზრდების მხოლოდ მცირე ნაწილს ჰქონდა წარმოდგენა ტრეფიკინგზე და შრომით მიგრაციაზე. მასწავლებელი ესაუბრა მათ რისკ-ჯგუფების, შრომითი მოწყობის სააგენტოების შესახებ, მოსწავლეები გაეცნენ ნინო მასწავლებლის მიერ მოტანილ ტრეფიკინგის მსხვერპლთა ისტორიებს.

ჩვენთან საუბარში მე-9 კლასის მოსწავლეებმა აღნიშნეს, ასეთი გაკვეთილების ჩატარების აუცილებლობა. არც ის დაუმალავთ, რომ ორი რამის გამო მოსწონთ ასეთი გაკვეთილები. პირველი: მათთვის საინტერესოა უცხო თემა - ტრეფიკინგი, არალეგალური მიგრაცია და მეორე-გაკვეთილის უჩვეულო ფორმა - თავისუფალი მსჯელობა, ისტორიების გაცნობა, აზრთა გაცვლა.მეცხრეკლასელი სოფოს თქმით, ტრეფიკინგის მსხვერპლი გოგონებისთვის თავიდანვე - სკოლებში რომ ესწავლებინათ, ალბათ ასეთ მდგომარეობაში აღარ აღმოჩნდებოდნენ.

მართალია, ერთ-ერთი მოსწავლე - გოგონას თქმით, ამ საუბრებით მას "ოცნების კოშკები" დაუნგრიეს, მაგრამ პროექტის მონაწილე მასწავლებლებს ასეთი "ნგრევა" გამართლებულად და საჭიროდ მიაჩნიათ.

ზოდელავა სკოლების განახლებას გვპირდება

ნანა ქადაგიშვილი

გუშინ, თბილისში მომხდარი მიწისძვრის ერთი წლის თავზე, ქალაქის მერმა გარემონტებული 42-ე სკოლით მოიწონა თავი და წლის ბოლომდე 60 სკოლის განახლებას შეგვპირდა.

ვანო ზოდელავა.

42-ე სკოლაში

ლევან ნაფრალეიშვილის ფოტოები

42-ე სკოლა მიწისძვრამ განსაკუთრებით დააზიანა. მართლია, სწავლის პროცესი არ შემწყდარა, მაგრამ ზოგიერთი ძალზე დაზიანებული სართული თუ ოთახი დაკეტეს და ერთი კვირით 47-ე სკოლას შეეკედლნენ. სკოლა განადგურებისგან გერმანიის მთავრობის დახმარებამ იხსნა. გერმანიის ტექნიკური დახმარების ფონდმა 15 ათასი ევრო გამოყო და გასული წლის ზაფხულში შენობის გარემონტება დაიწყო. პირველ სართულზე სარემონტო სამუშაოები დღესაც გრძელდება. ცოტა ხანში ეს შენობა ძირფესვიანად გამაგრებულ-გარემონტებული იქნება.

ქალაქის ხელმძღვანელობა ირწმუნება, რომ მსოფლიო ბანკის მიერ შეპირებული 5 მლნ. ლარი მაისში საქართველომდე უკვე ნამდვილად ჩამოაღწევს და წლის ბოლომდე კიდევ 60 სკოლა განახლდება. "39 შენობას მსოფლიო ბანკის დახმარებით შევაკეთებთ, დანარჩენს კი - ქალაქის წლევანდელ ბიუჯეტში გათვალისწინებული 3 მლნ. ლარით," – გვპირდება ვანო ზოდელავა.

შარშან ჩვენს მთავრობას უფრო მიმზიდველი დაპირებებიც ჰქონდა. გასული წლის შემოდგომაზე სახელმწიფო მინისტრი შეგვპირდა, რომ 3 წელიწადში თბილისის კედლებდაბზარული სკოლები ისე შეიცვლებოდა, ვეღარ ვიცნობდით, მაგრამ მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. მსოფლიო ბანკის მიერ შეპირებული 5 მლნ. დოლარით თავიდან 120 ყველაზე მეტად დაზიანებული სკოლისა და საბავშვო ბაღის კაპიტალური რემონტი იყო დაგეგმილი, წელს უკვე მსოფლიო ბანკმა გასარემონტებელი სკოლების რაოდენობა საგრძნობლად შეამცირა. საბავშვო ბაღები პროგრამიდან საერთოდ ამოიღეს, სკოლები კი აარჩიეს სამი ნიშნის მიხედვით - დატოვეს მხოლოდ ის შენობები, სადაც მერიას არანაირი სარემონტო სამუშაო არ ჩაუტარებია, რომელ სკოლაშიც ფართის 10 პროცენტზე ნაკლებია გაქირავებული და სადაც დატვირთვის კოეფიციენტი სხვა სკოლებთან შედარებით ნაკლებია.

მსოფლიო ბანკს მიაჩნია, რომ ეს თანხა 29 სკოლის კაპიტალურად გარემონტებასაც ძლივს ეყოფა. ჩვენი საქალაქო მეურნეობის სამმართველოკი, საქართველოს გამოცდილებიდან გამომდინარე, ფიქრობს, რომ აღნიშნული თანხა 50 სკოლასაც მშვენივრად გაარემონტებდა. "ჯობდა, საგანმანათლებლო დაწესებულებების რემონტისთვის გათვალისწინებული თანხები ავარიულ შენობაზე თანაბრად გადაენაწილებინათ და, უპირველესად, სახურავები გამოეცვალათ. სახურავის სასწრაფოდ შეკეთება 90-მე საბავშვო ბაღსა და სკოლას სჭირდება. ის შენობები, რომელიც მსოფლო ბანკის პროგრამიდან ამოიღეს, არანაკლებ მძიმე მდგომარეობაშია. ზოგ სკოლაში მხოლოდ ერთი ფლიგელი და ერთი-ორი სართული ფუნქციონირებს. ასეთი შენობების დაზიანებული ნაწილის შეკეთებას გაქირავებული ფართიდან შესული თანხა ნამდვილად ვერ წაადგება და არც ის შენობებია სხვებზე ნაკლებ ავარიული, სადაც მერიამ მცირე სამუშაოები ჩაატარა; საბავშვო ბაღები ხომ სკოლებზე უარეს მდგომარეობაშია, ზოგან მხოლოდ ერთი ოთახიღა ფუქციონირებს, ზოგიერთი ბაღი კი საერთოდ დავხურეთ," - განგვიცხადა სამეურნეო სამმართველოს უფროსის მოადგილემ, ზურაბ ქოჩიაშვილმა.

ასე რომ, თბილისის სკოლების შენობებით თავის მოწონება ჯერ ადრეა. ქალაქის ხელმძღვანელობას სულ 200-მდე ავარიული შენობა აქვს გასაახლებელი.

საპატრიარქოს პოზიცია

საქართველოს საპატრიარქო, მართლმადიდებლური კალენდრით ვნების პარასკევს, თბილისში ლუთერანების, ბაპტისტებისა და კათოლიკების მიერ ჯვრით მოწყობილ ერთობლივ ეკუმენურ მსვლელობას, პროზელიტიზმის ერთგვარ გამოვლინებად მიიჩნევს. საპატრიარქოს განცხადებაში ნათქვამია, რომ გაუგებარია არამართლმადიდებლური კონფესიების მხრიდან მართლმადიდებლური კალენდრით დიდი პარასკევის აღნიშვნა, რადგან მართლმადიდებლების გარდა ყველა ქრისტიანულმა დენომინაციამ უკვე იზეიმა აღდგომის დღესასწაული გასულ კვირას და შესაბამისად, ვნების პარასკევიც აღნიშნა.

ამასთან, საპატრიარქო უარყოფს გავრცელებულ ინფორმაციას ეკუმენურ მსვლელობაში მართლმადიდებლების მონაწილეობის შესახებ. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია არ უერთდება მსგავს ღონისძიებებს, ნებისმიერი წევრი კი, რომელიც ლოცვა-კურთხევის გარეშე თვითნებურად მოქმედებს, არღვევს საეკლესიო კანონებს და ამით თავის თავს ეკლესიის გარეთ აყენებს, - ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

პრაიმ-ნიუსი

"კათარზისი" გაჭირვებულებს ეპატიჟება

10 მაისს ასოციაცია "კათარზისი" საქველმოქმედო აქციას აწყობს. ამ დღეს სათნოების სახლი (დ.აღნაშენებლის 121) ყველა გაჭირვებულ სტუმარს 12-დან 17 საათამდე უმასპინძლებს და გემრიელად დააპურებს. ამ აქციას ფოთის პორტი და შპს "ჩენელ ენერჯი" დააფინანსებენ.

ტოქსიკომანი მაწანწალები ახალგაზრდულმა დეპარტამენტმა შეიფარა

ოფიციალური მონაცემებით, რუსთავში 75 არასრულწლოვანი მაწანწალა ბავშვია, რომელთა უმრავლესობა არაქართველია. ისინი ქურდობენ, მათხოვრობენ, ღია ცის ქვეშ სძინავთ და "წებოს სუნთქავენ". რუსთავის პროკურორის, თამაზ კოღუას თქმით, ასეთი კატეგორიის ბავშვებიდან მხოლოდ თვრამეტია ტოქსიკომანი. რუსთავის ახალგაზრდული დეპარტამენტის ხელმძღვანელის ლევან ტოპრაკაშვილი ინფორმაციით კი, ტოქსიკომანი არასრულწლოვანების რაოდენობა გაცილებით მეტია.

მაია მოსიაშვილი

- გიორგი, მოდი ჩემთან. მაღაზიაში ლუდი იყიდე?

- არა, ბულკი.

- ნუ მატყუებ, მე ვიცი, რომ ლუდი იყიდე, გამყიდველმა მითხრა.

- ხო, ვიყიდე, მერე რა. სამაგიეროდ, საშკა წებოს სუნთქავს...

- მაგისთვის მოგეცი ლარი? საჭმელი რატომ არ იყიდე? დღეს მინუსი დაგეწერება.

- საშკამ რომ წებო ისუნთქა. აი, ჰკითხე თუ გინდა...

ეს დიალოგი რუსთავის ახალგაზრდული დეპარტამენტის თავმჯდომარის კაბინეტში შედგა. დაახლოებით ერთი თვის წინ ტოპრაკაშვილმა 13 წლის ტოქსიკომანის, მაწანწალა საშკა "მალალეტკინის" მეურვეობა იკისრა. მას შემდეგ საშკა მის კაბინეტში დილიდან საღამომდე ზის. ტოპრაკაშვილი მას აჭმევს და ქუჩაში წანწალის უფლებას არ აძლევს. უფრო მეტიც, ახალგაზრდული დეპარტამენტის თავმჯდომარე საშკას მოპარულ 90 ლარს დაზარალებულს საკუთარი ჯიბიდან ნაწილ-ნაწილ უბრუნებს. **"ასეთი ბავშვები ძალიან რთული ფსიქიკის მქონენი არიან. ფსიქოლოგთან ურთიერთობა მათთვის აუცილებელია. მე მხოლოდ ვცდილობ, წებოს სუნთქვას გადავაჩვიო",** - ამბობს მეურვე.

საშკას დეპარტამენტში "მუშაობა" ისე მოეწონა, რომ თავისი ქუჩის მეგობრებიც იქ მიიყვანა და ახლა იქ უკვე ოთხნი არიან: საშკა 13 წლის, გიორგი 11 წლის, ვადიმი 13 წლის და ლევანი 12 წლის.

"შვიდი წლის ვიყავი პირველად რომ მოვწიე, მერე წებოც ვისუნთქე. უფროსმა ბიჭებმა მასწავლეს. მას შემდეგ თავს ვერ ვანებებ. კი შემიძლია დანებება, მაგრამ..." - გვერდზე იყურება საშკა. მას დედაც ჰყავს და მამაც, მაგრამ სახლში არ მიდის და თავის მეგობრებთან ერთად, რომელთა უმრავლესობა უმამო და უსახლკაროა, ან ღია ცის ქვეშ სძინავს, ანდა ნაქირავებ ოთახში, რომელიც ერთ-ერთი მათი მეგობრის ძმას ეკუთვნის. ღამის გათევაში ბიჭები 2 ლარს იხდიან, სამაგიეროდ იქ ტელევიზორია. ბიჭებს პოლიცია არ უყვართ, რადგან ჯერ კიდევ 4-5 წლისებმა მოინახულეს ეს დაწესებულება, როგორც დამნაშავეებმა. ბავშვთა ოთახი მათთვის ჰაუპტვახტის ტოლფასია, ბავშვთა სახლში ცხოვრებას კი ქუჩაში ნანწალი ურჩევნიათ.

"12 წლის რომ ვიყავი, დეიდამ კოჯრის ბავშვთა სახლში მიმიყვანა. ერთ თვეში წამოვედი და მერე ისევ დავბრუნდი, თან გიორგი წავიყვანე, გიორგიმ კიდევ - იურა. ცოტა ხანს ვიცხოვრეთ. გივი სულავა იყო დირექტორი იქ და ვეუბნები, ერთი დღით გამიშვი-მეთქი, არ გამიშვა. მეორე დღეს გამოვიპარეთ", - საშკა უფრო ხშირად მრავლობით რიცხვში ლაპარაკობს. მისთვის ქუჩის სამეგობრო ყველაზე ძვირფასია.

როდემდე უნდა გყავდეთ ეს ბავშვები აქ? - ამ კითხვაზე ახალგაზრდული დეპარტამენტის თავმჯდომარე ნაწილობრივ იბნევა: **"წინასწარ ვერაფერს გეტყვით. ფსიქოლოგი გვჭირდება. მოვიყვანეთ ერთი და როცა ამათ დაელაპარაკა, გაგვექცა. ალბათ, უახლოს მომავალში ჩვენმა სამსახელმწიფომ უდიდესი პრობლემის პირისპირ დატოვა.**

"მოქალაქეს არ შეუძლია ელემენტარული წამლები იყიდოს... მაგალითად, რუსეთში არის ფასიანი და უფასო კლინიკები; უფასო არაფრით ჩამოუვარდება ფასიანს. რატომ არ შეიძლება, რომ საქართველოშიც არსებობდეს", - აცხადებს კახა გაგლოშვილი.

საბოლოო ჯამში, "სოლიდარობის" და "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" წარმომადგენლებმა ჯანდაცვის პრობლემებზე საუბრისას აღნიშნულ საკითხებზე პასუხი არა საკუთრივ ჯანდაცვის მინისტრს, არამედ პრეზიდენტს მოსთხოვეს. მათი აზრით, ჯანდაცვის სისტემაში არსებულ კორუფციას, მხოლოდ და მხოლოდ, ამ სისტემის შეცვლა თუ უშველის.

ხურმა რაღაც პროგრამა უნდა შეიმუშაოს, ამ ბავშვების დახმარების მიზნით. ბევრი ჩაერთო ამ პროცესში, სტუდენტური ლიგა მიდგას გვერდით. იქნებ როგორმე ბავშვთა სახლში წასვლაზე დავითანხმო, მინდა სპორტით დავაკავო... არ ვიცი, თვითონაც ვერ გეტყვით, მომავალში რა იქნება. ამდენი ხანია აქ არიან და მაინც არ მენდობიან."

პატარა მანანწალებისადმი გამოჩენილი თანადგომის გამო ლევან ტოპრაკაშვილს ბევრი პრობლემა გაუჩნდა. მერიასა და სამხარეო ადმინისტრაციაში მომუშავეები უკმაყოფილონი არიან, რადგან ბავშვები ხშირად დერეფნებში დარბიან და იგინებიან. **"კომკავშირელებისა და კომუნისტების დრო წავიდა... მოწყინდებათ აქ ყოფნა და ისევ ძველებურ ცხოვრებას დაუბრუნდებიან, მაგათ აღარაფერი გამოასწორებთ..."** - ამბობენ ისინი. თავად ბავშვები კი...

- საშკა, რას ფიქრობ, როდემდე უნდა იყო აქ?

- სანამ რუსეთში, დედაჩემის დეიდასთან არ წავალ. იქ სახლიც მექნება, მანქანაც, სამუშაოსაც ვიშოვნი, წებოსაც აღარ ვისუნთქებ.

- აქ თუ ვერ ანებებ თავს, იქ როგორ შეძლებ?

- იქ წებო არ იყიდება, მიყრუებული სოფელია...

„ჩვენ გამომძიებლები არ ვართ, მტკივებულებები რომ გვქონდეს, რასაც ვამბობთ, ფაქტია"

"ექიმთა თავისუფალი პროფკავშირების სოლიდარობამ" და "ეროვნულ ძალთა გაერთიანებამ" ჯანდაცვის სისტემის კორუფციულობაზე – კონკრეტულად, მსოფლიო ბანკის 280 მილიონიანი კრედიტის არამიზნობრივად ხარჯვაზე, გუშინ ჟურნალისტებთან ისაუბრეს, საკუთარ ოფისში. მათი განცხადებებით, ქვეყანაში ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებისათვის ამ სფეროზე გამოყოფილი გრანტებისა თუ კრედიტების ხარჯვა გამჭვირვალედ უნდა ხდებოდეს. უკიდურეს შემთხვევაში გამოყოფილი მილიონობით დოლარები არამიზნობრივად კვლავაც დაიხარჯება.

თეა ხოფერია

მართალია, კორუფციულობაზე საუბრისას "ექიმთა თავისუფალი პროფკავშირების სოლიდარობის" წარმომადგენელს, მარინა ხიდაშელს და "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" პოლიტიკური საბჭოს წევრს, კახა გაგლოშვილს აღნიშნულის რაიმე დამადასტურებელი საბუთი არ ჰქონიათ, მაგრამ ჯანდაცვის სფეროში არსებულ პრობლემურ საკითხებზე განცხადებები მაინც გააკეთეს.

"ჩვენ გამომძიებლები არ ვართ, რომ დამამტკიცებელი საბუთები გვქონდეს. ის, რასაც ჩვენ ვამბობთ ფაქტია... სად იხარჯება მსოფლიო ბანკის მიერ ჯანდაცვის სიტემაში რეფორმების ჩასატარებლად გამოყოფილი თანხები?... ან თუნდაც, როგორ დაიხარჯა 20 მლნ. აშშ დოლარი ღუდუშაურის სახელობის ტრავმატოლოგიური ინსტიტუტისათვის. ეს საავადმყოფო დღესაც არ ფუნქციონირებს, არადა ასეთი თანხა მოქმედ საავადმყოფოს რომ მოხმარებოდა, ჩვენივე მოქალაქეებისათვის ხომ ბევრად უკეთესი იქნებოდა," -განაცხადა მარინა ხიდაშელმა.

გარდა ამ თემებისა, პრესკონფერენციის ინიციატორებმა უფასო და ფასიანი საავადმყოფოების ერთდროულად არსებობის აუცილებლობაზე ისაუბრეს.

კახა გაგლოშვილის თქმით, მოქალაქე, რომელსაც კაპიკები აქვს შემოსავალი ან ეს მცირედიც არ აქვს, სახელმწიფომ უდიდესი პრობლემის პირისპირ დატოვა.

"მოქალაქეს არ შეუძლია ელემენტარული წამლები იყიდოს... მაგალითად, რუსეთში არის ფასიანი და უფასო კლინიკები; უფასო არაფრით ჩამოუვარდება ფასიანს. რატომ არ შეიძლება, რომ საქართველოშიც არსებობდეს", - აცხადებს კახა გაგლოშვილი.

საბოლოო ჯამში, "სოლიდარობის" და "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" წარმომადგენლებმა ჯანდაცვის პრობლემებზე საუბრისას აღნიშნულ საკითხებზე პასუხი არა საკუთრივ ჯანდაცვის მინისტრს, არამედ პრეზიდენტს მოსთხოვეს. მათი აზრით, ჯანდაცვის სისტემაში არსებულ კორუფციას, მხოლოდ და მხოლოდ, ამ სისტემის შეცვლა თუ უშველის.

ტკივილით გაერთიანებულნი

სასტუმრო "მეტეხში" ჩატარდა პროექტის, "ქალთა სამშვიდობო საბჭოს," საზეიმო პრეზენტაცია. "საბჭომ" დამსწრე საზოგადოებას - სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს, აღმასრულებელი ხელისუფლების ექსპერტებს, ჟურნალისტებს გააცნო დაარსებიდან, 2002 წლის ოქტომბრიდან ჩატარებული მუშაობის ანგარიში. "ქალთა სამშვიდობო საბ ჭო" მუშაობს გაერო-ს განვითარების ფონდი ქალთათვის (UNIFEM) ფინანსური მხარდაჭერით.

ლელა მარგიანი

"ქალთა სამშვიდობო საბჭოში" მიაჩნიათ, რომ მთავარი და საუკეთესო საფუძველი მშვიდობის მშენებლობისთვის შეიძლება იყოს მხოლოდ ნდობა. "ნდობა, როგორც აღიარება იმისა, რომ მეორე მხარესაც გააჩნია ისეთივე ფასეულობები და მისწრაფებები, როგორც პირველს. ჩვენ უნდა შევხედოთ ერთმანეთს თვალებში და დავიწყოთ ერთმანეთის მოსმენა!. ამისთვის კი საჭიროა, ჩვენ - უბრალო ხალხი ხშირად შევხვდეთ ერთმანეთს; უბრალო ქალები, რომლებსაც ყველაზე მეტ ტკივილს გვაყენებს ნებისმიერი ომი,"- ასე ფიქრობენ "საბჭოს" ლიდერი-ქალები. სწორედ ამ ტკივილმა გააერთიანა და მიიყვანა ერთმანეთთან რამდენიმე ქალბატონი, რომელთა შორის არიან: ქართველი როზა ცინდელიანი, აფხაზი თინა ქეცბაია, ოსი ლირა ცხოვრებოვა.

"ქალთა სამშვიდობო საბჭომ " ცოტა ხანში ბევრი რამ გააკეთა. მისი საშუალებით, უკანასკნელი ათი წლის მანძილზე პირველად, ქართველი, აფხაზი და ოსი ქალები შეხვდნენ ერთმანეთს გალსა და ცხინვალში; ცოტა ხნის წინ ოსი და ქართველი ქალების შეხვედრა უკვე თბილისში შედგა; ქართული დემოკრატიული პარლამენტის ისტორიაში პირველად, ა.წ. 23 იანვარს პარლამენტში ჩატარდა ქალთა საკითხების მოსმენა; ქვეყნის მასშტაბით ჩამოყალიბდა ქსელი "ქალთა ერთობა მშვიდობისათვის", რომელშიც ჩაერთნენ ქუთაისში, წყალტუბოში, ახალციხეში, ბათუმში, გორში მცხოვრები დევნილი ქალბატონები.

პრეზენტაციაზე აღინიშნა სახალხო დიპლომატიის განსაკუთრებული მნიშვნელობა კონფლიქტების მოგვარების საქმეში.

პრეზენტაციისთვის სპეციალურად აფხაზეთიდან ჩამოსულმა ერთ-ერთი აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, თინა ქეცბაიამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა : "ქალთა სამშვიდობო საბჭოს" დამსახურებით, დაიწყო მთავარი რამ - აფხაზი და ქართველი ქალების შეხვედრები, ერთმანეთთან დაახლოება, ნდობის მოპოვება".

კიდევ ერთი აფეთქება

ხათუნა ჯანგირაშვილი

ნატო იმნაძე.

გიორგიოს ბუხარაის ფოტო

გუშინ, გამთენიისას, "ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" აჭარა-გურიის სამხარეო ორგანიზაციის თავმჯდომარის ნატო იმნაძის საცხოვრებელი სახლის კართან ხელყუმბარა აფეთქდა. სამტრედიის ქუჩაზე მდებარე მაღალსართულიან საცხოვრებელ კორპუსში აფეთქების ხმა დაახლოებით 6 საათსა და 20 წუთზე გაისმა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც უცნობმა ოჯახში ზარი დარეკა და მიიმალა.

ძლიერი აფეთქების შედეგად დაზიანდა ნატო იმნაძის საცხოვრებელი სახლის კარი. იმის გამო, რომ ოჯახის წევრებმა კარის შიგნიდან გაღება ვერ მოახერხეს, მეზობლები იძულებულნი გახდნენ, კარი გარედან შეენგრიათ. "შევარდნაძისტებო, ლორთქიფანიძისტებო, თარგამაძისტებო, პატარკაციშვილისტებო, არ გაბედოთ ბათუმში ჩამოსვლა!", - ასეთი შინაარსის წერილები დახვდათ იმნაძეებს სადარბაზოს კედლებზე გაკრული.

რა სახის ასაფეთქებელი ნივთიერება იყო გამოყენებული იმნაძეების საცხოვრებელ ბინასთან, ამას ექსპერტიზა იტყვის. აფეთქებიდან 15 წუთის შემდეგ შემთხვევის ადგილზე მისულ სამართალდამცველებს კი მომხდართან დაკავშირებით, ჯერ-ჯერობით, არანაირი ვერსია არ გააჩნიათ. აფეთქების მომწყობი ეჭვმიტანილების წრე ჯერ დადგენილი არ არის. ვერსიების გამოთქმისგან თავს იკავებენ თავად დაზარალებულებიც. **"კართან ახლოს დატოვებული წარწერა-წერილები აშკარად მუქარის შინაარსისაა. წარმოდგენა არ მაქვს, ვის მოუვიდა აზრად ასეთი რამ. ჩემს ოჯახს არანაირ ბიზნესში თავი არ აქვს გაყოფილი და არც ვინმესთვის დაგვიშავებია რამე. სანამ კედელზე დატოვებულ წერილებში ჩემი და ჩემი მეუღლის სახელები არ წავიკითხე, აზრადაც არ მომსვლია, რომ ეს აფეთქება ჩემს ოჯახს უკავშირდებოდა"**, - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ნატო იმნაძემ.

შეგახსენებთ, რომ ნატო იმნაძის მამა, ნოდარ იმნაძე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და აჭარის "მრგვალი მაგიდის" რეგიონული ორგანიზაციის სპიკერი იყო, რომელიც 1991 წლის 30 აპრილს, ასლან აბაშიძის სამუშაო კაბინეტის მისაღებში, ქალიშვილის თვალწინ მოკლეს. ნატო იმნაძეს არ სურს, გუშინდელი ფაქტის ახსნა ოჯახის მაშინდელ ტრაგედიაში ეძებოს მიუხედავად იმისა, რომ 1991 წლის 7 აგვისტოს წარმოებით შეჩერებული საქმე დღემდე გენერალურ პროკურატურაში დევს და მოკლულის ქალიშვილს დაზარალებულ მხარედ ცნობაზე შარშანაც კი ოფიციალურად უარი უთხრეს.

"1991 წლის ამბების და მამაჩემის მკვლელობის გახსენება დღევანდელ ფაქტთან დაკავშირებით არ მინდა. დასაშვებია, ვიღაცას აწყობს აფეთქებები. ამიტომ არ გამოვრიცხავ, რომ დღევანდელი აფეთქება პროვოკაციაა, რომელიც მიზნად ისახავს ურთიერთობების დაძაბვასა და გართულებას. წერილში მაფრთხილებენ, რომ არ გავბედო ბათუმში ჩასვლა. არადა, აჭარაში არანაირი შეზღუდვა, არანაირი შევიწროება არ მქონია. 5 მაისს ჩემი ორგანიზაცია ბათუმში გეგმავს აჭარა-გურიის რეგიონული ორგანიზაციის ყრილობის ჩატარებას. დასაშვებია, დღევანდელი ინციდენტი ამას უკავშირდებოდეს. აქამდე არანაირი დაშინების ფაქტი არ ყოფილა – არც სატელეფონო ზარით, არც სხვა რაიმე საშუალებით. ჩემი სახლის კარებთან მოწყობილი აფეთქება ხელს ვერ შეგვიშლის და დაგეგმილი ყრილობა აჭარაში მაინც ჩატარდება, როგორც ჩატარდა 9 აპრილს პარტიის მიერ გამართული ხალხმრავალი ღონისძიება", - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ნატო იმნაძემ.

მაშინ, როცა აჭარა-გურიის რეგიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი თავს იკავებს საკუთარ საცხოვრებელ სახლთან მომხდარი აფეთქების შესახებ რაიმე კონკრეტული განცხადებების გაკეთებისგან, "ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის" წევრები მომხდარს პოლიტიკურ შეფასებებს აძლევენ. **"თუ ვინმეს ჩვენი კავშირის ლიდერთა დაშინება სურს, არაფერი გამოუვა"** – ასეთია "ქრისტიანულ-დემოკრატიული" კავშირის წევრთა პოზიცია, რომლებიც არ გამორიცხავენ, რომ გუშინდელი ფაქტი მთლიანად პარტიის წინააღმდეგ მიმართული პროვოკაცია იყო. "საპარლამენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ქვეყანაში არა პოლიტიკური ბრძოლა, არამედ პოლიტიკური ტერორი დაიწყო", - ასეთ შეფასებებს აკეთებდნენ გუშინ ნატო იმნაძის თანაპარტიელები.

ციხეში მკვლელობას მთის ტრადიციებს მიაწერენ

თბილისის მე-5 საპყრობილეში მკვლელობა მოხდა. მოკლულია ორი ადამიანის – ძმები გუჯეჯიანების მკვლელობისა და იარაღის უკანონოდ ტარებისთვის განსჯილი პატიმარი ბორის ჯაჭვლიანი.

ჯაჭვლიანი ავჭალის კოლონიიდან ქსნის კოლონიაში უნდა გადაეყვანათ და სწორედ მე-5 საპყრობილეში ელოდა ეტაპირებას. მისი ახლობლები ახლა უკვე ამბობენ, რომ მკვლელის საკნის გვერდით ის განგებ მოათავსეს.

როგორც ამ ეტაპზეა ცნობილი, ჯაჭვლიანის საკანში მეზობელი საკნიდან როგორღაც შეაღწია პატიმარმა გოჩა გუჯეჯიანმა. მათ შორის ამტყდარი ჩხუბი ჯაჭვლიანის დაჭრით დასრულდა. პირველ რესპუბლიკურ კლინიკაში მიყვანილ ჯაჭვლიანს დანით მიყენებული ექვსი ჭრილობა ჰქონდა. მას მძიმე ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა მდგომარეობა იმდენად რთული იყო, რომ ექიმებმა დაჭრილის გადარჩენა ვერ შეძლეს.

ჯაჭვლიანის ნათესავების მტკიცებით, გუჯეჯიანი იმ ორი ძმის ბიძაშვილია, რომელთა მკვლელობისთვისაც იხდიდა სასჯელს ჯაჭვლიანი. მათივე თქმით, სისხლის აღებაში გუჯეჯიანს საპყრობილის თანამშრომლები დაეხმარნენ, რომლებმაც განგებ მოათავსეს ისინი მეზობელ საკნებში მერე კი გუჯეჯიანს ჯაჭვლიანის საკნის კარი გაუღეს.

მოკლულის ნათესავები თავადაც სისხლის აღებით იმუქრებიან.

გუჯეჯიანს იარაღის უკანონოდ ტარებისთვის ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი.

დივერსია ტელეკომპანია „ქუთაისში"

გუშინ ტელეკომპანია "ქუთაისის" შენობაში ამ ტელეკომპანიის რამდენიმე თანამშრომელი ჯერჯერობით დაუდგენელი შემცველობის ნივთიერებით მოიწამლა. უჩვეულო სუნი ტელეკომპანიის თანამშრომლებმა დილიდანვე იგრძნეს. 14.00 საათისთვის მათ თავბრუ დაესხათ და ღებინება დაეწყოთ. ტელეკომპანიის რვა თანამშრომელი სასწრაფო დახმარების მანქანებმა ქუთაისის კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანა. მედიკოსთა განცხადებით, დაზარალებულები მკურნალობას ექვემდებარებიან.

ადგილობრივმა პოლიციამ მომხდარს დივერსიის კვალიფიკაცია მისცა. სამართალდამცველები არ გამორიცხავენ, რომ ბოროტმოქმედებმა მომწამლველი ნივთიერება ტელევიზიასთან ახლოს მდებარე სამრეცხაოში შეიძინეს, სადაც კაუსტიკურ სოდასა და ქლორს გამოიყენებენ.

„ოდიოზური ფიგურები" პანკისის ხეობაში

სპეცსამსახურები ოპერატიულ მუშაობას ატარებენ ორი ყარაჩაელისა და ორი არაბის დასაკავებლად

პანკისის ხეობაში ლტოლვილის სტატუსის გარეშე რამდენიმე უცხოელი დარჩა. სწორედ ისინი არიან ის ადამიანები, რომელთაც სპეცსამსახურების საერთაშორისო ფორუმის წინაშე გამოსული საქართველოს უშიშროების მინისტრი "პანკისს შემორჩენილ ოდიოზურ ფიგურებს" უწოდებს.

სოფიკო ჩხაიძე

აჩიმეზ გოჩიაევი ხატაბთან ერთად (შუაში).

მოსკოვში 43 ქვეყნის 60-მდე სპეცსამსახურის ხელმძღვანელი ორი დღის მანძილზე ტერორიზმთან ბრძოლის მეთოდებზე მსჯელობდა. საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ასეთი მასშტაბის ფორუმი სპეცსამსახურების ისტორიას ჯერ არ ახსოვს.

მომხსენებელთა ძირითად საფიქრალს საერთაშორისო ტერორიზმის ფინანსირების წყაროების გადაკეტვა წარმოადგენდა.

სწორედ ასეთ, ჯერ არნახულ ფორუმზე გააკეთა საქართველოს უშიშროების მინისტრმა ვალერი ხაბურძანიამ განცხადება მოსკოვში, საცხოვრებელი სახლების აფეთქების ორგანიზებაში ბრალდებული აჩიმეზ გოჩიაევის პანკისის ხეობაში შესაძლო ყოფნის შესახებ. თუმცა, მანამდე ქართველმა მინისტრმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველოსა და რუსეთის სპეცსამსახურებს შორის კარგი ურთიერთობა არსებობს და ამის დამადასტურებლად 2002 წლის ზაფხულში ტერორისტ ადამ დეკუშევის დაპატიმრება, მოგვიანებით კი ტერორისტ ბატჩაევის ლიკვიდაცია და კრიმშამხალოვის რუსეთისთვის გადაცემა დაასახელა. ხაბურძანია ასევე მიიჩნევს, რომ რუსი და ქართველი მესაზღვრეები 2003 წელს ერთობლივი ძალებით საიმედოდ ჩაკეტავენ საქართველო-რუსეთის საზღვრის მთიან მონაკვეთს.

რაც შეეხება გოჩიაევს, მინისტრის თქმით, მისი პანკისში ყოფნის შესახებ ინფორმაცია მოწმდება. გოჩიაევის გარდა, **"ხეობაში დარჩენილია კიდევ რამდენიმე ოდიოზური ფიგურა და ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს"**, - განუცხადა ხაბურძანიამ უცხოელ კოლეგებს.

აჩიმეზ გოჩიაევს რუსი სამართალდამცველები კარგა ხანია ეძებენ და ქართველ კოლეგებს უკვე არაერთხელ მიმართეს კიდეც მისი დაპატიმრებისა და გადაცემის მოთხოვნით. რუსეთის გენერალური პროკურატურა ჩეჩნეთში ნაომარ ყარაჩაელ გოჩიაევს ბრალს დებს, რომ მან, საველე მეთაურის ხატაბის დავალებით, 1999 წელს, მოსკოვში, ორი საცხოვრებელი სახლის აფეთქებასა და ერთის აფეთქების მცდელობაში მიიღო მონაწილეობა. ამ ტერაქტების შედეგად 200-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. გარდა სამართალდამცველებისა, მომხდარის გამოსაძიებლად საზოგადოებრივი კომისიაც შეიქმნა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ცნობილი ადამიანის უფლებების დამცველი სერგეი კოვალიოვი. სხვათა შორის, იმავე ოფიციალური გამოძიებისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი კომისია, ტერაქტებში "ჩეჩნური კვალის" არსებობის ვერსიის გარდა, მეორე ვერსიასაც განიხილავს – აფეთქების დაგეგმვა სპეცსამსახურების მიერ. ამ ვერსიის სასარგებლოდ თვით გოჩიაევის ჩვენებები მეტყველებს, რომელიც, პროკურატურის გამომძიებლებისგან განსხვავებით, ადვილად მოიპოვეს ლონდონში გახიზნულმა ოლიგარქმა ბორის ბერეზოვსკიმ და სპეცსამსახურების ყოფილმა თანამშრომელმა ლიტვინენკომ. მათვე ჩაატარებინეს ინგლისელ სპეციალისტს რუსეთის სპეცსამსახურების მიერ გამოქვეყნებული, გოჩიაევის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულების – ხატაბთან ერთად გადაღებული ფოტოსურათის ექსპერტიზა. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ეს ფოტო არ არის ორიგინალი და, შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ ის ციფრულად იყოს დამუშავებული. აქედან გამომდინარე, ინგლისელი ექსპერტის აზრით, ფოტოსურათი მტკიცებულებად არ გამოდგება.

რაც შეეხება თავად გოჩიაევს, იგი აღიარებს, რომ მართლაც იქირავა მოსკოვში რამდენიმე ადგილას ფართი, თუმცა ეს გააკეთა არა საკუთარი სურვილით, არამედ მისთვის კარგად ნაცნობი ადამიანის თხოვნით. ამ ადამიანის ვინაობას ბრალდებული არ ასახელებს; თუმცა, თითქმის დარწმუნებულია, რომ იგი რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობს. საინტერესოა გოჩიაევის ჩვენების კიდევ ერთი დეტალი, სადაც იგი ამბობს, რომ 13 სექტემბრის აფეთქების შემდეგ მიხვდა, რომ "გამოიყენეს"; მეტიც, გოჩიაევის თქმით, მან მეორე დილასვე დარეკა ექსტრემალური სიტუაციების სამსახურში და მიუთითა მისამართები, სადაც მსგავსი აფეთქებები შეიძლებოდა მომხდარიყო. ამ მისამართებზე სამართალდამცველებმა დიდი რაოდენობით ასაფეთქებელ ნივთიერებას მართლაც მიაგნეს. თუმცა, ლიტვინენკოს თქმით, იმის ნაცვლად, რომ ახლომახლო ჩასაფრებულიყვნენ, მისამართები საინფორმაციო საშუალებებით გამოაქვეყნეს.

ზემოთ მოყვანილ ვერსიას, ცხადია, არ იზიარებენ რუსეთის სპეცსამსახურები, რომლებიც გოჩიაევის ადგილსამყოფელად ხან პანკისის ხეობას ასახელებდნენ, ხან სვანეთის მთებს და ხანაც აზერბაიჯანის დედაქალაქს. ამჯერად მათ ძიების ობიექტის მისამართი საქართველოს უშიშროების მინისტრმა დაუკონკრეტა.

როგორც სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, გოჩიაევი, კრიმშამხალოვი და დეკუშევი საქართველოში ერთად გადმოსულან, როცა პანკისისკენ ჩეჩენ ლტოლვილთა პირველი ნაკადი დაიძრა. ოღონდ, ისინი, ლტოლვილებისგან განსხვავებით, აფხაზეთის ტერიტორიიდან შემოვიდნენ.

პანკისში დარჩენილ რამდენიმე ოდიოზურ ფიგურაში კი, ჩვენი ინფორმაციით, უშიშროების მინისტრი სულ ოთხ ადამიანს უნდა გულისხმობდეს. გოჩიაევის გარდა, პანკისს, სავარაუდოდ, კიდევ ერთი ყარაჩაელი, ასევე მოსკოვის ტერაქტების ორგანიზებისთვის ძებნილი ჰაკიმ აბაევი და კიდევ ორი არაბი შემორჩა. ეს ოთხეული ბოლოა, რომელიც ხეობაში ლტოლვილის სტატუსის გარეშე იმყოფება.

ციხისძირში თავს დაესხნენ ბიზნესმენს

ნესტან ცეცხლაძე
ბათუმი

ქობულეთიდან ბათუმში მიმავალ თეიმურაზ დავითაძის ავტომანქანას ციხისძირში უცნობმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს. აჭარაში საკმაოდ წარმატებულ ბიზნესმენად ცნობილ ალიკა (მას ბათუმში ამ სახელით იცნობენ) დავითაძის ავტომანქანაში აჭარის იუსტიციის მინისტრის მოადგილე აკაკი ნინიძე და აჭარის საგადასახადო ინსპექციის ყოფილი უფროსი რუსლან ჯიჯავაძეც იმყოფებოდნენ. თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

თეიმურაზ დავითაძე ბოროტმოქმედთა მსხვერპლი ცოტა ხნის წინაც გახდა. რამდენიმე თვის წინათ, ბათუმში, ალიკა დავითაძის შვილი ივერი გაიტაცეს. ინციდენტი, როგორც ამბობენ, ფულის გადახდით დასრულდა, გატაცების დეტალებს აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტრო ბოლომდე ასაიდუმლოებდა. ამ გატაცებას ქობულეთში ცნობილი "კანონიერი ქურდის" - მსხალაძის და მისი ოჯახის წევრების ჩაცხრილვა მოჰყვა. ქალაქში გავრცელებული ხმები ამ ორ შემთხვევას ერთმანეთს უკავშირებს, მიუხედავად იმისა, რომ მსხალაძეების საქმე ჯერ კიდევ გაუხსნელია. როგორც ამბობენ, თეიმურაზ დავითაძის მანქანაზე მომხდარი თავდასხმა სწორედ შურისძიების საფუძველზე მოხდა - მსხალაძეების ნათესავები ანგარიშსწორებას შეეცადნენ. აჭარის რუხ კარდინალად წოდებული შინაგან საქმეთა მინისტრი ილია წულუკიძე ამ ორ ინციდენტს შორის კავშირზე საუბრისაგან ჯერჯერობით თავს იკავებს. თუმცა, აჭარის შს მინისტრმა "24 საათს" პირობა მისცა, რომ თავდასხმის დეტალებზე რამდენიმე დღეში კონკრეტულ ინფორმაციას მიაწვდის.

ამერიკელებმა რუსული ჯგუფი მაქინაციებში დაადანაშაულეს

ფირმა "YBM"-ის ხელმძღვანელთა ჯგუფი, რომელშიც რუსეთის მოქალაქეები არიან, აშშ-ს სამართალდამცველმა სტრუქტურებმა გამოძალვაში, ფულის გათეთრებაში, თაღლითობასა და სხვა ფინანსურ მაქინაციებში დაადანაშაულეს.

ბრალდებულთა შორისაა სემენ მოგილევიჩი, რომლის სახელიც დაკავშირებული იყო "Bank of New York" – ის სკანდალთან, ასევე - იგორ ფიშერმანი და ანატოლი ცოურა; ხოლო ჯგუფის მეთაური, "YBM"-ის პრეზიდენტი იაკობ ბოგატინი ფედერალური საგამოძიებო ბიუროს აგენტებმა 2 დღის წინ დააპატიმრეს, დანარჩენ ბრალდებულებს კი ინტერპოლი ეძებს.

ფინანსურ მაქინაციებში დადანაშაულებულთათვის წაყენებული ბრალდება 45 პუნქტისგან შედგება. პროკურატურის ბრალდებით, ფირმამ ფინანსური მაქინაციების შედეგად ინვესტორები მოატყუა, სამაგიეროდ კი, 150 მილიონი დოლარის სარგებელი ნახა. FBI-ის სპეციალური აგენტის ჯეფრი ლემპინსკის ინფორმაციით, სემენ მოგილევიჩი წარმოშობით უკრაინიდანაა და 3 ქვეყნის (რუსეთი, ისრაელი და უნგრეთი) მოქალაქეობის საბუთს ფლობს. ლემპინსკის ინფორმაციით, მოგილევიჩი ამჟამად მოსკოვის ახლოს მდებარე ერთ-ერთ აგარაკზე ცხოვრობს. FBI-ის სპეციალური აგენტი, რომელიც რამდენიმე ხნის წინ რუსეთში "YBM"-ის საქმის გამო იმყოფებოდა, აცხადებს, რომ რუსეთს თავს აფარებენ სხვა თაღლითებიც - იგორ ფიშერმანი და ანატოლი ცოურა.

იმერეთს „კანონიერი" ქურდები დაეპატრონენ

ბექა სისაური
ქუთაისი

იმერეთში კვლავაც რთული კრიმინოგენური სიტუაციაა. თუ ადრე რეგიონში, ძირითადად, ადამიანის გატაცება, ყაჩაღობა და ქურდობა ხდებოდა, ამჟამად დანაშაულთა რიცხვს ავტომობილების გატაცების მასიური შემთხვევებიც დაემატა.

იმერეთის რეგიონის სამართალდამცველ ორგანოებს რეგიონში არსებული დაძაბული კრიმინოგენური ვითარების ძირითად მიზეზად მხარეში მყოფი "კანონიერი ქურდები" მიაჩნიათ. სამართალდამცველი ორგანოების მონაცემებით, ამჟამად ქუთაისში 30-მდე "კანონიერი ქურდი" იმყოფება, ხოლო სხვადასხვა ქვეყანაში 100-მდე ქუთაისელი ქურდი საქმიანობს.. "ქურდული სამყაროს" ლიდერები ბოლო პერიოდში უძრავ-მოძრავ ქონებას ინტენსიურად იძენენ. ამიტომაც კანონდამცველები არა მარტო "კრიმინალური ავტორიტეტების" დანაშაულებრივ საქმიანობას, არამედ მათი ქონებრივი მდგომარეობის წარმომავლობასაც იკვლევენ. პროკურატურაში "კანონიერი ქურდების" კომერციული საქმიანობისა და ქონებრივი მდგომარეობის შესახებ უკვე არსებობს საკმაოდ ვრცელი ნუსხა. **"მაგალითად, ანზორ ხუცუშვილი, მამუკა კვიჟინაძე და სხვა ქურდები რუსეთის კრიმინალურ ბიზნესში არიან ჩაბმულნი და მათ მიერ რუსეთიდან საქართველოში მსხვილი კრიმინალური თანხების (შავი ფულის) გადმოქაჩვა ხდება. ამავე დროს ჩვენ ვფლობთ ინფორმაციას, რომ ისინი ადგილობრივი ბიზნესის წილშიც არიან. გვაქვს სერიოზული მონაცემები, რომ ქურდები მონაწილეობდნენ ავტოქარხნისა და სატრაქტორო ქარხნის პრივატიზებაში. ტყიბულის რაიონში გრანიტის ქვის კარიერებს რამდენიმე კრიმინალი დაეპატრონა. მათ შორის ერთ-ერთი "კანონიერი ქურდია", რომელიც ამჟამად მოსკოვში იმყოფება,"** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ოლქის პროკურორის მოადგილემ გურამ გვენცაძემ. ცალკე თემაა ქურდების მიერ ადგილობრივი ბიზნესმენების დაშინება. საქმეში ჩახედულთა განცხადებით, ქურდების გარეშე დღეს ქუთაისში ბიზნესი პრაქტიკულად არ კეთდება. მათივე განმარტებით, აღნიშნული ფაქტორი წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად მიზეზს იმისა, რომ ქუთაისში არათუ მსხვილი, მცირე და საშუალო ბიზნესიც კი არ ვითარდება. სხვათა შორის, ამ მხრივ ქურდებს არც სამართალდამცველები უდებენ ტოლს და იმ საწარმოებს, რომლებსაც ქურდები ლობირებენ, შემოწმებებით ისეთ პრობლემებს უქმნიან, რომ ბოლოს მეწარმეები იძულებულნი ხდებიან ფული კრიმინალურ ავტორიტეტებს და ასევე პოლიციასაც გადაუხადონ.

სამართალდამცველების ინფორმაციით, ქუთაისელი ქურდების საყვარელი ავტომობილებია მერსედეს-600-ი, "გრანდჩეროკები", "ჯიპჩეროკები" და სხვა მეტად ძვირადღირებული ავტომობილები, რომლებსაც, როგორც წესი, ოჯახის წევრებზე: მეუღლეებზე, მამებზე, ძმებზე და ბიძებზე აფორმებენ. **"ტარიელ ფოცხვერიას მეუღლე - ირინა ასათიანი - "მერსედეს კაბრიოლეტს" ფლობს, რომელიც ლენტეხის რაიონის საგზაო პოლიციის მიერ უკანონოდ იყო მასზე გაფორმებული. აღნიშნულ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომელსაც რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონული პროკურატურა იძიებს. მამუკა კვიჟინაძეს სიმამრის სახელზე "მერსედესი" ჰყავს გაფორმებული, გია ზვიადაძის "გრანდ ჩეროკი" ძმის სახელზეა გაფორმებული, თემურ ნემსიწვერიძის (იგივე "წრიპა") შვილს "ტოიოტა ლენდ კრუიზერი" ჰყავს. სერგო ქუთათელაძის (მეტსახელად - "ბაიკო") სიძე "მერსედეს-600" ფლობს და ასე შემდეგ... იმერეთში ქურდების ოჯახის წევრებზე 46 ძვირადღირებული ავტომობილია გაფორმებული,"** – აცხადებს გურამ გვენცაძე. პროკურატურაში მიაჩნიათ, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან. პროკურატურამ პოლიციის შესაბამის სამსახურს არაერთი დავალება მისცა, მაგრამ მთავარი ხელისშემშლელი პირობა, როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, საქართველოს კანონმდებლობაა, რომელიც ელემენტალურ მოთხოვნებსაც ვერ აკმაყოფილებს ფულის გათეთრებასთან ბრძოლის თვალსაზრისით.

ცალკე თემას წარმოადგენს ქურდების საცხოვრებელი სახლები. კანონდამცველთა მონაცემებით, კრიმინალური ავტორიტეტები ქუთაისის ტერიტორიაზე 20-მდე მშენებარე თუ უკვე აშენებულ სასახლეს ფლობენ. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა თემურ ნემსიწვერიძის სახლი, რომლის მშენებლობაც იმერეთის გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა იმ მოტივით შეაჩერებინა, რომ იგი წმინდა გიორგის ეკლესიის ხედს ფარავდა.

წმინდა გიორგის ეკლესია მეცხრამეტე საუკუნის ძეგლია, რომელიც მეოცე საუკუნის ოციანი წლებიდან ადგილობრივი მნიშვნელობის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა ნუსხაში იყო შეტანილი. მას გააჩნდა ეგრეთ წოდებული დაცვითი ზონაც. სწორედ ამ დაცვითი ზონის ფარგლებშია მოქცეული მიწის ნაკვეთი, სადაც "წრიპამ" სახლის მშენებლობა წამოიწყო. პროკურატურის აზრით, საქართველოს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარის რანგში მყოფმა ლეილა თუმანიშვილმა უხეშად დაარღვია ამჟამად მოქმედი კულტურული მემკვიდეობის დაცვის შესახებ კანონის მოთხოვნა. დისციპლინარული გადაცდომები ჩაიდინეს: ქუთაისის მერიის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამმართველოს უფროსმა, ქუთაისის ყოფილმა მთავარმა არქიტექტორმა სულიკო გაგუამ, ქუთაისის მერიის არქიტექტურისა და ქალაქმშენებლობის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ვლადიმერ გეგუცაძემ, იმერეთის რეგიონის არქმშენინსპექციის უფროსმა ირაკლი დახუნდარიძემ, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს იმერეთის სამხარეო დეპარტამენტის თავმჯდომარემ შოთა ნოსელიძემ, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტთან არსებული სამეცნიერო მეთოდური საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ თამაზ ნათიძემ, ამავე დეპარტამენტის ამჟამინდელმა თავმჯდომარემ ლეილა თუმანიშვილმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის დირექტორის მოადილემ ვახტანგ ლიჩელმა და ამავე სამსახურის არქეოლოგიური ექსპედიციის მეცნიერ თანამშრომელმა როლანდ ისაკაძემ. ვინაიდან ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირი მიეკუთვნება საჯარო მოხელეთა კატეგორიას, პროკურატურამ პრეზიდენტის რწმუნებულს თემურ შაშიაშვილს 2002 წლის 27 დეკემბერს სპეციალური ინფორმაცია გაუგზავნა, რომელშიც აღნიშნულ პირთა ადმინისტრაციული წესით დასჯა მოითხოვა.

"მთავარი, რაც ამ შემოწმების დროს დავადგინეთ, ის არის, რომ საქართველოში პაქტიკულად არ მოქმედებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კანონის ნორმები. აღნიშნულს ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობა დაფინანსების არარსებობით ხსნის. ამავე დროს ქუთაისის სინამდვილეში სერიოზულად დგას კრიმინალებისა და საჯარო პირთა დაახლოებისა და შერწყმის პრობლემა. თანამდებობის პირები თანამშრომლობენ, მეგობრობენ კანონიერ ქურდებთან, ყაჩაღობისათვის არაერთგზის და არაერთხელ ნასამართლევ პირებთან," - აცხდებენ პროკურატურაში.

ოლქის პროკურატურამ თემურ შაშიაშვილს ზემოთ ნახსენები თანამდებობის პირების სამსახურიდან გაშვება გასული წლის დეკემბერში სთხოვა, მაგრამ დღემდე არაფერი შეცვლილა. შაშიაშვილი მათ გათავისუფლებას მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს ბედის გარკვევის შემდეგ აპირებს. "წრიპას" სახლის მშენებლობაზე ნებართვა სწორედ ამ სამინისტროს წარმომადგენლებმა გასცეს.

ფოქს კიდსის თასზე მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირები საქართველოში!

იტალია, ბრაზილია, არგენტინა, საქართველო, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი... ფოქს კიდსის თასზე მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობს მსოფლიოს 20-მდე ქვეყანა. გოგონებისა და ბიჭების გამარჯვებული გუნდები გაემგზავრებიან ჰოლანდიაში. ტურნირში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ მოყვარულ გუნდებს (ფეხბურთის სკოლებისა და კლუბების გუნდები რეგისტრაციაზე არ მიიღებიან). გუნდი უნდა დაკომპლექტდეს 1990 წლის 1 აგვისტოს და შემდეგ დაბადებული 10 მოთამაშისგან, გუნდს უნდა ჰყავდეს მწვრთნელი

გუნდების რეგისტრაცია რეგიონებში:

ამბროლაური	■	ტელეკომპანია გური	გორი	■	ტელეკომპანია ირმაღელი	ხაშური	■	ტელეკომპანია ვერა
ოზურგეთი	■	ტელეკომპანია ალმასტური	ბორჯომი	■	ტელეკომპანია მზეტყვა	წყალტუბო	■	ტელეკომპანია ვარა
დედოფლისწყარო	■	დედოფლის ტელეკომპანია	ქარელი	■	ტელეკომპანია ირმაღელი	ქუთაისი	■	ტელეკომპანია ქუთაისი
ხაშური	■	ტელეკომპანია ფიო	ჩიხურა	■	ტელეკომპანია გური	ზესტაფონი	■	ტელეკომპანია ანგი
ბოდბისი	■	მეთორმეტე არხი	ლანჩხუთი	■	ტელეკომპანია გური	ხონი	■	ტელეკომპანია მეფე ტიკი
ზუგდიდი	■	ტელეკომპანია ოდისა	მარტვილი	■	ტელეკომპანია კოლხეთი	სამტრედია	■	ტელეფიდელიტი-ბრეს კომპანია ზარა
ფოთი	■	სამოელესტანი კომპანია მეცხრე ტალღა	ანაგა	■	ტელეკომპანია დიანა	ჭიათურა	■	ტელეკომპანია ალტერნატივა
ხობი	■	სამოელესტანი კომპანია მეცხრე ტალღა	ბაღდათი	■	ტელეფიდელიკომპანია ფარვანა	ბაღდატი	■	ოქნის ტელეკომპანია

რეგისტრაცია თბილისში

თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კონსტიტუციის ქ. № 6. ტელ: 955805

რეგისტრაციის ბოლო ვადაა 29 აპრილი

www.24hours.ge 24 B

მზისფერი სახლი ბერლინში

მანანა ხელაია-გაბაშვილი

ეს საქართველოს საკუთრებაა.

მახსოვს, ერთხელ, ჩვენი საელჩო მაშინ სულ ახალი გახსნილი იყო, პოლიციიდან რაღაცის გასარკვევად ბორკილდადებული ქართველი პატიმარი მოიყვანეს. ჭიშკარს რომ მოუახლოვდნენ, კანონმორჩილმა გერმანელმა პოლიციელმა შეაჩერა ტუსაღი, ხელები გაუთავისუფლა და ისე შემოუშვა საელჩოს ეზოში. მე მაშინ ვიფიქრე, რომ არა აქვს მნიშვნელობა, დიდი და ძლიერია ჩემი ქვეყანა, თუ პატარა და დაღლილი; კმაყოფილი, უზრუნველყოფილი და თავნება, თუ თვალებჩაცვენილი, შემცივნული და გამწარებული - ის ქვეყანაა, და ისეთი დიდი სახელმწიფოც კი, როგორიც გერმანიაა, ამ ფაქტს ვერ უარყოფს. და უცბად მძაფრად შევიგრძენი, გავაცნობიერე, რომ ამ უცხო ქვეყანაში ეს ხელისგულისტოლა ეზო - ჩემია, ჩემი საქართველოსია.

დამოუკიდებელი საქართველოს საელჩო! - ვინ იცის, რამდენი წელი ოცნებობდა ამაზე ქართველი - ჩვენი პაპები, მათი წინაპრები... ბევრი თვალცრემლიანი თანამემამულე მინახავს ჩემი აქ ყოფნის განმავლობაში საელჩოში შემოსული - ზოგი მოხუცი ემიგრანტი, ზოგიც საქართველოდან ჩამოსული, ახალგაზრდა... ასე მგონია, ყოველი მათგანის ემოცია მოკლედ, გასაგებად და ლამაზად გამოხატა ერთ-ერთმა სტუმარმა - თამრიკო დოლიძემ, ჩვენი არველაძეების დედამ: გაჩერდა, ძველ, გერმანულ კარს საელჩოსას აკოცა და ისე შემოდგა ფეხი შენობაში. მე ეს არასოდეს დამავიწყდება.

როცა გერმანიის დედაქალაქი ბონის ნაცვლად კვლავ ბერლინი გახდა და სხვებთან ერთად ჩვენი საელჩოც ბერლინში გადმოსაბარგებლად ემზადებოდა, ერთი ახალგაზრდა ქალბატონი მიამბობდა: ჩვენ ბერლინში ერთი წელი ვცხოვრობდით. ყველაფერი კარგია, ბერლინი დიდი და არაჩვეულებრივი ქალაქია. ჩემ ქმარსაც ძალიან კარგი სამუშაო ჰქონდა იქ - ვირხოვის კლინიკაში, მაგრამ მაინც ვერ გავძელი. გამოვიქეცი და ოქროს მთები რომ დამიდგან, მე იქ ვეღარ წავალ. იცით, რატომ? მზე არ არის. სულ მოღრუბლულია, სულ ნაცრისფერია ცა.

ჩემდა გასაოცრად, როცა ახლადაშენებული შენობის - საქართველოს საელჩოს - შეღებვაზე მიდგა საქმე, კოტემ დაიჩემა, ყვითლად, უფრო სწორად, ფორთოხლისფერ ყვითლად უნდა შეიღებოსო. ვიცნობრა კოტეს გემოვნებას, მის მისწრაფებას ყოველივე ტრადიციულისა და კლასიკურისადმი, მართლაც რომ გასაკვირი იყო მისი ეს სურვილი. მაგრამ მერე მივხვდი - ამ მშვენიერ, მაგრამ ცივ, ბერლინურ უბანში მან ასე დაინახა საქართველოს საელჩო - ერთ თბილ სხივად. გერმანიიდან უკანმოუხედავად გაქცეული ქალბატონი გამახსენდა და, რა თქმა უნდა, მეც დავთანხმდი კოტეს არჩევანს.

ამ გადაწყვეტილებამ თავისთავად განსაზღვრა საელჩოს მომავალი ცხოვრების წესი, ფუნქცია. გარდა ჩვეულებრივ, საყოველთაოდ მიღებული დიპლომატიური მოვალეობებისა, საქართველოს საელჩო გერმანიაში უნდა იყოს სტუმართმოყვარე, ხალისიანი და თბილი.

არ არსებობს გერმანიაში საელჩო, რომელიც ყოველთვიურად გეგმავდეს და ატარებდეს კულტურულ ღონისძიებას. არ არსებობს გერმანიაში საელჩო, რომელსაც კულტურისთვის ბიუჯეტში 0 თეთრი ჰქონდეს. ამ ორი მონაცემის ერთმანეთთან სრული შეუთანხმებლობის მიუხედავად, გადაწყდა:

აქ, ამ სახლში, ჰაინრიხ-მანის 32 ნომერში, ყოველი თვის ბოლოს გაიმართება ე.წ. ქართული საღამო. მონაწილეობენ: ხელოვნება, ღიმილი, ზოგჯერ ქართული ღვინო და ყველა, ვისაც გული გამოუწევს.

უცნაურია, მაგრამ პირველმა ქართულმა საღამომ სწორედ მას უმასპინძლა, ვისაც იმ ხანად მართლაც ძალიან ჭირდებოდა მხარდაჭერა, სითბო და ღიმილი. ეს მხატვარი თეა ბოტკოველი იყო. თეას სულ ცოტა ხნის წინ გარდაცვლოდა დედა - ყველასთვის ცნობილი ნანა ბოტკოველი. ძალზე უცნაური და საგულისხმო იყო ისიც, რომ იდეა თეას გამოფენის მოწყობისა, საქართველოში გერმანიის ყოფილი ელჩის, ბატონი ფოგელის მეუღლეს - ირმინა ფოგელს ეკუთვნოდა. იგი აღელვებული მარწმუნებდა გერმანულად, მაგრამ, ამავდროულად, უკიდურესად ქართულად: თეას ისეთი საყრდენი გამოეცალა, ისეთი დადარდიანებულია... გარდა იმისა, რომ მისი შემოქმედება იმსახურებს, პიროვნულადაც მისთვის მალამოსავით იქნებაო. რა თქმა უნდა, დამარწმუნა საქართველოსა და ქართველებზე უზომოდ შეყვარებულმა ქალბატონმა ფოგელმა.

და აი, თეა ბერლინშია. ეს, როგორც ვთქვი, პირველი ქართული საღამო. კედლებს, როგორც დოიჩე ბანკის ოფიცერი ქალბატონი გროსერი აღნიშნავს, ჩვენი ბავშვობისდროინდელი ზღაპრული სამყაროდან გადმოსული სურათები ამშვენებს. სმენას კი მანანა მენაბდის ნაცნობი და მონატრებული რომანსები მართლაც რომ ათრობს:

ვარდმა პირი არ აშალა,
უმზეობით დაემალა,
ბულბულს სული გაეცალა...

მანანა ბერლინში ცხოვრობს. ამ საღამოს სტუმარი (თუ მასპინძელი?!) ისიც არის. ვუსმენ და ვფიქრობ, როგორ დააკლდა ის, ალბათ, თბილისს. აქ კი, საქართველოს საელჩოში ეს საღამო ნამდვილი თბილისური პეწით, მშვიდი სევდით გაათბო და გაალამაზა.

მანანა მენაბდეს ბერლინში რამდენჯერმე ვხვდები და ყოველი შეხვედრა რატომღაც მამახსოვრდება: 2003 წლის 4 თებერვალია. წვიმს გადაუღებლად. ბერლინში თბილისის უნივერსიტეტის ეკლესიის წინამძღვარი მამა მიქაელია ჩამოსული, თავის მეუღლესთან ერთად. სოფო საყვარელიძემ დრო იხელთა და აქვე, ტეგელის სასაფლაოზე დაკრძალული ქართველებისთვის პანაშვიდის გადახდა სთხოვა. ცივა. დანთებულ სანთლებს წვიმა ვერ აქრობს, არ ვიცი, რატომ. ცარიელ სასაფლაოზე სულ რამდენიმე ქართველი შევიკრიბეთ: თვითონ მამა მიქაელი და მისი მეუღლე, მანანა მენაბდე, სოფო საყვარელიძე, დავით გუჯაბიძე - შესანიშნავი ოპერატორი, ოთარ ჩერქეზიშვილი - ჩვენი თანამშრომლების ვაჟი და მე. თვალში მხვდება მანანას შემცივნული ხელები და მდაბლად დახრილი თავი ლოცვისას. რაღაც კარგია ამ წვიმაშიც, ამ სიჩუმეშიც... როგორი ყოჩაღია სოფო, რომ მოიფიქრა ასეთი რამ. დათო ვიდეოკამერით იღებს, ოთარი აპარატით... სხვათა შორის, დათო გუჯაბიძე მერაბ კოკოჩაშვილის ოპერატორია და მის აქ ყოფნას, ამიტომ, სხვა ელფერიც აქვს, ორმაგად გულიანად იღებს სამშობლოდან შორს დაყურსულ საფლავებს. მათი უმრავლესობა ხომ ბატონი მერაბის წინაპრებისაა. გრაფინია ანა ილიას ასული ვორონცოვ-დაშკოვი ჭავჭავაძისა, ნინა ილიას ასული აფხაზი-ჭავჭავაძისა, სოფიო მაქსიმეს ასული ტრეგუბოვა-ოსტენ საკენისა ... ანა, ნინო და სოფიო ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილთაშვილები არიან. მერაბ კოკოჩაშვილს კი ისინი პაპის დებად ეკუთვნიან.

აგერ სხვა ქართველებიც : ირინა შერვაშიძე, გენერალი ალიმპი კიზირია, ელენა ეფრემიდი-დადიანისა... ძვირფასი საფლავები! ჩვენი სოფოს მოვლილ - გასუფთავებულები. სხვათა შორის, სოფო საყვარელიძე და მისი ერთგული დამხმარეები - საელჩოს თანამშრომელთა შვილები - არა მარტო ფიზიკურად უვლიან ამ საფლავებს, არამედ კვლევა-ძიებასაც აწარმოებენ - ვინ არიან აქ დაკრძალულები, რა გადახდათ მათ თავს და როგორ მოხვდნენ ბერლინში. სოფიკო გვიამბობს:

„ალექსანდრე ჭავჭავაძის სილამაზით განთქმულ ქალიშვილებზე ბევრი რამაა ცნობილი. ნაკლებად ცნობილია ალექსანდრეს ვაჟის დავითის ცხოვრება, რომელმაც ცოლად შეირთო საქართველოს უკანასკნელი მეფის, გიორგი XII-ის ვაჟის, ილია ბატონიშვილის ასული ანა. დავითს და ანას 11 შვილი შეეძინათ, მათ შორის ილიაც, რომელმაც მოგვიანებით ვერა ვაჩნაძე ითხოვა. ილია ჭავჭავაძესა და ვერა ვაჩნაძეს სამი შვილი შეეძინათ: ანა, ნინო და დავითი. მათგან მხოლოდ ანა ჭავჭავაძეს დარჩა შთამომავლობა. ანამ მეორედ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვზე იქორწინა. იგი კავკასიის მეფისნაცვლის ილარიონ ვორონცოვის შვილი გახლდათ. რა გზებით მოხვდნენ დები ანა და ნინო ჭავჭავაძეები ბერლინში, როგორ და სად ცხოვრობდნენ ისინი გერმანიაში, ჯერჯერობით უცნობია. მაგრამ ამერიკაში მცხოვრები ქალბატონი მარუსია ჭავჭავაძის მეშვეობით ცნობილი გახდა ბერლინის ტეგელის სასაფლაოს კიდევ ერთი უწარწერო საფლავის ისტორია. მარუსია ჭავჭავაძის თქმით, ტეგელის სასაფლაოზე მის მშობლებს ბევრი წლის წინ საკუთარი ხელით დაუკრძალავთ ჭავჭავაძეთა კიდევ ერთი შთამომავალი, დავით ჭავჭავაძის 11 შვილიდან ერთ-ერთის, კერძოდ სალომე ჭავჭავაძისა და ბარონ ფონ ოსტენ საკენის ქალიშვილი სოფიო. სოფიო ტრეგუბოვა და მისი ვაჟი იური გერმანიაში რევოლუციის შემდეგ ჩამოვიდნენ. იური ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მუშაობდა. 1947 წელს ყოფილ აღმოსავლეთ ბერლინში, თეატრში ყოფნისას, შესვენებაზე ვიღაცამ სიგარეტის მოკიდება სთხოვა. უეცრად მას ალყა შემოარტყეს, მანქანაში ჩასვეს და 1954 წლამდე იური აღარავის უნახავს. სოფიოს ყოველთვის სჯეროდა, რომ შვილი უკან დაბრუნდებოდა. 9 წელი რუსულ ბანაკებში

მზისფერი სახლი ჰაინრიხ მანის №32-ში.

ბიძინა კვერნაძე და ანზორ ერქომაიშვილი.

ყოფნისას, იურის სიტყვა არ დასცდენია რუსულად, რითაც ყველა დაარწმუნა, რომ გერმანელი იყო და ამიტომ სხვა გერმანელ ტყვეებთან ერთად ბერლინში დააბრუნეს. სამწუხაროდ, მოლოდინით გაქანცული დედა იურის ჩამოსვლამდე 2 თვით ადრე გარდაიცვალა და იურის მისგან მხოლოდ საფლავი და სოფიოს მულის - ნინა ოსტენ-საკენის საფირონის და მარგალიტის საყურეებიღა დარჩა.“

საქართველოს საელჩო აგრძელებს ქართული საფლავების ისტორიის, ემიგრანტთა ფაქტების მოძიებას.

მართლაც, სადაურსა სად წაიყვან! ...პანაშვიდიც დასრულდა და წვიმამაც გადაიღო. ეს წვიმაც ამათი ბედის ნაწილი ყოფილა.

მამა მიქაელს მადლობას ვუხდით, თუმცა, ალბათ, ის ჩვენზე ბედნიერია ამ წუთებში. ...ვიშლებით, ჩვენ-ჩვენი სახლებისკენ მივემართებით. მანანას ვეუბნები: 22 თებერვალს „რუსთავის“ კონცერტი გვაქვს, ანზორი ჩამოდის თავისი ბიჭებით-მეთქი. მოვალ, მოვალ, თუ ვიქნები აქო - მპირდება. რა თქმა უნდა, მოვა „რუსთავის“ კონცერტზე. თანაც ის ეკლესია, ჰაილიგ-კროიც-კირხე, სადაც ეს კონცერტი უნდა ჩატარდეს, არაჩვეულებრივი აკუსტიკით, არაჩვეულებრივ ადგილას, ბერლინის ცენტრში, მანანას მოძებნილია. მან დაგვაკავშირა ინეს ბრიულთან, გაერთიანება „აკანტუსის“ მენეჯერთან, რომელმაც შესაძლებელი გახადა დიდწილად ამ კონცერტის ჩატარება. კონსტანტინე სალიამ „გერმანიით“ უფასოდ გადმოაფრინა ჩვენი ბიჭები. კონცერტის მოწყობას ხელი შეუწყო, აგრეთვე, საქართველო-გერმანიის მეგობრობის ბერლინური საზოგადოების თავმჯდომარემ პროფესორმა როლფ შრადემ.

ბიჭები. ბიჭები და რა ბიჭები! ჩოხებში გამოწყობილები, ლამაზები, მარტო ერთი მათებური თავის დაკვრა რად ღირს ყოველი სიმღერის ბოლოს, მათი ღირსებით თავის დაჭერა გაგიჟებული დარბაზის წინაშე.

რეკლამის სიმწირის მიუხედავად, დარბაზი თანდათან ივსება ნაცნობი და უცნობი სახეებით... აი, ავსტრიის ელჩი მეუღლითურთ, ცნობილი თავის სიყვარულით ეროვნული კულტურების მიმართ... აგერ, საქართველოში ნამუშევარი ყველა გერმანელი ელჩი - ბატონი დალჰოფი, ქალიშვილთან ერთად, ანაბელა და ნორბერტ ბაასები, ჩვენი ერთგული ფოგელები... ნილსენი, ინა ლეპელი... რა თქმა უნდა, ბატონი გივი მარგველაშვილიც აქ არის... ნანა ბერიძე, ოცი წლის წინ გამოთხოვილი, შესანიშნავი მეცნიერის პროფესორ ჰაინრიხის მეუღლე. წითელქუდა ლიზი ხშირად მოჰყვება ხოლმე დედას „ქართულ საღამოებზე“ ...ქეთი ოდიშელს ვხედავ მეუღლესთან და თითქოს ტიპიურ გერმანელ, ოღონდ ქართულად ხალისიან და მოუსვენარ ვაჟებთან ერთად.... ნათია ჯორჯაძე, თავის შესანიშნავ ოჯახთან ერთად... ჩვენი მარიამ კანდელაკი... ამერიკის, კანადის, საფრანგეთის, ჩინეთის, პოლონეთის, აზერბაიჯანის და სხვა მრავალი საელჩოს დიპლომატები... ივსება ქანდარა, ყველაზე უანგარო და ემოციური - მიხარია, ახალგაზრდები მოსულან!

სხვათა შორის, მაყურებელთა შორის „მულტი-კულტი რადიოს“ მიერ რამდენიმე დღის წინ მოწყობილ ვიქტორინაში გამარჯვებული ოთხი ადამიანიცაა. ვიქტორინამ მსმენელს კითხვები საქართველოს შესახებ დაუსვა და ის, ვინც ყველაზე სწრაფად და ზუსტად გასცა პასუხები, „რუსთავის“ კონცერტის ბილეთებით დაჯილდოვა. დაჯილდოვებულები ამაყად წარმოგვიდგნენ ბილეთებით ხელში.

ჩვენს თანამშრომლებთან ერთად შვილებიც შრომობენ, როგორც ყოველთვის. ვუყურებ და ვფიქრობ : ცოტანი ვართ, მაგრამ ოქროები! არჩილი და გიორგი თუშურაშვილები გარდერობში დამდგარან, ნინო ჩერქეზიშვილი CD-ების გაყიდვაში ეხმარება ირის მაზურს და მემო რაინს, CD-ების პატრონებს; ოთოს საელჩოდან წამოღებული ნოხები დაუიღლიავებია და სცენაზე აფენს - სცენა ქვისაა და „აზიატსკებში“ გამოწკეპილ მომღერლებს ფეხები არ უნდა გაუცივდეთ - წინ თვენახევარი და თითქმის მთელი ევროპაა. ქართულმა პოლიფონიამ ხომ დღეს უნდა დაიწყოს ევროპაში თვენახევრიანი სვლა. ...აგერ ჩვენი ერთგული პაპეები ვოლფსბურგიდან... ქართული კულტურის ემისარი ჰამბურგში მარიკა ლაფაურიც ჩამოსულა. ...ვხედავ სახეებს მიუნხენიდან, დიუსელდორფიდან, ფრანკფურტიდან, პოტსდამიდან... დარბაზში ნემსიც აღარ ჩავარდება. ...და იწყება!

სულ რაღაც სამიოდე თვის წინ ბერლინში დელფიური საზოგადოების სხდომაზე ჩამოსული ანზორი და კოტე პირველად შეთანხმდნენ, რომ თვენახევრიან გასტროლებს, რომელიც დაგეგმილი აქვს „რუსთავის“ მენეჯერს საფრანგეთსა და ბელგიაში, წინ წარუმძღვარონ ბერლინსა და პოლონეთის კონცერტები საელჩოს ძალებით. მაშინ ეს წარმოუდგენელი მეჩვენა, მაგრამ... ჩაერთო საელჩოს განსაკუთრებულ შემთხვევებში კარგად გამოცდილი ძრავა - მაია ფანჯიკიძის, სოფო საყვარელიძის, დავით ჯალაღანიას, ლალი გოგიას, ხვიჩა გუჯეჯიანის, გია ტაბატაძის, ზურაბ ჩერქეზიშვილის სახით და აი, საღამოს კოტე სხსნის. მხოლოდ ერთი-ორი სიტყვით ესალმება სტუმრებს და მადლობას ეუბნება მობრძანებისთვის. უხვსიტყვაობა დღევანდელ დღეს მართლაც არ სჭირდება. „რუსთავი“ თავის სათქმელს თავისებურად იტყვის და ისე იტყვის, რომ ერთ-ერთი ბერლინური გაზეთი კონცერტის მეორე დღეს სტატიას ასე დაასათაურებს: „შედევრი, სახელად „რუსთავი“. ხოლო ქვესათაურად მიაწერს: „შაბათს, 22 თებერვალს ბერლინის ჰაილიგ-კროიც-კირხეში ის მუსიკა ჟღერდა, რომელიც იუნესკომ ოფიციალურად მიაკუთვნა კაცობრიობის არამატერიალურ შედევრთაა კატეგორიას - ქართველ მამაკაცთა პოლიფონიური სიმღერა.“

"ოდოიას" — შრომის სიმღერას — "ნანა" ცვლის, "ნანას" — "მრავალჟამიერი"; "აღმოსავლიდან მზისას" — უფლის საგალობელს, "მხედრული", მეურმის სიმღერა "ჩელას" — "ხასანბეგურა" ... ამ სიმღერამ განაცვიფრა იგორ სტრავინსკი. სტრავინსკის სიტყვები ჩვენ უცხო მსმენელთა გასაცნობიერებლად მოსაწვევზე დავაწერეთ. ვეცადეთ სათანადო განწყობა მცირედ მაინც შეგვექმნა მათთვის. .. მაგრამ ვხედავ, რომ როგორი წინასწარი მოლოდინიც არ უნდა ჰქონოდა ადამიანს, განცდილი აჭარბებს მას — დარბაზი ღელავს და თითოეულ სიმღერას ოვაციით ეგებება. სიმღერების თანმიმდევრობა კი ისე ოსტატურადაა დალაგებული, რომ მსმენელს ხან მოცელილი მწიფე პურის ყანის სუნი სცემს, ხან ნახევრადმძინარე პატარა ხვითოს სასთუმალს დაანახვებს, მერე უცბად გაარინდებს, უფალთან აახედებს, მერე კი სამშობლოსათვის თავდადებული მხედრების შემართება აღანთებს...

წინასწარ მომზადებული წამყვანი ალექსანდრე ვოლფი, რომელსაც დიდი გამოცდილება აქვს სხვადასხვა ქვეყნების ღონისძიებების წაძღოლისა, შემცბარი ჩანს. თუმცა ბოლომდე ვაჟკაცურად უძღვება თავის საქმეს, მაგრამ კონცერტის ბოლოს მაყურებელს აღელვებული მიმართავს:

- უთხარით, უამბეთ თქვენს ნაცნობებს, მეგობრებს, რომ არსებობს დედამიწაზე ასეთი ქვეყანა, სადაც ადამიანები თავის სიმღერით პირდაპირ ღმერთს ელაპარაკებიან.

ჩემს გვერდით ანაბელ ბაასი ზის, ფონ არნიმების შთამომავალი. ნამდვილი ხელოვნების ყადრი მას სისხლში აქვს. ანაბელა უცნაური ამოოხვრით ეგებება თითოეულ სიმღერას. მეორე მხარეს ჩემს გვერდით ახალგაზრდა კაცი ზის. იგი ბონიდან ჩამოვიდა და პროფესორ ვილნაუერის წარმოგზავნილია. ეს ის პროფესორი ვილნაუერია, რომელიც 2003 წლის ბეთჰოვენის საერთაშორისო ფესტივალზე თბილისის კონსერვატორიის ორკესტრს იწვევს და რომელიც ორიოდ კვირის წინ, ბონიდან სპეციალურად ჩამოსული, ამ საკითხებზე სალაპარაკოდ ესტუმრა საელჩოს. ზედმიწევნით სიმპათიური კაცი, რომელმაც მუსიკის ყადრი, მართლაც რომ კარგად იცის! დღეს იგი თავისი წარმოგზავნილის საშუალებით კიდევ ერხელ უნდა დარწმუნდეს, რომ მისი არჩევანი სწორია, რომ თბილისის კონსერვატორიის მუსიკალური ტრადიციები საუკუნეთა წინაა საძიებელი და მისი ავ-კარგი ისე, ჰაიჰარად არაა შეთხზული.

პროფესორ ვილნაუერის წარმომადგენელი დარწმუნდა! სიტყვით კი მეუბნებოდა, ეს ფანტასტიურიაო, მაგრამ მისი თვალები კიდევ გამოუთქმელსაც გადმოსცემდნენ...

რა თქმა უნდა, როგორც ეს ყოველთვის და ყველგან ხდება, „ჩაკრულოს“ დარბაზი ფეხზე უდგება...

ეს ახალგაზრდები - სალამურზე, ფანდურზე და ჩონგურზე რომ უკრავენ, ანზორს „მართვეში“ გამოუზრდია. მე მათ პირველად ვუსმენ. როგორი შინაგანი კულტურა, გადაუჭრანჭავი სტილი... შესანიშნავია, ვირტუოზულია! საერთოდ, ყველაფერში, თითოეულ დეტალში მჟღავნდება ანზორ ერქომაიშვილის გემოვნება, უფრო სწორედ, მეტი - დამოკიდებულება ხალხური საგანძურისადმი. მისი კრედოა: ძველ ქართულ სიმღერას შელამაზება და ზედმეტი სამკაულით მორთვა არ ჭირდება. იპოვნე, გააცოცხლე, მოუარე - აი, ის პრინციპი, რითაც ჩვენი დროის დიდი ადამიანი (არ მეშინია ამის თქმის) მოქმედებს საკუთარი ეროვნული საუნჯის გადასარჩენად, შემდგომი თაობებისთვის შემოსანახად.

დარბაზი ღელავს, ტაში ქუხს, ბიჭები ღირსეულად გვიკრავენ თავს...

ქალბატონ ფოგელს ცრემლები მოსდგომია თვალებზე - თავი საქართველოში მგონიაო... გერმანელი სტუდენტი გოგონა, ლოყააწითლებული, აღელვებული ახარებს დედას - ორი CD ვიყიდეო... მაღალი, გამხდარი გერმანელი მეცნიერი (შტეფან დიომპკე, თუ არ ვცდები) ანზორს ეუბნება: ასე მეგონა, ცა გაიხსნა და მზე დავინახეო.

მზე, ისევ მზე.

კოტეს გარს ეხვევა ხალხი, ვიღაცეები ხელს მართმევენ...

...დარბაზში სინათლეები ნელ-ნელა ქრება, ხალხი კი ანზორს არ უშვებს...

მხოლოდ ქართველებმა და საქართველოს მეგობრებმა იციან, რომ დარბაზში ახლა მეორე დიდი ქართველი მუსიკოსიცაა. ის ჩუმადაა, თავის აღფრთოვანებას ჩუმად გამოთქვამს: „ფანტასტიკურია, კაცო, ეს ფანტასტიკურია“. მე კი მეჩვენება, რომ ყველაფერს ირგვლივ კიდევ მეტი ფასი აქვს, ვინაიდან აქვე ეკლესიის შუაგულში ბიძინა კვერნაძე დგას. ის ახლა უბრალოდ ანზორის მეგობარია და კოტეს სტუმარი. მეორე დღეს, პოლონეთში, პოზნანში, ბიძინა სცენაზე აიყვანეს. როგორც "გამოჩენილ ქართველ კომპოზიტორს" ანზორთან ერთად მასაც მიართვეს თაიგული.

ვუყურებ პოზნანის მუსიკალური საკრავების მუზეუმის სცენაზე მდგარ ორ გენიოსს - ანზორ ერქომაიშვილს და ბიძინა კვერნაძეს - გაღიმებულებს, ყვავილებით ხელში, ოვაციებისა და აღფრთოვანებული შეძახილებით თითქოს ოდნავ შემცბარებს და ვფიქრობ: რა უცნაურია ჩემი ქვეყანა. დღეს რამდენჯერმე დასჭირდა მაია ფანჯიკიძეს ანზორთან სასწრაფოდ დაკავშირება და აღმოჩნდა, რომ ხელის ტელეფონი არც მას, არც ბიძინას არა აქვს. ხელის ტელეფონი, რომელიც გერმანიაში ლამის ყოველ ზრდასულ ადამიანს უდევს ჯიბეში. რა არის ეს, სამუდამო წყევლაა, რომ ექვთიმე თაყაიშვილი უსათუოდ თხას უნდა წველიდეს თავის თავის გამოსაკვებად და ფიროსმანი კი კიბის ქვეშ სახლობდეს?!

ან იქნებ წყევლა კი არა, სწორედაც ღვთის კანონია - თუ თხას არ მოწველი და მის რძეს ცის მანანასავით არ შეირგებ, ვერც ექვთიმე ვერ იქნები. ვინ იცის.

მეცინება. მახსენდება, რომ ანზორმა საელჩოში გაშლილ სუფრასთან მჯდომმა ხორცს პირი არ დააკარა. თურმე ამხელა კაცი ვეგეტარიანელია.

გაგრძელება იქნება

„თქვენ რომ იმღეროთ, პარტნიორად ტენორი უნდა მოგიყვანოთ"

ნუგზარ გამგებელი თბილისში

მადი სერებრიაკოვა

ვალერიანო (ნუგზარ) გამგებელის გასტროლები საქართველოში ყოველთვის მოვლენაა. ესპანეთში მოღვაწე ქართველი ტენორის სპექტაკლებსა თუ კონცერტებზე მსმენელებით გაჭედილი დარბაზი – ამის საუკეთესო დასტურია. გასულ კვირას ნუგზარ გამგებელმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ორი სპექტაკლი, "ბალ-მასკარადი" და "ტრავიატა," გამართა. გასტროლების დაძაბული გრაფიკის მიუხედავად, რეპეტიციებსა და გამოსვლებს შორის მცირე შუალედში ნუგზარ გამგებელმა "24 საათის" შეკითხვებს უპასუხა.

- თბილისში უკანასკნელად გასულ ზაფხულს იყავით. რა შთაბეჭდილებით გაემგზავრეთ აქედან?

- თბილისიდან იმდენად დამუხტული წავედი, რომ ეს ენთუზიაზმი, თითქმის, დღემდე გამომყვა. შესანიშნავი სპექტაკლები იყო, ძალიან კმაყოფილი ვარ პარტნიორებით, განსაკუთრებით - ახალგაზრდა კოლეგებით, რომლებისთვისაც ეს, ფაქტობრივად, სადებიუტო სპექტაკლები იყო. დიდი იმედის მომცემი ახალგაზრდობაა. თუმცა, დღეს საქართველოში, და თუნდაც მთელს მსოფლიოში, არსებული სიტუაცია - ომები, გადატრიალებები, სამწუხაროდ, ძალიან ცუდად აისახება ხელოვნებაზე.

- მიუხედავად ყველაფრისა, ჩვენს ოპერაში, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი წინსვლაა: პრემიერები, განახლებული სპექტაკლები...

- საქართველოსთვის ყველაზე დაძაბულ სიტუაციაშიც კი ჩვენი ოპერა ყოველთვის მუშაობდა. მე მაინც მიმაჩნია, რომ ხელოვნება, განსაკუთრებით ვოკალური კულტურა, აქ მაღალ დონეზეა. ყველა სიძნელის მიუხედავად, იზრდებიან ახალგაზრდა მომღერლები, რომლებიც ევროპაშიც წარმატებას იხვეჭენ –ძალიან ბევრს ნიშნავს, როდესაც ყოველგვარი ხელშეწყობისა და პირობების გარეშე, მომღერალს ევროპაში ასეთ დონეზე ღებულობენ.

- ეს ჩვენი ვოკალური სკოლის ღირსებას უნდა მივაწეროთ, თუ ე.წ. "ბუნებრივ ნიჭიერებას"?

- ალბათ - ორივე ფაქტორს ერთად. არის ბუნებრივი პირობებიც. ქართული ხმები ყოველთვის გამოირჩეოდა. უფრო მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ბუნებრივი ნიჭი ისეთ პირობებშიც კი ვითარდება, როგორშიც ახლა ვართ. ძალიან ვცდილობ, როგორმე მივაწვდინო ხმა სახელმწიფოს - იმ ხალხს, ვისაც შეუძლია რაღაცით დაეხმაროს მუსიკოსს. აუცილებელია შეიქმნას რაიმე ორგანიზაცია, რომელიც დაიცავს მათ, დაამყარებს კავშირებს მსოფლიოში, მისცემს გასაქანს, რათა ის ენთუზიაზმი არ ჩაკვდეს, რაც მათ ასაზრდოებს. აქ ხომ ხალხი, თითქმის, ხელფასის და ყოველგვარი დაფასების გარეშე მუშაობს, ხვალინდელი დღის იმედად.

- რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ, რომ საქართველოდან ახალგაზრდა კადრების საკმაოდ მასიური გადინება ხდება? ქვეყანაში, ფაქტობრივად, აღარავინ რჩება.

- ძალიან რთული ვითარებაა. როდესაც ნაღები საზოგადოება ტოვებს თავის ქვეყანას და საზღვარგარეთ აგრძელებს მოღვაწეობას – ეს ქვეყნისთვის კარგი არ არის.

მაგრამ ამის გარეშეც არ შეიძლება. დღეს მსოფლიოში ყველაფერი სხვანაირად არის მოწყობილი; ყველაფერი ელვის სისწრაფით ვითარდება, სულ სხვა კავშირებია. ახალგაზრდებისთვის აუცილებელია, რომ როგორმე აუწყონ ამ ცვლილებებს ფეხი, ნახონ რაღაც ახალი, განვითარდნენ. საბოლოოდ თუ ჩვენ, ვინც საზღვარგარეთ ვიმყოფებით, რაიმე კარგს ვაკეთებთ, ეს ისევ ჩვენი საქართველოსა და კულტურისთვის კეთდება.

- რამდენად რადიკალურია ეს ცვლილებები, რაში გამოიხატება (ოპერა ხომ მაინც ტრადიციული ჟანრია)?

- მართალი რომ გითხრათ, დღეს სულაც არ ვარ კმაყოფილი ევროპის მუსიკის განვითარებით. განვითარება კი არა, მგონი, პირიქით, ყველაფერი უარესობისკენ მიდის. სპექტაკლების ხარისხი, დამოკიდებულება სპექტაკლების მიმართ, ხალხის ინტერესი - დაკარგულია. ძალიან ცოტანი დარჩნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც კიდევ ცდილობენ რაიმე ახალიც შექმნან და კლასიკური ხელოვნების ტრადიციასაც არ უღალატონ. მაგრამ როდესაც სპექტაკლები რეგულარულად ვარდება, არავითარი სიახლე აღარ არის ოპერაში - ამას ხალხი უკვე ვეღარ იტანს, ვერ გაპატიებს.

ეკატერინა ბასილაია ფოტო

ვალერიანო (ნუგზარ) გამგებელი

- ანუ, ეს კრიზისი მხოლოდ საქართველოს პრობლემა არ არის...

- არა, მხოლოდ საქარველოს პრობლემა არ არის, მეტიც - მგონი, აქ უფრო შემორჩა ეს კულტურა და უფრო მეტი დაფასება და სიყვარულია. ესპანეთში, მაგალითად, სცენა დაიპყრეს ძალიან საშუალო დონის მომღერლებმა. საკმარისია, ახალი კარგი ხმა გამოჩნდეს, რომ მას უკვე მეორე სპექტაკლზე აღარ დაუშვებენ...

- ეს კონკურენციისა და ინტრიგების შედეგია?

- კონკურენციაც, შურიც... საერთო სიტუაციაც. იტალიაში ერთმა იმპრესარიომ ჩემი კანდიდატურა დაიწუნა და ასე მითხრა: „თქვენ ისეთი დიდი ხმა გაქვთ, პარტნიორად რენატა ტებალდი უნდა გყავდეთო. რა ქნას ადამიანმა, თუ პარტნიორებზე უკეთესი და დიდი ხმა აქვს, აღარ უნდა იმღეროს? ეს იმიტომ ხდება, რომ იმპრესარიოები უწევენ პროტექტორობას გარკვეულ მომღერლებს. იმისთვის, რომ ისინი წარმოაჩინონ, სცენაზე მათზე უკეთესი არავინ უნდა იყოს. თუ პარტნიორი მისი ტოლი იყო ან გადააჭარბა – ეს მათ ხელს აღარ აძლევთ. ამას ეძახიან „ეკვილიბრირებულ" შემადგენლობას. ეს ისეთი შემაგდენლობაა, სადაც, მეტნაკლებად, ყველა ერთ - საშუალო დონეზე მღერის და არავინ არაფრით გამოირჩევა. ძალიან სამწუხარო მომენტებია, ეს ყველაფერი კლავს ვარსკვლავებს, მაგრამ იმედია, რომ რაღაც შეიცვლება და სიტუაცია გამოსწორდება.

- ასეთ ვითარებაში საქართველოში დაბრუნებაზე არ გიფიქრიათ?

- არა, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. აქ რა უნდა ვაკეთო? შემოქმედისთვის აქ მუშაობა ძალიან ძნელია. ევროპაში როგორი დაცემა და დეგრადაციაც უნდა იყოს, იქ მაინც შეიძლება მუშაობა. იმ სიტუაციშიც შეიძლება ნახო რაღაც, რასაც მოეჭიდები და განაგრძობ შენს საქმეს.

- ბევრი თქვენი უცხოელი კოლეგა ჩივის, რომ დასავლურ თეატრებში გამეფებული ახალი მოდური ტენდენციები (არატრადიციული დადგმები და სხვ.) მათ გემოვნებას არ შეესაბამება და ხელს უშლის მათი პოტენციალის გამოჩენას. თქვენთვის რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა?

- ეს ტენდენცია მოედო მთელს ევროპას. 1998 წელს აპრილ-მაისში ბერლინის ოპერაში ვიმღერე ჰერცოგის პარტია („რიგოლეტო"). მე ქიმიის მეცნიერ-მუშაკივით ვიყავი ჩაცმული. სცენაზე წინ მესვენა უამრავი კუბო. ხელში მეჭირა ჩონჩხი და ასე ვმღეროდი უდარდელ, ლაღ ბალადას... წარმოიდგინეთ... ანდა, ასეთი სცენა იყო დასაწყისში - ჰერცოგი დაჩოქილი მღერის კუბოსთან, რომელშიც სრულიად შიშველი ქალი წევს. თან უნდა მემღერა, თან ამ ქალს უნდა მოვფერებოდი... საბოლოოდ, პრესამ ჩემს სიმღერას "პრიმა" უწოდა, მაგრამ ისიც აღნიშნა, ცოტა სიცივე დაკრვდაო. სიცივე კი არა, ტანში მაჟრჟოლებდა ამდენ მკვდრებს რომ ვხედავდი. თუმცა, თავისთავად, რეჟისორის ნამუშევარი ძალიან ორიგინალური იყო. თანამედროვე ხედვა ძალიან საინტერესოა, მაგრამ სპექტაკლში ხომ დრო იგივე რჩება, დრო ხომ არ იცვლება...

- ალბათ, ახალ ფორმებს ახალი მუსიკაც სჭირდება...

- მართალია... მაშინ დაიწეროს ახალი მუსიკა და როცა დაიწერება, სწორედ ის გამოიტანოს, გააცოცხლოს სცენაზე ახალმა დადგმებმა. ავიღოთ თუნდაც ქართული ოპერა. აბა, დააკვირდით ფალიაშვილის მერე რა დაიდგა ახალი? ერთადერთი, ალბათ, თაქთაქიშვილი და ისიც იმიტომ, რომ ამ უნიჭიერეს ადამიანს, უდიდეს კომპოზიტორს ჰქონდა ბერკეტები, რომ ოპერაში სპექტაკლი დაედგა (მინისტრი იყო) - სხვა არაფერი. არადა, რისთვის არსებობს კომპოზიციის კათედრა, რისთვის მუშაობენ სხვა კომპოზიტორები? ჩვენ გვყავს შესანიშნავი კომპოზიტორი ფელიქს ღლონტი, რომლის არაჩვეულებრივი ოპერა „იბერიელები" დღემდე არ დადგმულა. არავინ იცნობს ახალ კომპოზიტორებს. თუ ახალი ოპერა არ შეიქმნა და დაიდგა, რა აზრი აქვს ამ ყველაფერს? ნუ გვეშინია იმის, რომ შეიძლება პირველი სპექტაკლები ჩავარდეს. რა მოხდა, ვერდისაც ჩაუვარდა პირველი სპექტაკლები. 10-20 წელიწადში ერთხელ მაინც თუ არ დაიდგა ახალი ნაწარმოები, არაფერი გამოვა.

- ესპანეთში თუ მღერით ქართულ მუსიკას?

- რეპერტუარში მაქვს არაყიშვილი, თაქთაქიშვილი, მაჭავარიანი, ფალიაშვილი... და ძალიან ვამაყობ, რომ რაღაცით დავეხმარე ქართული მუსიკის პოპულარიზაციას. ბევრი საკონცერტო პროგრამა მაქვს გაკეთებული. ერთი მათგანი მივუძღვენი ალფრედო კრაუსის ხსოვნას. მადრიდში, უზარმაზარი კონცერტი იყო და დიდი გამოხმაურებაც ჰქონდა. როგორც მოგეხსენებათ, მე ალფრედო კრაუსის მოსწავლე ვარ, 4 წელი ვსწავლობდი მასთან. სრულიად უანგაროდ მამეცადინებდა, საოცარი ადამიანი იყო. არის მოსაზრება, რომ კრაუსის სკოლა პატარა ხმებისთვისაა, რაც სრული აბსურდია. კრაუსი იყო ბუმბერაზი მომღერალი, ბრწყინვალე სკოლა ჰქონდა. და მისმა მოსწავლეებმა ამ კონცერტით და საერთოდაც, დავამტკიცეთ, რომ მისი სკოლა დიდი ხმებისთვისაც იყო განკუთვნილი.

- რა მოგცათ განსხვავებული კრაუსის სკოლამ; საერთოდ, რა განსხვავებაა ქართულ და ევროპულ სკოლას შორის?

- სხვათა შორის, ის, რაც საქართველოში ვისწავლე, ევროპაში არ შემიცვლია. უბრალოდ, იგივე გზა გავაგრძელე. როდესაც ვუთხარი კრაუსს, რომ ნოდარ ანდღულაძის სტუდენტი ვიყავი, მან მითხრა, – თქვენ სახლში გქონიათ იტალიაო. მართლაც, მე ენა ნოდარ ანდღულაძის კლასში ავიდგი.

- არის სპექტაკლები, რომლებიც თბილისში ორგანულად დაუკავშირდა თქვენს სახელს, მაგალითად - "ბალ-მასკარადი". ევროპაში თუ გიწევთ ხშირად მისი სიმღერა?

- თქვენ წარმოიდგინეთ, ევროპაში არ ვმღერი "ბალ-მასკარადს". ყველაზე ხშირად ვმღერი „ტოსკას", "რიგოლეტოს", "ნაბუქოს" (მათ შორის, ბილეფელდში პაატა ბურჭულაძესთან ერთად) "ბოჰემას", "კარმენს". ვმღერი სარსუელას: „პოსტის მედუქნე ქალის" 25 სპექტაკლი ჩავატარე. ეს უკანასკნელი იმდენად მოეწონათ, არავის სჯეროდა, რომ ესპანელი არ ვიყავი.

„საქართველო აღარ არის ისეთი „აპენდიქსი", როგორიც ამ გამოფენამდე იყო"

ყოველ შემთხვევაში, ხელოვნების სფეროში მაინც - აზუსტებენ Appendix-ის ორგანიზატორები

ვერა ნეფარიძე

მაისში თბილისი უპრეცედენტო გამოფენის მომსწრე იქნება. თავი რომ დავანებოთ მონაწილეთა (როგორც ადგილობრივ, ისე მონვეულ) რაოდენობას, გამოფენის არაჩვეულებრივობაზე მისი ფორმაც მეტყველებს. პირველად თბილისში, 8 მაისს ქალაქის შვიდ პუნქტში ერთდროულად Appendix-ის ფარგლებში რამდენიმე ექსპოზიცია გაიხსნება. ეს იქნება, ალბათ, ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული ექსპოზიცია მათ შორის, რაც კი თბილისელებს შეიძლება ახსოვდეთ. მაგრამ, ეს ნიუანსი არ არის "აპენდიქსის" მთავარი ღირსება. პირველი, შარშანწინდელი "აპენდიქსისგან" განსხვავებით, გამოფენაში ამჯერად კავკასიელებთან ერთად ევროპელი ხელოვანებიც მონაწილეობენ. სწორედ მათგან ელის ბევრი მოულოდნელობა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს და, ბუნებრივია, დამთვალიერებელსაც... თუმცა, ამაზე მოგვიანებით.

გასაკვირი არაა, რომ ასეთი მასშტაბების ღონისძიებას, სამზადისიც შესაბამისი ექნება. პირველი აპრილიდან "მაფ"-ის ოფისში "აპენდიქსის" ფარგლებში იმართება ვორქშოპები და სემინარები უცხოელი სტუმრების მონაწილეობით. გამოფენის რამდენიმე მონაწილე უკვე თბილისშია და გამოფენისთვის ემზადება. ერთ-ერთმა პირველმა სტუმარმა, ჰოლანდიელმა იუპ ვან ლისჰაუტმა უკვე დატოვა საკუთარი ნამუშევრის ესკიზი, რომელიც ამ დროისათვის თითქმის დასრულებულია. ლისჰაუტის "ციხეს" 8 მაისს, პერფორმანსის ფონზე გახსნიან. ამჟამად აბრეშუმის ფაბრიკის ერთ-ერთ ტერიტორიაზე შვეიცარელი სტუმრები – მარტინ ბლუმი და ჰეიმო განცი მუშაობენ. ასევე შვეიცარიიდან ჩამოსულია გამოფენის დიზაინერი ბოჟენა სივიცი. 25 აპრილს კი სკანდალური ნამუშევრებით ცნობილი ფრანგი ხელოვანი ფილიპ მესტი ჩამოვიდა. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, მან თბილისში სხვადასხვა ადგილას ტომრებით ბარიკადები უნდა ააგოს. ასევე კიდევ ერთი სკანდალისტის, ამჯერად რუსი მწერლის სტუმრობაა ნავარაუდევი გამოფენის ფარგლებში, მაგრამ ვლადიმერ სოროკინი "აპენდიქსის" გახსნას ვერ დაესწრება, ის თბილისს ოდნავ მოგვიანებით ეწვევა.

Appendix პირველად შარშანწინ გაიმართა, ახლანდელი "მაფ"-ის, იმ დროისათვის კი "კულტურის განვითარების კავკასიური ცენტრის" ორგანიზატორობით. მაგრამ, მაშინ გამოფენაზე უფრო თანამედროვე კავკასიური ფოტოგრაფიის ნაწილი იყო წარმოდგენილი, ანუ, გარკვეულწილად, შეზღუდული იყო როგორც მონაწილეთა წრე, ისე გამომსახველობითი ფორმები. იმის მიუხედავად, რომ ორგანიზატორებს არ სურდათ გამოფენა რეგიონალურად შეზღუდული ყოფილიყო, პირველი "აპენდიქსი" მაინც "კავკასიური" გამოვიდა. "თავიდან გამოფენა ერთჯერადი სახით იყო ჩაფიქრებული. მაგრამ მოგვიანებით საჭიროდ ჩავთვალეთ, გამოფენა გაგრძელდეს მანამდე (ირონიულად ვამბობ), ვიდრე ჩვენი რეგიონი აღარ იქნება "აპენდიქსი", სამყაროს დანამატი, მსოფლიოს კონტექსტში", - ამბობს "მაფ"-ის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვატო წერეთელი. "ჩვენი აზრით, დღეს საქართველო აღარ არის ისეთი "აპენდიქსი", როგორიც ამ გამოფენამდე იყო. ყოველ შემთხვევაში, ხელოვნების სფეროში მაინც", - აზუსტებენ Appendix-ის ორგანიზატორები.

იუპ ვან ლისჰაუტის ნამუშევრები

რასაკვირველია, გამოფენისთვის ასეთი სახელწოდება შემთხვევით არ შეურჩევიათ. კავკასიის რეგიონსა და "აპენდიქსს", იგივე ბრმანაწლავს ბევრი რამაა აქვთ საერთო. "მაფ"-ის აზრით, კავკასიაც, შესაძლოა, სამყაროს ერთ-ერთი ისეთი დანამატი იყოს, როგორიც ბრმანაწლავია ადამიანის ორგანიზმისთვის, ერთგვარი ფეთქებადი ტერიტორია, რომელსაც შეუძლია პრობლემები შეუქმნას მთელ სამყაროს. რა არის კავკასია - ცივილიზაციების ხიდი თუ ჩიხი?, - გამოფენის ორგანიზატორები ამ შეკითხვას საკუთარ თავს უსვამენ და თავად, რასაკვირველია, ამჯობინებენ შექმნან ერთ-ერთი ასეთი ხიდის პრეცედენტი.

"აპენდიქსი", პირველ რიგში, ხიდია დასავლელი და კავკასიელი ხელოვანებისთვის. "ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა, რომ ამ გამოფენაზე მხოლოდ კავკასიელი მხატვრები არ მონაწილეობენ და ის თანდათან საერთაშორისო სტატუსს იძენს. კავკასია და საქართველო ხელოვნების სფეროში ძალიან მოწყვეტილია დანარჩენ მსოფლიოს. ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენთან მსგავსი პროექტები განხორციელდეს, რომ გარკვეული ხიდის ფუნქცია შეასრულოს. მითუმეტეს, თუ დიდ მხატვრებს მოვიწვევთ", - ამბობს გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორი ინგრიდ დეხრავე. "აპენდიქსის" მიღწევად კი თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ დასავლელი "ვარსკვლავები" (მათ შორის მარტინ პარი და იუპ ვან ლისჰაუტი) იოლად თანხმდებიან თბილისელ ორგანიზატორებს საქართველოში სტუმრობაზე და მათთვის გამოფენაში მონაწილეობა აღარაა უინტერესო.

გამოფენას არ ჰყავს მუდმივი სპონსორი. საკმაოდ ძვირადღირებულ ცალკეულ პროექტებს, რომლებიც "აპენდიქსის" იდეით არიან გაერთიანებულები, ხშირად სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები, საკონსულოები თუ მათი კულტურული ფონდები აფინანსებენ. რადგანაც "მაფ"-ს დამოუკიდებელი ორგანიზაციის სტატუსი აქვს, მის წარმომადგენლებს სურთ ბოლომდე შეინარჩუნონ ის და ამიტომ უარს ამბობენ რომელიმე გიგანტურ ორგანიზაციებთან შეკვრასა და მათგან ასობით ათასიან ინვესტიციებზე, რაც, ჯერ-ჯერობით საკმაოდ წარმატებულადაც გამოსდით. წელს "აპენდიქსს" დაახლოებით ოცდაათამდე მონაწილე ჰყავს შვეიცარიიდან, ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და ისინი გამოფენის თემატიკის მიხედვით შეირჩნენ. საქმე იმაშია, რომ "აპენდიქსს" ყოველწლიურად სხვადასხვა თემა ექნება. წლევანდელი გამოფენის თემაა "დიფუზია და მისი ტოპოლოგია". "გამოფენის ამ თემას აღვიქვამთ, როგორც ზოგად პრობლემას, ან ზოგად ფენომენს მთელ მსოფლიში და არამარტო საქართველოში. მაგალითად, გლობალიზაციის პროცესი ძალიან ხშირად დიდ წინააღმდეგობებს აწყდება, რაც არც თუ იშვიათად ტერორიზმში გამოიხატება. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია სივრცე ამ ორ უკიდურესობას შორის", - ასე შიფრავს ვატო წერეთელი გამოფენის თემას და განმარტავს, რომ არავითარ შემთხვევაში მათი მიზანი ლოზუნგებით გამოსვლა არაა, და რომ ისინი ძალიან შორს არიან პროპაგანდისტული ხელოვნებისგან. მათი სურვილია, უბრალოდ, შეიქმნას საზროვნო სივრცე, რომელშიც თვითონ დამთვალიერებელი თავის პოზიციას გამოხატავს. როგორც ინგრიდ დეხრავემ გაგვიმხილა, აღნიშნული თემისათვის შთაგონების წყარო იყო ჟან ბოდრიარის წერილი, რომელიც ფილოსოფოსმა 11 სექტემბრის მოვლენებს მიუძღვნა. აქვე იმასაც დავამატებთ, რომ ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი თბილისში, სავარაუდოდ, ოქტომბერში აპირებს ჩამოსვლას.

და ბოლოს, დამთვალიერებელს "აპენდიქსზე" საზროვნო სივრცე უხვად ექნება. მათ თავად მოუწევთ, გამოიტანონ დასკვნა წარმოდგენილი ექსპოზიციებიდან - რომელი იქნება ხელოვნება და რომელი.... ვინ იცის, რა. სწორედ ამას გულისხმობს გამოფენის კიდევ ერთი ორგანიზატორის, დანიელ ბრეფინის სიტყვები: "საქართველოში ახალი ხილივითაა გამოფენის ერთდროულად სხვადასხვა სივრცეში გახსნა. დამთვალიერებელისთვის ეს ფორმა არ არის მზამზარეული ტორტივით, სადაც ყველაფერი გამზადებული, თვალნათელია. პირიქით, დამთვალიერებელმა თავად უნდა იმუშაოს, დაათვალიეროს და, საერთოდ, იფიქროს".

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დგებიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

ჟორდანიამ უეფა დაიყოლია

გუშინ უეფა-ს სააპელაციო კომიტეტმა უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო: მან გააუქმა სადისციპლინო-ტექნიკური კომიტეტის მიერ 15 აპრილს მიღებული ვერდიქტი, რომლის თანახმადაც 30 აპრილს, საქართველოსა და რუსეთის ნაკრებ გუნდებს შორის გასამართ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩზე გულშემატკივრების დასწრება აკრძალული იყო. თუმცა, სააპელაციო კომიტეტმა ამ გადაწყვეტილებაშიც გამოავლინა ევროპის საფეხბურთო კავშირისთვის დამახასიათებელი კონსერვატიზმი: ბილეთები მაინც არ გაიყიდება. მატჩს დაესწრებიან მხოლოდ ის გულშემატკივრები, ვისაც 2002 წლის 12 ოქტომბერს ჩაშლილი თამაშის ბილეთები აქვთ შენახული.

რომიკო შოთაძე (საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი): უეფა-ს ეს გადაწყვეტილება პირადად მერაბ ჟორდანიას დამსახურებაა. ის გუშინ დაბრუნდა შვეიცარიიდან, სადაც, პირადი კონტაქტებისა და ავტორიტეტის წყალობით, უეფა-ს ხელმძღვანელები გადაწყვეტილების შეცვლაზე დაიყოლია."

12 ოქტომბრის მატჩის დროს 18 ათასი ბილეთი გაიყიდა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელთა ვარაუდით, ბილეთი 11-13 ათას კაცს თუ ექნება შენახული. შესაბამისად, საქართველოს ნაკრებს რუსეთის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ მატჩში 10 ათასზე მეტი გულშემატკივარი დაუჭერს მხარს.

კანი სერია A-ში?

უცნაური და მოულოდნელი ინფორმაცია გაავრცელა იტალიურმა სპორტულმა გაზეთმა "გაძეტა დელო სპორტმა", რომლის მიხედვითაც, მიუნხენის "ბაიერნის" ხელმძღვანელობა თანახმაა, გუნდის მეკარე, ოლივერ კანი, იაპონელ ფორვარდ ნაკატაში გაცვალოს...

როგორც იტალიელები ირწმუნებიან, "ბაიერნს" იმდენად მოსწონს ნაკატა, რომ მზადაა, მის ხელში ჩასაგდებად "პარმას" ოლივერ კანიც კი დაუთმოს - ოლივერ კანი, რომელიც გუნდის ლიდერი და მიუნხენელთა წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია. თავად ნაკატა, ალბათ, დიდი სიამოვნებით წავა მიუნხენში, რადგან "პარმაში" მას არც ისე ხშირად უხდება მოედანზე გასვლა და უკვე მობეზრებული აქვს სათადარიგოთა სკამის ხეხვა.

თუ ეს უცნაური გაცვლა, მართლაც, შედგება, მაშინ გამორიცხული არ არის, "პარმამ" ოლივერ კანი, თავის მხრივ, "რომას" გაუცვალოს. რომაელებს საკმაოდ კარგი მეკარე ჰყავთ ახალგაზრდა ივან პელიცოლის სახით, მაგრამ ფაბიო კაპელო არც გრძელთმიანი პელიცოლის, არც მეორე გოლკიპერ ანტონიოლის თამაშით კმაყოფილი არ არის და ახალი მეკარის შეძენა სურს. იტალიელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ "რომა" პელიცოლის "პარმაში" გაუშვებს, სამაგიეროდ კი ოლივერ კანს მიიღებს. გერმანელები ამ ბარტერის შესახებ ჯერჯერობით არაფერს წერენ, ამიტომ ძნელი სათქმელია, რამდენად შეეფერება სიმართლეს ეს ყოველივე...

რეკორდსმენი ჰიტცფელდი

მიუნხენის "ბაიერნის" თავკაცი, ოტმარ ჰიტცფელდი, განსაკუთრებულ სიმკაცრეს იჩენს დისციპლინის დამრღვევ ფეხბურთელთა მიმართ. მას შემდეგ, რაც ჰიტცფელდმა გუნდის ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, 18 წლის ბასტიენ შვაინშტაიგერი 15000 ევროთი დააჯარიმა შუაღამისას დისკოთეკაზე წასვლის გამო, "ბილდის" ჟურნალისტებს აზრად მოუვიდათ, დაეთვალათ ის თანხა, რაც ჰიტცფელდმა სხავადასხვა დროს ჯარიმის სახით "ბაიერნის" ფეხბურთელებს გადაახდევინა.

პირველ ადგილზეა ბავარიელთა ყველა დროის სკანდალური ფეხბურთელი შტეფან ეფენბერგი, რომელსაც 75 000 ევროს გადახდა მოუხდა: 25 000 დისკოთეკაზე წასვლისთვის, 50 000 კი იმისთვის, რომ საჭესთან ნასვამი იჯდა. პერუელი კლაუდიო პისარო ერთხელ 50 000 ევროთი დაჯარიმდა შვებულებიდან გვიან დაბრუნებისთვის, მეორედ კი 10 000 ევრო გადაიხადა ჰიტცფელდის კრიტიკის გამო. იგივე მიზეზებით ბრაზილიელმა ჯოვანი ელბერმა 52 500 ევროთი იზარალა. მარიო ბასლერს 15 000 ევროდ დაუჯდა მიუნხენის ერთ-ერთ პიცერიაში ატეხილი სკანდალი, 10 000 ევროთი კი მატჩის წინ დისკოთეკაზე წასვლისთვის დაისაჯა. ოლივერ კანმა 20 000 ევრო გადაიხადა, როცა, ტრავმის მიუხედავად, გათენებამდე დისკო-კლუბში იყო. 10 000 ევროთი შეუმცირდათ ბიუჯეტი ბალაკს, ლიზარაზუს და კუფურს - მათ ჰიტცფელდის გაკრიტიკება გაბედეს. ლოთარ მათეუსმა 5 000 ევრო გაიღო, როცა "კატენაჩოს გენერალმა" ნახა მისი სარეკლამო ფოტო: ტრავმირებული კაპიტანი თხილამურებზე იდგა. მოკლედ, ჰიტცფელდის ხელში ფეხბურთელებს მოსვენება არა აქვთ. იქნებ ამიტომაცაა "ბაიერნში" ყოველთვის სანიმუშო წესრიგი...

პასუხის პასუხი

ლოთარ მათეუსი და შტეფან ეფენბერგი უკვე საშვილიშვილოდ გადაეკიდნენ ერთმანეთს. ჯერ "ეფეს" ავტობიოგრაფია არ გამოსულა და არავინ იცის, რა ეწერება ამ უკვე სკანდალურად გახმაურებულ წიგნში, ლოთარ მათეუსი კი აქედანვე აკეთებს კომენტარებს, რამაც ეფენბერგი სასტიკად გააღიზიანა.

გერმანულ "ბილდთან" საუბარში მათეუსმა განაცხადა, რომ "ეფე" მისგან ხშირად სესხულობდა ფულს, რადგან კაზინოში წასვლა სურდა და მარტინა – მისი მეუღლე და მენეჯერი, სათამაშო ფულს არ აძლევდა. ამ ბრალდებას "ეფემ" სისულელე უწოდა: "მათეუსი უკვე 42 წლისაა. ამ ასაკში ადამიანს, ალბათ, ნელ-ნელა სკლეროზი ეწყება. უკანასკნელად 1993 წელს ვიყავი ლას ვეგასის კაზინოში. მაშინ 20 დოლარი წავაგე. თუ ის ფული, მართლაც, მათეუსს გამოვართვი, მაშინ შემიძლია, პროცენტით დავუბრუნო. ის ჩემგან 200 დოლარს მიიღებს, თუ ამის სურვილი ექნება. ისე კი, მინდა გაცნობოთ, რომ მათეუსისგან ფული არასოდეს მისესხია. ჩემს ფინანსებს ყოველთვის თავად განვაგებდი. მათეუსს, როგორც ფეხბურთელს, დიდ პატივს ვცემ, მაგრამ, როგორც ადამიანს... უბრალოდ, სასაცილოა, რომ ის ახლა ბელგრადის "პარტიზანის" თავკაცია. შეხედეთ რუდი ფიოლერს: ისინი ერთად თამაშობდნენ ნაკრებში და ორივე გულშემატკივართა კერპი იყო. კარიერის დასრულების შემდეგ ფიოლერის გზა ბუდნესნაკრების ხელმძღვანელის პოსტისკენ წავიდა. მან ეს დაიმსახურა. მათეუსი კი "პარტიზანის" მწვრთნელი გახდა. მეტი არც ეკუთვნის. ამას გარდა..." - აქ ეფენბერგი უცებ ჩერდება და "ბილდის" ჟურნალისტს ეშმაკურად ეუბნება: "დანარჩენი ჩემს წიგნში იხილეთ". ამ წიგნიდან ფრაგმენტებს "ბილდი" სულ მალე გამოაქვეყნებს...

ტურინელთა იმედები

როცა ტურინის "იუვენტუსმა" "კამპ ნოუზე" მასპინძელ "ბარსელონას" გამარჯვების გოლი გაუტანა და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გავიდა, "ბებერი სინიორას" ტიფოზებს სიხარულთან ერთად სინანულიც დაეუფლათ: ნახევარფინალში ხომ "იუვეს" ან "რეალი" შეხვდებოდა და ან "მანჩესტერი". როგორ უნდა ეთამაშათ ტურინელებს გრანდების წინააღმდეგ თავიანთი საუკეთესო ფეხბურთელების გარეშე?

ახლახან ისეთი რამ მოხდა, რამაც "იუვეს" ფინალში გასვლის მკრთალი იმედი გაუჩინა: დავიდ ტრეზეგემ და მარსელო სალასმა ვარჯიში დაიწყეს და, შესაძლოა, 6 მაისს მადრიდშიც გაემგზავრონ. ფრანგი ფორვარდი 5 აპრილს დაშავდა ტურინულ დერბიში, რომლის მოგებაც "იუვეს" არ გასჭირვებია. ტრეზეგეს მხარი ჰქონდა ნატკენი და მოედანზე ვერ გადიოდა. ჩილელ მარსელო სალასს კი მუხლი აწუხებდა. ახლა ორივე ფეხბურთელი გამოჯანმრთელების გზაზეა. ტრეზეგემ და სალასმა ვარჯიში დაიწყეს და 6 მაისამდე, ალბათ, საბოლოოდ ჩადგებიან ფორმაში.

ისტორიული ფოტო

ეს იყო 30 წლის წინათ...

1973 წლის 31 მაისი, მადრიდი.
მადრიდის "რეალის" მაჟინდელი პრეზიდენტი
სანტიაგო ბერნაბეუ და ბიუნტერ ნეტსერი.

სპეციალური ტურნირი სპეციალური ათლეტებისთვის

მიხეილ აბაიშვილი

24-25 აპრილს სპეციალური ოლიმპიური მოძრაობის ევროპის საფეხბურთო კვირეულის ფარგლებში თბილისში გაიმართა საფეხბურთო ტურნირი, რომელშიც 100-მდე სპეციალურმა ათლეტმა მიიღო მონაწილეობა.

ასეთი ტურნირი საქართველოში უკვე მესამედ ჩატარდა, მაგრამ, წინამორბედებისგან განსხვავებით, ამჯერად მასში მონაწილეობა მიიღეს სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმაც, რამაც შეჯიბრებას საერთაშორისო ელფერი მისცა. საქართველოში ჩატარებულ წინა ორ ტურნირს საერთაშორისო სპეციალურმა ოლიმპიურმა კომიტეტმა მაღალი შეფასება მისცა, რისი დასტურიცაა ის, რომ 2001 და 2002 წლებში ევროპის საფეხბურთო კვირეულის საუკეთესო ორგანიზატორ ქვეყნებად იტალია და საქართველო დაასახელეს.

ტურნირი ფიფა-ს და სპეციალური ოლიმპიადის წესების მიხედვით ჩატარდა. სომხეთისა და აზერბაიჯანის გუნდებთან ერთად, მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 10-მა გუნდმა, რომელთაგან 4 დედაქალაქს წარმოადგენდა, ხოლო 6 რეგიონებმა გამოგზავნეს.

შეჯიბრებას საქართველოს სამხედრო აკადემიის სპორტულმა კომპლექსმა "ორბმა" უმასპინძლა. საკვალიფიკაციო თამაშების შემდეგ გუნდები 3 დივიზიონად (სიძლიერის მიხედვით) დაანაწილეს. თითოეულ დივიზიონში 4-4 გუნდი მოხვდა. გუშინ გაიმართა ნახევარფინალები და შეხვედრები საპრიზო ადგილებისთვის.

პირველი დივიზიონის ფინალში აზერბაიჯანის ნაკრები და თბილისის დამხმარე სკოლის გუნდი გავიდნენ. თამაში სტუმარი ფეხბურთელების საგრძნობი უპირატესობით წარიმართა, რაც ანგარიშშიც აისახა - 5:1 აზერბაიჯანის სასარგებლოდ. შესაბამისად, აზერბაიჯანის ნაკრებმა ტურნირის გამარჯვებულის ტიტული მოიპოვა. მესამე ადგილისთვის მატჩში გურჯაანის გუნდმა თბილისის პირველი დამხმარე სკოლის გუნდი დაამარცხა - 3:0.

ბიზნესის ბანერის ფოტო

გამარჯვებულთა დაჯილდოების პატივი ივო შუშაკს ხვდა

მეორე სტუმარი გუნდი, სომხეთის ნაკრები, გავიდა მე-2 დივიზიონის ფინალში, სადაც ბოდბის გუნდთან შეხვედრაში ფრედ, 2:2 ითამაშა. პენალტების სერიაში მასპინძლებმა იმარჯვეს (5:4) და პირველი ადგილი დაიკავეს.

მე-2 დივიზიონის ფინალში თბილისის მე-2 დამხმარე სკოლამ კოხნარის გუნდი დაამარცხა დიდი ანგარიშით - 4:0.

ასეთ ღონისძიებებს მთელ მსოფლიოში დიდ ყურადღებას უთმობენ. სპეციალური საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ელჩები არიან რონალდო, ზიდანი, შვარცენეგერი და მსოფლიო სპორტის სხვა გამოჩენილი წარმომადგენლები. ამ მხრივ, საქართველოშიც ყველაფერი რიგზეა: შეჯიბრების ორივე დღეს გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს თბილისის "დინამოს" ფეხბურთელებმა და მათმა მთავარმა მწვრთნელმა ივო შუშაკმა. ტურნირის დასრულების შემდეგ, მონაწილეთაგან შემდგარი ნაკრები თბილისის "დინამოს" ამხანაგურად გაეჯიბრა. შუშაკმა ძირითად ექვსეულში თავისი გუნდის საუკეთესო ფეხბურთელები – გვარამაძე, ამისულაშვილი, შაშიაშვილი, ბურდული, დარასელია და ალექსიძე გამოიყვანა. სპეციალურ ათლეტებს, ალბათ, დიდხანს ემახსოვრებათ ეს თამაში, რომლის დროსაც ტურნირის ნაკრები ერთხანს 3:1-საც კი იგებდა, თუმცა, მატჩი, მისი მეგობრული ხასიათის შესაბამისად, ფრედ - 3:3 დასრულდა. მატჩის შემდეგ "დინამოს" ფეხბურთელებმა მეტოქე გუნდის წარმომადგენლები საკუთარი მაისურებით დაასაჩუქრეს.

ტურნირის დასრულების შემდეგ გაიმართა დაჯილდოება. არც ერთი მონაწილე უსაჩუქროდ არ დარჩენილა. სპეციალური საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისგან ასევე მონაწილემ, პრიზის სახით, ფეხბურთის ბურთი მიიღო. აქციაში მონაწილეობდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაც, რომელმაც სპეციალურ ათლეტებს საფეხბურთო ატრიბუტიკის ნივთები გადასცა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ივო შუშაკმა, "დინამოს" სახელით ორი პრიზი დააწესა – ტურნირის საუკეთესო მოთამაშისთვის და ტურნირის ყველაზე სიმპათიური გუნდისთვის. შუშაკის გადაწყვეტილებით, საუკეთესო მოთამაშის პრიზი ("დინამოს" მაისურა გუნდის ყველა ფეხბურთელის ავტოგრაფით) რიში კოკოევს გადაეცა, ხოლო საუკეთესო გუნდად მიჩნეულმა ბოდბის წარმომადგენლებმა საჩუქრად ასევე დინამოელთა ავტოგრაფებიანი ფეხბურთის ბურთი მიიღეს.

ტურნირს მხარდაჭერა აღმოუჩინეს "კოკა კოლამ", "საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანიამ", "მაკდონალდსმა", "ყაზბეგმა", კინოთეატრმა "ელისომ" და "ESBI georgia"-მ.

ტურნირის მონაწილეთაგან დაკომპლექტებული ნაკრები მონაწილეობას მიიღებს ზაფხულის მსოფლიოს სპეციალურ ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც 21-29 ივნისს ირლანდიაში გაიმართება.

"მომაცილეთ მანჩესტერს!"

ნაომი კემპბელი აცხადებს, რომ მომავალი სეზონიდან ბექჰემი "რეალში" ითამაშებს

აკა ტონია

"მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი, სერ ალექს ფერგიუსონი ამტკიცებდა, რომ დევიდ ბექჰემის მადრიდის "რეალში" შესაძლო გადასვლის შესახებ ინფორმაციას თავად სამეფო კლუბის ხელმძღვანელები ავრცელებდნენ მეოთხედფინალური დუელის დღეებში, რათა მანჩესტერელთა რიგებში დესტაბილიზაცია გამოწვიათ. "ეს მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ მატჩებთან არის დაკავშირებული. დარწმუნებული ვარ, ოთხშაბათს, მას შემდეგ, რაც განმეორებით მეოთხედფინალურ შეხვედრას ვითამაშებთ, ეს ამბავი აღარავის ემახსოვრება", - ამბობდა მაშინ შოტლანდიელი მწვრთნელი. ფერგიუსონი არ გამართლდა: დევიდ ბექჰემისა და "რეალის" შესახებ ისევ ლაპარაკობენ, თანაც, ის კიდევ უფრო დაემსგავსა რეალობას.

THE Sun 25p
Kat: My tears at show ban
SUN EXCLUSIVE
BECKHAM: GET ME OUT OF UNITED
Galloway in £6m riddle
Aziz seized in Baghdad
FAREWELL POSTER INSIDE

BECKS ON BRINK
£100M United face huge loss if they sell off Beckham
60% OF REDS FANS SAY HE SHOULD GO
Refused car credit? We'll say Yes
PAOLO BLAME FURY

ბექჰემი - "The Sun"-ის არცთუ იშვიათი სტუმარია

ინგლისური "Daily Telegraph"-ი, უკვე ოთხშაბათს, "ოლდ ტრაფორდზე" გამართული მატჩის დღეს იუწყებოდა, რომ დევიდ ბექჰემის მადრიდში გადაყვანასთან დაკავშირებით ინტენსიური მუშაობაა გაჩაღებული და "რეალში" მისი გადასვლის საკითხი 90 პროცენტით გადაწყვეტილიცაა.

"რეალთან" მატჩში ფერგიუსონმა ბექჰემი სათადარიგოთა სკამზე დასვა. მან მხოლოდ 66-ე წუთზე შეცვალა თანაგუნდელი და ორი გოლიც გაიტანა. გაინტერესებთ, რა რეაქცია ჰქონდა ესპანურ პრესას ბექჰემის ამ წარმატებაზე? – მას ეს ძალიან გაუხარდა. "დევიდ, "ბერნაბეუს" სტადიონი შენ გელის!", წერდა სპორტული გაზეთი "As". "Daily Telegraph"-მა კი ესპანელ კოლეგებს აუბა მხარი: "ბექჰემი "რეალის" ხელებში ჩასავარდნად მზად არის". როგორც ჩანს, პრესა უკვე შეეგუა იმ ფაქტს, რომ ბექჰემი სწორედ "რეალში" გააგრძელებს თავის კარიერას, ფერგიუსონის აზრი კი ამჯერად უცნობია - "ოლდ ტრაფორდის" მატჩის შემდეგ ამ თემაზე მას ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია. სამაგიეროდ ვიცით, რომ შოტლანდიელი მწვრთნელი კმაყოფილი იყო საკუთარი გადაწყვეტილებით, როცა ძირითად შემადგენლობაში ბექჰემის ნაცვლად ოლეგუნარ სოლსკიაერი დააყენა. გუშინ ინგლისური პრესა უკვე საუბრობდა იმ შედეგებზე, რომლებიც ფერგიუსონის ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა. გაზეთები იუწყებიან, რომ სათადარიგოთა სკამზე ჯდომამ ბექჰემი უაღრესად გაანაწყენა და ამის გამო მასა და ფერგიუსონს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. "ბექჰემი: მომაცილეთ "მანჩესტერს!" - ასეთი სათაური ჰქონდა "Sun"-ის გუშინდელი ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულ სტატიას. გაზეთი იუწყება, რომ "რეალის" წინააღმდეგ მატჩის დასრულებისთანავე ბექჰემი შეხვდა თავის აგენტს, ტონი სტეფენსს და სთხოვა, რაც შეიძლება, მალე მოეგვარებინა "რეალში" მისი გადასვლის საქმე. "Sun"-ის ინფორმაციით, მატჩის დასრულებიდან 40 წუთის შემდეგ, ბექჰემი, თავის მეუღლესთან, ვიქტორიასთან ერთად, სასტუმრო "მელმეისონში" შეხვდა სტეფენსს. გაზეთს მოჰყავს ამ შეხვედრის თვითმხილველების, მათ შორის, სასტუმროს თანამშრომლების კომენტარებიც. "ბექჰემის გამოჩენამ ძალიან გამაკვირვა, რადგან მატჩი ახალი დამთავრებული იყო და არ ველოდით. ვიქტორია, დევიდი და მისი აგენტი სასტუმროს რესტორანში დასხდნენ და საუბრობდნენ. დევიდი ცუდ გუნებაზე ჩანდა", - ყვება ერთ-ერთი თვითმხილველი. "Sun"-ში გამოქვეყნებულ სტატიაში შესაძლო ტრანსფერის ღირებულებაზეც არის საუბარი. გაზეთი ვარაუდობს, რომ ბექჰემის სანაცვლოდ "რეალს" 38 მილიონი ფუნტის გადახდა მოუწევს. განიხილება მეორე ვარიანტიც: ფიგუს გაცვლა ბექჰემში, თანხის დამატებით.

გაზეთმა "Daily Mail" თავის პირველ გვერდზე მანჩესტერის წვიმიან ქუჩაში მოსეირნე ბექჰემის სურათი გამოაქვეყნა, სტატია კი, სხვების მსგავსად, ბექჰემის "მანჩესტერიდან" წასვლას ეხებოდა. გაზეთი იუწყება, რომ ოთხშაბათის მატჩის მეორე დღეს ბექჰემი წავიდა მაღაზიაში, შეიძინა სამი მაისურა, ერთი ქურთუკი და ორი შარვალი. "მოედანზე დამარცხებულს, საკუთარი მწვრთნელისგან დამცირებულს, გაუთავებლად ესმის მეუღლის წუწუნი. რა უნდა ქნას ბექჰემმა?" - წერია "Daily Mail"-ში.

ინგლისური პრესა, განსხვავებული ფორმით, მაგრამ ერთსა და იმავე აზრს ავრცელებს: ჟურნალისტები დარწმუნებული არიან, რომ ბექჰემის "რეალში" გადასვლის ამბავს წყალი არ გაუვა.

ესპანელი ჟურნალისტები თავიანთ ინგლისელ კოლეგებზე შორს წავიდნენ. ზოგიერთი მათგანი იმასაც ამტკიცებს, რომ ბექჰემსა და "რეალის" ხელმძღვანეობას შორის შეთანხმება უკვე მიღწეულია. რადიოსადგურმა "Cadena Cope"-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც ბექჰემი უკვე შეხვდა ორ მადრიდელ მენეჯერს და ორმხრივი შეთანხმებაც დაიდო: "ბექჰემი ზაფხულიდან "რეალში" ითამაშებს".

ესპანური პრესა ცნობილი სუპერმოდელის, ნაომი კემპბელის სიტყვების ციტირებასაც ახდენს. ნაომი ბექჰემის მეუღლის, ვიქტორია ადამსის უახლოესი მეგობარია. "ვიქტორიამ მითხრა, რომ მისი მეუღლე მომავალი სეზონიდან მადრიდში ითამაშებს, ხოლო თავად ვიქტორია იქ მაისში აპირებს გამგზავრებას, რომ ბავშვებისთვის კარგი სკოლა შეარჩიოს", - განაცხადა ნაომი კემპბელმა.

გაზეთმა "As"-მა "რეალის" მწვრთნელის, ვისენტე დელ ბოსკეს სიტყვებიც გამოაქვეყნა. დელ ბოსკე თავის აღფრთოვანებას ვერ მალავს: "ჯერჯერობით არავითარი კონტრაქტი არ არსებობს, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ბექჰემი ძალიან მომწონს. ის ფანტასტიკური მოთამაშეა. მე მას 17 წლიდან ვადევნებ თვალყურს".

ესპანელი ჟურნალისტები დარწმუნებული არიან, რომ ბექჰემი აუცილებლად გადავა "რეალში", ასახელებენ სატრანსფერო თანხასაც - 55 მილიონი დოლარი.

პატივმოყვარე იონ დალ ტომასონი

ოთხშაბათს, საღამოს, "მილანის" ტიფოზებმა დიდი ნერვიულობა გადაიტანეს - გაჯიუტებული ამსტერდამის "აიაქსი" არა და არ თმობდა პოციზიებს და სულ ახლოს იყო ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალთან. 91-ე წუთზე "სან-სიროზე", მართლაც, სასწაული მოხდა: ფილიპო ინძაგიმ კარში დაარტყა, დანიელი იონ დალ ტომასონი იტალიელი ფორვარდის ოსტატობას ბოლომდე არ ენდო და, ყოველი შემთხვევისთვის, ბურთს თვითონაც წაჰკრა ფეხი. "მილანი" გადარჩა. ბერლუსკონის გუნდი ნახევარფინალში გავიდა. ეს ნახევარფინალი კი წმინდა წყლის მილანური იქნება: "მილანს" იქ "ბიძაშვილი" - "ინტერი" ელის. ვნახოთ, როგორ დასრულდება მილანელთა საფეხბურთო "კოზა ნოსტრა"...

მეოთხედფინალის შემდეგ "მილანის" ყველა ფეხბურთელი და ტიფოზი უაღრესად ბედნიერი იყო. სიხარულმა დანიელ იონ დალ ტომასონს ისე დააკრაგვინა რეალობის შეგრძნების უნარი, რომ ერთ-ერთ დანიურ ყოველდღიურ გაზეთს ამაყად განუცხადა, კარლო ანჩელოტი და "მილანი" მე გადავარჩინეო. "ეს გოლი რომ არ გამეტანა და "მილანი" ნახევარფინალში არ გასულიყო, კარლო ანჩელოტი, ალბათ, თანამდებობას დაკარგავდა. ამიტომ თამამად შემიძლია ვთქვა: ანჩელოტი გადავარჩინე", - მთელი იტალია გაოგნებული დატოვა დანიელმა. არადა, ყველას კარგად ახსოვს, რა მიზანმიმართულად მიფრინავდა ბურთი "აიაქსის" კარისკენ ინძაგის დარტყმის შემდეგ და რაოდენ ზედმეტი და მოულოდნელი იყო ტომასონის ჩართვა შეტევაში. ინძაგის ისე გაუხარდა ნახევარფინალში გასვლა, რომ აზრადაც არ მოსვლია, ტომასონისთვის საყვედური ეთქვა, გოლი რატომ "დამაწერეო", მიუხედავად იმისა, რომ "სუპერპიპოს" ჩემპიონთა ლიგაში უკვე 12 გოლი აქვს გატანილი და ლიგის საუკეთესო ბომბარდირის წოდებისთვის იბრძვის. ტომასონი კი პატივმოყვარეობის სინდრომით დაავადებული აღმოჩნდა და თავი "მილანის" მხსნელად წარმოიდგინა, რამაც იტალიაში დიდი გაოცება გამოიწვია.

კალათბურთი

ინტრიგა მწიფდება


კევინ გარნეტი მარკ მადსენის წინააღმდეგ

ვიდრე პლეი-ოფებში უმოწყალო ბრძოლა მიმდინარეობს, NBA-მ წლის საუკეთესო ახალბედა დაასახელა. ეს პატივი ფინიქსელი "მზეების" 20 წლის ახალწვეულ ამარ სტადემაიერს ერგო. სტადემაიერი ისტორიაში შევიდა, როგორც პირველი კალათბურთელი, რომელმაც სკოლის მერხიდან პირდაპირ NBA-ში გადაინაცვლა და პირველივე წელიწადს ესოდენ დიდი პატივის ღირსი გახდა.

სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვის მიხედვით ჯილდოს ლაურეატმა 458 ქულა მოაგროვა. მას 53 ქულით ჩამორჩა ჰიუსტონის ჩინელი გიგანტი იაო მინი, რომელსაც, წინასწარი ვარაუდით, გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნენ. მესამე ადგილზეა მაიამის ფორვარდი კეირონ ბატლერი (179 ქულა). სტადემაიერის ფინიქსს გუშინ, გამთენიისას, არ უთამაშია. ბოსტონში, მილუოკსა და ლოს-ანჟელესში კი უკომპრომისო ბრძოლები გაიმართა.

სელტიკსი – ინდიანა 101:83
(სერიის ანგარიში – 2:1)

"ინდიანა პეისერსმა" კიდევ ერთი მატჩი დაუთმო "ბოსტონ სელტიკსს" და თუ მომდევნო შეხვედრასაც წააგებს, ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდება. არადა, ინდიანა NBA-ის ყველაზე კარგად დაკომპლექტებული და პერსპექტიული გუნდია. ოდესღაც ლეგენდარულ "სელტიკსს" კი, ფაქტობრივად, ორად ორი ხეირიანი კალათბურთელიღა შემორჩა. ამიტომ, თუ ისინი მეორე ეტაპის საგზურს ვერ მოიპოვებენ, ეს გუნდისთვის, უბრალოდ, სირცხვილი იქნება.

მესამე შეხვედრაში დამარცხება ინდიანამ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს. მეორე ნახევარში სტუმრებმა 14 წუთის განმავლობაში ვერ მოახერხეს თამაშიდან მეტოქის კალათში ბურთის ჩაგდება. გუნდის აღიარებულმა სნაიპერმა რეჯი მილერმა კი ეს მთელი მატჩის განმავლობაში ვერ გააკეთა. მილერის შვიდივე ტყორცნა არაზუსტი აღმოჩნდა. ბოსტონმა უბადლო გუნდური თამაში აჩვენა. მასპინძელთა ერთბაშად ექვსმა კალათბურთელმა გადააბიჯა 10-ქულიან ზღვარს. საუკეთესო კი პირსი (21 +12 მოხსნა) იყო. ინდიანას რიგებში მილერის სუსტი თამაშის ფონზე ო`ნილი (21 +16 მოხსნა, +3 დაფარება) და რონ არტესტი (20 +4 ჩაჭრა) უკეთ გამოიყურებოდნენ, მაგრამ მათი შედეგიანობა ახლა სტატისტიკოსებს თუ დააინტერესებთ. ინდიანამ მეორე მატჩიც წააგო.

მილუოკი – ნიუ-ჯერსი 101:103
(სერიის ანგარიში – 1:2)

ისევე როგორც წინა შეხვედრაში, ახლაც გამარჯვებული უკანასკნელ წუთებზე გამოვლინდა. მატჩის დასრულებამდე 5 წამით ადრე ნიუჯერსელმა როდნი როჯერსმა საჯარიმო ტყორცნების უფლება მოიპოვა. ამ დროისთვის ანგარიში 101:101 იყო. როჯერსმა ორივე ტყორცნა ქარს გაატანა, მაგრამ ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლაში კენიონ მარტინმა იყოჩაღა და ბურთი როდნი როჯერსს დაუბრუნა. როჯერსი ამჯერად ზუსტი აღმოჩნდა – 103:101 სტუმართა სასარგებლოდ. ამ ფაქტმა მილუოკის მწვრთნელი ჯორჯ კარლი წყობილებიდან გამოიყვანა. კარლის აზრით, მარტინმა ფარქვეშ წესების დარღვევით მოიპოვა ბურთი. განერვიულებულმა, ჯავრი მსაჯებზე იყარა და პატივცემული რეფერი გემრიელად გამოლანძღა, რისთვისაც, ალბათ, ჯარიმის გადახდა მოუწევს.

კიდი (26 +7 გადაცემა) და მარტინი (23) კასელის (24), ტომასისა (22 +11 მოხსნა) და პეიტონის (21 +8 გადაცემა) წინააღმდეგ – ასეთი ინტერპრეტაცია მიეცა ამ მატჩს, რომელშიც ნიუჯერსული დუეტი უფრო ძლიერი აღმოჩნდა.

ლეიკერსი – მინესოტა 110:114 (ო.ტ.)
(სერიის ანგარიში – 1:2)

ფილ ჯექსონის "ლეიკერსი" პოზიციებს თმობს. ლოსანჯელესელები მინესოტაში დამამცირებელი მარცხის გამო საკუთარ კედლებში რევანშის აღებას ცდილობდნენ, მაგრამ ამჯერადაც დამარცხდნენ. მინესოტელი "მგლები" პირველი მეოთხედიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას და თამაში მთელი შეხვედრის განმავლობაში მიჰყავდათ. "ლეიკერსმა" შეძლო, თამაში ოვერ-ტაიმში გადაეყვანა. როცა დამატებითი დროის დაწყებისთანავე მინესოტას ლიდერმა კევინ გარნეტმა 6 პერსონალურის გამო მოედანი დატოვა, ბევრმა იფიქრა, რომ სტუმრები გატყდებოდნენ, მაგრამ "მგლებმა" დაამტკიცეს: გადამწყვეტ მომენტში ლიდერის გარეშე თამაშიც შეუძლიათ.

NBA-ის მოქმედი ჩემპიონი ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. როგორც ირკვევა, გარნეტის ნეიტრალიზება "ლეიკერსისთვის" დიდი პრობლემაა. კევინმა 33 ქულა, 14 მოხსნა და 4 დაფარება გაახერხა. ამაზე უკეთესი მაჩვენებელი არც კობი ბრაიანტს (30) და არც შაკილ ო`ნილს (28 +17 მოხსნა, +5 დაფარება) არ ჰქონიათ.

ქომაგის ტრიბუნა

თამაზ წიკლაური

სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს!

ეს ტრივიალურად ქცეული სტრიქონები სათაურად რატომ მოვიტანე, ახლავე გეტყვით. რამდენი ხანია, ამის თქმა მინდა, იმიტომ რომ ამ ფაქტის ირგვლივ არაფერი წამიკითხავს.

1959 წელს ჩილეში გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატი კალათბურთში. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ბრწყინვალედ ითამაშა. მაშინ ნაკრების მთავარი მწვრთნელი სპანდარიანი იყო. ზუსტად არ მახსოვს, სურენი თუ სტეპანი, მხოლოდ ის ვიცი, რომ მწვრთნელი "არმიანსკი ლენინად" წოდებული სპანდარიანის ძმისშვილი გახლდათ. ჰოდა, ბიძას ერქვა სურენი და ძმისშვილს - სტეპანი თუ პირიქით, არ მახსოვს.

იმ ჩემპიონატზე საბჭოთა ნაკრებმა ყველა კონკურენტს მოუგო, მათ შორის, აშშ-ის გუნდსაც (30-ქულიანი სხვაობით). შესაძლოა, ვიღაცამ ეს არასერიოზულად აღიქვას - ამერიკას რა ნაკრებიც ეყოლებოდა, გასაგებიაო. არც ეგრე იყო საქმე. ერთი წლის შემდეგ ისევ სტუდენტური ლიგის მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა ამერიკის ნაკრებმა საბჭოთა კავშირის ნაკრებს რომის ოლიმპიადის ფინალში დამაჯერებლად მოუგო. იმ დროს ამერიკელთა უპირველეს ვარსკვლავებად ბი ბრედლი და ოსკარ რობერტსონი ითვლებოდნენ. ბრედლი დღეს კონგრესმენია, რობერტსონი კი ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი უძლიერესი მცველი გახდა.

ისევ ჩილეს დავუბრუნდეთ. ბოლო შეხვედრა საბჭოთა კავშირის ნაკრებს ტაივანის გუნდთან უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობამ პოლიტიკური მოტივით ტაივანთან თამაშზე უარი განაცხადა. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ საბჭოთა კავშირის ნაკრების მიერ მანამდე ჩატარებული მატჩების შედეგები გააუქმა. ქართველებისთვის ამ ფაქტის გახსენებისას მთავარი ისაა, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული დაკარგა ორმა ქართველმა, ორმა გურამმა – მინაშვილმა და აბაშიძემ. მინაშვილს ყველა კარგად იცნობს, მაგრამ ფაქტობრივი მსოფლიო ჩემპიონის, გურამ აბაშიძის სახელი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ბევრს არც გაუგონია (ღმერთმა ქნას, ვცდებოდე). ვფიქრობ, ამ ორ მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრას როგორმე ორგანიზება უნდა გაუკეთდეს იმ პერიპეტიების, თავგადასავლების (და არა მარტო) გასახსენებლად, რაც ამ დიდ სპორტსმენებს გადახდათ. აქვე მინდა გავიხსენო გურამ მინაშვილის თავს გადამხდარი ერთი ამბავი. იტალიაში, ბოლონიაში, 60-იან წლებში ტრადიციულად ტარდებოდა მაირანოს თასის გათამაშება. 1960 წელს ამ ტურნირის საუკეთესო კალათბურთელად გურამ მინაშვილი დაასახელეს. ჩემი ღრმა რწმენით, უამრავ კალათბურთელს და სპორტის ამ სახეობის მოყვარულს სასიამოვნო წუთებს განაცდევინებს ამ ამბების გახსენება. ახლა კიდევ ერთი რამ გამახსენდა, რომელიც ფეხბურთს ეხება. 1953 წელს, უკვე ჩემპიონ თბილისის "დინამოს", მკერდიდან ჩამოგლიჯეს ოქროს მედლები. მინდა, წინადადებით მივმართო მას, ვისაც ეხება: იქნებ როგორმე მოხერხდეს, 1953 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონ ფეხბურთელებს და 1959 წელს მსოფლიო ჩემპიონ კალათბურთელებს მათი კუთვნილი მედლები სამახსოვროდ გადაეცეთ.

ქრივი

ჯერ რევუტაცია, შემდეგ ტიტულები

გიგა გურასაშვილი

კრივის მსოფლიოს საბჭო (WBC), რომლის სიტყვაც და ჯილდოც აგრერიგად ფასობს კრივის სამყაროში, სიტყვას ბანზე უგდებენ. ბრიტანელი ლენოქს ლუისი, რომელიც საბჭოს საჩემპიონო ქამრის მატარებელია, WBC-ის მახვშთა მოთხოვნას, უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსთან ტიტულის დამცავი ორთაბრძოლა ჩაატაროს, აინუნშიც არ აგდებს. თუმცა, საბჭოს წინააღმდეგ წასული ლუისი უბრძოლველად არ რჩება. უბრალოდ, უკრაინელის მაგივრად, კანადელ კირკ ჯონსონს შეერკინება. ამასთან, ბრძოლამდე რინგზე WBC უმთავრესი ტიტულის ნაცვლად, ნაკლებად პატივდებულ კრივის საერთაშორისო ორგანიზაციის (IBO) საჩემპიონო ქამარს ჩამოატარებენ. საქმე 21 ივნისისთვისაა გაჩარხული. ორთაბრძოლის მასპინძელი ლოს ანჯელესია.

REUTERS
ლუისმა და ჯონსონმა ივნისამდე მუშტები მოიღერეს

ერთწლიანი შესვენების შემდეგ, როგორც იქნა, ლუისის რინგზე გამოსვლის დღეც დათქვეს. 21 ივნისს ბრიტანელი ყოფილ თანამემამულეს, კანადელ კირკ ჯონსონს ლოს ანჯელესში, "სტეიპლზ სენტერსში" შეერკინება. ივნისში კანადელისა და ბრიტანელის ორთაბრძოლა WBC-ის (საბჭოს) საჩემპიონო ქამრის გარეშე ჩაივლის. საბჭოს პრესტიჟულ ქამარს კი ნაკლებად წონიანი IBO-ს (საერთაშორისო ორგანიზაციის) ტიტული შეცვლის. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია ნაკლებად პრესტიჟულია, ბრიტანელი მძიმეწონოსანი, რომელიც, საბჭოსთან ერთად, ზემოთ აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციის უმთავრეს ტიტულსაც ფლობს, ჯონსონთან ორთაბრძოლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ლუისს მიაჩნია, რომ საქმე მის რეპუტაციას ეხება და არა ქამრების ავკარგიანობას.

"საკუთარი რეპუტაცია ბევრად უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე სხვა დანარჩენი ტიტულები. ამაზე მაღალი ჯილდო არ არსებობს", - მოკლედ მოჭრა ბრიტანელმა.

ის, რომ ლუისი, როგორც საბჭოს საჩემპიონო ქამრის მფლობელი, ვალდებულია, ტიტულის დამცავი ორთაბრძოლა უკრაინელ ვიტალი კლიჩკოსთან გამართოს, ეტყობა, არ ანაღვლებს. საბჭოშიც გარინდულან და ლუისის წინააღმდეგ სანქციებისგან თავს იკავებენ. ოღონდ, ერთი პირობით: ლუისს არ ჩამოერთმევა საბჭოს ტიტული, თუ იგი ჯონსონთან ორთაბრძოლის შემდეგ ნომერ პირველ პრეტენდენტთან, ვიტალი კლიჩკოსთან დაპირისპირებას დათანხმდება. ამასთან, ლუისსაც და კლიჩკოსაც მოსალაპარაკებელ ვადად მიმდინარე წლის 1 ივლისი დაუთქვა. ბანაკებს შორის კონტრაქტზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, მათ, დამატებით, 15 დღე მიეცემათ.

WBC წესების თანახმად, ჩემპიონი ვალდებულია, წელიწადში ერთხელ ოფიციალურ პრეტენდენტთან გამართოს ტიტულის დამცავი ბრძოლა. ასეთი კი ვიტალია, რომელსაც 28 მარტის სასამართლო განაჩენიც უმაგრებს ზურგს. დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, საბჭოს მოხელენი უძლურნი აღმოჩნდნენ, ლუისის მიმართ პრინციპულობა გამოეჩინათ. საბჭო იძულებული გახდა, საკუთარი იურისტების უყურადღებობის გამო, იტალიური წარმოშობის გერმანელ მოკრივეს, გრაციანო როკიჯანის, 31 მილიონი დოლარი გადაუხადოს, რაზეც ორიოდე დღის წინ ვიუწყებოდით კიდეც. ზედმეტი გასავლის გამო საბჭომ გაკოტრების პროცედურაც კი წამოიწყო. ასე რომ, WBC, ჯერჯერობით, არც საჩემპიონო ორთაბრძოლების გამართვის საშუალება აქვს და არც საკუთარი პირობების კარნახის. ყველაფერმა ამან, რა თქმა უნდა, ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულა ლუისჯონსონის არასაბჭოსეული ტიტულის 21 ივნისის 12-რაუნდიან დაპირისპირებაზე.

საქმე ის არის, რომ უკრაინელმა ნევადის სასამართლოში საქმე აღძრა, რომელიც შემდეგ მოიგო კიდეც. ანუ, კლიჩკომ თავი დაიზღვია, უფრო სწორად, განაჩენის თანახმად, ლუის-ჯონსონის დაპირისპირებაში საბჭოს ტიტულისთვის ორთაბრძოლა თავიდანვე გამორიცხული უნდა ყოფილიყო, რადგან უმთავრესი ტიტულისთვის შესარკინებლად ყველა უფლება მას ეკუთვნის. სასამართლოს ამგვარი გადაწყვეტილება წინ უძღოდა (ერთი დღით ადრე. - რედ.) ლუის-ჯონსონის მატჩთან დაკავშირებულ 24 ივნისის პრესკონფერენციას.

ჩოგბურთი

რევანში შედგა

ჰიუსტონი (აშშ) (ვაჟები) მეორე წრე

ანდრე აგასი (აშშ, 1)
– ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:0, 6:2
ენდი როდიკი (აშშ, 2)
– პოლ გოლდშტეინი (აშშ) 7:5, 6:4
ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია)
– ვინსენტ სპეიდია (აშშ, 5) 4:6, 7:6 (8:6), 6:3
ოლივიე მიუტი (საფრანგეთი)
- ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) 6:2, 6:2
რიკარდო მელიო (ბრაზილია)
– ტოდ მარტინი (აშშ) 7:6 (8:6), 6:1
მერდი ფიში (აშშ)
– ლუის ჰორნა (პერუ) 6:2, 6:4
იურგენ მელცერი (ავსტრია)
– კენეტ კარლსენი (დანია) 5:7, 6:3, 6:4

არ ჩამოვარდა მეხი ორჯერ ერთსა და იმავე ადგილზე, ვერ მოუგო ირაკლი ლაბაძემ ანდრე აგასის და ჰიუსტონის ტურნირს დაემშვიდობა. სიმართლე რომ ითქვას, ახალგაზრდა ქართველთან ზედიზედ მეორედ დამარცხება აგასისთვის მეტისმეტი იქნებოდა და ეს მეტისმეტი თავად აგასიმ არ დაუშვა. მისი უპირატესობა იმდენად დიდი იყო, რომ ირაკლის ამ შეხვედრაში იოტისოდენა შანსი არ ჰქონია. ამჟამად ამერიკელი შესანიშნავ ფორმაშია და ტურნირს რომ აგრძელებს, სავსებით ლოგიკურია.

მომდევნო წრეში გავიდა ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული ენდი როდიკიც. აგასის მსგავსად, როდიკმაც თანამემამულე პოლ გოლდშტეინი ორ სეტში დაამარცხა, მაგრამ ბრძოლა მაინც დაძაბული გამოდგა. გულშემატკივართათვის საინტერესო აღმოჩნდა ამერიკულ-ბრაზილიური დაპირისპირება, რომელიც სამხრეთამერიკელთა უპირობო გამარჯვებით დასრულდა. მეხუთე ნომრად განთესილი ვინსენტ სპეიდია, მოულოდნელად ფერნანდო მელიგენთან დამარცხდა. ეს ამერიკელთათვის ნამდვილი სიურპრიზი იყო. სპეიდია ძალიან კარგ ფორმაში იყო და მისგან ასეთ უსახელო გამოსვლას არავინ ელოდა. პირველი, მოგებული სეტის შემდეგ, სპეიდიას უპირატესობა თითქოს ეჭვს არ იწვევდა, მაგრამ მეორე სეტში ბრაზილიელმა მოულოდნელად დიდი წინააღმდეგობა გაუწია მეტოქეს, ტაი-ბრეიკზე მოუგო და მისი წინააღმდეგობა გატეხა. გადამწყვეტ, მესამე სეტში, ამერიკელი ინერციით თამაშობდა.

კიდევ ერთ ამერიკულ-ბრაზილიურ დუელში რიკარდო მელიომ ტოდ მარტინს სძლია. ეს უკვე რაღაც მისტიკურს ჰგავდა. ამერიკელები ვერაფრით ეგუებოდნენ მოვლენების ასეთ განვითარებას. ტოდ მარტინმა მეორე სეტში, ფაქტობრივად, წინააღმდეგობა შეწყვიტა. ასეთი ტოდი არავის უნახავს. ის ხომ ყოველთვის ბრძოლის ჟინითა და უნარით გამოირჩეოდა. სამაგიეროდ მოიგო მერდი ფიშმა და გულშემატკივართა თვალში ამერიკელ ჩოგბურთელთა ერთგვარი რეაბილიტაცია მოახდინა. მან პირველ წრეში დაამარცხა ერთ-ერთი სენსაციის ავტორი, პერუელი ლუის ჰორნა, რომელმაც, თავის მხრივ, გამოთიშა მეექვსე ნომრად განთესილი ამერიკელი იან-მაიკლ გემბილი. ჰორნასთან მატჩში ფიშის უპირატესობა უდავო იყო – 6:2, 6:4 ამერიკელის სასარგებლოდ.

ინტერნეტის განვითარების ჯგუფი - საქართველო აწყობს სასკოლო ინტერნეტის გვერდების კონკურსს

განაცხადი კონკურსში მონაწილეობის თაობაზე სკოლის ადმინისტრაციისაგან მიიღება 1 მაისამდე
კონკურსის პირობები კავშირის გვერდზე
www.idg-georgia.org.ge
ან
თვით კავშირში
თბილისი, რუსთაველის **22.** ტელეფონი: **990037**
ელ. ფოსტა: **idg@idg-georgia.org.ge**

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9⁰⁰-დან 20⁰⁰-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ა ც ხ ა დ ე ბ ს

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.
ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.
მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742



ბინები

იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება ან ქირავდება 5-ოთახიანი ბინა მაღალ ბელეტაუზე კეკელიძის №25-ში. ბინის საერთო ფართი 160 კვ.მ. ავტონომიური გათბობის სისტემით, ბარით, სარდაფით და ავტოფარეხით. გაქირავების ფასი 380 $, გაყიდვის ფასი 50 000 $. 23 40 68, 8(93) 32 32 74

იყიდება 3-ოთახიანი გარემონტებული კუთხის ნათელი ბინა კაპიტალურ ავტოფარეხთან ერთად. ნერეთლის გამზირზე (გამოფენის პირდაპირ) 7(8). ფასი 22 000$. ტელ: 33-25-20.

იყიდება ჩეხური პროექტის 3-ოთახიანი ბინა რჩეულიშვილის ქუჩაზე, კაპიტალური სარდაფით, ავტოფარეხით, ტელეფონით, კონდიციონერით, წყლის გამაცხელებლით. ფასი 24 000$. ტელ 29-17-53, 899 548425

იყიდება 1500 კვ.მ. ხეხილიანი სააგარაკე მიწის ნაკვეთი. შემოღობილი. არის სარწყავი წყალი, დენი, კარგი გზა, სახლის ფუნდამენტი. თბილისიდან 20 კმ-ში გომბორის გადასახვევამდე. ფასი შეთანხმებით. ტელ: 23-11-38

იყიდება დოლიძის ქუჩაზე 5-ოთახიანი ნათელი ბინა 2(8) დარჩენილია კოსმეტიკური სამუშაო, ორი აივნით, დიდი სათავსით, მანქანის სადგომით. ფასი: 32 000$. ტელ: 23-11-38

იყიდება!
სასწრაფოდ, ოროთახიანი (გადაკეთებული 4-ად) არასტანდარტული მაღალჭერიანი (3.10მ) კუთხის ბინა 9(9) საბურთალოზე, ს. ზაქარიაძის ქუჩაზე (მ. "გოცირიძე"). საერთო ფართი135 კვ.მ. 3 აივნით, 2 ტუალეტით, 2 სათავსოთი, სარდაფით, ტელეფონით, ბ/ა. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 39-53-41 69-94-27 ბელა.

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

განვადებით შევიძენ 2 ან 3 ოთახიან ბინას 3 000 დოლარის წინასწარ გადახდით. ტელ: 77-73-54, 77-75-73 კახა.

საშუამავლო ფირმა "კახი 98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა, გაყიდვა, გაქირავება, დაგირავებაში. ტელ: 23-70-91, 877 710590.

საშუამავლო ფირმა "კახი 98" ისესხებს და გაასესხებს თანხებს 5%-ში, იპოტეკის წესით. ტელ: 23-70-91, 877 710590.

ბინები

ქირა, გირაო

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ. ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ქირავდება 4-ოთახიანი ახალი ბინა მეტრო დელისთან, ზაქარიაძის ქ.8-ში ("პარლამენტის სახლში") მდებარე ახლადაშენებული სახლის მე-10 სართულზე, კარგი რემონტით, საერთო ფართი 160 კვ.მ. 3 საძინებლით, 3 სველი წერტილით, წყლით, გაზით. 4 აივნით. ბინა ცარიელია, გამოდგება საოფისედაც. ფასი შეთანხმებით. ტელ. 39.74.56 მამუკა.

გირავდება 3-ოთახიანი, ყველანაირად კეთილმოწყობილი ბინა ავეჯით, საბურთალოს ცენტრში. ფასი: 13000. ტელ: 877 766862, 877 710590.

მანქანები

იყიდება მერსედესი 123-200 D 1983 წლის გამოშვება დიზელზე, კარგ მდგომარეობაში. ფასი: 1900. 877 730866

იყიდება !
ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$ ტელ: 899 16 28 68



სწავლება

ლონდონში სტაჟირებული სპეციალისტი გთავაზობთ მხატვრულ ლიტერატურას, სამეცნიერო და სხვა სახის ნაშრომების მაღალი ხარისხის თარგმანებს. ქართულ-ინგლისურ, ინგლისურ-ქართულ, რუსულ-ინგლისურ ენებზე. ტელ: 96-64-12, 95-2034, 893 219442

ბრიტანეთში ასპირანტურა დამთავრებული და ამერიკაში სტაჟირებული სპეციალისტი მოამზადებს ინგლისურში ნებისმიერ მსურველს თანამედროვე სტანდარტებით. ტელ: 30-46-09, 893 32-01-34

ვამზადებთ უმაღლესი ხარისხის მასიურ ავეჯს, კარ-ფანჯრებს და კიბეებს, ჯიქიას N8; 8(93) 319707 - რამაზი

სხვადასხვა

დაგიწერთ ქართული ლიტერატურიდან ყველანაირ თემას. უმაღლესი ხარისხით. 61-66-67 თამუნა, ვაჟა.

კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49

მოვუვლი ბავშვს იდეალური პირობებით. 32-37-22

ვიმუშავებ მზარეულად ან მიმტანად ტელ: 32-37-22

კაზინო "მუმიას" ესაჭიროება კვალიფიციური დილერები. მისამართი მეტროსადგურ "ვარკეთილი"-ის თავზე. ტელ: 899 216566

გთავაზობთ უნიკალურ **ფრანგულ კოსმეტიკას**, რომელიც შესანიშნავია აგრეთვე მოზარდებისთვისაც. **საგაზაფხულო ფასდაკლება**. ჩაწერა წინასწარ 899 551722.

TV პროგრამა 26 აპრილი

რუსთავი - 2

08.00 კლასიკა
09.00 კურიერი
09.20 დრაკონთა მომთვინიერებლები
10.00 ჯადოქარი
10.45 საბავშვო ფილმი
12.00, 15.00 კურიერი
12.20 სიმფსონები
12.50 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.00 სერიალი „სახლი ძველ უბანში“
17.30 სერიალი „კოლომბო“
18.00, 01.00 კურიერი
18.20 სერიალი „კოლომბო“
19.15 ჩემპიონთა ლიგის კვირის მიმოხილვა
20.00 სერიალი „ჩინელი პოლიციელი“
20.50 ტელეკაზინო
21.00 კურიერი PS
22.00 ფსიქო. მხ.ფ. „ანდრეი რუბლოვი“
01.15 მხ.ფ. „ახალი ამბები გემიდან“ მთ. რ-ში: კევინ სპეისი, კეით ბლანშეტი.
03.20 ღამის ჯაზი

პირველი არხი

08.00, 15.00 მოამბე
08.15 მხ. ფილმი „მადმუაზელი“
09.25 შემეცნებითი ფილმი - მოგზაურობა დედამიწის გარშემო
10.00 დილის პაემანი
11.05 მხიარული კარუსელი
11.30 გლობუსი
12.00 „მეტრო“
12.40 კვალი
13.10 დოკ.ფილმი „ჰონკონგი ხუთი წლის შემდეგ“
14.05 ზღვარი
14.25 „საქართველო, დრო, მოვლენები“
15.15 მხ.ფილმი „კაცი, რომელიც ტიროდა“
16.55 საწინდარი
17.30 ოქროს ვეძტორი
18.00 ვესტნიკი
18.45 „თბილისის დროით“
19.05 ენერგია
19.35 გინდ დაიჯერეთ გინდ არა
20.00 ცაიტნოტი
21.10 ტელესერიალი „სანდრა და მისი გუნდი“ მე-3 ს.
22.05 „ფორტუნა“
22.45 პროფათეული
23.25 არტ-მოგილი
23.45 მოამგე
00.00 აღდგომის დღესასწაული.

პირველი სტერეო

10.00 ტოროლა
13.00 გან. ათეული
13.45 ფილმი
15.45 ფილმი
16.00 ფილმი „კლუბი“ მთ.რ-ში გი მარშანი
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.50, 20.15 სველი ხაზი
21.15 ქართული მუსათეული
22.35 კვირის საუკ. ლექსები
23.00 აბა გამოიცანი კადრი
00.00 ფილმი გრავო „ახალი ჭიანჭველები შარვალში“
01.50 ფილმი ღამურა „მონადირის მთვარე“
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00 მულტფილმი
19.30 ორატორი
19.40 სერიალი „ნაპოლეონი“
20.30 „ახლო ხედი“
21.00 დოკ. ფილმი
21.40 მხ. ფილმი „იდიოტების აღლუმი“

იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „სასიკვდილო ცდუნება“
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია“
15.15 მხ. ფილმი
17.30 მუსიკა
18.00, 19.30 მულტფილმი
18.45 გუნების ფერები
20.30 ლიტერატურული გადაცემა - სილუეტი
21.00 დოკ. ფილმი
23.30 მუსიკალურ ტალღაზე
01.30 მხ.ფ. „შეყვარებული შეძსპირი“
02.40 ღამის ფილმი

ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 სალონი
13.30 ექიმი გვირჩევს
14.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საბავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება
16.00 ლაბირინთი
17.00 მუსიკალური პაუზა
17.30 თქვენი ადვოკატი
18.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
20.00 თინეიჯერი
21.30 „ზერკალო“
22.00 „და ღმერთმა შექმნა ქალი“
22.30 საოცარი პირამიდა
23.30 ტელესერიალი „ყავახანა“
23.45 თეატრალური შეხვედრები
00.45 მხ. ფილმი „გლადიატორი“

მესხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.50, 17.50, 18.25, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
10.25 მულტსერიალი „ბანანების ზოოპარკი“
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“
12.00 დოკ. ფილმი „ტიტანიკის საიდუმლოებანი“
12.45 მხ. ფილმი „ჭირვეულის მორჯულება“
14.15 „ტელემეტრი“
14.45 მხ. ფილმი „პირველი ცხრანახევარი კვირა“
16.35 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება“
18.00 მხ.სერიალი „ალექს მაკის საიდუმლო სამყარო“
18.25 მულტსერიალი „ბანანების ზოოპარკი“
19.00 „საუბრები სტუდიაში“
20.00 ფილმი-კონცერტი: მუდი ბლუზი. 1-ლი ნ.
21.00 ფილმი-კონცერტი: მუდი ბლუზი. მე-2 ნ.
22.00 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები“. „პენსია“
22.15 მხ. ფილმი „ნიანგი“
00.20 მხ. ფილმი „თომას კრაუნის აფიორა“

იმედი

11.00, 01.20 ახალი ამბების დაიჯესტი
11.05, 01.25 იმედის მელოდიები
12.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა
12.10 ანიმაციური ფილმი „ფანტომეტა“
12.30 ახალგაზრდული სერიალი „უკიდურესი ზღვარი“
13.30 თამაში „ბოიარის ციხესიმაბრე“
14.30 „ჩ-კლუზივი“
15.15 რეტროსპექტივა
17.05 დოკ. სერიალი „მსოფლიოს ყველაზე იდუმალი ადგილები“
18.00 სერიალი „იუდას ქალი“
19.30 სერიალი „ნირო ვულფი“
20.55 თოქ-შოუ „არჩევანი თქვენ“
22.45 „საღამოს ღიმილი“
23.00 „კლიპ-ლოტო“
23.30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. „რომა“-„მილანი“ 1-ლი ტ. „კლიპ-ლოტო“
00.30 ფეხბურთი. მე-2 ტაიმი.

აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.15 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 ისტორიული ფილმი „რანი“
12.15 თრილერი „ბაზა-2“
14.10 მელოდრამა „იმედის გამობრწყინება“
16.15 მულტფილმი „ზურმუხტოვანი ქალაქის ჯადოქარი“
16.50 კომედია „სათევზაოდ!“
18.20 მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ჩარლი ჩაპლინი“
19.20, 22.40, 00.30 „ნოვოსტი“
19.30, 22.30 „პრესდაიჯესტი“
19.35 „ყველანი ვართ პატარები“
19.40 სათაგზადასავლო ფილმი „აგენტი ზედმეტსახელად სპორტი“
21.15 დოკუმენტური ფილმი
21.50 „გალერეა“
22.00, 00.00 „დღეს“
23.00 Слово
23.30 დოკუმენტური ფილმი
00.50 „ქართული კინო“
03.30 მხატვრული ფილმი „იესო“

VII არხი

18.10 მოგილურები
18.50 მელოდია
19.00 „აჩიკუდა
19.20 „ბედნიერი ერი“ ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით
19.25 კომპიუტერული თამაშები
19.30 ღამის კაპრიზი
20.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
20.55 დოკ.ფილმი
21.15 კომპიუტერული ტექნიკა
21.55 მელოდია
22.05 „კინოკლუბი „ - „მეფე დავითი“
23.35 აუდიო - ვიდეო - ტელე
00.15 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“ -ესპანეთის ჩემპიონატი.

1 ОРТ

07.00, 08.00, 11.00, 15.00, 19.00, 01.50 Новости
07.10 „НИКУДЫШНАЯ“
09.20 Играй гармонь любимая!
10.00 Слово пастыря
10.15 Здоровье
11.10 Смак с А.Макаревичем
11.30 Смехопанорама
12.15 „Возвращение домой. Владимир Жириновский. Алма-Ата“
13.10 Путешествие натуралиста
13.40 Док. фильм „Раб и его женщины“
14.05 Умницы и умники
14.35 Дисней-клуб
15.15 Памяти Сергея Журавлева
16.15 Спасатели. Экстренный вызов.
16.45 „Тайны забытых побед“. „Скальпель“
17.15 Худ. фильм „ТЫ ЕСТЬ“
19.20 Док. фильм „Доктор Рошаль“
19.55 „Кто хочет стать миллионером?“
21.00 „Последний герой-3“
22.00 Время
22.30 Худ. фильм „КАЛИНА КРАСНАЯ“
00.30 Трансляция богослужения из Храма Христа Спасителя
04.20 Худ. фильм „ЖЕНИТЬБА БАЛЬЗАМИНОВА“

РТР

07.00 Худ. фильм „ЕВДОКИЯ“
08.50 Мультфильмы
09.05 „Здоровье“
09.40 Золотой ключ
10.00 „Сборная России“. Спорт. программа
10.25 „Военная программа“
10.45 Утренная почта
11.20 „Сто к одному“
12.15 Сам себе режиссер
13.15 В поисках приключений
14.10 Клуб сенаторов
15.00, 21.00, 06.00 Вести
15.20, 03.45 Худ.фильм „МУЖИКИ!“
17.00 Худ.фильм „ВЛЮБЛЕН П СОБСТВЕННОМУ ЖЕЛАНИЮ“
19.00 „Моя семья“
20.00 Аншлаг
21.25 „Зеркало“
21.50 „Честный детектив“
22.15 Худ.фильм „СЕВЕРНОЕ СИЯНИЕ“
00.20 „Пасхальные торжества в России“
02.00 Худ.фильм „ОДНА НА МИЛЛИОН“

НТВ

07.00 Худ. фильм „ГОЛУБОЕ ДЕРЕВО“
07.45, 09.05 Худ.фильм „Джеймс Бонд - Агент 007“
09.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 Сегодня
10.00 „Без рецепта“
10.30 Путешествия натуралиста
11.05 „Кулинарный поединок“.
12.05 „Квартирный вопрос“.
13.05 „Профессия - репортер“
13.25 Служба спасения
14.05 Детектив „ЧУЖИЕ ЗДЕСЬ НЕ ХОДЯТ“
15.35 Всеправославная Молитва: Схождение Благодатного огня.
17.00, 18.00, 20.00 Сегодня
17.15 Спорт „ЛОТТО 6 из 49“
17.20 „Женский взгляд“. Н. Кобзон.
18.05 Худ. фильм „РОЖДЕННАЯ СВОБОДНОЙ“
20.35 Сериал „СЫЩИКИ-2“
21.55 Худ.фильм „РИМСКИЕ КАНИКУЛЫ“
00.30 Пасхальное Богослужение в Казанском Кафедральном Соборе.
01.45 Худ. фильм „С ВЕЧЕРА ДО ПОЛУДНЯ“

პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო 'ინფოზავრის' წებართვით

აფიშა

თეატრები

■ მარჯანიშვილის თეატრი
ლაშა თაბუკაშვილის "ნატაძრალი", რეჟ: ნუკრი ქანთარია, მთავარ როლებში ედიშერ მაღლაფერიძე, გურანდა გაბუნია
დას: 18:00 სთ; ფასი 3-6 ლარი

■ თავისუფალი თეატრი
"კომედიანტები", რეჟ. ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ, ფასი 3,5 ლარი

■ სამეფო უბნის თეატრი
პრემიერა "აი ეს სკამი, აი ეს საწოლი", რეჟ. დავით საყვარელიძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

■ ჰანტომიმის თეატრი
"სტუმარ-მასპინძელი", რეჟ. ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

საგამოფენო დარბაზები

■ „ქარვასლა"
გიორგი რევაზიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
გახსნა 16:00 სთ

კინოთეატრები

■ „ამირანი"
"ფრიდა"
დას: 20:00; 22:00 სთ; ფასი 6-9 ლარი
"გაანალიზე 2"
დას: 16:00; 18:00 სთ; ფასი 6-8 ლარი

■ „რუსთაველი"
"ძალიან მაგარი ქალი"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"დეარ დევილი"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 7,9 ლარი
"სახიფათო ადამიანის აღსარება"
დას: 19:00 სთ; ფასი 7 ლარი

საიუველირო ხელოვნების საოცრებანი - ფაბერჟეს სააღდგომო კვერცხები

ნინო ჭანიშვილი

"კორონაციის ეტლი" 1897წ. ავტორები: მიხეილ პერშინი, ჰენრიკ ვინსტრომი

"მიძინების საკათედრო ტაძარი" 1904წ.

ფაბერჟეს ფირმის ნაკეთობები

"არზოვის სამახსოვროდ" 1891წ. ავტორი მიხეილ პერშინი

უძველესი დროიდან კვერცხი დაბადებისა და აღდგომის სიმბოლოს წარმოადგენდა. ეგვიპტელები მას გარდაცვლილის სარკოფაგთან დებდნენ, ბერძნები კი -საფლავებზე. ადრექრისტიანული ეკლესიაც კვერცხს, როგორც სასნაულს ისე აღიქვამდა. ერთი აპოკრიფული ლეგენდის მიხედვით, კვერცხებით მოვაჭრე ღარიბი ვაჭარი ქრისტეს ჯვრის ზიდვაში ეხმარებოდა. სახლში დაბრუნებულმა კი აღმოაჩინა, რომ კვერცხები ცისარტყელის ფერებით ბრწყინავდა. შემდგომში კვერცხმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ქრისტიანობის ისტორიაში. სააღდგომო კვერცხის წითლად შეღებვა მე-13 საუკუნეში გაჩნდა. წითელი - სიყვარულისა და სიხარულის ფერი, ამავე დროს ქრისტეს სისხლს განასახიერებდა.

რელიგიურ თემაზე მოხატული კვერცხები უკვე მე-13 საუკუნეში არსებობდა. ხოლო აღდგომაზე სპეციალურად დამზადებული და მორთული კვერცხების ჩუქების ტრადიცია მე-16 საუკუნეში გაჩნდა, როცა საფრანგეთის მეფეს, ფრანცისკ პირველს (1494-1547) ხის კვერცხი მიართვეს, რომელზეც ქრისტეს ვნებები იყო ამოკვეთილი. მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ხე მინით, ფაიფურით, ძვირფასი ლითონებითა და პაპიე-მაშეთი შეიცვალა.

მე-19 საუკუნის რუსეთში სააღდგომო კვერცხების დამზადების ნამდვილი ბუმი იყო. კეთდებოდა კვერცხის ფორმის გულსაკიდები, დასადგამი კვერცხები, კვერცხი სასახლეები, საათები, კვერცხი სიურპრიზებით, პორტრეტებით, სათამაშოებით. პირველხარისხოვან და გამოჩენილ იუველირებთან (ოვჩინიკოვი, საზიკოვი, ზოტოვი, ფენდტი) ერთად, სააღდგომო კვერცხების გაკეთებით ნებისმიერი რანგის ხელოსანი იყო დაკავებული.

თუმცა, სააღდგომო კვერცხების დამზადება "მისი აღმატებულების მიმწოდებლის", საიმპერატორო კარის იუველირის - კარლ ფაბერჟეს სახელთან ასოცირდება.

რუსეთის საიმპერატორო კარისთვის სააღდგომო კვერცხების შექმნის ტრადიცია 1884 წლიდან იწყება - პირველი სააღდგომო კვერცხი ფაბერჟეს ფირმამ იმპერატორ ალექსანდრე III-ის მეუღლესთვის მარია ფიოდოროვნასთვის შექმნა. ეს იყო თეთრი მინანქრით დაფარული ოქროს კვერცხი, რომელშიც ფერადი ოქროს ქათამი იმალებოდა. ქათამს შიგნით "სიურპრიზი ჰქონდა" – იმპერატორის გვირგვინი და მას შემდეგ, სააღდგომო კვერცხების დამზადება ფირმის ყველაზე პრიორიტეტული და საპასუხისმგებლო საქმინობა გახდა, რომლითაც საუკეთესო ოსტატები, პერხინი და ვინგსტრომი იყვნენ დაკავებულები. ფაბერჟეს სახელოსნოებში დრო არანაირ როლს არ თამაშობდა, სააღდგომო კვერცხები წლების განმავლობაში იქმნებოდა.

ფაბერჟემ ალექსანდრე III-სთვის 11 სააღდგომო კვერცხი შექმნა. ტრადიცია ალექსანდრეს შვილმა ნიკოლოზ II-ემ გააგრძელა.

ფაბერჟეს ფირმის მიერ შექმნილ ყოველ სააღდგომო კვერცხში "სიურპრიზი" იმალებოდა, რითაც ბავშვებით ერთობოდნენ იმპერატორის კარზე. "თქვენი აღმატებულება კმაყოფილი დარჩება" – ასე პასუხობდა კარლ ფაბერჟე ყოველ მორიგი სიუჟეტის შესახებ იმპერატორს. და მართლაც, ყოველ სააღდგომო კვერცხს აღტაცებაში მოჰყავდა იმპერატორი თავისი განუმეორებლობით. პოპულარული სიუჟეტები იყო საიმპერატორო ოჯახის პორტრეტები და მათ ცხოვრებასთან დაკავშირებული ადგილები და მოვლენები. კვერცხი გაკეთებული ნიკოლოზ II-სთვის მისი აღსაყდრების 15 წლისთავთან დაკავშირებით მორთული იყო მხატვარ ვასილი ზუევის მინიატურებით, რომელზეც გამოსახული იყო იმპერატორის, მისი მეუღლის, მათი შვილების პორტრეტები და ცნობილი ისტორიული მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ნიკოლოზის მმართველობის დროს. ეს თავისებური საოჯახო ალბომი ნიკოლოზ II-მ 1911 წლის აღდგომაზე მეუღლეს აჩუქა.

ფაბერჟეს ფირმის ფანტაზიას საზღვარი არ ჰქონდა, როგორც ტექნიკური, ასევე შემოქმედებითი თვალსაზრისით. კვერცხში, რომელიც 1896 წლის ნიკოლოზ II-ს კორონაციას ეძღვნება, ჩადებული იყო იმ ეტლის მინიატურული ასლი, რომლშიც ნიკოლოზი და ალექსანდრა ფიოდოროვნა კორონაციის დროს ისხდნენ. ეტლის კარები, რომლის ფანჯრებიც ბროლისაგან იყო დამზადებული, იხსნებოდა.

კვერცხში "აზოვის სამახსოვროდ" განთავსებული იყო ოქროს და პლატინისაგან გაკეთებული კრეისერი, რომელიც ზუსტად ასახავს გემის ყველა დეტალს. მისი ფანჯრები ალმასისგანაა გაკეთებული. ხოლო ზღვის იმიტაციას აკვამარინის მოლურჯო-მომწვანო ძირი წარმოადგენს. სიურპრიზი, ამ გემით ცესარევიჩ ნიკოლოზის (მომავალში ნიკოლოზ II) 1890-91 წლებში აღმოსავლეთში მოგზაურობას ეძღვნება, რომლის დროსაც მას ქალაქ ოცუში ფანატიკოსი იაპონელი დაესხა თავს. ტახტის მემკვიდრე სასწაულებრივად გადარჩა. მისი მოგზაურობა ვლადივასტოკში დასრულდა, სადაც ცესარევიჩმა საფუძველი ჩაუყარა ტრანს ციმბირულ სარკინიგზო გზის მშენებლობას. ციმბირის სარკინიგზო მაგისტრალი 1900 წელს გაიხსნა, რომელიც რუსეთის ევროპულ და აზიურ ნაწილებს ერთმანეთთან აკავშირებდა, რაც დიდი მოვლენა იყო მაშინდელი რუსეთისთვის და სწორედ ეს იქცა 1901 წლის სააღდგომო კვერცხის სიურპრიზად. პლატინისა და ოქროს მატარებლის მოდელი ორთქმავლითა და 5 ვაგონით, მოქმედი იყო; მისი მექანიზმი ოქროს გასაღებით იქოქებოდა.

ერთი კვერცხის სიურპრიზისთვის ფაბერჟემ თემად აღდგომის სიუჟეტი აიღო. ეს არის ბროლის გარსში განთავსებული სამფიგურიანი კომპოზიცია – საფლავიდან აღმდგარი ქრისტე ანგელოზებს შორის.

განსაკუთრებულ ბრწყინვალებას ფებერჟეს კვერცხებს "ემალ-გილიოშის" გამოყენება ანიჭებდა. ეს იყო გამჭირვალე ფერადი მინანქრი, რომლის ქვეშაც სხვადასხვა ფორმებად დაღარული ზედაპირი მოჩანდა. მომინანქრებული კვერცხები ძვირფასი თვლებით იმკობოდა. ფაბერჟეს ფირმის მინანქრის პალიტრა 124 ფერს ითვლიდა.

გარდა საიმპერატორო კვერცხებისა, ფაბერჟეს ფირმამ 12 სააღდგომო კვერცხი შექმნა ციმბირში ოქროს საბადოების მფლობელის ალექსანდრე კელჩისთვის, ასევე თავად იუსუპოვისთვის და ჰერცოგინია მალრბოროსათვის.

1917 წლის აღდგომისათვის შეკვეთილი საიმპერატორო კვერცხი რევოლუციის ქარ-ცეცხლში დაუსრულებელი დარჩა. "საიმპერატორო კარის მიმწოდებელმა" კარლ ფაბერჟემ მხოლოდ 10 წუთი ითხოვა იმისთვის, რომ წლების განმავლობაში შექმნილი საიუველირო იმპერია დაეტოვებინა. იგი შვეიცარიაში გაემგზავრა, სადაც 1920 წელს გარდაიცვალა. უძვირფასესი საიმპერატორო კვერცხების კოლექცია ბოლშევიკების ხელში აღმოჩნდა. საბჭოთა მთავრობამ 1920-30-იან წლებში კაპიკებში მიჰყიდა დიდ ბრიტანეთსა და ამერიკას მათი დიდი ნაწილი. დღეს თითოეული სააღდგომო კვერცხის ფასი 5-6 მილიონ დოლარს აღწევს. ერთი ასეთი კვერცხი საბჭოთა ხელისუფლებამ მატარებლის ერთ ვაგონში გაცვალა. ამჟამად 56 კვერცხიდან მხოლოდ 10 ინახება რუსეთში - მოსკოვის კრემლში.

2002 წელს კრისტის აუქციონზე ნიკოლოზ II-ის შეკვეთით დამზადებული "ზამთრის კვერცხი" გამოიტანეს. მთის ბროლისგან გაკეთებული, 4 ათასი ბრილიანტით მოოჭვილი კვერცხის საწყისი ფასი 4-6 მილიონი დოლარი იყო. ვაჭრობის შედეგებმა მოლოდინს გადააჭარბა – "ზამთრის კვერცხი" 9,6 მილიონ დოლარად გაიყიდა.

მადონა: იპრანჭება თუ გვაუწყებს?

მელორ სტურუა

მადონა

REUTERS

მადონას ახალ ალბომში, "ამერიკული ცხოვრება" (American Life), რომლის დებიუტიც 22 აპრილს შედგა, ერთი კარგი საცეკვაო სიმღერაა: "მე არავინ მიცნობს" (Nobody Knows Me). მასში 44 წლის ვარსკვლავი მღერის: "ცუდია, როცა შენი არ ესმით. მაგრამ რატომ უნდა მადარდებდეს, თუ რას ფიქრობს ჩემზე მსოფლიო?" მადონა, ცხადია, ეშმაკობს. ერთია, რომ მისი, უკვე რა ხანია, გვესმის, უფრო სწორად, მივუხვდით. მეორეც ისაა, რომ მთელი თავისი ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში ის მხოლოდ იმას დარდობს, თუ რას ფიქრობს მასზე მსოფლიო, და, რაც მთავარია, როგორ ყიდულობს მას მსოფლიო.

მაგრამ, ამ ფიქრს ასეთი მაშტაბებისთვის, ალბათ, ჯერ არასოდეს მიულწევია. ცხადია, მადონას ყოველ ახალ ალბომს დიდი ხმაური ახლდა ხოლმე, მაგრამ ამჯერად მეტისმეტად დიდი ხმაური ატყდა. ეს, ბუნებრივია, ვიდეოკლიპის დამსახურებაა, რომელმაც, თავისთავად, სენსაცია გამოიწვია. პირველ რედაქციაში ის ანტისაომარ მოწოდებას შეიცავდა. მაგრამ შემდეგ "მატერიალური გოგონა" (მისი ქონება 300 მილიონ დოლარადაა შეფასებული) დაფრთხა და ვიდეოკლიპის გაშვება შეწყვიტა – რომ არავინ გაეღიზიანებინა. ახლა მადონა ამტკიცებს, რომ ასე იმიტომაც მოიქცა, რომ შეეშინდა, მისი კლიპი "პრეზიდენტ ბუშის მხარდაჭერად" არ მიეღოთ! ვის ატყუებ, გოგო!?

კლიპის ახალ ვარიანტში ხაკის ღრმად ჩახსნილ სამხედრო პერანგში გამოწყობილი მადონა პირდაპირ კამერაში იყურება, მის ზურგსუკან კი "მსოფლიოს ყველა დროშა" ფრიალებს, რომელთაც ფინალში ამერიკის დროშა ფარავს (კლიპის პრემიერა რამდენიმე დღის წინათ ტელეარხ VH1-ზე შედგა). ტექსტს დროშასთან იმდენივე აქვს საერთო, რამდენიც ერეკლეს ჩვენს თოროზაანთ თეკლესთან. მადონა დარდობს, რომ მატერიალური წარმატება (300 მილიონი დოლარი? მ.ს.) არ აკმაყოფილებს. "მე ამერიკული ოცნებით ვცოცხლობ... ახლა მივხვდი, რომ სინამდვილეში ყველაფერი ისეთი არაა, როგორადაც გვეჩვენება." კერძოდ, რა? მან ისეთ ასაკს მიაღწია, რომელსაც აღარც იოგა შველის, აღარც სალათა და აღარც კაბალა. სინამდვილეში, მთელი ალბომი ადამიანის ჩივილია, რომელიც, როგორც ამერიკელები იტყვიან ხოლმე, "ცხოვრების შუახანის კრიზისს" განიცდის. სიმღერაში "როგორი სულელი ვარ (I'm So Stupid) მადონა მღერის: "მე პატარა ქილაში ცხოვრებას შევეჩვიე; მე მინდოდა, ისეთივე ლამაზი ვყოფილიყავი, როგორიც ჩემს გარშემო მყოფნი იყვნენ. მაგრამ ახლა ზუსტად ვიცი, რომ სულელი ვიყავი". ისევ თვალთმაქცობს. ტელეარხ MTV-2-სთვის მიცემულ ინტერვიუში მადონამ თქვა: "იდეალურ ქალს ბრიტნი სპირსის გარეგნობა და მადონას ჭკუა უნდა ჰქონდესო".

აი, ეს უკვე საქმეა! მადონას მთელი უბედურება სისულელე კი არა, ჭკუაა. ის ხვდება, რომ 300 მილიონ დოლარადაც ვერ იყიდის ახალგაზრდობას და ბრიტნის გარეგნობას. მადონა მზადაა, სული ეშმაკს მიჰყიდოს, უბრალოდ, ვერსად იპოვნა. მისი მრავალწლიანი პროდიუსერი, მირვაიზ აჰმადძაი ამ როლს ვერაფრით ქაჩავს, თუმცა მან მადონას აკუსტიკური გიტარა და სინთეზატორების სასწაულები "გააცნო" (აღვნიშნავ, რომ აჰმაძაი მუსულმანია და თან საფრანგეთის მოქალაქე. ამაზე უფრო ანტიამერიკული კოქტეილი ძნელი წარმოსადგენიც კია! იქნებ მადონას ვიდეოკლიპის პირველი ვარიანტი სწორედ მისი ინსპირირებული იყო?)

მადონას ახალ ალბომში გიტარა მხოლოდ მუსიკალური ინსტრუმენტი როდია. ის მომღერალი ავტორის გულწრფელობის სიმბოლოს როლს ასრულებს; იმის სიმბოლოს, რომ მადონას აღარ უნდა, სექს-სიმბოლო და "წვეულების გოგონა" იყოს. მას "უბრალოდ" სიყვარული უნდა, უნდა, სევდიანი გახდეს, დაფიქრდეს. ადრეული დისკოს ექო ნოსტალგიას იწვევს, სიმღერებში კი ხშირად ისმის ასეთი ფრაზები: "შენ მაგრძნობინებ" და "მსხვერპლი უნდა გაიღო". რა უნდა იგრძნოს და რა უნდა გასწიროს, გაუგებარია. აკუსტიკური გიტარაც ვერაფერს შველის. მადონა მეტისმეტადაა საკუთარი თავით დაკავებული, ამიტომ მსმენელს მისი ემოციებისა და ტანჯვის გაზიარება, მათი დაჯერება უჭირს. სიმღერაში "მამა და დედა" ის ამბობს, რომ დედის სიკვდილმა მას სიყვარულის აღქმის უნარი დააკარგვინა. ხოლო სიმღერებში "ყველაფერი გამოდის" და "მეტისმეტი სიყვარული" ის სულ სხვა რამეს ამტკიცებს.

მადონას წინააღმდეგობების აღწერა სულ არ გვინდა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს წინააღმდეგობები სულიერი კოლიზიების შედეგი კი არა, პოზიორობაა. ის არაფერს გვაუწყებს, მხოლოდ იპრანჭება. ერთის მხრივ, მადონას სურს, მიწიერი იყოს, მეორეს მხრივ კი აცხადებს: "მე ყოველთვის ვოცნებობდი შენსავით ლამაზი ვინმეს პოვნაზე, მაგრამ ამ პროცესში დამავიწყდა, რომ მეც განსაკუთრებული ვარ". დაავიწყდა კია? ცხადია, არა! მადონას სხვა რამისა ეშინია: რომ გუშინდელმა თაყვანისმცემლებმა და ფანატებმა არ დაივიწყონ. და თავდაუზოგავად ახსენებს თავს.

"განსაკუთრებულობის" შესახებ სიმღერას მყვირალა სახელწოდება აქვს: "X-სტატიკური პროცესი" (X-static Process). თითქმის ასეთივე სახელწოდებით - X-static Pro=cess - ნიუ იორკის სოჰოში მოდის ფოტოგრაფის, სტივენ კლაინის გამოფენა გაიხსნა, რომელზეც აუდიო და ვიდეოინსტალაციები მადონას სიმღერებიდან ამოღებული ციტატებითაა სავსე. ისინი ძველ, ანუ ახალგაზრდა მადონასთან გვაბრუნებს – ექსტრავერტთან, ექსჰიბიციონისტთან, სექსსიმბოლოსთან. გამოფენის ცენტრალური ექსპონატი უზარმაზარი ფოტოსურათია, რომელზეც სცენაზე მუხლმოყრილი მადონაა გამოსახული, მის გვერდით კი საქორწილო კაბას ცეცხლი მოჰკიდებია. ამ ფონზე მომღერლის ხმა ისმის, რომელიც აღსარებათა წიგნის მრისხანე პასაჟების დეკლამირებას ახდენს. მეორე ექსპონატი ბოძზე მიბმული მადონაა. მას ტურები ეხვევიან (აქტეონის ახალი ვერსია?). კიდევ ერთი – მადონა დაჭმუჭნულ და ჭუჭყიან ლოგინში იკლაკნება. კიდევ – მაგიდაზე მჯდომ მადონას ფეხი კისერზე აქვს გადადებული. და ასე შემდეგ...

გამოფენა მადონას ახალი ალბომის გამოსვლისთვის გაიხსნა. ამავე თარიღს მიუსადაგეს მისი გამოჩენა სერიალში Will and Grace, ტელეარხ "ეი-ბი-სი"-ზე, ისევე, როგორც მისი ინტერვიუები და ძველი ჰიტები ტელეარხებზე VH1, MTV და MTV-2. ამავე დღისთვის გაიჟღერა მადონას მუქარამ მათი მისამართით, ვისაც მისი ალბომის მუქთად "დათრევა" და კომპიუტერიდან "გადაქაჩვა" აქვთ განზრახული – ამის მცდელობისთანავე ისინი... მადონას გინებას გადააწყდებიან: სიძულვილით ამბობს: "რას აკეთებ, შენი დედა...?" და ასე შემდეგ.

გამოფენა X-static Pro=cess-ის კატალოგში (350 გვერდი, მადონა ყველანაირ პოზაში) მადონა წერს: "X-static Pro=cess – ეს ხელოვნება არაა, ეს, საერთოდ, არაფერია". ამ ფორმულის პირველ ნაწილს იოლად დავეთანხმებით, მეორეს კი – ვერაფრით. "ეს" სულაც არაა "არაფერი". ეს დიდი პრანჭვაა, კიდევ ერთი ხერხი ბრბოს ყურადღების მისაზიდად, ბრბოსი, რომელმაც ახალი კერპები გაიჩინა. მადონა ვეღარაფერს გვაუწყებს. მაგრამ უყურადღებოდ დარჩენაც არ უნდა.

საშინელებათა დიდოსტატი

ლონდონში, V&A მუზეუმში, ცნობილი ფრანგი მოდის ფოტოგრაფის, 1991 წელს გარდაცვლილი გი ბურდენის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა. ეს ამ ოსტატის პირველი დიდი რეტროსპექტივა გახლავთ.

ბურდენის ფოტოსურათებზე მოდელები მკვლელობის მსხვერპლებს ჰგვანან, თუმცა გარემო, რომელშიც ეს მკვლელობა მოხდა, ყოველთვის ხაზგასმით მდიდრულია. ქალები ლოგინებზე არიან გართხმული, ამ სავარძლებში იკუნტებიან. "ის, უდავოდ, გენიოსია, მაგრამ მისი ნამუშევრებისგან თმა ყალყზე მიდგება," აღიარა გამოფენის კურატორმა შარლოტ კოტონმა, "ეს ზღვარს გადასული ობიექტივიზმია, ეს ქალები კი არა, ხორცის ნაჭრებია. მაგრამ, მეორეს მხრივ, ავტორი მართალია, ეს მოდის ინდუსტრიის ბნელი მხარე გახლავთ. ბურდენი არც გამოსავალს გვიტოვებს და არც ნუგეშს – მისი ფოტოსურათები ერთობ არაკომფორტული დასათვალიერებელია".

გამოფენაზე, ცნობილ შედევრებთან ერთად, ოსტატის უცნობი ნამუშევრებიცაა წარმოდგენილი.

გი ბურდენის მოდის ფოტოგრაფია



გამოფენის პლაკატები

მიბაძეთ გვინეტ პელტროუს!

დედოფლებთან, მომღერლებთან, მოდელებთან და სოფი ლორენის, ვივიენ ლისა თუ ოდრი ჰეპბერნის მსგავს ლეგენდარულ მსახიობებთან ერთად კომპანია Harpers & Queen-მა საუკუნის სტილის შემქმნელად მსახიობი გვინეტ პელტროუც დაასახელა.

ასეთ პრესტიჟულ საზოგადოებაში პელტროუს მოხვედრა, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი იყო. სხვა თუ არაფერი, 2002 წელს ის "ოსკარის" გადაცემის ცერემონიაზე ისეთ კაბაში გამოცხადდა, რომ ყველამ ერთხმად შესძახა, ეს კატასტროფაა. არადა, მისი სამოსის დიზაინერი ალექსანდრ მაქკუინი იყო – როგორც ჩანს, რაღაცეები სახელოვან დიზაინერებსაც ეშლებათ ხოლმე...

მიუხედავად ამისა, მისი პორტრეტი, 99 სხვა ქალთან ერთად, ლონდონის გალერეა Getty Images-ში გამოიფინება. ამ გამოფენის გახსნას ორგანიზატორები 30 აპრილისთვის გეგმავენ, ის 5 ივლისამდე გაგრძელდება.

Harpers-ის წარმომადგენლები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ ლამაზმანთა არჩევა მხოლოდ გარეგნობის მიხედვით არ მომხდარა. ისინი მეტ ყურადღებას იმ გარემოებას უთმობენ, რომ სწორედ ამ ქალებმა მოახდინეს გავლენა XX საუკუნის სტილის ჩამოყალიბებაზე. სწორედ ამიტომაა, რომ რჩეულთა რიგებში მრავალი ჰოლივუდელი ვარსკვლავი ვერ მოხვდა – ვერც ჯულია რობერტსი, ვერც კეტრინ ზეტა-ჯონსი და ვერც მრავალი სხვა.

გამოფენაზე ჩვენთვის კარგად ცნობილ მადონასაც ვიხილავთ. მისი სახე შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული: "ყველაზე ცვალებადი სტილი".

«ლოგოს პრესი» წარმოგიდგენთ

ოთარ ჭილაძის ახალ წიგნს

ბედნიერი ტანჯული

ესე, პუბლიცისტიკა, ინტერვიუ

- წიგნში მწერალი გთავაზობთ თავის თვალსაზრისს მრავალ საჭირბოროტო საკითხზე:
- მწერლობის რაობა და მწერლის დანიშნულება
- ერი და ერთვნება
- თავისუფლება და მონობა
- სიყვარული და ომი
- აფხაზეთის საკითხი და ზოგადად ქვეყნის კონსტიტუციური მოწყობა
- საქართველო-რუსეთის ურთიერთობა
- ქართველთა მითოლოგიური წარსული და კოლხი მედეას ფენომენი
- ქართული ემიგრაციის ზრდა და ჭეშმარიტი პატრიოტიზმის არსი
- სახელმწიფო სიმბოლიკა
- ქართული ტოლერანტობა და შენიდბული ანექსიის საშიშროება...

გიწვევთ შეხვედრაზე საყვარელ მწერალთან

26 აპრილს, შაბათს, 3 საათზე

წიგნის მაღაზია "ჰარნასში", ი.ჭავჭავაძის №22

საოჯახო ლოტერეა

29 მარტიდან, შეიძინეთ! გაერთეთ! მოიგეთ!

ყოველ შაბათს, რუსთავი 2-ის პირდაპირ ეთერში გაიმართება ტელეტალონიანი "საოჯახო ლოტოს" გათამაშება.

ფირმა "ფუნიქსი" გისურვებთ წარმატებას.

დანვრილებითი ინფორმაციას და კოეფიციენტების ცხრილი იხილეთ გაზეთ "24 საათის" ხუთშაბათის ნომერში.

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-24
20-00-24

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ



წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.



მე ვცდილობ, გამოვხატო არსება, რომელიც ბუნების პროდუქტი არ არის. ბუნება არ ქმნის ადამიანებს. ნამდვილად ჩვენ მხოლოდ მეორე დაბადებისას ვიბადებით. ეს დაბადება კი იმყოფება იმ ველში, რომელშიც შესაძლო ადამიანი სიმბოლოს უერთდება და ამ შეერთების დაძაბულობისგან, ანუ თავის თავზე ძალისხმევის შედეგად, ადამიანში ადამიანი იბადება...

ზოგადად ადამიანი ზარმაცია, იმიტომ, რომ ის სპონტანურად უერთდება იმას, რაც მას ჰპირდება, რაღაცად გაგხდიო, ყოველგვარი მუშაობისა და მუყაითობის გარეშე...

მე ვცდილობ, ვიაზროვნო. ადამიანმა არასოდეს იცის, აზროვნებს იგი თუ არა. აზროვნება თითქმის ზეადამიანურ ძალაზეა დამოკიდებული და იგი ბუნებრივად არ ეძლევა ადამიანს. ის შეიძლება გამოვლინდეს, როგორც ერთგვარი გაღვიძება ან წინარე მოგონება ადამიანისა და სიმბოლოს შორის დაჭიმულ ველში...

ახალი ევროპული აზროვნება სოციალისტური თუ კომუნისტური ცთუნების მკლავებშია მოქცეული. თქვენ, ალბათ, წარმოიდგენთ, რა მიმზიდველი და დამარწმუნებელია ტოტალიტარული აზროვნების სიმარტივე.

მერაბ მამარდაშვილი.
“საუბრები ანი ეპელბუანთან”.
1989.

პოლიტიკური მეცნიერება

პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მომხდარმა ცვლილებებმა აუცილებელი გახადა, რომ ჩვენი საზოგადოების წევრებმა ლოკალურ მოქმედებას გლობალური კატეგორიებით აზროვნება შეუფარდონ. საერთაშორისო თუ ადგილობრივ მოვლენათა სრულყოფილი ანალიზისთვის აუცილებელია, გავერკვეთ იმ უნიფორმალურ ტერმინოლოგიასა და კონცეფციებში, რომლითაც დღეს მთელი ცივილიზებული საზოგადოება ურთიერთობს. ანუ საჭიროდ მიგვაჩნია, მივეჩვიოთ მეტყველებას იმ ენაზე, რომელზეც დასავლური კულტურა საუბრობს - კულტურა, რომელსაც ოდესღაც, უდავოდ ვეკუთვნოდით, და რომელსაც აწმყოშიც დაბეჯითებით მივაკუთვნებთ თავს. მკითხველს, პერიოდულად შევთავაზებთ, პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო სამართლის გავრცელებულ ტერმინებს, რომელთა შესისხლხორცება უმიზნო მრავალსიტყვიანობისა და გაუგებრობებისაგან თავდაცვის კარგ საშუალებად მიგვაჩნია.

ლიდერშიპი – ნებისმიერი ტიპის წამოწყებისა თუ ორგანიზაციის წარმატებისათვის ლიდერშიპი აუცილებლობაა. ის მრავალ საფეხურზე ოპერირებს. პრიმიტიული საზოგადოებები ხასიათდებიან მარტივი ლიდერშიპის არსებობით; მაგრამ ყველა თანამედროვე პოლიტიკურ სისტემაში არსებობს ლიდერშიპთა იერარქია; თუმცა, საწყის საფეხურებზე ლიდერშიპი, შესაძლოა, დროებითი პოზიციის სახითაც შეგვხვდეს; ანუ იქ ლიდერების როლში ადამიანები მათი დროებითი დაკავების პრინციპით ცვლიან ერთმანეთს.

ლიდერშიპი ურთიერთობაა. არ შეიძლება, იარსებონ ლიდერებმა მიმდევართა გარეშე. იძულების შემთხვევების გარდა, როგორც ეს ავტორიტარულ სახელმწიფოში შეიძლება ხდებოდეს, ლიდერის მიმდევრები ლიდერს მიჰყვებიან იმიტომ, რომ მასთან საკუთარი თავის გაიგივება, ანუ იდენტიფიკაცია შეუძლიათ.

იდენტიფიკაცია ხდება, როდესაც, მაგალითად (როგორც ეს ფეოდალურ საზოგადოებაშია), მიმდევრები ლიდერში თავიანთი გვაროვნული კლანის მეთაურს ხედავენ; ან როდესაც მიმდევრები მას იგივენაირ სოციოდემოგრაფიული წარმოშობის პატრონად აღიქვამენ; და ან როდესაც იგი მათთვის პერსონალური მოგების მომტანად არის მიჩნეული. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში ერთი დაჯგუფების ლიდერი მეორე დაჯგუფების ლიდერს ეჯიბრება.

პოლიტიკური ლიდერები, როგორც წესი, განსხვავდებიან უმრავლესობისგან. ასეთი (იგულისხმება პოლიტიკური) ლიდერშიპი საკმაოდ უჩვეულო საქმიანობაა უმრავლესობისათვის, რომელსაც არ სურს პოლიტიკური ლიდერის როლში წარმოჩენა. ძირითადად, ადამიანებს არ სურთ ძალაუფლების ზედა ეშელონებში ყოფნა რამდენიმე სხვადასხვა მიზეზის გამო: პირველ რიგში იმიტომ, რომ ამგვარი საქმიანობა სპეციალიზებული მოქმედებაა, რომელსაც უამრავი დრო მიაქვს; ეს არის ქმედება, რომელსაც შეუძლია, ადამიანის ჩვეულებრივი, "ნორმალური" ცხოვრება აურიოს, და რომელიც ადამიანს პასუხისმგებლობის მძიმე ტვირთს აკისრებს, რაც მას მწველი და მტკივნეული საჯარო კრიტიკის სამიზნედ აქცევს.

მრავალ დამკვირვებელს მიაჩნია, რომ პოლიტიკურ ლიდერებს ადამიანთა უმრავლესობიდან ძლიერ განსხვავებული ხასიათი აქვთ. პოლიტიკური მეცნიერების ზოგიერთი წარმომადგენელი ამტკიცებს, რომ იმ ემოციურმა განძარცვამ, რომლის მაგვარიც ადრეულ ასაკში უამრავ ბავშვს განუცდია, აშშ-ს მრავალი მომავალი პრეზიდენტი აიძულა, რომ მათ ამის კომპენსაცია მაღალი პოლიტიკური პოზიციის დაკავებით ეცადათ. ზოგიერთი მეცნიერი ლიდერებს სამ ჯგუფად ყოფს: ა) საკუთარ პიროვნებაზე ორიენტირებულებად, ვისაც ძალაუფლების ძლიერი წყურვილი აქვს და ვინც, შესაძლოა, არცთუ ისე კეთილისმყოფელი გამოდგეს მიმდევართათვის; ბ) მიზნებზე ორიენტირებულ ლიდერებად, ვინც, როგორც წესი, პრაგმატიკოსები არიან და აქვთ წარმატება სპეციფიკური მიზნების მიღწევაში; გ) ურთიერთობებზე ორიენტირებულ ლიდერებად, ვინც ფლობენ მიმდევართა შორის არსებული კონფლიქტების გადაჭრისა და მოგვარებისათვის აუცილებელ უნარ-ჩვევებს.

ყველა ამ ტიპის ლიდერის პოვნა შესაძლებელია დემოკრატიულ ლიდერთა შორის, რომელთაგან ზოგიერთს ყველა ჩამოთვლილი ნიშანთვისება ახასიათებს. ეს მოსაზრება აგრეთვე ეხმაურება მაქს ვებერის ლიდერის სამნაწილიან კატეგორიზაციას. მისი აზრით, არსებობს ტრადიციული, ქარიზმატული და ლეგალურ-რაციონალური ტიპის ლიდერშიპი. თუმცა, კონკრეტულ ქვეყანაში არსებულ გარემოებებს ამა თუ იმ ტიპის ლიდერის წარმოშობის პროცესზე უდიდესი გავლენა აქვთ. ჰეროიკულ გარემოებებს, რომლებიც, მაგალითად, ომიანობის ჟამს გვხვდებიან, შეუძლიათ ჰეროიკული ლიდერების წარმოშობა. კლემენსო, ჩერჩილი და რუზველტი მოიხსენიებიან, როგორც "დიდი ლიდერები". მეორე მხრივ, ქვეყნის შიგნით არსებულმა მნიშვნელოვანმა დანაწევრებამ, შესაძლოა, წამოწიოს პიროვნულ ურთიერთობებზე ორიენტირებული პოლიტიკოსის, ე.წ. "ბროკერ-პოლიტიკოსის" როლი. მაგალითად, კანადელი ლიდერები იძულებულნი არიან, იყვნენ პრაგმატიკოსები, რომელთაც არ გაუჭირდებათ მედიატორის როლის შესრულება ფრანგ და ბრიტანელ ამომრჩეველს შორის.

თანამედროვე პოლიტიკური ლიდერშიპი პიროვნებისგან უამრავ უნარ-ჩვევას მოითხოვს, განსაკუთრებით დემოკრატიული რეჟიმის პირობებში. ამათგან, ყველაზე ჩვეულებრივი "ფეხდგომელა აზროვნებისა" და მწვავე და მტრულ კომენტარებზე სწრაფი და სხარტი პასუხის გაცემის უნარია. ამავდროულად, უფრო მეტად დახვეწილი, "კომიტეტის სტილის" უნარ-ჩვევები, როგორიცაა ვაჭრობისა და მოლაპარაკების ნიჭი, ძლიერ მნიშვნელოვანია. პოლიტიკური კამპანიების წარმართვა ხაზს უსვამს თეატრალური, არტისტული მონაცემების მნიშვნელობას, მაშინ როცა ეს უნარ-ჩვევები უადგილოა სატელევიზიო ინტერვიუებისთვის, რომლებიც დღევანდელი დღის იმპერატივად იქცა.

როგორც წესი, ოპონენტთა მკაცრ კრიტიკასა და სიცრუეზე პოლიტიკური ლიდერის მხრიდან წყენისა და გულნატკენობის გამოჩენა მის სისუსტედაა მიჩნეული. საზოგადოებას უყვარს ისეთი ლიდერები, რომელთა მწყობრიდან გამოყვანაც შეუძლებელია. თუმცა, დემოკრატიულმა საზოგადოებებმა შეიძლება საკუთარ ლიდერებს ბევრი მოთხოვნა წაუყენონ. კრიტიკულად მოაზროვნეთა მხრიდან ინტენსიური მონიტორინგის დემოკრატიული კონტროლი პოლიტიკურ ლიდერთა შემთხვევაში აუცილებლად დასამკვიდრებელი რამ არის. ლიდერები ძლიერ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენენ; მაგრამ იმგვარი ელექტორატის გარეშე, რომელსაც საკითხები ისევე აინტერესებს, როგორც ლიდერთა პიროვნებები, დემოკრატია თანდათანობით გადაულახავ სიძნელეებს გადააწყდება და მარცხს განიცდის.

ოპოზიცია – ოპოზიცია დემოკრატიული პოლიტიკისთვის ჩვეულებრივი, ნორმალური მოვლენაა. მას რამდენიმე ფორმა შეიძლება ჰქონდეს. პირველ რიგში, აღსანიშნავია განსხვავება ინდივიდუალურ ოპოზიციასა და კოლექტიურ ორგანიზებულ ოპოზიციას შორის. იქ, სადაც სიტყვის თავისუფლება რეალურად არსებობს, პიროვნებებს შეუძლიათ, ხელისუფლება საჯარო თავყრილობებზე, პრესით და რადიო-ტელევიზიით გააკრიტიკონ.

მეორე სახის ოპოზიციას ოპოზიციური ორგანიზაციები წარმოადგენენ, რომლებიც ხელისუფლებას ბევრად უფრო მეტად აშფოთებენ, რადგან ის ამომრჩეველთა სერიოზულ რაოდენობაზე ახდენს გავლენას. ორგანიზებული ოპოზიცია, შესაძლოა, საკანონმდებლო ორგანოს შიდა და გარე პროდუქტადაც მოგვევლინოს. საკანონმდებლო ორგანოს გარეთ მყოფი ოპოზიციური ჯგუფები ე.წ. "ზეწოლის ჯგუფების" გარშემო იყრიან თავს და ყოველი მათგანი, ჩვეულებრივ, განსხვავებული საკითხითაა დაინტერესებული. ასევე შესაძლებელია, მათი რიცხვიდან ოპოზიციურმა პარტიებმა დემონსტრაციების ორგანიზება მოაწყონ.

დემოკრატიული სახის საკანონმდებლო ორგანოებში ოპოზიციის ხასიათს პოლიტიკური სისტემისა და პარტიების კონფიგურაცია ახდენს. საპრეზიდენტო მთავრობა საპარლამენტო მთავრობისაგან განსხვავებულია. შეერთებული შტატების მაგვარ საპრეზიდენტო სისტემებში ძალთა დანაწევრების დოქტრინა წარმოშობს რეალობას, რომელშიც არსებობს საყოველთაო არჩევნებით არჩეული პრეზიდენტი, რომელსაც აღმასრულებელი ძალაუფლება აქვს და საყოველთაო არჩევნებით არჩეული საკანონმდებლო ორგანო, რომელშიც ნებისმიერს, ვისაც აღმასრულებლის პოსტი უჭირავს, კონსტიტუციურად ეკრძალება წევრობა. კონგრესს არავითარი ვარიაციით არ შეუძლია, საკუთარ წიაღში ალტერნატიული მთავრობა გააჩინოს. შესაბამისად, აშშ-ში არ არსებობს "ოპოზიციის ლიდერის" პოზიცია. საპარლამენტო სისტემებში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ხელისუფლებას გამოწვევას ესვრიან საკანონმდებლო ორგანოს დახმარებით. მრავალპარტიულ სისტემებში კოალიციური მთავრობა, როგორც წესი, ცვლის დამარცხებულ ხელისუფლებას, რომელიც შემდგომ კარგავს საკუთარ უმრავლესობას პარლამენტში. ამგვარ რეჟიმში ოპოზიციას უჭირს ნათელი და გასაგები პოლიტიკის შემუშავება და კოალიციის ლიდერის ვინაობა, ჩვეულებრივ, გაურკვეველი რჩება. ორპარტიულ სისტემაში, სადაც უმრავლესობის მიერ დაკომპლექტებული მთავრობა თითქმის ყოველთვის ერთიან პარტიას წარმოადგენს, სიდიდით მეორე პარტია, როგორც წესი, ალტერნატიული მთავრობის ბირთვს შეიცავს. ბრიტანეთში, მაგალითად, მას "ჩრდილოვან კაბინეტს" უწოდებენ. 1937 წლიდან მოყოლებული, მისი ლიდერი ოფიციალურ ხელფასს იღებს და ცნობილია, როგორც "მისი უდიდებულესობა დედოფლის ოპოზიციის ლიდერი".

"სამზარეულოს" კაბინეტი – ეს ტერმინი იხმარება ბრიტანეთსა და შეერთებულ შტატებში არაფორმალურ, ე.წ. "სახელოსნოს" მრჩეველთა და მათ ქვეშევრდომთა დახასიათებისათვის. ტერმინი პრეზიდენტ ჯეკსონის დღეებიდან (1829-37) იღებს სათავეს, როდესაც პრეზიდენტი ასეთ ჯგუფებთან ატარებდა შეხვედრებს თეთრი სახლის სამზარეულოში. ტერმინი ასევე გამოიყენებოდა ანალოგიური, ოღონდ უფრო მოზრდილი ორგანიზაციის დახასიათებისათვის, რომელიც დიდი ბრიტანეთის პრემიერმა ლოიდ ჯორჯმა (1916-22) დააარსა. თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ არაფორმალური მრჩევლები, შესაძლოა, პოლიტიკურ ლიდერთათვის ერთგვარი პრობლემის წყაროდაც იქცნენ, როდესაც ოფიციალური (ფორმალური) მრჩევლები მათ მიმართ სიძულვილით იმსჭვალებიან.

მონაწილეობითი დემოკრატია – დემოკრატიის მთავარი კრიტიკა დღეს მოდის ასეთ მოსაზრებაზე: დემოკრატია იმგვარად ოპერირებს, რომ მასში საკმარისი რაოდენობის მოქალაქეები არ იღებენ მონაწილეობას. ფაქტობრივად, საშუალო ტიპის მოქალაქე მხოლოდ მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართულ არჩევნებში თუ მონაწილეობს. თუმცა, ზოგიერთი დამკვირვებლის აზრით, ეს სწორედ ის არის, რომ ხალხის უმრავლესობა არჩევნებში არ მონაწილეობს, რაც დემოკრატიას სტაბილურობას უნარჩუნებს. იმ შემთხვევაში, თუ აბსოლუტური უმრავლესობა მიიღებს მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში, მაშინ ან ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებენ, ანდა, თუ მიიღებენ, ის იქნებოდა არასრულყოფილი, რადგან ადამიანთა მხოლოდ მცირე ნაწილს თუ აქვს ის ტექნიკური ცოდნა იმ კომპლექსურ საკითხებთან დაკავშირებით, როგორსაც თანამედროვე სამყარო გვთავაზობს.

მეორე მხრივ, ჯერ კიდევ ჯონ სტიუარტ მილის (1806-73) დროიდან მოყოლებული, ითვლება, რომ პოლიტიკაში მოქალაქეთა მონაწილეობა აუცილებელია, რადგან ეს ელექტორატს აძლევს განათლებას სხვადასხვა პროცედურის, განსხვავებული ხასიათებისა და საკითხების თაობაზე. ასე რომ, მათი მონაწილეობით დემოკრატია ძლიერდება. ასეთი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მრავალი რჩევა გაკეთებულა. ერთ-ერთი მათგანი პირდაპირი დემოკრატიის წარმომადგენლობითი დემოკრატიით შეცვლაა, რომლის აუცილებლობაც ჟან-ჟაკ რუსოს (1712-78) სახელს უკავშირდება. მორიგი მოსაზრება მდგომარეობს იმაში, რომ სკოლებში უფრო მეტი დრო დაეთმოს სწავლებას დემოკრატიული ინსტიტუციების შესახებ. კომენტატორთა დიდ ნაწილს კი მიაჩნია (ჯონ სტიუარტ მილის ჩათვლით), რომ ადგილობრივი მმართველობა არის ის ადგილი, სადაც ხალხი დემოკრატიაში ფეხის ადგმას იწყებს. ამ მოსაზრების მხარდასაჭერი არგუმენტი იმაში მდგომარეობს, რომ ხალხი ბევრად უფრო დიდ ინტერესს იჩენს ადგილობრივი საკითხების მიმართ.

"სავალდებულო ხმის მიცემის" გარდა, რაც მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელ ქვეყნებში გვხვდება, ხალხის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად არც ერთ დემოკრატიულ სისტემაში არ ყოფილა იძულების მცდელობა. სავარაუდოა, რომ ასეთი რამ ძლიერ არაპოპულარული იქნებოდა მოქალაქეთა დიდი უმრავლესობისთვის.

პრეზიდენტი

ვაცლავ ჰაველის სასამართლო პროცესები

1977-89

ძმაო ინტელექტუალებო, იყავით აქტიურნი ამ ორი გზიდან ერთ-ერთის არჩევით: ან დათანხმდით, რომ რომელიმე პოლიტიკურ თანამდებობაზე მუშაობდეთ, ან რომ ძალაუფლებაში მყოფთა სახეების ცხვირწინ განუწყვეტლივ გეჭიროთ სარკე.

ვაცლავ ჰაველი

ტომას სმიტი

განსასჯელი: ვაცლავ ჰაველი.

ბრალდება: ძირგამომთხრელი საქმიანობა, უცხო ქვეყნებისთვის ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდაში ხელშეწყობა, დემონსტრაციაში მონაწილეობის წაქეზება-წახალისება, უსაფრთხოების ზომათა აღსრულებისთვის ხელშეშლა.

მთავარი დამცველი: დოქტორ ჯოზეფ ლუკარი.

მთავარი ბრალმდებელი: კარელ ფლორიანი.

პროცესის ადგილმდებარეობა: პრაღა, ჩეხოსლოვაკია.

პროცესთა თარიღი: 1977 წლის 18 ოქტომბერი, 1979 წლის 22 ოქტომბერი, 1989 წლის 21 თებერვალი.

განაჩენი: დამნაშავე.

სასჯელი: ოთხწელიწადნახევარი პატიმრობა. თორმეტთვიანი პატიმრობა. ცხრათვიანი პატიმრობა.

მნიშვნელობა: დრამატურგისა და ადამიანის უფლებების აქტივისტის, ვაცლავ ჰაველის სასამართლო პროცესებმა ხელი შეუწყვეს საზოგადოებრივი იმპოზიციის კონსოლიდაციას ჩეხოსლოვაკიის დრმოჭმული, ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ.

1976 წლის მიწურულს ჩეხ დისიდენტთა ერთმა ჯგუფმა უავტორა მანიფესტს, რომელიც, მათი რწმენით, დააჩქარებდა რეპრესიული მთავრობის მოღვაწეობის აღსასრულს. ამ საიდუმლოდ შედგენილ დოკუმენტს "ქარტია 77" ეწოდა. მიუხედავად იმისა, რომ მასზე ხელის მომწერნი გასამართლებულნი იყვნენ, ამ დოკუმენტმა დაიწყო ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიისაკენ სწრაფი დაბრუნების პროცესი.

"ქარტია 77" მოიცავდა მთელ რიგ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელიც ხალხს ჩამორთმეული ჰქონდა კომუნისტური რეჟიმის მიერ, რომელსაც იმ დროისათვის პრეზიდენტი გუსტავ ჰუსაკი ხელმძღვანელობდა. დოკუმენტი მოითხოვდა პრეზიდენტ ჰუსაკისაგან ჩეხოსლოვაკიის კონსტიტუციაში ჩამოთვლილ ადამიანთა უფლებების, გაერო-ს ადამიანის უფლებების და 1975 წლის ჰელსინკის შეთანხმების მოთხოვნათა უზრუნველყოფას, რომელთა აღსრულებაზეც ჩეხოსლოვაკიის ხელისუფლებას ხელი ჰქონდა მოწერილი.

"ქარტია 77"-ზე ხელის მომწერი 242 ადამიანი საკუთარ თავს მოიხსენიებდა როგორც "განსხვავებული აზრისა და შეხედულების ადამიანთა თავისუფალ, არაფორმალურ და ღია საზოგადოებას", და არა როგორც ორგანიზებულ პოლიტიკურ მოძრაობას, რომელსაც პოლიტიკური ცვლილებისათვის ჩამოყალიბებული გეგმა გააჩნდა. ქარტიამ საკუთარი სამი ოფიციალური სპიკერი შეარჩია: ყოფილი დიპლომატი, დოქტორი ჯირი ჰაჟეკი, ფილოსოფოსი იან პატოჟკა და ვაცლავ ჰაველი – საერთაშორისო რეპუტაციისა და აღიარების დრამატურგი, ვისი პიესებიც იკრძალებოდა ჰუსაკის მთავრობის მიერ.

"ქარტია 77"-ის ორგანიზატორებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, რომ მანიფესტის ასლები თითოეული ხელის მომწერისათვის, პრეზიდენტ ჰუსაკისა და ჩეხეთის ფედერალური ასამბლეისათვის გაეგზავნათ. მაგრამ 1977 წლის 6 იანვარს, მანიფესტის ფოსტით გაგზავნის პროცესში მყოფი ჰაველი და მისი რამდენიმე თანამოაზრე დააპატიმრეს. დაპატიმრებისას მათ მისამართიანი და გასაგზავნად გამზადებული მანიფესტის რამდენიმე შეკვრა ჩამოართვეს. ჩეხეთის მთავრობამ სასწრაფოდ მიიღო ზომები "ქარტია 77"-ის გავრცელების აღსაკვეთად, მაგრამ ეს უკვე ძლიერ გვიანი იყო. დოკუმენტის ტექსტი დასავლეთ ევროპის პრესაში გამოქვეყნდა და დასავლური რადიოსადგურების მიერ გადაიცა იმ ათასობით ჩეხი მოქალაქის საყურადღებოდ, ვინც არაფერს უწყოდა მანიფესტის არსებობის შესახებ.

"ქარტია 77"-ის ტონი იყო მარტივი და ადვილად გასაგები, თუმცა ძლიერ მომთხოვნი ხელისუფლების

ვაცლავ ჰაველი უკანასკნელი პატიმრობის შემდეგ

მხრიდან ადამიანის უფლებების საკუთარი კანონებისა და საერთაშორისო ხელშეკრულებების შესრულებასთან მიმართებაში. იმ ავტორიტარული რეჟიმისათვის, რომელიც თვლიდა, რომ ინდივიდუალური უფლებები სახელმწიფოს ინტერესებთან შედარებით არაფერს წარმოადგენდა, ამგვარი დოკუმენტი ფრიად სერიოზულ საფრთხეს შეიცავდა.

ჰაველი მალე გაათავისუფლეს, მაგრამ ერთი კვირის თავზე ისევ დაპატიმრეს ძირგამომთხრელი საქმიანობის ბრალდებით. ქარტიის დანარჩენი სპიკერები, დოქტორ ჰაჟეკი და პროფესორი პატოჟკა არ დაუპატიმრებიათ, მაგრამ ისინი ინტენსიური დაკითხვების ქვეშ აღმოჩნდნენ. ხანში შესული დოქტორი ჰაჟეკი ერთ-ერთი ასეთი დაკითხვის შემდეგ, რომელსაც სახელმწიფო პოლიცია ახორციელებდა, ტვინში სისხლის ჩაქცევით გარდაიცვალა.

ქარტიის სხვა ხელის მომწერნი გახდნენ მსხვერპლნი იმგვარი დაშინებისა და შევიწროებისა, როგორიც მათ მანიფესტში იყო ჩამოთვლილი. მრავალი მათგანი სამსახურიდან დაითხოვეს, მათი პასპორტები გააუქმეს და მათ ოჯახის წევრებს საგანმანათლებლო ასპარეზი შეუზღუდეს. ზოგიერთ მათგანს, ისევე როგორც ჰაველს, პირდაპირ ურჩევდნენ ემიგრირებას.

სახელმწიფო მედიას "ქარტია 77" არც გადაუბეჭდავს და არც ტელევიზიით გაუშუქებია, თუმცა იგი აღიარებდა დოკუმენტისა და მის ხელის მომწერთა ნამდვილობას. პატიმრობაში მყოფმა ჰაველმა ცილისწამებისათვის სახელმწიფო რადიოს კომენტატორის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა (კომენტატორმა ჰაველი დასავლური სპეცსამსახურების დაქირავებულ აგენტად გამოაცხადა), მაგრამ პროცესი წააგო. ჰაველმა ასევე ოფიციალურად მოითხოვა საკუთარი გათავისუფლება და გაუფრთხილებლობით ერთ-ერთ მეციხოვნესთან საუბარში გამოთქვა აზრი, რომ როდესმე

ჩეხეთის კულტურის ატაშესთან შეერთებულ შტატებში, ლეგენდარულ კომპოზიტორ ფრენკ ზაპასთან ერთად.

იგი ქარტიის სპიკერობიდან გადადგებოდა. სახელმწიფო მედიამ დაუყოვნებლივ ამცნო ქვეყანას, რომ ჰაველი გაემიჯნა ქარტიას და გადადგა მისი სპიკერობიდან, თუმცა ეს ინფორმაცია ჰაველს 1977 წლის 20 მაისამდე გულდასმით დაუმალეს. ამ დღეს იგი გაათავისუფლეს. ხსენებული დეზინფორმაციის შეტყობისთანავე ჰაველი მანამდე არნახული მონდომებითა და ენთუზიაზმით გადაეშვა პროდემოკრატიულ მოღვაწეობაში.

ადრეული პერიოდის ჩეხ კომუნისტ მმართველებს, რომელთაც სახელმწიფოს მართვის სტალინისტური მოდელისათვის მიბაძვა წმიდათაწმიდა საქმედ მიაჩნდათ, შესაძლოა "ქარტია 77" დახვრეტებითა და დაპატიმრებებით ჩაეხშოთ. მაგრამ გვიანი, 1970-იანი წლებისთვის, ჩეხეთის სასამართლოები მეტ-ნაკლებად ცდილობდნენ შთაბეჭდილების მოხდენას, რომ ჩეხეთის კონსტიტუციაში ჩამოთვლილ ადამიანის უფლებებს პატივს სცემდნენ, მაშინ როცა სინამდვილეში ხელისუფლების მიერ განხორციელებული კონტროლის სადარაჯოზე იდგნენ. ამგვარი ფასადის მყუდროების დაურღვევლად ხელისუფლებას უჭირდა "ქარტია 77"-ის ორგანიზატორთა გასამართლება იმდენად, რამდენადაც მთავრობა ვერ პოულობდა სამართლებრივ საფუძველს ქარტიის მხარდამჭერთა მხოლოდ ამ საქმიანობისათვის ბრალდასადებად. ამის მაგივრად, ჰაველი და მისი სამი თანამოაზრე გაასამართლეს აკრძალული მემუარების საზღვარგარეთ გატანისათვის.

1977 წლის 18 ოქტომბერს ეს ჯგუფი გაასამართლეს და ჩეხეთის საერთაშორისო ინტერესებისათვის მიყენებული ზიანისათვის დამნაშავედ ცნეს. ჰაველს თოთხმეტი თვით პატიმრობა მიესაჯა, სასჯელის სამწლიანი გადავადებით.

უსამართლოდ გასამართლებულთა დამცავი კომიტეტის ჩამოყალიბება

ამ გადავადებული სასჯელის ქვეშ ცხოვრებისას, ჰაველი, სხვა დისიდენტებთან ერთად, აარსებს უსამართლოდ გასამართლებულთა დამცავ კომიტეტს, რომელსაც ჩეხეთში იცნობდნენ ჩეხური აკრონიმით VONS. ეს ჯგუფი თვალს ადევნებდა ადამიანის უფლებების დარღვევით განხორციელებულ დაპატიმრებებს, ავტორობდა ოფიციალურ სარჩელებს და სთავაზობდა ფინანსურ დახმარებას იმ ადამიანთა ოჯახებს, ვინც დისიდენტური საქმიანობისთვის იყვნენ დაკავებულნი. ჯგუფი ასევე ეწეოდა სამთავრობო პოლიტიკისადმი კრიტიკული ლიტერატურის საზღვარგარეთ, ჩეხურ ემიგრანტულ პუბლიკაციებში გავრცელებას.

ჩეხეთის მთავრობამ საპასუხო დარტყმა 1979 წელს განახორციელა. ჰაველსა და ხუთ სხვა პიროვნებას ბრალი დასდეს ძირგამომთხრელი საქმიანობით ჩეხეთის სახელმწიფო ინტერესებისათვის ზიანის მოტანის მცდელობაში. იმდენად, რამდენადაც ამ ჯგუფის განცხადებები აგრეთვე დასავლური ანტიკომუნისტური მედიის მიერ იყო გაშუქებული, მათ ასევე დაედოთ ბრალი უცხოელთათვის ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდაში ხელშეწყობისთვის.

პროცესი ძირგამომთხრელი საქმიანობისთვის დაიწყო 1979 წლის 22 ოქტომბერს. მოსამართლემ დარბაზში განსასჯელთა ოჯახების მხოლოდ თორმეტი წევრი დაუშვა. ასზე მეტი მხარდამჭერი, უცხოელი დიპლომატი, ჟურნალისტი და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დამკვირვებელი დარბაზში არ შეუშვეს. მრავალი მათგანი, ვინც სასამართლოს შენობის გარეთ იმყოფებოდა, დააპატიმრეს. ზოგიერთი კი პოლიციამ სასტიკად სცემა. როდესაც პროცესი დაიწყო, განსასჯელ პეტრ უჰლის მეუღლე დარბაზიდან გააძევეს საკუთარ რვეულში ჩანაწერების გაკეთებისათვის.

განსასჯელებმა და მათმა ადვოკატებმა ერთხმად მიუთითეს სასამართლოს, რომ ეს ჯგუფი (იგულისხმება VONS, - მთარგმნელი) ადამიანის უფლებების დარღვევების შემთხვევათა შესახებ სახელმწიფოს ამ ბრალდებამდე წელიწადნახევრით ადრე უგზავნიდა პეტიციებს; თუ იგი, ანუ VONS-ი იყო ასეთი სახიფათო და ძირგამომთხრელი, სვამდა კითხვას დაცვა, რატომ იცდიდა სახელმწიფო ამდენ ხანს ბრალდების წარსადგენად? თავიანთი უდანაშაულობის დასამტკიცებლად განსასჯელნი აგრეთვე ჩეხეთის კონსტიტუციის მიერ უზრუნველყოფილ მთავრობისადმი პეტიციის უფლებაზე მიუთითებდნენ.

პროცესმა მხოლოდ ორ დღეს გასტანა. ექვსივე განსასჯელი დამნაშავედ ცნეს. მათი სასჯელის ზომა ორიდან ხუთ წლამდე მერყეობდა. ჰაველს ოთხწელიწადნახევრით პატიმრობა მიესაჯა. მიუხედავად საერთაშორისო ზეწოლისა, რომელიც ისეთი მრავალფეროვანი წყაროებით განხორციელდა, როგორიც იყო საფრანგეთის კომუნისტური პარტია და პაპი იოანე პავლე II, ჰაველი საპატიმროში დატოვეს 1983 წლის მარტამდე. ამ დროისათვის იგი ავადმყოფობის მიზეზით გაათავისუფლეს.

საზოგადოებაში სულ უფრო ძლიერდებოდა ხელისუფლების უნიათო ეკონომიკური და რეპრესიული სოციალური პოლიტიკით უკმაყოფილება. 1988 წლის 21 აგვისტოს, საბჭოთა არმიის ჩეხოსლოვაკიის ოკუპაციის ოცი წლის თავზე, 10 000 ჩეხმა მოქალაქემ პრაღის ქუჩებში საპროტესტო სვლა მოაწყო. როდესაც

ПРЕЗИДЕНТИ

ვაცლავ ჰაველი და უმბერტო ეკო

დემონსტრაცია ამ თარიღის გასვლის შემდგომაც გაგრძელდა, შინაგანმა ჯარმა ხალხს მზარდი გააფთრების შეუტია. ოქტომბრის ბოლოსთვის ათასობით მშვიდობიანი დემონსტრანტი იგერიებდა პოლიციის შეტევებს. 1968 წლის შემდგომ ჩეხეთს არ ახსოვდა ასეთი საზოგადოებრივი მღელვარება.

1989 წლის იანვართან ერთად კიდევ ერთი პოლიტიკურად დამუხტული იუბილე ახლოვდებოდა. ოცი წლის წინათ ჩეხმა სტუდენტმა იან პალახმა საბჭოთა ოკუპაციისადმი პროტესტის ნიშნად სახალხოდ თავი დაიწვა. 9 იანვარს ჰაველმა მიიღო ანონიმური წერილი სტუდენტისაგან, რომელიც ამტკიცებდა, რომ მიეკუთვნებოდა "ქარტია 77"-ის მხარდამჭერთა რიცხვს. წერილის ავტორი აცხადებდა მზადყოფნას მიებაძა პალახის მაგალითისათვის. იგი ამბობდა, რომ დაიწვავდა თავს პრაღის ვენცესლაცის სკვერში 15 იანვარს. ჰაველმა დაწერა საკუთარი პასუხი, რომელშიც სთხოვდა სტუდენტს, რომ მას თავი არ მოეკლა. როდესაც ჰაველის მოთხოვნა, რომ მისთვის ამ პასუხის გამოქვეყნებისთვის დახმარება გაეწიათ სახელმწიფოს მედიის მხრიდან უგულვებელყოფილი იქნა, მაშინ დრამატურგმა დახმარებისათვის საზღვარგარეთულ მედიას მიმართა. რადიოსადგურებმა თავისუფალი ევროპა და ამერიკის ხმამ, გადასცეს ჰაველის განცხადება. რადიოინტერვიუში ჩეხეთის უშიშროების სამინისტრომ ჰაველს სტუდენტის გადარჩენისათვის მადლობა გამოუცხადა. ამავე ინტერვიუს დამთავრებამდე ჰაველმა დაასახელა დღე და რიცხვი პალახის მოახლოებული მემორიალისა.

ევროგაერთიანების გაფართოვების საკითხებზე ევროკომისიის წევრ გიუნტერ ვერეიუგენთან საუბრისას

16 იანვარს ჰაველი ვენცესლასის სკვერში გამოცხადდა. მემორიალის საყურებლად იგი მარტო მივიდა. იქიდან წამოსვლისთანავე ის დააპატიმრეს პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით, რომელმაც სკვერში თავმოყრილ ახალგაზრდობას რამდენიმეჯერ მიმართა მათი დაშლის მოთხოვნით. იმ დროისათვის, როდესაც საქმემ სასამართლოს მიაღწია (1989 წლის 21 თებერვალი), ჰაველს წაუყენეს კიდევ ერთი ბრალდება, ამჯერად არეულობისა და ამბოხების მოწყობის მცდელობისათვის, რომელიც მდგომარეობდა ჰაველის მიერ რადიოინტერვიუში იან პალახის მემორიალის მოხსენიებასა და მისი ხსოვნის პოპულარიზაციაში; ეს სწორედ ის რადიოინტერვიუ იყო, რომელშიც სახელმწიფოს უშიშროების სამინისტრომ ჰაველს სტუდენტის სიცოცხლის გადარჩენისთვის მადლობა გამოუცხადა.

ეს სასამართლო პროცესიც ისეთივე ცინიკურ ფარსს წარმოადგენდა, როგორც ჰაველის წინანდელი სასამართლო პროცესები. ბრალმდებელი მხარის ერთმა მოწმემ ისიც კი განაცხადა, რომ იგი დემონსტრაციაზე არ ყოფილა. როდესაც მოწმემ დასძინა, რომ მისგან პოლიცია ჰაველის მხრიდან დემონსტრანტთა პროვოცირების ფაქტის დაფიქსირებას მუქარის ძალით მოითხოვდა, მოწმე დარბაზიდან გააძევეს. სასამართლო პროცესი ჰაველის პიესებში არსებული აბსურდულობის ნაზავით გაიჟღინთა, როდესაც საიდუმლო პოლიციის მაიორმა წარმოადგინა ვენცესლარის სკვერში მდგომი ჰაველის ფოტოსურათების მთელი დასტა იმის მტკიცებასთან ერთად, რომ მწერალს არანაირი თვალთვალი საიდუმლო პოლიციის მხრიდან არ ჰქონდა.

ჰაველის ადვოკატი, ჟოზეფ ლჟიკარი ამტკიცებდა, რომ მის კლიენტს ასამართლებდნენ სიცოცხლის გადამრჩენი ქმედებისათვის, რომელიც სახელმწიფოს საჯაროდ ჰქონდა აღიარებული ჰაველისადმი მადლობის გამოცხადების ფაქტით. თვით ჰაველმა სასამართლო საკუთარი პოლიტიკური რწმენის გახმოვანების კიდევ ერთ საშუალებად გამოიყენა:

"როგორც მოქალაქეს, ვისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ქვეყანა მშვიდობიანად განვითარდეს, მე მტკიცედ მწამს, რომ საბოლოო ჯამში ხელისუფლება მომხდარიდან გამოიტანს გაკვეთილს და დაამყარებს ოფიციალურ დიალოგს საზოგადოების ყველა ფენასთან; დიალოგს, რომლის მიღმა არავინ დარჩება იმიტომ, რომ ის "ანტისოციალისტად" მოინათლა. მე მტკიცედ მწამს, რომ საბოლოოდ ხელისუფლება შეწყვეტს იმ მახინჯი გოგონასავით ქცევას, ვინც ამსხვრევს სარკეს იმიტომ, რომ იმაში, რასაც იქ არეკლილს ხედავს, დამნაშავე სარკე ჰგონია".

"მე თავს დამნაშავედ ვერ ვგრძნობ", დაამატა ჰაველმა, "მაგრამ თუ პატიმრობას მომისჯიან, მე მას ჩავთვლი იმ მსხვერპლად, რომელიც სიკეთეს შეეწირა, და რომელიც არაფერია იმ უმთავრეს მსხვერპლთან, რომელიც იან პალახმა გაიღო და რომლის აღნიშვნაც ჩვენ ასე გვსურდა".

პროკურორი კარელ ფლორიანი მიესალმა ჰაველის პატრიოტულ სენტიმენტს, მაგრამ დაგმო მის მიერ პალახის გასახსენებელი დემონსტრაციის რადიოში გამოცხადების ფაქტი. ამჯერადაც რეზულტატი ნათელი იყო. ჰაველი დამნაშავედ ცნეს და ცხრათვიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

ამჯერად უშიშროების სამსახურმა და მათმა მოკავშირეებმა სასამართლოს რიგებში საბოლოო საზღვარს გადააბიჯეს. განაჩენმა უძლიერესი საზოგადოებრივი გამოხმაურება წარმოშვა. ხელისუფლებას წარედგინა 3 800-მდე ხელმოწერილი პეტიცია დრამატურგის დაუყოვნებელი გათავისუფლების მოთხოვნით. ასეთმა ზეწოლამ აიძულა ჰაველის მოწინააღმდეგენი, მისთვის სასჯელი ერთი თვით შეემცირებინათ. 17 მაისს ჰაველი გაათავისუფლეს მისი პატიმრობის ერთი მესამედის გასვლისთანავე. მიზეზად პატიმრის "კარგი ყოფაქცევა" დასახელდა.

ჩეხური დემოკრატიული რეფორმის ზრდა

საბჭოთა კავშირში მზარდი პოლიტიკური თავისუფლების წყალობით ჩეხი კომუნისტები იზოლაციაში აღმოჩნდნენ. მათ, საკუთარ წინამორბედთაგან განსხვავებით, აღარ შეიძლება ჰქონოდათ აღმოსავლეთის ბლოკის სხვა ქვეყნების იმედი, რომელთა უმეტესობაც 1989 წლისათვის თვითონვე ეწეოდა საკუთარი რეპრესიული რეჟიმების დემონტაჟს. ფაქტმა, რომ საზოგადოება არანაირად არ იღებდა კომუნისტი კანდიდატების დაპირებებს არსებული სისტემის რეფორმირებასთან დაკავშირებით, საბოლოოდ დაარწმუნა ჩეხეთის მთავრობა, რომ ახალი ლიდერები თავისუფალი არჩევნების გზით უნდა მოსულიყვნენ.

ჰაველმა განაგრძო დემოკრატიული რეფორმებისათვის და რელიგიური თავისუფლებისათვის ბრძოლა ახალი პეტიციით, რომელსაც "რამდენიმე წინადადება" ერქვა. ამ დოკუმენტს ოთხმოცი ათასმა ჩეხმა მოაწერა ხელი. 1989 წლის 27 ნოემბერს, ათი დღის შემდეგ, რაც პოლიციამ პრაღაში მასიური დემონსტრაციის სასტიკად დაშლა მოახერხა, მილიონობით ჩეხმა განაცხადა პროტესტი სამუშაოზე არგამოცხადების მეშვეობით. ამ ქმედებამ მთელი ქვეყნის პარალიზება მოახდინა. ახალი ოპოზიციური პარტია, რომელსაც "სამოქალაქო ფორუმი" ეწოდა, სწრაფად "სამოქალაქო ფორუმი" და დარჩენილი კომუნისტი კანონმდებლები ერთხმად შეთანხმდნენ ერთადერთ კანდიდატზე. 1989 წლის 29 დეკემბერს საპარლამენტო ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ვაცლავ ჰაველი ჩეხოსლოვაკიის პირველი არა კომუნისტი პრეზიდენტი გახდა უკანასკნელი ორმოცი წლის განმავლობაში.



"როლინგ სტოუნზის" კონცერტის შემდგომ, გიტარისტ კიტ რიჩარდსთან ერთად

ჰაველი ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტის პოსტზე 1992 წლის 17 ივლისამდე დარჩა, რა დროისთვისაც სლოვაკმა ნაციონალისტებმა ხმა მისცეს ჩეხეთის ფედერალური რესპუბლიკის შემადგენლობიდან გამოყოფას. ჰაველს არ სურდა, რომ თანამდებობიდან ეცქირა იმ ქვეყნის დანაწევრებისათვის, რომლის გულისთვისაც იგი და მრავალი სხვა ამდენი ხნის განმავლობაში იბრძოდნენ. როდესაც იმავე წლის ბოლოს არჩევნები ჩატარდა, ჰაველმა ისევ გამარჯვება მოიპოვა და გახდა ახალი დამოუკიდებელი ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. პრეზიდენტ ჰაველის ინაუგურაცია 1993 წლის 2 თებერვალს შედგა.

ინგლისურიდან თარგმნა
ნიკოლოზ რურუამ

КОНСТИТУЦИОНАЛИЗМИ

უფლებათა ბილი - მოკლე ისტორია

...უფლებათა ბილი არის ის, რაც ეკუთვნის ყველა ხალხს... და ის, რაზეც არც ერთ ხელისუფლებას არა აქვს უარის თქმის უფლება.

ტომას ჯეფერსონი



ტომას ჯეფერსონი - უფლებათა ბილის შექმნის იდეის ავტორი

აირა გლასერი

1787 წლის ზაფხულში 13 ამერიკული კოლონიის დელეგატები შეიკრიბნენ ფილადელფიაში, სადაც თვითმმართველობის ბრწყინვალე დოკუმენტს – ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას მისცეს დასაბამი. ამ დოკუმენტის პირველადმა ვერსიამ დააფუძნა ე.წ. "შემოწმებებისა და ბალანსირების" სისტემა, რომელიც შეიცავდა ძლიერ აღმასრულებელ სახელისუფლებო განშტოებას, წარმომადგენლობის საკანონმდებლო ორგანოსა და ფედერალურ სასამართლო ხელისუფლებას.

კონსტიტუცია იყო შესანიშნავი, მაგრამ ხარვეზებით სავსე. მაგალითად, იგი არ გულისხმობდა სპეციფიკური დეკლარაციის – ანუ ბილის არსებობას ინდივიდუალური უფლებების თაობაზე. კონსტიტუცია მკაფიოდ ამბობდა იმას, თუ როგორ შეეძლო ემოქმედა მთავრობას, მაგრამ დუმდა იმის თაობაზე, თუ რისი უფლება არ ჰქონდა მას. ასევე, კონსტიტუციის უდიდესი სისუსტე იყო ისიც, რომ იგი არ ეხებოდა ყოველ მოქალაქეს - ფრაზა "მართულთა თანხმობით" მხოლოდ საკუთრების მფლობელ თეთრკანიან მოქალაქეებს გულისხმობდა.

კონსტიტუციაში "უფლებათა ბილის" არარსებობა აღმოჩნდა ის ბარიერი, რომელმაც შტატების მხრიდან მისი რატიფიკაცია დააბრკოლა. ამას მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში გაგრძელებული ინტენსიური დებატები დასჭირდა და მხოლოდ ამის შედეგად გახდა შესაძლებელი ახალი მთავრობის ფორმაზე შეთანხმება. ფედერალისტები ეწინააღმდეგებოდნენ უფლებათა ბილის კონსტიტუციაში შეტანას, რადგან მიაჩნდათ, რომ ეს არ იყო აუცილებელი. ანტიფედერალისტები კი, ვინც ძლიერ, ცენტრალიზებულ ხელისუფლებაში საფრთხეს ხედავდა, უარს ამბობდნენ კონსტიტუციის მხარდაჭერაზე, თუ მასში უფლებათა ბილი არ იარსებებდა.

ბოლოს საყოველთაო სანტიმენტმა მაინც გადამწყვეტი როლი შეასრულა – ინგლისის დესპოტური მონარქიისგან ახლად გათავისუფლებულ ამერიკელ ხალხს სურდა, ჰქონოდა ძლიერი გარანტიები იმის წინააღმდეგ, რომ ახალი ხელისუფლება არ დააკნინებდა მათი სიტყვის, პრესის, რელიგიის, უმიზეზო ჩხრეკვებისა და დაპატიმრებებისგან თავდაცვის ახლად მოპოვებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. ამგვარად, კონსტიტუციის ავტორები დაემორჩილნენ ტომას ჯეფერსონის არგუმენტს, რომელიც ამტკიცებდა: "უფლებათა ბილი არის ის, რაც ხალხს დედამიწაზე არსებული ნებისმიერი მთავრობისგან თავდასაცავად ეკუთვნის და რაზეც არც ერთმა სამართლიანმა მთავრობამ უარი არ უნდა თქვას".

ამგვარად, ტომას ჯეფერსონის მიერ შთაგონებული და ჯეიმს მედისონის მიერ დაწერილი ამერიკული უფლებათა ბილი მიიღეს, ხოლო 1791 წელს უფლებათა ბილი კონსტიტუციის პირველი ათი ჩასწორების სახით ახალშობილი რესპუბლიკის კანონად იქცა.

შეზღუდული ხელისუფლება

ძალაუფლებისადმი მთავრობის უნდობლობას ადრეულ ამერიკელებში მათი კოლონიური გამოცდილება ედო საფუძვლად. ისტორიკოსთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ამ ფენომენის გაჩენაზე გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია 1765 წელს ინგლისის პარლამენტის მიერ მიღებულმა ე.წ. "სტემპის აქტმა". ამ კანონის მოთხოვნით, დაიბეგრა ყველა კანონიერი და საქმიანი დოკუმენტი; ასევე, ყველა გაზეთი, წიგნი და პამფლეტი. მაგრამ თავსმოხვეულ გადასახადებზე მეტად ამერიკელებს სძულდათ ის ფაქტი, რომ მათზე ძალადობდა ძლიერ შორს არსებული მთავრობა, რომელშიც მათ არც ერთი წარმომადგენელი არ ჰყავდათ, ვინც, საჭიროების შემთხვევაში, დაიცავდა მათ ინტერესებს. ამერიკელთა სიძულვილს აღვივებდა ის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც ბრიტანელები "სტემპის აქტის" ცხოვრებაში გატარებას ცდილობდნენ.

ბრიტანეთის პარლამენტის მიერ გამოშვებული ე.წ. "ასისტირების ბრძანებებით" აღჭურვილი საბაჟოს ინგლისელი ინსპექტორები "სტემპის აქტის" დარღვევის მცირეოდენი მტკიცებულების გარეშეც იჭრებოდნენ ადამიანთა სახლებში და კონტრაბანდის ძებნისას მთელ საცხოვრებელს ყირაზე აყენებდნენ. კოლონისტებმა შეიძულეს ამგვარი "უსანქციო" ჩხრეკვები, რომელთა წინააღმდეგობაც ბრიტანული ძალაუფლების წინააღმდეგ სალაშქრო ასპარეზად იქცა.

ამგვარი გამოცდილებიდან ჩამოყალიბდა უნიკალური ამერიკული შეხედულება, რომ ძალაუფლება და თავისუფლება ერთმანეთის ბუნებრივი მტრები არიან. ნაციის დამფუძნებლებს ხელისუფლების ძლიერების შეზღუდვა და თავისუფლების დაცვა თავის უმნიშვნელოვანეს ფუნქციად მიაჩნდათ. ამისთვის მათ აღიარეს მთავრობის ახალი დანიშნულება – ეს იყო ამ უკანასკნელის მხრიდან ინდივიდუალურ თავისუფლებათა დაცვა.

თუმცა, პიროვნების უფლებათა დაცვა ნამდვილად არ იყო მთავრობის ერთადერთი ფუნქცია. მას აგრეთვე ეკისრებოდა ხალხის საგარეო და საშინაო საფრთხისგან დაცვა, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა და საგარეო პოლიტიკის წარმართვა. მაგრამ ხელისუფლების საქმე არამც და არამც არ იყო ის, რომ მას ხალხისთვის ესწავლებინა, როგორ უნდა ეცხოვრათ მათ, რომელ რელიგიას მიჰყოლოდნენ, რა უნდა გამოექვეყნებინათ პამფლეტსა თუ გაზეთში. ამ თვალსაზრისით, ინდივიდუალურ უფლებათა იდეა ამერიკული ღირებულებების სისტემის ყველაზე ტრადიციული და ყველაზე ასაკოვანი წევრია.

"გარკვეული ჩამოურთმევი უფლებები"

ხშირად დემოკრატია და თავისუფლება ერთსა და იმავე რამედაა მიჩნეული, მაგრამ ეს ჭეშმარიტებას არ შეესაბამება. დემოკრატია ნიშნავს იმას, რომ ხალხს ჰქონდეს საჯარო მოხელეთა სამართლიანი არჩევის საშუალება და, უმრავლესობის სურვილის შესაბამისად, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარი. თავისუფლება, მეორე მხრივ, ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს ჰქონდეთ უფლებები, რომელთა ჩამორთმევა უმრავლესობასაც კი არ შეუძლია.

ის უფლებები, რომელთა დარღვევისგან (ხელისუფლების მხრიდან) დაცვაც სურდათ კონსტიტუციის ავტორებს, დამოუკიდებლობის დეკლარაციაში მოიხსენიებოდნენ, როგორც "ჩამოურთმევი უფლებები". მათ "ბუნებით" უფლებებსაც უწოდებდნენ; ჯეიმს მედისონისთვის კი

გაგრძელება C4 გვერდზე

ჯეიმს მედისონი - უფლებათა ბილის ტექსტის ავტორი

C3 გვერდიდან

ისინი "კაცობრიობის დიადი უფლებები" იყო. თუმცა, დღევანდელ ამერიკელთა შორის გავრცელებულია შეხედულება, რომ სიტყვის თავისუფლება იმიტომაა მათი უფლება, რომ ამას კონსტიტუციის პირველი ჩასწორება უზრუნველყოფს, სინამდვილეში ამ ქვეყნის პირველ მოქალაქეებს მიაჩნდათ, რომ ეს მათი, როგორც ადამიანთა ჩამოურთმევი უფლება იყო და სწორედ ამის დასაცავად შეიმუშავეს კონსტიტუციის პირველი ჩასწორება. მთლიანი უფლებათა ბილი შექმნილი იყო იმ უფლებათა დასაცავად, რომლებიც რესპუბლიკის პირველ მოქალაქეებს, მათივე აზრით, ბუნებრივად ეკუთვნოდათ. ესენია: რელიგიის თავისუფლება – ესაა თავისუფლება, რომ ყველამ მისდიოს საკუთარ რელიგიას, ან საერთოდ არ იყოს რელიგიური და ეს მთავრობის მხრიდან ყოველგვარი გავლენისა თუ იძულების გარეშე აკეთოს; სიტყვის, პრესის, საჩივრისა და თავშეყრის თავისუფლება ასევე ხელშეუხებელია მთავრობის მხრიდან. და ეს ასეა იმ შემთხვევაშიც კი, თუ საქმე გვაქვს არაპოპულარულ მოსაზრებებთან და შეხედულებებთან; პირადი ცხოვრების უფლება გამორიცხავს მთავრობის მხრიდან არასანქცირებულ და არასასურველ შეჭრას პიროვნების კერძო და პირად საქმეებსა და საკუთრებაში; კანონის შესაბამისი პროცედურა კი ნიშნავს უფლებას, რომ ადამიანს ჰქონდეს უზრუნველყოფილი სამართლიანი პროცედურები ხელისუფლების მხრიდან ყოველთვის, როდესაც პიროვნების თავისუფლება თუ საკუთრება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება; კანონის წინაშე თანასწორობა ითვალისწინებს კანონის ერთგვაროვან დაცვას, სოციალური სტატუსის მიუხედავად.

თავისუფლების "აუღებელი ციხესიმაგრე"

უფლებათა ბილმა საფუძველი ჩაუყარა რამდენიმე ამაღლებულ პრინციპს, რომელთაც უზრუნველყვეს ყველაზე ფუნდამენტური უფლებები ძალიან ზოგადი ფორმით. მაგრამ დასაბამიდან წამოიჭრა მრავალი ცხოვრებისეული საქმე, რომელთაც აუცილებელი გახადეს იმის დადგენა, თუ როდის, ან საერთოდ საჭირო იყო თუ არა უფლებათა ბილის გამოყენება. მანამ, სანამ ქაღალდზე არსებული უფლებები რეალურ უფლებებად იქცევიან, აუცილებელი იყო, ვინმეს დაედგინა, თუ რას ნიშნავდა უფლებათა ბილის ენა სპეციფიკურ სიტუაციებთან დაკავშირებით; ანუ ვინმეს მოეხდინა მისი ინტერპრეტაცია. უნდა დადგენილიყო, ვინ იქნებოდა საბოლოო არბიტრი იმისა, თუ როგორ უნდა გატარებულიყო კონსტიტუცია რეალურ ცხოვრებაში.

პასუხი ასეთ კითხვაზე საკმაოდ ბუნდოვნად გამოიყურებოდა. ტომას ჯეფერსონის აზრით, ეს უფლება ფედერალურ სასამართლოებს უნდა ჰქონოდათ. ჯეიმს მედისონიც ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ დამოუკიდებელ სასამართლო სისტემას თავისუფლების "აუღებელი ციხესიმაგრის" როლი ეკისრებოდა. მაგრამ კონსტიტუცია ამას ნათლად არ ამბობდა. ამ საკითხსაც 1803 წლამდე გადაჭრა არ ეწერა. ამ წელს, პირველად მის ისტორიაში, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ საქმეში "მარბერი მედისონის წინააღმდეგ" კონგრესის მიერ მიღებული კანონი არაკონსტიტუციურად ცნო. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმის ფაქტები არაორდინარულობით არ გამოირჩეოდნენ (საქმე ეხებოდა სახელმწიფო მდივნის სენატის მიერ დანიშნული ოთხი მოსამართლის თანამდებობაზე დაშვებას), ამ პრეცედენტმა დააფუძნა პრინციპი, რომ უზენაეს სასამართლოს ჰქონდა კონგრესის მიერ მიღებული კანონების გაუქმების უფლება, იმ შემთხვევაში, თუ ისინი არღვევდნენ კონსტიტუციას. ამ პრინციპმა გადამწყვეტი როლი შეასრულა ყველა იმ უფლების განვითარებისა და დაცვის საქმეში, რომლებითაც დღეს ყველა ამერიკელი ტკბება. ერთი შესანიშნავი სამართლებრივი ექსპერტის აზრით, დამოუკიდებელი სასამართლო ინსტიტუტი იყო "ამერიკის მხრიდან კონსტიტუციონალიზმისთვის გაღებული ყველაზე გამორჩეული ძღვენი".

საქმენი და წინააღმდეგობანი

ახალი ხელისუფლების სასამართლო განშტოებას საკანონმდებლო და აღმასრულებელ განშტოებათაგან ერთი ძლიერ განმასხვავებელი ნიშანი ჰქონდა – სასამართლოებს არ ჰქონდათ საქმის აღძვრის ძალაუფლება. კონგრესს ჰქონდა კანონთა

მიღების უნარი და პრეზიდენტს შეეძლო აღმასრულებელი ბრძანებების გამოშვება; მაგრამ სასამართლოებს არ ჰქონდათ უფლება, საკუთარი ინიციატივით გადაეხედათ ამ ქმედებათა კონსტიტუციონალობისთვის. სასამართლოები ვალდებული იყვნენ, მოეცადათ მანამ, სანამ დისპუტი - "საქმე ან წინააღმდეგობა" - თავს არ იჩენდა რეალურ პიროვნებათა შორის, ვისაც, ამ დისპუტის რეზულტატიდან გამომდინარე, ჰქონდა რაიმე მოსახვეჭი ან დასაკარგი. მალე გაირკვა, რომ იმ ადამიანებს, ვის უფლებასაც მთავრობის მხრიდან ყველაზე მეტი საფრთხე ემუქრებოდა, ჩივილის ყველაზე სუსტი უნარი ჰქონდა.

მიუხედავად იმისა, რომ "იურიდიული გადახედვის უფლება" 1803 წელს დაფუძნდა, ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მანამ, სანამ უზენაესი სასამართლოს მიეცემოდა ინდივიდუალურ უფლებათა დაცვის რეალური შესაძლებლობა. უფლებათა ბილის რატიფიკაციიდან 130 წლის შემდეგაც სასამართლოებმა ვერ მოახერხეს მისი მთლიანი იმპლემენტაცია. მეოცე საუკუნის დასაწყისისთვის რასობრივი სეგრეგაცია კანონიერად ითვლებოდა და ამით ამერიკული საზოგადოების თითქმის ყველა სფერო იყო გაჟღენთილი. სქესობრივ განსხვავებაზე დამყარებული დისკრიმინაცია ძლიერ ინსტიტუციონალიზებული იყო. გახშირდა იმ მშრომელთა დაპატიმრება, ვინც პროფესიულ კავშირებთან ურთიერთობდა. ასეთივე ჩვეულებრივი ამბავი იყო კანონიერ ემიგრანტთა დეპორტაციაც მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო. პოლიცია ეჭვმიტანილთა აღიარებების მოსაპოვებლად ფიზიკურ დაშინებას იყენებდა. რელიგიურ უმცირესობათა წარმომადგენლები დევნას განიცდიდნენ. ისეთი გვიანდელი პერიოდისთვისაც კი, როგორც 1920 წელი იყო, უზენაეს სასამართლოს გაუქმებული არ ჰქონდა არც ერთი სამთავრობო ქმედება თუ კანონი პირველი ჩასწორების მოთხოვნათა საფუძველზე.

კონსტიტუციის დარღვევათა ყველაზე გავრცელებული პრაქტიკა შეუმჩნევლად აგრძელებდა არსებობას სწორედ იმიტომ, რომ ის ადამიანები, ვისი უფლებებიც ყველაზე ხშირად ირღვეოდა, საზოგადოების ის წევრები იყვნენ, რომელთაც საკუთარ უფლებებზე ყველაზე ბუნდოვანი წარმოდგენა და ადვოკატის დაქირავების ყველაზე მცირე შანსი ჰქონდათ. ისინი ვერ აღწევდნენ თავისუფლების აუღებელ ციხესიმაგრემდე – სასამართლომდე. უფლებათა ბილი ჰგავდა მოტორს, რომლის ამუშავებაც არავინ იცოდა.

საზოგადოებრივი ინტერესისთვის

1920 წელს შორსმჭვრეტელ ადამიანთა ერთი, მცირე ჯგუფი შეიკრიბა და იმსჯელა, თუ როგორ ამუშავებულიყო ხსენებული მოტორი. როჯერ ბოლდუინი, პროფესიული კავშირების აქტივისტი და სოციალური სერვისების წარმომადგენელი, ლიდერობდა ჯგუფს, რომელშიც შედიოდნენ კრისტალ ისტმანი, ალბერტ დესილვერი, ჯეინ ადამსი, ფელიქს ფრანკფურტერი, ჰელენ კელერი და ართურ გარფილდ ჰეისი. მათ დააფუძნეს ამერიკის სამოქალაქო თავისუფლებათა კავშირი და თავი მიუძღვნეს ხელისუფლების იძულებას, რომ ამ უკანასკნელს უფლებათა ბილის დანაპირები რეალობად ექცია.

ამ ორგანიზაციამ, 1909 წელს დაარსებულმა ფერადკანიანთა წინსვლის ნაციონალურმა ასოციაციამ და პროფესიულმა კავშირებმა, ვისი არსებობის უფლებაც სასამართლოებს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ აღიარებული, წამოიწყეს კონსტიტუციურ დარღვევათა შესახებ სასამართლო პროცესის ინიცირება იმ პიროვნებათა უფლებების დასაცავად, ვინც მანამდე ამას ვერ ახერხებდა. ეს იყო დასაწყისი იმისა, რასაც მოგვიანებით საჯარო ინტერესის კანონმდებლობა ეწოდა. ამ ორგანიზაციებმა საზოგადოებას შესთავაზეს ის ინგრედიენტი, რომელმაც ამერიკული კონსტიტუციური სისტემა და უფლებათა ბილი საბოლოოდ აამუშავა.

მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში უმნიშვნელო წარმატება ჰქონდათ, ამ ორგანიზაციებმა საფუძველი ჩაუყარეს კანონთა იმ ტრადიციას, რომელმაც პირველი ჩასწორების მიერ გარანტირებულ თავისუფლებებს, პირადი ცხოვრების უფლებასა და თანასწორობასა და ფუნდამენტური სამართლიანობის პრინციპებს ახალი სული შთაბერეს. თანდათანობით უფლებათა ბილი "დაბალი ღობიდან" იქცა მტკიცე კედლად, რომელიც სულ უფრო მეტად და საიმედოდ იცავს პიროვნების ჩამოურთმევ უფლებებს სამთავრობო დარღვევებისგან.

1954-დან 1973 წლამდე პერიოდი უდიდესი პროგრესით აღინიშნა, რადგან მრავალი, აქამდე მხოლოდ ქაღალდზე არსებული კანონი, რეალობად იქცა.

უფლებათა ბილის განვითარება თავისუფლების გრძელ ისტორიაში უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი მოვლენა იყო, მაგრამ თავისუფლების საგა დღესაც გრძელდება.

ინგლისურიდან თარგმნა ნიკოლოზ რურუამ

საერთაშორისო სამართალი

სახელმწიფოს ფედერალური მოწყობა და საერთაშორისო ურთიერთობები

კონსტანტინე კორკელია

დისკუსიებში სახელმწიფოთა ფედერალური მოწყობის შესახებ დიდი ყურადღება ექცევა ფედერალური წარმონაქმნების მონაწილეობას საერთაშორისო ურთიერთობებში. როგორც მეცნიერთა, ისე პრაქტიკოსთა შეხედულებები გაიყო იმის შესახებ, უნდა დაამყარონ თუ არა ფედერალურმა წარმონაქმნებმა საერთაშორისო ურთიერთობები. ზოგიერთი თვლის, რომ საერთაშორისო ურთიერთობები „მაღალი“ პოლიტიკის სფეროა, რომელშიც მხოლოდ ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეიძლება მიიღოს მონაწილეობა და წარმოადგინოს სახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე. ამ მოსაზრების ოპონენტები თვლიან, რომ ფედერალურ წარმონაქმნს, რომელსაც აქვს თავისი კომპეტენციის განსაზღვრული ფარგლები, შეუძლია უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა საერთაშორისო ურთიერთობებში.

ამ სტატიაში განიხილება ძირითადი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ურთიერთობებში ფედერალური წარმონაქმნების მონაწილეობასთან, მათ შორის გაანალიზდება ფედერალური წარმონაქმნების მიერ საერთაშორისო ურთიერთობების დამყარების მიზეზები, ასეთ ურთიერთობებში მონაწილეობის ფორმები და ფედერალური სახელმწიფოების პრაქტიკა.

1. რა განაპირობებს ფედერალური წარმონაქმნების სურვილს მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო ურთიერთობებში?

ფედერალურ სახელმწიფოთა პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ უმრავლეს შემთხვევაში საერთაშორისო ურთიერთობებში ფედერალური წარმონაქმნების მონაწილეობის ძირითადი მიზეზი გამომდინარეობს არა რეგიონების ამბიციებიდან, არამედ ობიექტური აუცილებლობიდან. ეს ობიექტური აუცილებლობა განპირობებულია ფედერალური წარმონაქმნის სურვილით განავითაროს ამ რეგიონის ეკონომიკა და ტურიზმი, აგრეთვე მოახდინოს მისი კულტურის პოპულარიზაცია ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

ფედერალური წარმონაქმნების ეკონომიკის განვითარება გახდა ძირითადი მოტივი ფედერალური წარმონაქმნების გააქტიურებისა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. განსაკუთრებით ეს ეხება ფედერალურ წარმონაქმნებს, რომლებსაც აქვთ დიდი ეკონომიკური პოტენციალი. ბუნებრივია, რომ ფედერალური წარმონაქმნების ეკონომიკის განვითარება არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ცენტრალური ორგანოების ინტერესებს.

2. საერთაშორისო ურთიერთობებში ფედერალური წარმონაქმნების მონაწილეობის კონსტიტუციური საფუძვლები

ფედერალური სახელმწიფოების კონსტიტუციური სამართალი ადგენს, რომ წამყვანი როლი საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვაში ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს ენიჭებათ. მრავალი ფედერალური სახელმწიფოს კონსტიტუცია ადგენს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებს ახორციელებს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები (მაგალითად, გერმანიის კონსტიტუცია, 73(1)-ე მუხლი.) მიუხედავად პირველი შეხედვით საკმაოდ მკაცრი წესებისა, კონსტიტუციის მსგავსი ნორმები განსხვავებულად არის ინტერპრეტირებული ფედერალურ სახელმწიფოთა პრაქტიკაში. ფედერალურ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ამგვარი კონსტიტუციური დებულებები არ განიმარტება როგორც დებულება, რომელიც გამორიცხავს ფედერალური წარმონაქმნის კომპეტენციას საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში.

ამიტომ, შეცდომა იქნებოდა დაგვესკვნა, რომ თუ ფედერალური სახელმწიფოების კონსტიტუციებით დადგენილია ცენტრალური ხელისუფლების წამყვანი როლი საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში, ფედერალური წარმონაქმნები გამორირიცხებიან ამ სფეროდან.

3. ფედერალური წარმონაქმნების კომპეტენცია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში

რა საკითხები შედის ფედერალური წარმონაქმნების კომპეტენციაში და შესაბამისად, რა საკითხებზე შეუძლიათ ფედერალურ წარმონაქმნებს დაამყარონ საერთაშორისო ურთიერთობანი?

ფედერალურ სახელმწიფოთა პრაქტიკაში მოცემული საკითხი არაერთგვაროვნად წყდება. ერთ შემთხვევაში, სახელმწიფოების კონსტიტუციები პირდაპირ განსაზღვრავენ იმ საკითხებს, რომელთა მიხედვითაც ფედერალურ წარმონაქმნებს შეუძლიათ დაამყარონ საერთაშორისო ურთიერთობები. მაგალითად, რამდენიმე ქვეყნის კონსტიტუცია განსაზღვრავს, რომ ფედერალურ წარმონაქმნებს შეუძლიათ ითანამშრომლონ უცხო ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურ და კულტურულ საკითხებზე, ასევე ტურიზმის სფეროში.

კონსტანტინე კორკელია

სხვა შემთხვევებში საკითხები, რომლებზეც ფედერალურ წარმონაქმნებს შეუძლიათ დაამყარონ საერთაშორისო ურთიერთობანი, განისაზღვრება ფედერალური პრაქტიკით. ამ სახელმწიფოებში, თუ ფედერალური წარმონაქმნები ფლობენ კომპეტენციას გარკვეულ სფეროში (მაგ., ვაჭრობა) მაშინ ეს წარმონაქმნები ამ საკითხზე უფლებამოსილნი არიან დაამყარონ საერთაშორისო ურთიერთობანი. აქედან გამომდინარე, ფედერალური წარმონაქმნისათვის მინიჭებული კომპეტენცია ვრცელდება აგრეთვე საერთაშორისო ურთიერთობებზეც.

ფედერალური სახელმწიფოების პრაქტიკაში ის საკითხები, რომლებიც ეხება სამხედრო თანამშრომლობას, ქვეყნის თავდაცვას და საგარეო პოლიტიკას, შედის ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენციაში. ამის გამო ფედერალური წარმონაქმნები უშუალოდ არ ამყარებენ საერთაშორისო ურთიერთობებს მოცემულ საკითხებზე.

4. საერთაშორისო ურთიერთობებში ფედერალური წარმონაქმნების მონაწილეობის ფორმები

რა ფორმით მონაწილეობენ ფედერალური წარმონაქმნები საერთაშორისო ურთიერთობებში?

სიტყვა „მრავალფეროვნება“ ის ტერმინია, რომლითაც შეიძლება დავახასიათოთ საერთაშორისო ურთიერთობებში ფედერალური წარმონაქმნების მონაწილეობის ფორმები. პირობითად საერთაშორისო ურთიერთობებში ფედერალური წარმონაქმნების მონაწილეობის ფორმები შეიძლება დავყოთ *პირდაპირად* და *ირიბად*.

საერთაშორისო ურთიერთობებში ფედერალური წარმონაქმნების მონაწილეობის პირდაპირ ფორმას მიეკუთვნება საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადება, ფედერალური წარმონაქმნების მიერ თავიანთი წარმომადგენლობის შექმნა სხვა ქვეყნებში და ფედერალური წარმონაქმნების დელეგაციების საქმიანი ვიზიტები უცხო ქვეყნებში.

ჩამოთვლილი ფორმებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფედერალური წარმონაქმნების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ფედერალური წარმონაქმნების მხოლოდ ნაწილს აქვს უფლება დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები. ზოგიერთი კონსტიტუცია პირდაპირ კრძალავს ფედერალური წარმონაქმნების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დადებას (ინდოეთი, მექსიკა, პაკისტანი). იმ ფედერალური სახელმწიფოების მაგალითები, რომლებსაც უფლება აქვთ დადონ საერთაშორისო ხელშეკრულებები, არის გერმანია, შვეიცარია, ბელგია, კანადა, ავსტრალია, რუსეთი. მაგ., შვეიცარიის კონსტიტუცია ადგენს, რომ კანტონებს შეუძლიათ დადონ ხელშეკრულება უცხო ქვეყნებთან თავისი უფლებამოსილების ფარგლებში (მუხლი 56(1)).

ზოგიერთ ქვეყანაში არა კონსტიტუცია, არამედ სხვა საკანონმდებლო აქტები განსაზღვრავენ ფედერალური წარმონაქმნის უფლებას დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება. მაგალითად, რუსეთში ასეთი უფლება ზოგიერთ ფედერალურ წარმონაქმნს ენიჭება ცენტრალური ხელისუფლებისა და ფედერალურ წარმონაქმნს შორის უფლებამოსილების გამიჯვნის შესახებ კონსტიტუციური ხელშეკრულების საფუძველზე.

საყურადღებოა, რომ საერთაშორისო სამართალი, როგორც სამართალი, რომელიც აწესრიგებს ურთიერთობებს სუვერენულ სახელმწიფოებს შორის, არ ანიჭებს უფლებას ფედერალურ წარმონაქმნს დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება, მაგრამ არც გამორიცხავს ამ უფლებას. სხვა სიტყვებით, საერთაშორისო სამართალი ამ საკითხს დასარეგულირებლად უტოვებს ქვეყნის საკონსტიტუციო კანონმდებლობას. აქედან გამომდინარე, თუ კონსტიტუციური სამართალი ანიჭებს ფედერალურ წარმონაქმნს უფლებას დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება, მაშინ მას ეს უფლება აქვს.

რა საკითხებზე შეუძლიათ ფედერალურ წარმონაქმნებს დადონ საერთაშორისო ხელშეკრულებები?

საკითხები, რომელთა შესახებაც ფედერალურ წარმონაქმნებს შეუძლიათ დადონ საერთაშორისო ხელშეკრულებები ჩვეულებრივ განისაზღვრება ამ წარმონაქმნების კომპეტენციით. თუ ხელშეკრულებით მოწესრიგებული საკითხი, შედის ფედერალური წარმონაქმნის კომპეტენციაში, მაშინ ამ საკითხზე ფედერალურ წარმონაქმნს შეუძლია დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება.

ფედერალურ სახელმწიფოთა ერთ ჯგუფში კონსტიტუციები პირდაპირ ადგენენ იმ საკითხებს, რომელთა შესახებაც ფედერალურ წარმონაქმნს შეუძლია დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება. სახელმწიფოთა მეორე ჯგუფში საკითხები, რომელთა შესახებაც ფედერალურ წარმონაქმნს შეუძლია დადოს ხელშეკრულება პირდაპირ გამომდინარეობს ამ წარმონაქმნების საკანონმდებლო კომპეტენციით, ანუ თუ ფედერალური წარმონაქმნები კომპეტენტურნი არიან მიიღონ საკანონმდებლო აქტები გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ ამავე საკითხებზე, მათ შეუძლიათ დადონ საერთაშორისო ხელშეკრულებანი. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება გერმანიის მაგალითის მოშველიება. გერმანიის კონსტიტუციის 32-ე მუხლი ადგენს, რომ „იმ ფარგლებში, რომლებშიც მიწები ფლობენ საკანონმდებლო კომპეტენციას, მათ შეუძლიათ ფედერალური ხელისუფლების თანხმობით დადონ ხელშეკრულებები უცხო სახელმწიფოებთან.“

საერთაშორისო სამართალი

ჩვეულებრივ ხელშეკრულებები, რომლებსაც დებს ფედერალური წარმონაქმნი, ეხება თანამშრომლობას კულტურის, განათლების, ვაჭრობის, ტრანსპორტის, ტურიზმისა და ბუნების დაცვის სფეროებში.

მიუხედავად იმისა, რომ ფედერალურ წარმონაქმნებს ზოგიერთ სახელმწიფოებში შეუძლიათ დადონ საერთაშორისო ხელშეკრულებები, ამ უფლების განხორციელება ყოველთვის ექვემდებარება ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს. იმ შემთხვევაში, თუ ფედერალურმა წარმონაქმნმა დაარღვია საერთაშორისო ხელშეკრულების დადების დადგენილი წესები, ასეთი დოკუმენტი კარგავს იურიდიულ ძალას.

რაც ეხება საერთაშორისო ურთიერთობებში ფედერალური წარმონაქმნების მონაწილეობის ირიბ ფორმას, ასეთ ფორმას განეკუთვნება კონსულტაციები ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფედერალურ წარმონაქმნებს შორის. ამ კონსულტაციებზე თანხმდება უმნიშვნელოვანესი შიდაეკონომიკური და შიდაპოლიტიკური საკითხები, რომლებიც შეიძლება ეხებოდეს ფედერალური წარმონაქმნების ინტერესებს. ასეთი წესი მოქმედებს მაგ., შვეიცარიასა და ავსტრიაში. ამ კონსულტაციების შედეგად ცენტრალური ორგანოები, რომლებსაც განზრახული აქვთ საერთაშორისო მოლაპარაკების ჩატარება, მხედველობაში იღებენ თავიანთი ფედერალური წარმონაქმნების პოზიციებს და აქედან გამომდინარე აყალიბებენ სახელმწიფოს პოზიციას საერთაშორისო მოლაპარაკებებთან დაკავშირებით.

საერთაშორისო ურთიერთობებში ფედერალური წარმონაქმნების მონაწილეობის სხვა ირიბი ფორმაა ფედერალური წარმონაქმნების მონაწილეობა საერთაშორისო მოლაპარაკებებში, რომლებსაც ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები აწარმოებენ (მაგ., შვეიცარია, ავსტრია, კანადა).

საერთაშორისო ურთიერთობებში ფედერალური წარმონაქმნების მონაწილეობის უმნიშვნელოვანეს ფორმას წარმოადგენს პარლამენტის ზედა პალატის მონაწილეობა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირების პროცესში, რომლებსაც დებს ცენტრალური ხელისუფლება (მაგ., გერმანია, მექსიკა). თუ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ხელმოწერილია ცენტრალური ხელისუფლების მიერ, ფედერალური წარმონაქმნები მიიჩნევენ მათი ინტერესების საწინააღმდეგოდ, მაშინ ზედა პალატას შეუძლია არ მისცეს თანხმობა ამ ხელშეკრულების რატიფიკაციაზე. ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ან საერთოდ არ შევა ძალაში, ან ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებს მოუწევთ ხელახლა გამართონ მოლაპარაკებები, ამჯერად ფედერალური წარმონაქმნების ინტერესების გათვალისწინებით.

5. რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს ფედერალური წარმონაქმნების საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობასთან დაკავშირებით?

ა) ფედერალური სახელმწიფოების მზარდი რაოდენობა ანიჭებს უფლებას ფედერალურ წარმონაქმნებს პირდაპირ მიიღონ მონაწილეობა საერთაშორისო ურთიერთობებში;

ბ) საკითხები, რომელთა შესახებ ფედერალური წარმონაქმნები ამყარებენ საერთაშორისო ურთიერთობებს ძირითადად ეხება თანამშრომლობას ვაჭრობის, კულტურის, ტრანსპორტის, ტურიზმის, ბუნების დაცვის სფეროებში. ფედერალური წარმონაქმნები არ არიან უფლებამოსილნი დაამყარონ საერთაშორისო ურთიერთობა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა სახელმწიფოს თავდაცვა, სამხედრო და პოლიტიკური თანამშრომლობა.

გ) ფედერალური წარმონაქმნის უფლება დადოს საერთაშორისო ხელშეკრულება ექვემდებარება კონტროლს ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან.

დ) ზოგიერთი ფედერალური წარმონაქმნი არა მხოლოდ პირდაპირ (მაგ., საერთაშორისო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით მოლაპარაკების ჩატარების გზით), არამედ ირიბი ფორმით მონაწილეობს საერთაშორისო ურთიერთობებში. ასეთი ირიბი მონაწილეობა საერთაშორისო ურთიერთობებში გამოიხატება კონსულტაციებით ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფედერალურ წარმონაქმნებს შორის, ფედერალური წარმონაქმნების წარმომადგენლების მონაწილეობით ისეთ საერთაშორისო მოლაპარაკებებში, რომელსაც აწამოებენ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოები და ასევე პარლამენტის ზედა პალატის მონაწილეობით იმ საერთაშორისო ხელშეკრულებათა რატიფიცირებაში, რომელსაც დებენ ცენტრალური ორგანოები.

6. მდგომარეობა საქართველოში

საქართველოს რეგიონების საერთაშორისო ურთიერთობები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც შეზღუდული. რეგიონების შეზღუდულ საერთაშორისო ურთიერთობებს აქვს თავისი მიზეზი. საქართველო არ არის ფედერალური სახელმწიფო, რომლებშიც ფედერალური წარმონაქმნების საერთაშორისო ურთიერთობები უფრო განვითარებულია.

მიუხედავად ამისა, საქართველოს რეგიონების საერთაშორისო კავშირები ვითარდება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის სფეროებში.

საერთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებით აქტიურები არიან საქართველოს ისეთი რეგიონები, როგორებიცაა მცხეთა-თიანეთი, კახეთი, ქვემო ქართლი და იმერეთი. საყურადღებოა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საერთაშორისო კავშირები. მას აქვს საკმაოდ განვითარებული საერთაშორისო ურთიერთობები უცხო ქვეყნებთან. აჭარა ასევე აქტიურად თანამშრომლობს რეგიონალური ხასიათის საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ერთი სიტყვით, საქართველოს რეგიონების საერთაშორისო კავშირები ვითარდება და მყარდება, რასაც შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ.

ქართული ადვოკატურის ისტორიიდან

იოსებ ბარათაშვილი

1874-1937

ვახტანგ ჟვანია

ვექილი იოსებ (ოსიკო) ბარათაშვილის სახელი მეტად გავრცელებული იყო ჩვენში თავის დროზე და ძნელად მოინახებოდა ისეთი ქართველი ინტელიგენტი, რომელსაც თუ თვით არა ჰქონია მასთან ნაცნობობა – სხვისგან მაინც არ გაეგონა, რომ ის საქართველოს ერთ-ერთი ბრწყინვალე ადვოკატი იყო.

იოსებ ალექსანდრეს ძე ბარათაშვილი 1893 წლიდან, მის მიერ იურევის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ვიდრე 1937 წლამდე ადვოკატის პრაქტიკას ეწეოდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც ბოლშევიკურმა პარტიამ პრაქტიკულად განახორციელა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, ბოლშევიკური პარტიისადმი ოპოზიციურად განწყობილი პარტიების უმრავლესმა წევრებმა მთლიანად დაგმეს თავიანთი შეხედულებები, რამაც ამ პარტიების დაშლა გამოიწვია. 1922 წელს ოსიკო ბარათაშვილის უშუალო მონაწილეობით სოც. ფედერალისტების პარტია საქართველოში ოფიციალურად დაშლილად იქნა გამოცხადებული და ამ პარტიამ შემდგომში თავისი მოქმედება შეწყვიტა.

ადრევე აღნიშნული იყო, რომ მეფის მთავრობამ ოსიკო სამართალში მისცა, როგორც "ვიბორგის მოწოდების" მონაწილე. ვიბორგის ისტორიაში ოსიკო ბარათაშვილი მოხვდა, როგორც I სახელმწიფო სათათბიროს წევრი. იგი დეპუტატად თბილისის ოლქიდან იყო არჩეული.

1906 წლის 8 (21) ივლისს მეფის მთავრობამ სათათბირო განდევნა, რამაც მთელი რუსეთის აღშფოთება გამოიწვია. სათათბიროს განდევნის მეორე დღესვე სოც. დემოკრატიული ფრაქციის 200-დე წევრი, მათ შორის ოსიკო ბარათაშვილიც, ფინეთის ქალაქ ვიბორგში შეიკრიბა და შეადგინეს "ვიბორგის მოწოდება", რომელშიც მთავრობის ამ უკანონო მოქმედებაზე პროტესტი იყო გამოცხადებული.

მოწოდების შედგენაში ბოლშევიკური ფრაქციის წევრებს მონაწილეობა არ მიუღიათ. "ვიბორგელები" მხოლოდ პასიური წინააღმდეგობის ღონისძიებებით კმაყოფილდებოდნენ, რაც ბოლშევიკების მოთხოვნას შეიარაღებული აჯანყების შესახებ – ეწინააღმდეგებოდა. მიუხედავად "ვიბორგის მოწოდების" შემრიგებლური შინაარსისა, მეფის მთავრობამ მისი შემდგენნი და გამავრცელებლები სამართალში მისცა. საქმე განიხილა პეტერბურგის სასამართლო პალატამ წოდებრივ წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელმაც ვიბორგელებს შემდგომ არჩევნებში მონაწილეობის უფლება და სხვა პრივილეგიები აჰყარა და სამ-სამი თვით პატიმრობა მიუსაჯა.

საქართველოდან "ვიბორგის მოწოდებას", ო. ბარათაშვილის გარდა ხელს აწერდნენ შემდეგში მენშევიკური მთავრობის ლიდერები: ნ. ჟორდანია, ი. რამიშვილი და აგრეთვე, ი. გომართელი, ს. წერეთელი და ს. ჯაფარიძე.

"ვიბორგელების" პროცესი ჩატარდა 1907 წლის დეკემბერში. პროცესზე ო. ბარათაშვილმა მეტად გაბედული და შინაარსიანი დაცვითი სიტყვა წარმოთქვა. მოგვყავს ამ სიტყვის შემოკლებული ამონაწერი სასამართლოს სხდომის ოქმიდან: "ვიბორგის მოწოდება ჩვენ ბრძოლის საშუალებად მიგვაჩნდა. ეს უბრალო ფრაზა არ არის... მოიგონეთ საქართველოს დასავლეთი და ჩრდილოეთი ნაწილები. განა იქ ოდესმე სახელმწიფო გადასახადებს იხდიდნენ და განა იქ ვინმე რეკრუტებს აყენებდა? არა. ეს უდავო ფაქტია. ჩვენთან დამყარებული წესრიგით, უფრო კი უწესრიგობით, მთელი მოსახლეობა წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობამდე არის მიყვანილი. და აი, როგორც ბრძოლის პირველი საფეხური, აუცილებელი შეიქმნა პასიური წინააღმდეგობა. თუ ჩვენ გასაცოდავებულ ქართველი გლეხის ქოხში შეიხედავთ, მაშინ მიხვდებით, რომ იგი ყოველივეს მედგრად იტანს, მისი უკანასკნელი ავლადიდება, უკანასკნელი ქვაბი და ტანსაცმელი გამოაქვთ მისი სახლიდან და ამას იტანს იმიტომ, რომ დარწმუნებულია თავის სიმართლეში. როდესაც სახელმწიფო სათათბირომ თავისი მოწოდება გამოუშვა, მაშინ მან მხოლოდ ხალხის უფლება დაადასტურა. ჩვენ, სახალხო წარმომადგენლები, იძულებული ვიყავით ცხოვრების სინამდვილის თვალსაზრისზე დავმდგარიყავით, ბრძოლა გვეწარმოებინა და ამით თავიდან აგვეცილებინა უფრო უარესი, რაც რომ ამის შედეგად შესაძლებელი იყო მომხდარიყო. ამ მხრივ ჩვენი ვალი მოვიხადეთ.

ბატონო მოსამართლენო და წოდებრივო წარმომადგენელნო! მე დღეს გამოვცხადდი არა როგორც ბრალდებული, არამედ როგორც ბრალმდებელი და ამ მხრივ...

თავმჯდომარე: თქვენ სიტყვა მოგეცათ არა როგორც ბრალმდებელს...

თავადი ბარათოვი: ჩვენ თავისუფლებისაკენ მივისწრაფვოდით. ერთადერთი მიზანი და სწრაფვა რუსეთის კეთილდღეობა იყო. 8 ივლისს კი ჩვენ დავინახეთ, რომ სურთ ამის განადგურება. განა პატიება შეიძლება?.. რასაკვირველია – არა. ჩვენს ბედზე, ჩვენი მისწრაფებების განადგურება, მათი ჩაკვლა ისევე, როგორც მზის ჩაქრობა, არავის ძალუძს, არავის შეუძლია. მე მჯერა, რომ ოდესმე ამ სკამებზე ვიხილავ თავისუფალი რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც მოძალადეებს მსჯავრს თვით დასდებენ... დადგება დრო, როდესაც ჩვენ ყველა მოქალაქეებთან ერთად მანდ ვიჯდებით (უთითებს მოსამართლეების სკამებზე) და ჩვენს მოძალადეებს გავასამართლებთ"... (Депутаты 1 гос. думы под судом. Составлен В.Н. Классоном, 1908 г. Петербург).

ო. ბარათაშვილი სისხლის სამართლის საქმეთა საუკეთესო მცოდნე სპეციალისტი იყო და, როგორც ადვოკატს, დიდი პრაქტიკა ქონდა. განსაკუთრებით გამოირჩეოდა ოსიკო ბარათაშვილის დაცვითი სიტყვები მის მიერ ჩატარებულ პოლიტიკურ პროცესებში და მკვლელობის საქმეებზე.

1906 წლის 14-20 თებერვალს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ გაასამართლა სოც. დემოკრატიული პარტიის წევრი – ტერორისტი არსენ ჯორჯიაშვილი, რომელმაც ყოფ. ბარიატინის ქუჩაზე ეტლით მიმავალი კავკასიის არმიის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი გრიაზნოვი მოკლა.

ჯორჯიაშვილის ინტერესებს ოსიკო ბარათაშვილი და თბილისელი ადვოკატი მიხეილ კლანკი იცავდნენ.

წაყენებულ ბრალდებაში არსენა ჯორჯიაშვილი თავს დამნაშავეთ არ ცნობდა. დაცვა მხარს უჭერდა რა ბრალდებულის პოზიციებს, შეეცადა გამოძიების მიერ წარმოდგენილი დამამტკიცებელი საბუთებისათვის დაეკარგა თავიანთი მნიშვნელობა. გარდა ამისა, დაცვა მიზნად ისახავდა, რაც შეიძლება ხელი შეეშალა განაჩენის გამოტანისათვის და საქმის განხილვა გაეჭიანურებინა. უნდა ვიფიქროთ, რომ საქმის გაჭიანურების სურვილი ორი გარემოებით აიხსნებოდა. პირველი – პარტიას შესაძლებლობა მისცემოდა მოეწყო ჯორჯიაშვილის საპატიმროდან გაქცევა. მეორე – იყო იმედი, რომ მთავრობა რევოლუციური ძალების ზეგავლენით იძულებული გახდებოდა გაევრცელებინა პოლიტიკურ პატიმრებზე შეღავათები და თუ ამნისტიის გამოცემამდე საქმე გაჭიანურდებოდა, ჯორჯიაშვილს სიკვდილით დასჯა ასცილდებოდა.

იოსებ ბარათაშვილი

ბარათაშვილმა განავითარა აზრი, რომ სამხედრო მსახურები ვიქტორ ციცერსკი და ნიკოლოზ ადმანოვი, რომლებმაც ჯორჯიაშვილი შემთხვევის ადგილზე დააკავეს და ბრალდების მთავარი მოწმეები იყვნენ, ჯორჯიაშვილთან მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდნენ. წამოყენებული იყო აზრი, რომ ციცერსკიმ და ადამოვმა მიითვისეს საათი, რომელიც მათგან ჯორჯიაშვილმა 3 მანეთად იყიდა, ფული გადაუხადა და ნივთი ვერ მიიღო. მკვლელობა მოხდა იმ მომენტში და იმ ადგილის ახლოს (ალექსანდრეს ბაღთან), სადაც არსენა ციცერსკის და ადმანოვს ფულის დაბრუნებას თხოვდა და რომ იგი თავიდან მოეშორებინათ მათ ისარგებლეს მომენტით და არსენა დაეკავეს როგორც მკვლელი. ამ განცხადების და არსენასთვის კიდევ სხვა სასარგებლო გარემოებების დასადასტურებლად ოსიკომ მოითხოვა რამდენიმე მოწმის დაკითხვა, რომელთა ადგილსამყოფელის დადგენა, როგორც ეტყობა, შეუძლებელი იყო. ეს ხერხი გამოყენებულია მხოლოდ და მხოლოდ დროის მოგების მიზნით, პროცესის გადასადებად, საქმის განხილვის გასაჭიანურებლად. სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღძრული შუამდგომლობები და ჯორჯიაშვილს მსჯავრი დასდო, მაგრამ არა სრულყოფილი მასალებით, ისეთი მტკიცებების საფუძველზე, რომლებიც დაცვამ მეტად საეჭვო მდგომარეობაში ჩააყენა და დაუკარგა მათ დამაჯერებლობა. მართალია დაცვამ არსენას გადარჩენა ვერ შეძლო, მაგრამ თვით პროცესით შებღალულ იქნა სამხედრო სასამართლოს ავტორიტეტი – შეიქმნა საზოგადოებრიობის აზრი, რომ გამოტანილია უსამართლო განაჩენი, აღნიშნული კი გამოყენებული იქნა არსებული წყობილების წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური აგიტაციისათვის. არსენა ჯორჯიაშვილის პროცესის გამოყენება პოლიტიკურ აგიტაციისათვის გამონანაკლისს არ წარმოადგენდა. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები ხშირად იყენებდნენ მასიური აგიტაციისათვის, როგორც თვით სასამართლო ტრიბუნას, აგრეთვე პრესას, სასამართლო პროცესების გაშუქებით, რეაქციული იუსტიციის შავბნელი საქმიანობის გამოსამჟღავნებლად. პერიოდულ გამოცემებში მრავლად მოთავსებული ქრონიკული მასალა მოწმობს, რომ პირადად ო. ბარათაშვილს არა ერთხელ გამოუყენებია სასამართლო ტრიბუნა პოლიტიკური აგიტაციის საწარმოებლად და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

არსენა ჯორჯიაშვილის პროცესის შესახებ გვაქვს თვით ოსიკო ბარათაშვილის ასეთი ჩანაწერი:

"არსენა ჯორჯიაშვილზე ბევრი ითქვა, ბევრი დაიწერა, მე მინდა შევეხო ერთ გარემოებას, როგორც მაყურებელი. ამ პროცესით ყველანი იყვნენ დაინტერესებულნი. იმ დროს გრიაზნოვი წარმოადგენდა დიდ პიროვნებას. და მისმა სიკვდილმა მთელი ამიერკავკასიის ადმინისტრაცია ფეხზე დააყენა. იმ დროს ხშირი იყო ტერორისტული აქტები, მაგრამ გრიაზნოვის მკვლელობას ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. იგი ორგანიზაციულად იყო მოწყობილი...

არსენა ჯორჯიაშვილმა ესროლა რა ყუმბარა და დაინახა რა, რომ მიზანს მიაღწია, იგი არ შეშინდა, არ დაიბნა, მოტრიალდა და ალექსანდროვის ბაღისაკენ გაეშურა.

ბარიატინსკის ქუჩაზე მუდმივად იმყოფებოდნენ გარადავოები და აკალოდოჩნი ნადზირატელი, მით უმეტესათ რომ იქვე იყო მოთავსებული ნამესტნიკის მოადგილეს კანცელარია და ბინა მალამასი – ნამესტნიკის მოადგილის. თავზარდაცემული გარადოვოები და აკალოდოჩნი ნადზირატელები ჯორჯიაშვილს ვერ დაიჭერდნენ; თუ ერთ უცაბედ შემთხვევას არ ექნებოდა ადგილი. ამ დროს ქვეიდან მოდიოდა ერთი ოკოლოდოჩნი ნადზირატელი, რომელმაც გადაუღობა გზა. ჯორჯიაშვილმა ამოიღო რევოლვერი, უნდა ესროლა მისთვის, მაგრამ ამ დროს უკნიდან წაატანეს ხელი და დაიჭირეს. აღსანიშნავია, რომ ჯორჯიაშვილი იქნა დაპატიმრებული რევოლვერით ხელში.

დაკითხვის დროს ჯორჯიაშვილმა არ სცნო თავი დამნაშავედ და მისი პასუხი საერთოდ იყო მოკლე და მოჭრილი.

სამხედრო სასამართლოს დარბაზი იყო სავსე ხალხით, სავსე იყო აგრეთვე გენერლებით და ოფიცრებით.

სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარემ წაიკითხა საბრალმდებო ოქმი (საბრალმდებო დასკვნა) და კითხა, იცის თუ არა ჯორჯიაშვილმა თუ რა ბრალდებას უყენებენ მას და რას იტყვის გასამართლებლად. მან უპასუხა: "მე არ ვცნობ თავს დამნაშავეთ, მე მივდიოდი და დამიჭირეს". ამაზე მეტი მას არაფერი არ უთქვამს, ეჭირა თავი მედიდურათ, პასუხი იყო ნათქვამი მაღალი ხმით და სიმტკიცით, არავითარი დაღვრემილობა, არავითარი მონანიება. ყველა ჩვენგანი დარწმუნებული იყო, რომ იგი დგას სიკვდილის კარებთან, მაგრამ მისი მოქმედება ჩვენ, დამცველებს გვამხნევებდა.

პროცესის დროს, როცა მოწმეები ამხილებდნენ მას, იგი არ ცდილობდა თავის გამართლებას და დაცინვის ღიმილით უყურებდა მათ.

დაცინვის მიზანი იყო, თუ შესაძლებელი იყო, ჯორჯიაშვილი სიკვდილის ბრჭყალებიდან გამოგვეგლიჯა და მეორე, საქმისათვის მიგვეცა პოლიტიკური სახე...

სასამართლომ გამოიტანა განაჩენი სიკვდილით დასჯა. ჯორჯიაშვილმა განაჩენი მოისმინა წარბშეუხრელად, ერთი წამი იყო სიბრაზით გაუბრწყინდა თვალები, შემდეგ მისმა სახემ მიიღო ჩვეულებრივი სიმშვიდე.

განსასჯელის დედ-მამამ რამდენიმე ხნის შემდეგ დაიწყეს ტირილი. ჯორჯიაშვილი მიუბრუნდა მათ და უთხრა: "რას ჩადიხართ რათ სტირით, სატირელი არაფერი არა გაქვთ. მე შევასრულე ჩემი მოვალეობა". კიდევ აპირებდა რაღაცის თქმას, მაგრამ მცველებმა-ჯარისკაცებმა არ დააცალეს და წაიყვანეს".

ო. ბარათაშვილი დიდი განცდების და მაღალი გრძნობების გამომხატველი პიროვნება იყო, რის შედეგადაც იგი თავისი სიტყვით მსმენელებზე დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა. ამ გარემოებას, აგრეთვე ხელს უწყობდა მისი არტისტული ნიჭი, რომელიც ბარათაშვილის გამოსვლებს მეტად ალამაზებდა და მაღალ პათეტიურ ელფერს ანიჭებდა. დაცვით სიტყვებში მძაფრ ფსიქოლოგიურ ელემენტების გამოყენებას და მათ გარეგნულ ეფექტიურობას დიდი შედეგის მოტანა შეეძლო სასამართლოებში, სადაც საქმეები წოდებრივ წარმომადგენელთა ან ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით იხილებოდა. წოდებრივი წარმომადგენლები და ნაფიცი მსაჯულები ხალხის ე.წ. "წარმომადგენლებს" წარმოადგენენ და ხშირად მათი ინტერესები არ ეფარდებოდა სასამართლოს მოხელეთა ინტერესებს. ისინი არ წარმოადგენდნენ "გრძნობა და სულ ამორთმულ" მოსამართლეებს, რომლებიც მხოლოდ სამსახურებრივი ვალდებულების მაღალი პრინციპებიდან გამომდინარეობდნენ და ხელისუფლების ინტერესების დაცვას კანონის ფორმალურად და მისი მთელი სიმკაცრით გამოყენებით ანხორციელებდნენ. წოდებრივი წარმომადგენლების და ნაფიც მსაჯულთა მეტად ჭრელი შემადგენლობა (აქ შეიძლება ყოფილიყო: თავადი და გლეხი, აზნაური და ვაჭარი, მღვდელი და ათეისტი, დემოკრატი და ანარქისტი) ხშირად მათ ადამიანურ გრძნობებზე ზეგავლენის მოხდენის საშუალებას იძლეოდა და ადვოკატს ერთგვარ გასაქანს აძლევდა. მართალია წოდებრივი წარმომადგენლების და ნაფიც მსაჯულთა როლი სასამართლო პროცესში შეზღუდული იყო, მაგრამ მათზე ზეგავლენას მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვექილი მათ მხარდაჭერას მიაღწევდა ეს უდავოდ გამარჯვებას ნიშნავდა.

ოსიკო ბარათაშვილის თანამედროვენი იგონებენ, რომ მენშევიკური ხელისუფლების დროს ოსიკო ერთ მკვლელობის საქმეს იცავდა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულია. ოსიკოს დაცვის ქვეშ მყოფ ახალგაზრდა ვაჟს თავისი შეყვარებულის და მოუკლავს, იმისათვის, რომ იგი ჩათვალა მისი მიზნის განხორციელებაში ხელის შემშლელ პიროვნებად.

ოსიკოს ისეთი ამაღელვებელი დაცვითი სიტყვა წარმოუთქვამს, რომ ნაფიც მსაჯულთა მთელი შემადგენლობა – 12 კაცი აუცრემლებია და ისეთი სიმპათიით გაუმსჭვალავს ისინი ბრალდებულის მიმართ, რომ მსაჯულებს ერთხმად მისი გამართლება გადაუწყვეტიათ.

ოსიკოს დაცვითი სიტყვის ძირითადი ხაზი, ფსიქოლოგიურ ზეგავლენაში გამოიხატა, რომლის მიხედვითაც შეიქმნა რწმენა, რომ - "საზოგადოებისათვის საკმარისია ერთიგაუბედურებული დედა და მეორე დედის გაუბედურება, რომლის შვილმაც დანაშაული ჩაიდინა, არ არის მიზანშეწონილი" (ადვოკატი დ. ი. დიდებულიძის მოგონებიდან).

საბჭოთა პერიოდში ოსიკოს არა მარტო თავისი პოლიტიკური შეხედულებების გადასინჯვა მოუხდა, მას აგრეთვე დასჭირდა თავისი პროფესიონალური მოღვაწეობის მთლიანად გარდაქმნა, და მისთვის ახალი მიმართულების მიცემა.

ოსიკო ბარათაშვილი საზოგადოებისათვის ცნობილი იყო, როგორც არა მარტო როგორც იურისტი, მას იცნობდნენ, როგორც დიდ სცენისმოყვარეს, ქართული ხელოვნების მცოდნესა და პროპაგანდისტს. ოსიკოს საუკეთესო ხმა აღმოაჩნდა. 1928 წლის თებერვალში მან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში შეასრულა ტონიოს პარტია ლეონკოვალოს ოპერა "ჯამბაზებში", რითაც ააღფრთოვანა ქართველი საზოგადოება.

სუპერმენი

ამერიკული კულტურის ინგრედიენტები

ირაკლი მახარაძე

ამ რამოდენიმე წლის წინათ რუსეთში გამოსცეს ლევ ტოლსტოის „ანა კარენინას“ კომიქსები. როგორც მოსალოდნელი იყო, ამან გამოიწვია საზოგადოების გარკვეული ნაწილის აღშფოთება, რომ თითქოსდა ეს რუსი კლასიკოსის და საერთოდ, რუსული კულტურის შერცხვენაა, რომ ასეთი სახით კლასიკური ნაწარმოების გამოცემა ყოვლად დაუშვებელია და ა.შ. როგორც პირადი საუბრებიდან გაირკვა, ამ აზრს ჩვენშიც ბევრი იზიარებს, თანაც თუ ეს ჩვენი ლიტერატურული შედევრების, განსაკუთრებით კი „ვეფხისტყაოსნის“ კომიქსებად გამოცემას ეხება. თუმცა, ჩემი აზრით, იგივე „ვეფხისტყაოსნის“ კომიქსების სახით გამოშვებაში ცუდს ვერაფერს ვერ ვხედავ.

დავიწყოთ იქიდან, თუ რა არის კომიქსი. უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით ეს არის მომცრო წიგნი, რომელიც შეიცავს ნახატების სერიას მოკლე წარწერებით, რომელთაგანაც გამოდის გაბმული მოთხრობა, ეს იგივეა რაც მომავალი ფილმის კადრირებული, ნახატი ვარიანტი. რაც მთავარია, ეს არ ნიშნავს აუცილებლად კარიკატურულ და გაშარჟებულ პერსონაჟებს (ხომ გამოუშვეს მშვენიერი კომიქსი იესო ქრისტეს ცხოვრებაზე, რაიმე დაშავდა ამით?). გამომდინარე იქიდან რომ ადამიანები იყოფიან რამოდენიმე კატეგორიად - ვისაც უყვარს კითხვა, (მათ კომიქსები, ალბათ, არ დასჭირდებათ), და ვისაც არ უყვარს კითხვა, ან ეზარება, ან საამისოდ დრო არა აქვს, მაგრამ აინტერესებს ამა თუ იმ წიგნის შინაარსი. მაშინ რას ვერჩით ამ კატეგორიის ხალხს? ვისაც უნდა წაიკითხავს „ვეფხისტყაოსანს“ ან "ანა კარენინას", ან "მურაკამის", თანაც ორიგინალში, სხვა კი მიიღებს ამ და სხვა წიგნის მოკლე შინაარსს გამარტივებული სახით, თანაც დასურათებულს; ამით პირიქით, კარგ საქმეს გავაკეთებთ.

ამერიკელი ბავშვების ოცნება - ქრისტოფერ რივი



"სუპერქალი"

"სუპერმენი" ნიუ იორკში

"სუპერმენი" მისიაზე

სუპერჟურნალისტი კლარკ კენტი

დღევანდელ სამყაროში კომიქსი ისეთივე პოპულარული რამ არის, როგორც მაგალითად კოკა-კოლა, მნიშვნელობა არა აქვს, გიყვართ ის თუ არა. ცნობილი მსახიობი ნიკოლას ქეიჯი, კომიქსების დიდი თაყვანისმცემელი და კოლექციონერი, ასე ახასიათებს მას: „ბერძნებს საკუთარი მითოლოგია გააჩნიათ, ეს კიდევ ჩვენია. მიკი მაუსი და ბეთმენი, სუპერმენი და კოკა-კოლა ჩვენი ღირსებაა.“ ქეიჯის კოლექციის მარგალიტს მასობრივი კულტურის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პერსონაჟის, სუპერმენის პირველი გამოცემა წარმოადგენს.

სანამ სუპერმენი (superman-ზეადამიანი), მეტსახელად „ფოლადის ადამიანი“ თავის პოპულარობას მოიხვეჭდა, როგორც სამყაროს გადამრჩენელი, ბოროტების დამთრგუნველი, სამართლიანობისთვის და ყველაფერი ამერიკულისთვის მებრძოლი, იგი ბევრისთვის ასოცირდებოდა გერმანულ რასისტულ თეორიასთან, რომლის მიხედვითაც არიელი, ანუ გერმანელი, უნდა ბატონობდეს სხვა უფრო სუსტ ერებზე. ამ ასოცირების მიზეზი კი ის არის რომ ადოლფ ჰიტლერის აღზევება და სუპერმენის დაბადება, რომლის ავტორები არიან, მაშინ 17 წლის მწერალი ჯერი სიგელი და მხატვარი ჯო შუსტერი, ერთ პერიოდში მოხდა (1933 წელს). ბევრი სუპერმენში ფაშისტური სიმბოლიკის რეკლამასაც კი ხედავდა, მის გულმკერდზე ამოტვიფრული ასო S, ნაცისტური პოლიციის SS-ის ასოციაციას იწვევდა. მაგრამ ნაციტებისაგან განსხვავებით ახალგაზრდების მიზანი სხვა იყო: ეჩვენებინათ მეგობრული მისიით ჩამოსული უცხოპლანეტელი, რომელსაც სურდა ეკეთებინა კეთილი საქმე. მას ჰქონდა ათი კაცის ძალა, შეეძლო ხეს გადახტომოდა, მაგრამ დასაწყისში არ შეეძლო ყველაზე მთავარი - ფრენა.

თავდაპირველად (ეს კი რამდენიმე წელი გაგრძელდა), გაზეთების რედაქტორებმა არავითარი ინტერესი არ გამოამჟღავნეს სუპერმენისადმი, მხოლოდ ერთი, Detective Comics, დაინტერესდა ამ იდეით და არც წააგო. სიგელს და შუსტერს ნახატებისათვის და საავტორო უფლებებისათვის 130 დოლარი გადაუხადეს (ავტორთა მხრიდან ეს დიდი შეცდომა იყო, რადგან მომდევნო წლებში სუპერმენის კომიქსების შემოსავალმა მილიარდს გადააჭარბა, ავტორებს კი გროშები ხვდებოდათ. შუსთერმა და სიგელმა 1948 წელს სასამართლოში უჩივლეს Detective Comics-ს. მათ თავისი წილის მიღება სურდათ, მაგრამ საქმის წარმოება ძლიერ გაჭიანურდა და მხოლოდ 70-იან წლებში დამთავრდა, რის შედეგადაც მათ მიიღეს საპენსიო ფული და ისინი საავტორო უფლებებშიც აღადგინეს). მაშინ კი სიგელი და შუსთერი აიყვანეს სამუშაოზე და ყოველ ახალ გვერდში ათ დოლარს უხდიდნენ. პირველი ასეთი კომიქსი (13 გვერდიანი) 1938 წლის ივნისში გამოვიდა. მისი ტირაჟი ელვისებურად გაიყიდა (აღსანიშნავია, რომ ამ პირველი კომიქსის ერთი ეგზემპლარი 1991 წელს სოთბის აუქციონზე გაიყიდა 29 ათას 700 დოლარად). სუპერმენი მაშინათვე იქცა ჰითად და სიცოცხლე მისცა მის მსგავს ზეადამიანებს, მათ შორის ბეთმენს, კაპიტან მარველს, სუპერბიჭს, სუპერგოგოს, სუპერცხენს და სუპერძაღლსაც კი.

შემოსავალთან ერთად იზრდებოდა სუპერმენის ძალა და შესაძლებლობაც. ზუსტად მაშინ დაიბადა იდეა, რომლის მიხედვითაც, კეთილი საქმეების კეთებისაგან თავისუფალ დროს სუპერმენი გაზეთ Daily Star-ის სათვალიან რეპორტიორად, კლარკ კენტად, გარდაქმნილიყო. მაშინ გამოჩნდა მისი თაყვანისმცემელი ლუის ლეინი და მისი მტერი ბოროტი ლექს ლუთორი. სულ ცოტა ხანში, 1940 წელს, სუპერმენმა რადიოში გადაინაცვლა, სადაც მსახიობმა ბად ქოლიერმა იგი ფართო აუდიტორიას ასეთი სიტყვებით წარუდგინა: „იგი ტყვიაზე უფრო სწრაფია! უფრო ძლიერია, ვიდრე ლოკომოტივი! ერთი ნახტომით შეუძლია ყველაზე მაღალ შენობას გადაევლოს! შეხედეთ! მაღლა ცაში! ეს ჩიტია! ეს თვითმფრინავია! ეს სუპერმენია!“

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (რომლის განმავლობაში სუპერმენი ძმები ფლეიშერების 17 მაღალბიუჯეტიან ანიმაციურ ფილმში გამოჩნდა, სადაც არაერთი ფაშისტი დაიფრინა), 1948 წელს გადაიღეს პირველი მხატვრული ფილმი მის შესახებ. სუპერმენის როლს კირკ ალინი ასრულებდა, რომელიც ბოროტ ობობა-ქალს ებრძოდა. მეორე ფილმი 1950 წელს შეიქმნა. სულ ცოტა ხანში გადაიღეს სატელევიზიო სერიალი, სადაც ალინი ჯორჯ რივსმა შეცვალა. იგი შერჩეულ იქნა შთამბეჭდავი პროფილის გულისთვის, მაგრამ ფიზიკურად სუსტი აღნაგობისა იყო, ამიტომ რეზინისაგან სპეციალური კოსტუმი შეუკერეს, რათა ის თავის დაკუნთულ ნახატ პროტოტიპს დამსგავსებოდა. თუმცა, ფილმის ავტორებს არავითარი მცდელობა არ გაუკეთებიათ, რათა სუპერმენისა და ჟურნალისტ კენტს შორის მსგავსება არ ყოფილიყო, მას მხოლოდ სათვალე გაუკეთეს და ფილმის სხვა გმირებს უნდა დაეჯერებინათ, რომ ისინი სხვადასხვა პიროვნებები იყვნენ. სერიალი ოთხი წლის განმავლობაში გადიოდა და სუპერმენმა მთელი ქვეყანა დაიპყრო.

სუპერმენის სერიალის წარმატების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჯორჯ რივსი იყო. იგი სერიოზული მსახიობი გახლდათ და ამ კომიქსებს თავისი თამაშით დამაჯერებლობა და სერიოზული ტონი შემატა. ამ როლით იგი საყოველთაოდ ცნობილი და თანაც მდიდარი გახდა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება ხოლმე, მსახიობს კარიერა დაენგრა. არავის აღარ უნდოდა რივსის სხვა ამპლუაში ნახვა. ფრედ ცინემანის სამხედრო თემაზე შექმნილ ფილმში „აქედან მარადისობამდე“ მის მიერ ბრწყინვალედ ნათამაშები როლი სტუდიამ ბოლოს და ბოლოს ამოჭრა, რადგან როგორც კი რივსი ეკრანზე გამოჩნდებოდა დარბაზში იწყებოდა აურზაური და შეძახილები: „სუპერმენი! სუპერმენი!“ და მთლიანად უკარგავდა სურათს სერიოზულ და დრამატულ პათოსს. მაყურებელმა და განსაკუთრებით კი ბავშვებმა იმდენად დაიჯერეს რივსის და სუპერმენის იგივეობა, რომ ერთხელ იგი კინაღამ დაიღუპა: მას ქუჩაში ბავშვმა პისტოლეტიდან ესროლა, სჯეროდა რა, რომ ტყვია სუპერმენს არავითარ ზიანს არ მიაყენებდა. საბედნიეროდ, ტყვიამ მიზანს ვერ მიაღწია, რივსმა კი, სუპერმენის იმიჯი რომ არ შეელახა, ბავშვს მოთმინებით აუხსნა, რომ რა თქმა უნდა მას არაფერი დაუშავდებოდა, მაგრამ ასხლეტილ ტყვიას შეეძლო ვინმე მოეკლა. როდესაც სუპერმენის მხატვრული ფილმების გადაღება 1957 წელს შეწყვიტეს, რივსი თითქმის ორი წელი არსად არ მუშაობდა და შემოქმედებითმა კრიზისმა 1959 წელს იგი თვითმკვლელობამდე მიიყვანა.

60-იან წლებში სუპერმენი უკვე აქტუალური აღარ იყო, რადგან მაშინ საზოგადოებაში სხვა ფასეულობები ბატონობდა და პირველ რიგში, ეს იყო როკ- მუსიკა. მაგრამ 70-იანებში „ვარსკვლავური ომების“ გამაოგნებელი წარმატების შემდეგ ადამიანებს მიეძალათ ნოსტალგია და სუპერმენი გახდა კომიქსის პირველი გმირი, რომელმაც თავის თანამოძმეებს ბეთმენს, დიკ თრეისის და სხვებს გაუკვალა გზა დიდ ეკრანზე. 1978 წელს რეჟისორმა რიჩარდ დონერმა გადაიღო მაღალბიუჯეტიანი, სპეცეფექტებით დახუნძლული სურათი, სადაც პირველად იქმნება ილუზია, რომ სუპერმენი ნამდვილად დაფრინავს. სუპერმენის როლს ასრულებდა ქრისტოფერ რივი, ისეთივე სერიოზულობით და მონიბებით, როგორც თავის დროზე მისი წინამორბედი რივსი აკეთებდა. თავისი პოზიცია რივმა ჯურნალ TIME-ს აუხსნა: „მე ჩემი თვალით ვნახე, თუ რა როლს თამაშობს სუპერმენი ადამიანთა ცხოვრებაში. მე ვნახე ტვინის სიმსივნით დაავადებული ბავშვები, რომელთა უკანასკნელი თხოვნა იყო ჩემთან (სუპერმენთან) საუბარი, და ისინი დამშვიდებული წავიდნენ საიქიოს, დარწმუნებულნი რომ მე რეალურად ვარსებობ“. 1995 წელს რივი ცხენიდან ჩამოვარდა, ხერხემალი დაიზიანა და დღემდე ინვალიდის სავარძელს მიჯაჭვული ვაჟკაცურად, როგორც სუპერმენს შეეფერება (თუმცა კი უშედეგოდ), ებრძვის ავადმყოფობას.

სუპერმენს კიდევ სამი გაგრძელება მოჰყვა და სტუდიას მილიონობით დოლარის შემოსავალი მოუტანა. ფილმისგან განსხვავებით, იმ პერიოდში კომიქსების გაყიდვა შემცირდა. გამოკითხვებმა ცხადჰყო, რომ ამ სახის ლიტერატურის მკითხველთა ასაკი 19-20 წელია, უფრო პატარა ბავშვები კი ტელევიზიამ და კომპიუტერმა გადაიბირა.

სუპერმენისა და კომიქსების სხვა გმირებისადმი ინტერესი უფრო და უფრო იზრდება. ამ ბოლო წლების განმავლობაში გადაიღეს X-MEN, ადამიანი-ობობა, DARE-DEVIL და როგორც ამბობენ, სულ მალე ვიხილავთ სუპერმენის ახალ ვარიანტსაც. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამერიკელი კინემატოგრაფისტების უდიდეს ნაწილს, კომიქსების გარდა, სხვა არაფერი არა აქვს წაკითხული და ამიტომაცაა, რომ ამ ბოლო წლებში გამოსული ფილმების დიდ ნაწილი დაფუძნებულია ან ვიდეოთამაშებზე, ან კომიქსებზე ან კიდევ ძველი ფილმების რიმეიქია. როგორც წესი ეს უკანასკნელი ორიგინალს ათი (თუ მეტი არა) თავით ჩამორჩება ხოლმე. ამერიკული კინოინდუსტრია დაემსგავსა სათამაშოების დიდ ფაბრიკას, რომლის პროდუქცია ერთმანეთს ტყუპისცალივით წააგავს, ამას დაემატა უახლესი ტექნოლოგიური სპეცეფექტები, რომლებიც ხშირად უკუშედეგს იძლევიან, რადგან მსახიობი, მთავარი მოქმედი პირი, როგორც წესი, გადადის უკანა პლანზე, ან კიდევ საერთოდ იკარგება. მაგრამ მიუხედავად ამისა ამ სახის პროდუქციამ ყველგან შეაღწია და მას უზარმაზარი მოგება მოაქვს.

„დაიმლერკრაისლერის„ მოგებამ 4.7 მილიარდი შეადგინა

„დაიმლერკრაისლერმა“ გამოაცხადა, რომ გასული წლის მონაცემების მიხედვით, კონცერნის სუფთა მოგებამ 4.7 მილიარდი ევრო შეადგინა. არადა, ჯერ კიდევ ერთი წლით ადრე მან 622 მილიონი ევრო იზარალა, რაც ძირითადად წამგებიანი „კრაისლერის“ გამო მოხდა.

ამასთან, კორპორაციამ გამოაცხადა, რომ აქციონერებზე გასაცემ დივიდენდებს 50 პროცენტით გაზრდის. მაგალითად, 2001 წლის ერთი ევროდან თითო აქციაზე დივიდენდმა შარშან ევრონახევარი შეადგინა.

დაიწყო „მიცუბიში ევო VIII„-ის წარმოება

თებერვლის პირველსავე დღეს კომპანია „მიცუბიში“ თავის იაპონურ ქარხანაში სპორტულ მოდელ „ლანსერ ევო VIII“-ის წარმოებას შეუდგა. ავტომობილი „უორლდ რალი ჩემპიონშიპის“ (WRC) მოთხოვნების სრული დაცვითაა შექმნილი და მომავალი წლიდან რალის მსოფლიო ჩემპიონატში ჩაერთვება.

იგი აღჭურვილია ორლიტრიანი ტურბოკომპრესორიანი ძრავით, რომლის სიმძლავრეც 300 ცხენის ძალითაა შეზღუდული, მაგრამ ექვსსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფისა და ელექტრონული მართვის სისტემებით აღჭურვილი ტრანსმისიის მეშვეობით ავტომობილს შესანიშნავ დინამიკურ მახასიათებლებს ანიჭებს.

აღსანიშნავია, რომ „ევო VIII“-ის რიგიანად მოსამზადებლად „მიცუბიშიმ“ წლეულს თავი შეიკავა რალის მსოფლიო ჩემპიონატში ასპარეზობისგან, სადაც მერმის დაბრუნდება და როგორც მოელიან, კვლავ ტიტულისთვის იბრძოლებს.

„ლამბორგინი„ 4X4-იანთა კლუბში?

იტალიურ კომპანია „ლამბორგინის“, რომელიც „ფოლკსვაგენის“ ჯგუფში შედის, გადაწყვეტილი აქვს ბაზარზე გაზრდილი გამავლობის უნივერსალის გამოშვება, რითაც კონკურენციას გაუწევს „პორშე კაიენსა“ და „მერსედეს-ბენცის“ GST-ს, რომელიც ჯერაც ემზადება დებიუტისთვის.

წინასწარი ინფორმაციით, „ლამბორგინის“ ახალ პროექტზე უკვე დაწყებული აქვთ მუშაობა კომპანია „აუდის“ (ესეც „ფოლკსვაგენის“ ოჯახის წევრია) კონსტრუქტორებს, რომლებიც ახალ მოდელს „ფოლკსვაგენ ტუარეგის“ დაგრძელებულ პლატფორმაზე დასვამენ.

„აუდის“ კონსტრუქტორთა და დიზაინერთა კონცეპტუალური ნამუშევარი ავტოსამყარომ დეტროიტის წლევანდელ ავტოსალონზე იხილა „პაიკს პიკის“ სახით, რომელიც ცნობილ დიზაინერ ვალტერ და სილვას შემოქმედების ნაყოფია. სწორედ „პაიკს პიკზე“ ამბობენ, რომ ის 2006 წლიდან „ლამბორგინის“ სამარკო ნიშნით მოევლინება ბაზარს. ამასთან, კომპანიის წარმომადგენლები გადაჭრით უარყოფენ ხმებს იმის შესახებ, რომ ისინი ცნობილ მოდელ LM002-ის რეინკარნირებას ცდილობენ. ამ 450 ცხენისძალიან სუპერჯიპს გვერდით მხოლოდ „ჰამერს“ თუ დაუყენებდი. მისი წარმოება 1986-93 წლებში, შეზღუდული რაოდენობით ხდებოდა და სიძვირის გამო დიდი პოპულარობით არ გამოირჩეოდა.

„რენო/ნისანი„ მსოფლიოში მეხუთეა

გასული წლის მონაცემებით, გაყიდვებში მეხუთე ადგილი დაიკავა შედარებით ახალმა საავტომობილო ალიანსმა, რომელშიც გაერთიანებული არიან ფრანგული კომპანია „რენო“ და იაპონური „ნისანი“. შარშან ალიანსის გაყიდვები 2.9 პროცენტით გაიზარდა და 5 139 505 ცალს მიაღწია. ამ რიცხვიდან 2 735 530 ცალი „რენოზე“ მოდის, დანარჩენი 2 403 505 კი - „ნისანზე“.

ყოველივემ ფრანგულ-იაპონური ალიანსი გაყიდვების მხრივ მსოფლიოს ავტოგიგანტებს შორის მეხუთე ადგილზე გადაიყვანა. ამასთან, ზემოთ მოყვანილ მონაცემებში არ არის გათვალისწინებული იმ სამი მარკის გაყიდვების მოცულობა, რომლებსაც „რენო“ და „ნისანი“ ფლობენ.

ამ სამიდან ერთია „ნისანის“ კუთვნილი „ინფინიტი“, რომელმაც შარშან სულ 94 880 ავტომობილი გაყიდა. კორეულ „სამსუნგზე“, რომელიც „რენოს“ კუთვნილებაა, 117 088 გაყიდული ავტომობილი მოდის, ფრანგებისვე კუთვნილმა რუმინულმა „დაჩიამ“ კი მხოლოდ 57 775 ავტომობილის რეალიზება შეძლო.

„ჯიპის„ მარკის ჰიკაპი

კომპანია „ჯიპი“, რომელიც თავისი უგზოობის ავტომობილებითაა ცნობილი და კორპორაცია „დაიმლერკრაისლერში“ შედის, თავისი სამოდელო რიგის გაფართოებას იწყებს და ამისათვის ახლო მომავალში საავტომობილო ბაზარს წარუდგენს საშუალო ზომის პიკაპის კლასის ავტომობილს.

სიახლისთვის უკვე შერჩეულია სახელი - მას „სკრემბლერი“ დაერქმევა. თავიდან ეს ავტომობილი სამხედრო უწყებისთვის შეიქმნა, მაგრამ მალე მწარმოებელმა გადაწყვიტა მისი სამოქალაქო ფორმაში გამოწყობა.

„სკრემბლერი“ უგზოობის მოდელ „ვრანგლერის“ დაგრძელებულ პლატფორმაზეა ბაზირებული და მისგანვე აქვს ნასესხები დიზაინის ელემენტები. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა აგრეგატებს მიიღებს „ჯიპის“ პიკაპი, მაგრამ ვარაუდით იმის თქმა კი შეიძლება, რომ მის კაპოტქვეშ განლაგდება ოთხ, ან ექვსცილინდრიანი ძრავი, რომლისგანაც მაბრუნ მომენტს ტრანსმისია ოთხივე თვალზე გაანაწილებს. „სკრემბლერის“ წარმოება ნავარაუდებია ტოლედოს ქარხანაში, იქ, სადაც „ვრანგლერი“ დგას კონვეიერზე. წლიურად ეს ქარხანა 20 ათას პიკაპს დაამზადებს.

ირანი „მერსედეს-ბენცს„ გამოუშვებს

მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ავტოკონცერნი „დაიმლერკრაისლერი“ მოლაპარაკებას აწარმოებს ირანულ კომპანია „ირან ხოდროსთან“, რომელთან ერთადაც ახლო მომავალში „მერსედეს-ბენცის“ ავტომობილების წარმოების დაწყებაა დაგეგმილი. გეგმის მიხედვით, შეიქმნება ერთობლივი საწარმო, რომელიც წლიურად 2.5-3 ათასი ავტომობილის გამოშვებას შეძლებს.

გერმანულ-ამერიკული კომპანიის მიზანია რეგიონში საკუთარი პროდუქციის გაყიდვების გაზრდა. „ევროპა პრესის“ ინფორმაციით, კომპანიებს შორის კონტრაქტის გაფორმება 21 მარტისთვისაა დაგეგმილი.

„ლიონი“ - „პეჟოს“ დიზაინ-კონკურსის ჩემპიონი

კონკურსის ჩემპიონი - "ლიონ 4002"

გასული წლის სექტემბერში, პარიზის ავტოსალონის დღეებში ფრანგულმა კომპანია „პეჟომ“ ახალი სადიზაინერო კონკურსი გამოაცხადა, რომელსაც სახელად „რეტროფუტურიზმი“ უწოდა.

სპეციალისტებთან ერთად კონკურსში მონაწილეობის საშუალება მოყვარულ დიზაინერებსაც ჰქონდათ.

კომპანიამ შექმნა სპეციალური ვებსაიტი, რომელშიც 90 ქვეყნიდან 2800-ზე მეტი პროექტი იქნა გაგზავნილი. დეკემბერში სპეციალურმა ჟიურიმ 50 საუკეთესო ნამუშევარი აირჩია შემდგომი ეტაპისთვის, რომელმაც ფინალური ეტაპისკენ ათ პროექტს მისცა მწვანე შუქი.

საბოლოოდ, საუკეთესოდ აღიარებულ იქნა 32 წლის გერმანელი გრაფიკოსის, შტეფან შულცეს ნამუშევარი სახელად „პეჟო 4002“, ანუ „ლიონ“ (ლომი). ავტორის თქმით, მან თავისი პროექტი 1938 წლის ლეგენდარულ მოდელ 402-ისგან მიღებული შთაგონებით დაამუშავა და ჟიურის წარუდგინა უჩვეულო ფორმის მქონე ეგრეთ წოდებული მომავლის კუპე, რომელიც შორიდან სარეკორდო ავტომობილსაც მოგვაგონებს.

თავისი გარეგნობით, „პეჟო 4002“ არის სუპერკარი ერთგვარი უცნაური, მაგრამ სრულყოფილი დიზაინით, რომელიც კონკურსის „დავალებით“ ფუტურისტული კია, მაგრამ მასში კარგადაა შეზავებული რეტრო და თანამედროვე დიზაინის ელემენტები.

ამ ავტომობილის დიზაინში ყველაზე მეტ ყურადღებას იქცევს უცნაურად დიდი ზომის რადიატორი, რომელიც რბილად გადადის ავტომობილის შემინულ ნაწილზე და ისეთივე ფორმით აბოლოვებს მის კუდს. ყოველივე ისეა შესრულებული, რომ ერთი შეხედვით შეიძლება ვერც გაარჩიო, წინა ნაწილს უმზერ თუ უკანას. ამ „სარადიატორო“ ელემენტს თავიდან ბოლომდე გაჰყვება ქრომირებული ზოლი, რომელიც ამ უცნაური ფორმების მქონე ბოლიდს მდიდრულ იერს სძენს.

სარადიატორო კომბინაციის დარად ერთ სტილშია შესრულებული წინა და უკანა მაშუქების დიზაინიც. განსხვავება მხოლოდ ფარების ფერებშია. ერთი, მთლიანი ელემენტია ავტომობილის კაბინა, რომელსაც შუა საყრდენი არ გააჩნია და თავისი ფორმით წააგავს ავიაგამანადგურებლის კაბინას (ეგრეთ წოდებულ სანთელს), რაც შეჩვეული ფორმაა სპორტ-პროტოტიპების კლასის სარბოლი ავტომობილებისთვის.

რეტრო-დიზაინისთვის გაღებული „ხარკია“ ავტომობილის ორმაგი შეფერელობა, რაც მას უფრო მეტ ელეგანტურობას ანიჭებს. რეტროს გამოძახილია საფირმო, 402-ის სტილში შესრულებული დისკები, რომლებსაც საბურავის ირგვლივ შემოტარებული თეთრი ზოლი კიდევ უფრო გამოკვეთილს ხდის.

რაც შეეხება სახელს, „ლიონი“ ეხმაურება არამხოლოდ კომპანიის ემბლემას (ყალყზე შემდგარი ლომი), არამედ თავისი გარეგნობით სხორედ მინაზე გართხმულ, ნახტომისთვის მომზადებულ ნადირთა მეფეს მოგვაგონებს - განიერი წინა ნაწილი თავია, ტანი კი უკან წვრილდება (კუდად გამოსაბოლქვი მილი ჩავთვალოთ).

ჟენევის ავტოსალონზე შულცემ „პეჟოსგან“ სპეციალური პრიზი და ფულადი პრემია მიიღო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ კომპანია მას საკუთარ სადიზაინერო სტუდიაში სამუშაოდ მიიწვევს, შემოდგომაზე კი, ფრანკფურტის ავტოსალონზე მნახველს წარუდგენს სრულ მასშტაბში დამზადებულ „ლიონ 4002“-ს.

რაც შეეხებათ კონკურსის ფინალური სტადიის დანარჩენ მონაწილეებს, მათი ასაკი 20-30 წლებს შორის მერყეობს, საშუალო წლოვანება კი 28 წელს შეადგენს. ამ ათეულიდან „პეჟომ“ სამი პროექტი საფრანგეთიდან მიიღო, ორი გერმანიიდან, დანარჩენი ხუთი კი ეგვიპტიდან, ესპანეთიდან, უნგრეთიდან, ავსტრალიიდან და ნორვეგიიდან.

„აუდი“ ჟენევისთვის ემზადება

ახალი "აუდი A3"

სპორტულ კონცეპტუალურ მოდელ „ნუვოლარისთან“ ერთად გერმანულმა კომპანიამ ჟენევის ავტოსალონზე წარმოადგინა თავის კომპაქტურ მოდელ „აუდი A3“-ის სრულიად ახალი, მეორე თაობის ავტომობილი, რომლის გაყიდვებიც ერთი წლის შემდეგ დაიწყება.

ეს არის მეხუთე თაობის „ფოლკსვაგენ გოლფის“ პლატფორმაზე შექმნილი ავტომობილი, რომელიც თავის წინამორბედთან შედარებით უფრო მოზრდილი და მასიური ჩანს, მაგრამ ჯერაც „გოლფის“ კლასს განეკუთვნება („დამსხვილებას“ განიცდის საკუთრივ „გოლფიც“).

ახალ A3-ს წინამორბედთან შედარებით 6.5 სანტიმეტრით გრძელი ბაზა კი გააჩნია, მაგრამ საერთო ჯამში მასზე მხოლოდ 5 სანტიმეტრით გრძელია. მოკლედ, მისი სიგრძე 4.2 მეტრს შეადგენს. ამასთან, ის 3 სანტიმეტრით გაგანიერდა და ერთით - გამაღლდა. „ზრდას“ შედეგად სალონის თავისუფალი ადგილის მომატება მოჰყვა. სიახლის დიზაინი სრულად შეეფერება კომპანიის ახალ საფირმო სტილს, თუმცა უფრო დიდი მოდელებისგან განსხვავებით, A3-ს ნაკლებად მომრგვალებული და შესაბამისად, უფრო აგრესიული გარეგნობა აქვს. მას სპორტულ იერს სძენს ვიწრო სათავო შუქ-ფარები და „აუდის“ სტილში შესრულებული სარადიატორე ფარი, რომელიც წინა ბამპერში გადადის. არანაკლებ სპორტულად გამოიყურება სახურავის „ჩაწოლილი“ უკანა ნაწილი და მაღალი კუთხით დახრილი უკანა საყრდენი, რისი წყალობითაც ჰეჩბეკი რაღაცით კუპეს მოგვაგონებს.

სრულიად განახლდა ავტომობილის ინტერიერი. თუ იგი ადრე უფრო დახვეწილობის პრეტენზიას ატარებდა, ახლა სპორტული გახდა და ფორმებით „აუდი TT“-საც მოგვაგონებს. სიახლისთვის ინგოლშტადტელები ძრავების მთელ გამას ამზადებენ, რომელსაც იწყებს 1.6-ლიტრიანი, ოთხცილინდრიანი მოტორი და ამთავრებს 3.2-ლიტრიანი V6, რომელსაც უკვე იყენებს „ფოლკსვაგენ გოლფის“ ყველაზე პრესტიჟული მოდიფიკაცია ინდექსით R32. ამათ გარდა ახალი A3 მიიღებს დიზელის ძრავებსაც. ახალ ძრავებთან წყვილში იმუშავებს 5 და 6-საფეხურიანი მექანიკური და 6-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფები.

ჟენევაშივე კომპანიამ გამოაცხადა, რომ მერმის ბაზარზე გამოვა ხუთკარიანი ჰეჩბეკის სტილში შესრულებული A3, რომელსაც რადიატორის ფარი კონცეპტკარ „ნუვოლარის“ ყაიდისა ექნება. ამას მოჰყვება უნივერსალიც, რომელიც ტრადიციის საწინააღმდეგოდ, სახელად მიიღებს არა „ავანტს“, არამედ „სპორტბექს“.

უნივერსალი საბაზო მოდელთან შედარებით 25 სანტიმეტრით გრძელი იქნება და ბაზარზე წარსდგება, როგორც აქტიური მძღოლებისთვის განკუთვნილი ავტომობილი, რომელიც სალონის ტრანსფორმაციის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ახლოს იქნება მინივენების კლასთანაც. რაღა თქმა უნდა, ამ მოდელების შემდეგ გაყიდვაში გამოვა სპორტული S3, რომელიც აღჭურვილობაში მიიღებს 225 ცხენის ძალიან ძრავს. ეს იქნება სრულმოდებიანი სპორტული ავტომობილი, რომლის მაქსიმალური სიჩქარეც 230 კმ/სთ-ს გაუტოლდება. S3-ის შემდეგ ჯერი მიდგება „ქროსოვერის“ უმცროს „თანაკლასელზე“, რომელსაც კომპანია მყიდველს 2005 წლიდან შესთავაზებს. „აუდის“ შეფ მარტინ ვინტერკორნის განცხადებით, ეს იქნება ავტომობილი, რომლითაც კომპანია კონკურენციას გაუწევს „ბეემვეს“ უახლეს X3-ს.

მოკლედ, „აუდის“ სამოდელო რიგის ყველაზე უმცროსი წევრი მალე „ცალკე სახელმწიფო“ გახდება „აუდის“ მზარდ ოჯახში.

„სამკიმიანთა“ აღლუმი

CL65AMG

„მერსედეს-ბენცი“ დიდ საერთაშორისო ავტოსალონებზე ყოველთვის გამოირჩეოდა აქტიურობით და ამ მხრივ გამონაკლისი არც ჟენევის წლევანდელი ავტოშოუ ყოფილა, სადაც შტუტგარტელებმა ოთხი ავტომობილი - CL 65 AMG, CLK კაბრიოლეტი, SLK-ს „ბოლო გამოშვება“ და სედანი E400 CDI წარადგინეს. ამ „თანავარსკვლავედში“ ყველაზე კაშკაშა იყო „მერსედეს-ბენცის“ შვილობილი სატიუნინგო კომპანია AMG-ს სუპერკარი CL 65.

ამ ავტომობილის მთავარი ღირსებაა 6-ლიტრიანი V12, რომელიც სპორტულ CL600-გან არის აღებული. აგრეგატის მუშა მოცულობა ინჟინრებმა 6.5 ლიტრამდე გაზარდეს, რითაც შესაძლებელი გახდა დასახული მიზნის - 600 ცხენის ძალის სიმძლავრისა და 1000 ნ/მ მაბრუნი მომენტის მიღწევა და ამ მაჩვენებლით AMG-ს ავტომობილი გაუტოლდა კიდევ ერთი ცნობილი სატიუნინგო ატელიეს, „ბრაბუსის“ (ესეც „მერსედეს-ბენცის პარტნიორი ფირმაა) შედევრ ძრავს, რომელიც 630 ცხენის ძალას ავითარებს.

ზემოთ აღნიშნული მაბრუნი მომენტი საკმაოდ მცირე ბრუნთა რიცხვზე, 2000 ბრ/წთ-ზე მიიღწევა, რაც ძრავის შესანიშნავ ელასტიურობაზე მიუთითებს. ამ აგრეგატის საშუალებით ადგილიდან ას კილომეტრს ავტომობილი 4.5 წამში ავითარებს. ძნელი სათქმელია, რამდენი იქნებოდა მისი მაქსიმალური სიჩქარე, ელექტრონული სისტემის მიერ 250 კმ/სთ-ით რომ არ იყოს ხელოვნურად შეზღუდული.

კაბრიოლეტი CLK ერთადერთი ღია ავტომობილია ამ სპორტულ კლასში და იგი ოთხი სხვადასხვა მუშა მოცულობისა და სიმძლავრის (165-დან 367-მდე) ძრავებით აღიჭურვება. ამ ავტომობილის ერთ-ერთი მთავარი ღირსება კი ისაა, რომ მისი აეროდინამიკური წინააღმდეგობის კოეფიციენტი 0.30-ს არ სჭარბობს, რაც ღია ავტომობილებისთვის დიდი იშვიათობაა.

ღია ავტომობილებს განეკუთვნება როდსტერი SLK-ც, რომელიც, როგორც მისი სახელწოდებიდან (ფაინალ ედიშნ - ბოლო გამოშვება) ჩანს, ამ ავტომობილის ბოლო მოდიფიკაციაა ახალი თაობის მოდელზე გადასვლის წინ. წინამორბედისგან მას ძირითადად ელექტრონული დამხმარე სისტემების სიჭარბე და ახალი აეროდინამიკური პაკეტი გამოარჩევს.

რაც შეეხება სედან E400 CDI-ს, მან ძრავების გამაში მიიღო ახალი, V8 დიზელი, რომელიც რვაცილინდრიან დიზელის აგრეგატებს შორის ყველაზე მძლავრია მსოფლიოში - ოთხლიტრიანი მუშა მოცულობა მაქსიმუმ 260 ცხენის ძალას გამოიმუშავებს. აღსანიშნავია, რომ E-კლასის ავტომობილების შემდეგ ამავე აგრეგატს მალე მიიღებენ S-კლასის სედანები და M და G-კლასის უგზოობის მოდელები.

სადებიუტოდ ემზადება მე-5 სერიის „ბეემვე"

"ბეემვეს" ახალი მე-5 სერია და მისი სალონი

გერმანულმა კომპანია „ბაიერიშე მოტორენვერკემ" ოფიციალურად გაავრცელა თავისი ახალი მოდელის, მე-5 სერიის მომავალი თაობის ავტომობილის ფოტოსურათები, რაც იმას მოასწავებს, რომ ამ ავტომობილს მალე მიიღებენ ბავარიული კომპანიის დილერები. როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი სერიული ავტომობილი გარეგნულად თითქმის არ განსხვავდება უფრო მდიდრული, მე-7 სერიის მოდელისგან, რომლის დებიუტიც წელიწადნახევრის წინ შედგა.

ახალი მე-5 სერია არც ისეთი ავანგარდულია, როგორიც მე-7 სერიის სედანი და როდსტერი Z4 გამოვიდა. თუმცა, სრულად მიიღო მარკის ახალი საფირმო სტილის ელემენტები, როგორიცაა რადიატორის ფორმა, რომელიც ბამპერთან ერთ მთლიან ბლოკს ქმნის, საბარგულის სახურავი, რომელშიც გაერთიანებულია უკანა სტოპ-მაშუქები და სათავო ფარების უცნაური ფორმები, რომლებიც „შეცურებულია" წინა ფრთებში.

მთლიანობაში ავტომობილი დახვეწილობის შთაბეჭდილებას ტოვებს - სხვა თუ არაფერი, ამ სერიის ავტომობილებს ბავარიული კომპანიისთვის ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა, რამეთუ „ბეემვეს" გაყიდვების მნიშვნელოვანი წილი სწორედ მე-5 სერიის ავტომობილებზე მოდის.

ალბათ, ამიტომაც იყო, რომ კომპანიის ხელმძღვანელებმა უარი თქვეს დიზაინის ყველა იმ ელემენტზე, რომელიც შეიძლება სხვა მოდელებში გვხვდება, მაგრამ ავანგარდულობის მიუხედავად, ბევრი პოტენციური მყიდველისთვის (განსაკუთრებით კონსერვატიული გემოვნების ადამიანებისთვის) მაინც მიუღებლად რჩება.

მნიშვნელოვნად შეიცვალა ავტომობილის სალონის გაფორმებაც. აქ „ბეემვეს" ავტომობილებისთვის დამახასიათებელი იყო მძღოლისკენ „შებრუნებული" წინა პანელი, რომელზეც სხვადასხვა დამხმარე საშუალებებია განთავსებული. ახალ ავტომობილს ეს ელემენტიც ისეთივე აქვს, როგორიც მე-7 სერიის სედანსა და Z4 როდსტერს. ახალ მე-5 სერიის სედანს შერჩა მასიური ცენტრალური „გვირაბი", რომელზეც სისტემა i-Drives-ს ეგრეთ წოდებული ჯოისტიკი განთავსდა. თუმცა, მე-7 სერიის ავტომობილისგან განსხვავებით, ამ ჯოისტიკის ფუნქციები მნიშვნელოვნად შეზღუდულია.

მე-5 სერიის ახალი თაობის ავტომობილი აღიჭურვება ბენზინის 5 და დიზელის 3 აგრეგატით. ბენზინზე მომუშავე ძრავების მუშა მოცულობებია: 2.0, 2.5, 3.0, 3.5 და 4.5 ლიტრი, დიზელისა კი - 2.5, 3.0 და 4.0 ლიტრი. ეს უკანასკნელები ტურბოკომპრესორებსაც მიიღებენ. მოგვიანებით სერიის გამაში გამოჩნდება სპორტული M5. ეს უკანასკნელი 5-ლიტრიანი V10 აგრეგატით აღიჭურვება, რომლის სიმძლავრეც 500 ცხენის ძალა იქნება. „ბეემვე" მე-5 სერიის ახალი თაობის სედანის პრემიერას ჟურნალისტებისთვის წლეულს, ზაფხულში გამართავს, ავტომობილის მსოფლიო პრემიერა კი შემოდგომის დასაწყისში, ფრანკფურტის ავტოსალონზე მოეწყობა.

სუპერკარ SLR-ის დებიუტი კვლავ გადაიდო

"მერსედეს SLR" - "ვერცხლისფერი ისრები" სამოქალაქო სამოსში

ჟენევის ავტოსალონზე მოსალოდნელი იყო, რომ კორპორაცია „დაიმლერკრაისლერი" მოაწყობდა თავისი უახლესი სუპერავტომობილის, სპორტული SLR-ის ოფიციალურ პრეზენტაციას, მაგრამ ავტოსალონამდე რამდენიმე დღით ადრე შტუტგარტელებმა გამოაცხადეს, რომ დებიუტი მინიმუმ ცხრა თვით, ნოემბრისთვისაა გადატანილი.

დებიუტის გადავადება გამოწვეულია პარტნიორი კომპანია „მაკლარენის" მოულოდნელი რეორგანიზაციით. „მაკლარენი" „მერსედეს-ბენცის" პარტნიორია ფორმულა ერთის მსოფლიო ჩემპიონატში და იქ მიღწეული წარმატებების ფონზე კომპანიონებმა საავტომობილო მრეწველობაშიც გადაწყვიტეს თანამშრომლობა.

„მაკლარენის" შეფმა რონ დენისმა შარშან ინგლისში ულტრათანამედროვე ფაბრიკისა და ტექნიკური ცენტრის (სახელად „პარაგონი") მშენებლობა წამოიწყო, რაც, როგორც ამბობენ, მას მეოთხედი მილიარდი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა. ამასთან, „მაკლარენ ქარზმა" რეორგანიზაცია მოახდინა თავის პერსონალში - თანამდებობიდან გათავისუფლებულ იქნა დირექტორი ენდრიუ უოლმსლი.

ესეც რომ არა, თავიდან პროექტი 200 მილიონ დოლარად იყო შეფასებული, მაგრამ ახალი ავტომობილის შექმნისა და საწარმოო მომზადებისთვის უკვე დახარჯულია 290 მილიონი. სწორედ ამ მიზეზის გამო იქნა გადაყენებული უოლმსლი.

ხარჯის გაზრდას საწარმოო გეგმის გაზრდაც მოჰყვა: თავიდან ნავარაუდები იყო სულ 2500 SLR-ის წარმოება. რეორგანიზაციის შემდეგ ლაპარაკია 3500 ცალზე. არადა, ავტომობილი, რომლის მაქსიმალური სიჩქარეც 332 კმ/სთ იქნება, 300 ათას დოლარზე მეტი ეღირება და მას მსურველი მხოლოდ წინასწარი შეკვეთის შემდეგ მიიღებს.

პროექტში „მაკლარენის" მონაწილეობამ ის მოიტანა, რომ სუპერავტომობილის მზიდი ელემენტი (მონოკოკი, როგორც მას სამხედრო ავიაციასა და ფ1-ში უწოდებენ) მთლიანად შუშა-კარბონისა და ნომექსის კომპოზიციური მასალებისგან დამზადდება, რაც შასის სიხისტესა და სიმსუბუქეს უზრუნველყოფს.

ფ1-ის ტექნოლოგიების გამოყენებით დამზადდება 5.4-ლიტრიანი V8 აგრეგატიც, რომელიც 557 ცხენის ძალას ავითარებს. „მაკლარენის" კონსტრუქტორებმა სპეციალურად ამ ავტომობილისთვის შექმნეს დაკიდების უნიკალური სისტემა, რომელშიც ფ1-ში დაგროვილი გამოცდილებაა ჩაქსოვილი.

აღსანიშნავია, რომ სუპერავტომობილი SLR მთლიანად ინგლისში დამზადდება. მხოლოდ ძრავებს და გადაცემათა კოლოფებს დაამზადებენ შტუტგარტში, საიდანაც ეს აგრეგატები „პარაგონის" ფაბრიკაში გაიგზავნება.

შასის წარმოება ქალაქ პორტსმუტის „მაკლარენის" კუთვნილ ფაბრიკაში მოხდება, რომელიც „პარაგონიდან" 60 მილითაა (დაახლოებით ასი კილომეტრი) დაშორებული. „პარაგონში" მოხდება ძარის შეღებვა, შასიზე აგრეგატების და სხვა ნაწილების აწყობა და სტენდზე შემოწმება.

„აუდი" სუპერკუპესა და მდიდრულ ჯიპს ამზადებს

"აუდი ნუვოლარის" კონვეიერისკენ გზა ხსნილი აქვს

ბოლო რამდენიმე წელია, ძვირფასი ავტომობილების ისეთ გერმანელ მწარმოებლებს, როგორებიცაა „მერსედეს-ბენცი" და „ბეემვე" სერიოზული შინაური კონკურენტი გამოუჩნდათ „აუდის" სახით, რომელიც უახლოესი ორი-სამი წლის განმავლობაში კიდევ უფრო მეტად გააქტიურებას და ბაზრის მისთვის ახალი სეგმენტების (ძირითადად პრესტიჟული ავტომობილებისა) ათვისებას ეშურება. ძვირფასი ავტომობილების სეგმენტში ექსპანსიის გეგმა ითვალისწინებს სუპერკუპეს კლასისა და უგზოობის მდიდრული ავტომობილების შექმნას და სამოდელო რიგის ფლაგმანის, მოდელ A8-ს შემდგომ მოდერნიზაციას და ულტრათანამედროვე მრავალცილინდრიანი აგრეგატით აღჭურვას.

ამ სამიდან ბაზარს პირველი 2005 წელს ეწვევა მძლავრი სპორტული კუპე, რომელიც „აუდი A6"-ის პლატფორმაზე იქნება ბაზირებული. ჟენევის ავტოსალონზე „აუდიმ" თავისი მომავალი კუპეს პროტოტიპი, მოდელი „ნუვოლარი" წარმოადგინა. თუმცა, მაშინ პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ ეს სპორტული ავტო ლუქსის კლასის სედან A8-ს პლატფორმაზე იქნება დამყნობილი.

ავტომობილი აღიჭურვება V6 და V8 აგრეგატებით და მძლავრი ტურბოდიზელით. ყველაზე ძვირადღირებული ვერსია კი, რომლის ინდექსი იქნება RS, მიიღებს ათცილინდრიან ძრავს, რომელიც აღჭურვილი იქნება ორი ტურბოკომპრესორით და მათი საშუალებით 500 ცხენის ძალას განავითარებს. ეს კუპე კონკურენციას გაუწევს „მერსედეს-ბენც" CLK-სა და „ბეემვეს" მე-6 სერიის კუპესა და მის ბაზაზე დამზადებულ M6-ს (მათი დებიუტი უახლოეს მომავალში შედგება).

მეორე სიახლე იქნება სრულიად ახალი „აუდი" A7, რომელიც ერთ ავტომობილში გააერთიანებს კომფორტული სედანის თვისებებს, ფართო უნივერსალის მოცულობასა და უგზოობის ავტომობილების გაზრდილ გამავლობას.

ამ ავტომობილის პროტოტიპი, სახელად „პაიკს პიკ" წლის დასაწყისში, დეტროიტის ავტოსალონზე იქნა წარმოდგენილი. თუმცა, ეს როდი ნიშნავს, რომ მისი სერიული ვერსია მალე შეძლებს კონვეიერამდე მიღწევას - წინასწარი ვარაუდით, ამ ავტომობილის გაყიდვები 2006 წლიდან დაიწყება. კომპანიის გეგმით, „აუდი" A7-ის საბაზოდ გამოყენებულ იქნება „ფოლკსვაგენის" უგზოობის ავტომობილ „ტუარეგის" პლატფორმა". თუმცა, ინგოლშტადტელთა ვერსიით ამ პლატფორმაზე ბაზირებული ავტომობილი უფრო სპორტული ნირისა იქნება და მისი სალონიც უფრო მდიდრულად გაეწყობა. ძრავების მხრივ, თავიდან A7-ს არცთუ დიდი არჩევანი ექნება. იგი აღიჭურვება V8 აგრეგატით, რომლის სიმძლავრეც ორმაგი ტურბოკომპრესორის მეშვეობით 500 ცხენის ძალას მიაღწევს. მეორე აგრეგატია ათცილინდრიანი ტურბოდიზელი. მესამე და ყველაზე პრესტიჟული კი W კონფიგურაციის 12-ცილინდრიანი ძრავია, რომლითაც A7 კონკურენციას გაუწევს „მერსედეს-ბენცის" შესაბამის მოდელ GST-ს, რომლის დებიუტიც ფრანკფურტის წლევანდელი ავტოსალონისთვისაა დაგეგმილი.

„ოლდსმობილი" არსებობას წყვეტს

აპრილის დასაწყისში ქალაქ ოკლენდის ქარხანა „ორიონ თაუნშიპის" კონვეიერიდან ჩამოვიდა უკანასკნელი „ოლდსმობილ ავრორა", რომელიც მოწოდებული იყო „ჯენერალ მოტორსის" ამ ერთ-ერთი უძველესი დივიზიონის რეანიმაციისთვის, მაგრამ გეგმა ჩაიშალა და როგორც ჩანს, 1897 წელს დაარსებული „ოლდსმობილის" დღეები დათვლილია.

წარმოებაში ჯერაც დარჩა მოდელები „ბრავადა", მინივენი „სილუეტი" და კომპაქტური „ალერო", რომელთა წარმოების შეწყვეტის შემდეგაც „ოლდსმობილი" ისტორიის კუთვნილება გახდება.

„მორგან პლუს 8" - 35 წელი წარმოებაში

ინგლისური პატარა კომპანია „მორგანი" წლეულს თავისი სპორტული ავტომობილის, „პლუს 8"-ს შექმნიდან 35 წლის იუბილეს აღნიშნავს და ამ თარიღთან დაკავშირებით შეზღუდული რაოდენობით გამოუშვებს აღნიშნული მოდელის სპეციალურ მოდიფიკაციას.

„მორგან პლუს 8"-ს წარმოება 1968 წელს დაიწყო და მას შემდეგ სულ 6000 ასეთი ავტომობილი იქნა გამოშვებული, რომელთა დიდი უმეტესობა დღესაც ვარგისია და მათ აქტიურად იყენებენ პატრონები ყოველდღიურ ყოფასა თუ რბოლებში.

სპეციალურ გამოშვებას „ანივერსარი ედიშნ" (საიუბილეო გამოშვება) ეწოდება და ამ პროგრამით გათვალისწინებულია მხოლოდ 265 ავტომობილის დამზადება, რომლებიც „ლენდ როვერის" 4-ლიტრიანი V8 ძრავებით აღიჭურვება.

აღნიშნული რაოდენობიდან 85 ცალი ევროპაში გაიყიდება, ასს კი ოკეანის გაღმელი მყიდველები მიიღებენ. რაც შეეხება დანარჩენ 80-ს, ისინი პროგრამის გამოცხადებიდან რამდენიმე დღეში იქნა „დატაცებული".

კიდევ ერთი პლატფორმა „გენერლებთან" ერთად

იტალიური საავტომობილო კომპანია „ფიატ აუტოს" ხელმძღვანელმა ჯანკარლო ბოშეტიმ გამოაცხადა, რომ უახლოეს ხანში „ჯენერალ მოტორსთან" კოოპერირებით შეიქმნება C სეგმენტის კიდევ ერთი პლატფორმა, რომელსაც ორივე კომპანია გამოიყენებს საკუთარ საწარმოო პროგრამაში.

რაც შეეხება C სეგმენტს, მას მიეკუთვნება „გოლფის" კლასის ავტომობილები, როგორიცაა „ფიატ სტილო". აქამდე „ფიატმა" და „ჯენერალ მოტორსმა" ორი საერთო პლატფორმა შექმნეს, რომლებიც უფრო პატარა კლასის ავტომობილებისთვისაა განკუთვნილი. სწორედ მათზეა ბაზირებული ის ავტომობილი, რომელიც მალე შეცვლის „ფიატ პუნტოს".

77.5 მილიარდი ევრო გერმანიის გზებისთვის

გერმანიის გზების მინისტრ მანფრედ შტოლეს განცხადებით, ქვეყანა 2015 წლამდე საკუთარი საავტომობილო გზების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 77.5 მილიარდ ევროს დახარჯავს.

მინისტრის თქმით, გერმანიის გზების 56 პროცენტი რემონტს საჭიროებს. გარდა ამისა, 2015 წლამდე ქვეყანაში 1600 კილომეტრის საერთო სიგრძის მქონე ჩქაროსნული მაგისტრალები აშენდება, რაც ქვეყნის გარემოს დაცვის ორგანიზაციათა დიდ უკმაყოფილებას იწვევს.

„შევროლე" 10000 დოლარად

„ჯენერალ მოტორსმა" გამოაცხადა, რომ მის კუთვნილებაში გადასულ „დეუს" ერთ-ერთ კორეულ ქარხანაში გამოუშვებს იაფფასიან „შევროლეს", რომლის ღირებულებაც ათიდან 15 ათას დოლარამდე იქნება.

კომპაქტური „შევროლე ავეოს" წარმოების დაწყება 2004 წლიდანაა ნავარაუდები. იგი განკუთვნილი იქნება იმ ახალგაზრდა ავტომოყვარულებისთვის, რომლებსაც უფრო ძვირი ავტოს შეძენის საშუალება ჯერ არ გააჩნიათ. „გენერლები" აშშ-ში ყოველწლიურად 70 ათასი „ავეოს" გაყიდვას იმედოვნებენ.

„როლს როისი" წარმოებას ზრდის

სულ ოთხი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც „ბეემვეს" ხელში გადასულმა „როლს როისმა" ახალი „ფანტომის" გამოშვება დაიწყო, მაგრამ მასზე მოთხოვნილება იმდენად დიდია, რომ გუდვუდში განთავსებულ ფაბრიკას წარმოების გასამმაგება უწევს - თუ აქამდე დღეში თითო „ფანტომი" ეწყობოდა, აპრილიდან ეს რიცხვი სამამდე გაიზარდა. „როლს როისმა" შეკვეთების პირველი პაკეტი ჯერ კიდევ იანვარში, დეტროიტის ავტოსალონის დღეებში მიიღო, მეორე პაკეტი კი ჟენევის ავტოსალონის დროს დააკომპლექტა.

„ჯიპ კომპასი" სერიული გახდება

„დაიმლერკრაისლერმა" თავის ჩრდილოამერიკელ დილერებს უკვე აცნობა იმის შესახებ, რომ წარმოებისთვის მზადაა „ჯიპის" მარკის ახალი უგზოობის ავტომობილი სახელად „კომპას", რომლის გაყიდვების დაწყებაც 2005 წლის დასაწყისშია ნავარაუდევი. „კომპასი" პირველად დეტროიტის შარშანდელ ავტოსალონზე იქნა ნაჩვენები. იგი ბაზირებულია იმავე პლატფორმაზე, რომელსაც იყენებს მოდელი „ჩეროკი" (ახალს „ლიბერტი" ეწოდება). კომპასის" საბაზო მოდელის ღირებულება 15 ათასი დოლარის ფარგლებში იქნება.

ახალი იაფფასიანი ავტო „დაჩიასგან"

რუმინული კომპანია „დაჩია", რომელიც უკვე რამდენიმე წელია, „რენოს" მფლობელობაში იმყოფება, წარმოებისთვის ამზადებს იაფფასიან ავტომობილს, რომლის ღირებულებაც 5 ათასი ევროს ფარგლებში იქნება.

ეს იქნება ეგრეთ წოდებული „სახალხო ავტომობილი" განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლის მოსახლეობასაც უფრო ძვირადღირებული ავტომობილების ყიდვის ნაკლები შესაძლებლობა გააჩნია.

ახალი მოდელი იქმნება „რენოს" ინჟინრებთან თანამშრომლობით და იგი ფრანგული კომპანიის პოპულარულ მოდელ „კლიოს" პლატფორმაზე იქნება ბაზირებული. მისგანვე მიიღებს აგრეგატებს და ყველა ძირითად კომპონენტს. ახალი ავტომობილის პრემიერა კი მომავალ წელსაა დაგეგმილი.

პირველი "საბა"

დუნია მიხაილი	2	შოთა იათაშვილი	6	დავით ქართველიშვილი	10	მალხაზ ხარბედია	14
ლია სტურუა	3	მარიანე გრუბერი	7	იმირ მამედლი	11	ელიოტ უაინბერგერი	15
ანდრო ბუაჩიძე	5	ბესო ხვედელიძე	8	ლუციუს ანეუს სენეკა	12	უმბერტო ეკო	16

ბესო ხვედელიძე: წერა ჩემთვის ჰობი არასოდეს ყოფილა

კვირის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა - 23 აპრილი, პირველი დამოუკიდებელი ლიტერატურული პრემია "საბას" დაჯილდოება უკვე ქართული წიგნის ისტორიაში შევიდა.

"საბაზე" 7 ნომინაცია იყო წარმოდგენილი, პრემიები ასეთნაირად გადანაწილდა:

წლის საუკეთესო რომანი
აკა მორჩილაძე *"შენი თავგადასავალი"*

წლის საუკეთესო პროზაული კრებული
ბესო ხვედელიძე *"ჯადო"*

წლის საუკეთესო პოეტური კრებული
გაგა ნახუცრიშვილი *"გამგზავრება და მოლოდინი"*

წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკოსი
ლევან ბრეგაძე

წლის საუკეთესო პიესა
დათო ტურაშვილი *"ორი კუნძული შავ ზღვაში"*

წლის დებიუტი
სოფიო კირვალიძე

წლის საუკეთესო თარგმანი
ვახუშტი კოტეტიშვილი *"აღმოსავლურ-დასავლური დივანი"*

ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის პრემია ***ვახტანგ ჭელიძეს*** *გადაეცა.*

დღეს ჩვენი ნომრის სტუმარი "საბას" ერთ-ერთი გამარჯვებული ბესო ხვედელიძეა.

თამარ სუხიშვილი

ბესო ხვედელიძე

განათლებით ჟურნალისტი, პროფესიით – მწერალი. ინტერვიუს დროს, როგორც წესი, სიტყვაძუნწია. აქვს კარგი მეხსიერება და პატარაობიდანვე ახსოვს თავისი თავი, განსაკუთრებით ის დეტალები, რამაც შემდგომში მის მოთხრობებზეც კვალი დატოვა. საყვარელი ნაწარმოებია "პატარა უფლისწული", ამბობს ხოლმე: ამაზე უკეთესი ვერაფერი აღმოვაჩინეო. არასოდეს არის დარწმუნებული საკუთარ თავში და ფიქრობს, რომ ეს ასეც უნდა იყოს - თუ თავდაჯერებული ხარ, ველარ გაიზრდები. მას ასოციალურ მწერლად მიიჩნევენ, თვითონ კი ფიქრობს, რომ მწერლისთვის არ არის საჭირო საკუთარი პოზიციის კათედრიდან თუ ეკრანიდან დაფიქსირება, კათედრის გამოყენებას ის ადამიანები ცდილობენ, ვისაც კალამი სათანადოდ არ უჭრით, თვითონ პოზიციას მხოლოდ ნაწერში აფიქსირებს.

"საბამდე" და "საბას" შემდეგ

ბესო ხვედელიძე "საბას" პრემიის პირველი ლაურეატია. ჩვენი საუბარიც, რა თქმა უნდა, სწორედ "საბადან" დაიწყო. ახალგაზრდა მწერლის ცხოვრებაში წიგნის დღე - 23 აპრილი და "საბას" დაჯილდოება განსაკუთრებულად ჩაიწერა, არა მარტო იმიტომ, რომ ბესო ხვედელიძემ ლიტერატურულ კონკურსში გაიმარჯვა, არამედ იმიტომაც, რომ ამ დღეს მასაც და სხვა ქართველ მწერლებსაც ახალი იმედი ჩაესახათ – იმედი იმისა, რომ ხალხი წიგნისკენ შემობრუნდა, რომ ლიტერატურა დაფასდა, და კიდევ უფრო დაფასდება. "როდესაც "საბას" პრემიის დაწესების შესახებ გავიგე, მაშინვე ვიფიქრე, ე.ი. მწერლობა შეიძლება ჩემს პროფესიად იქცეს-მეთქი, - ამბობს ბესო ხვედელიძე, - მართალია, წერა ჩემთვის ჰობი არასოდეს ყოფილა, ის ბევრად უფრო სერიოზული საქმე იყო, მაგრამ ამ ცხოვრებაში ახალგაზრდა კაცი მარტო ამ საქმით თავს ვერ გაიტანდა, ახლა კი იმედი მომეცა, რომ თურმე შესაძლებელია მარტო ამით იცხოვრო და ისუნთქო..."

"დიდი იმედი მაქვს, რომ ეს პრემია დასაბამს მისცემს სხვა კონკურსებისა თუ პრემიების დაწესებას. სწორედ ახლა არისტოტელეს ვკითხულობ - ყველაფერი ხომ მიბაძვაა, ბუნების ბაძვა... პრეცედენტი დაშვებულია. "საბასაც" მიბაძავენ და "საბაც" "გასაბდება"... შედეგი ის იქნება, რომ ვიღაც-ვიღაცეები, ვისაც წერის ნიჭი და უნარი აქვს, მიხვდებიან, რომ მწერლობა მათი პროფესიაა; რომ შესაძლებელია მთელი შენი ნიჭი სწორედ ამ საქმეში დააბანდო; რომ მწერლობით შეიძლება თავი შეინახო; მკვდარი იყო ლიტერატურაო, - ამბობდნენ და, სამწუხაროდ, მართლებიც იყვნენ, ლიტერატურას კარგა ხანია აღარავინ სწყალობდა. აქედან გამომდინარე, "საბა" დიდი სტიმული იქნება იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც წიგნიერებიც არიან, ნათელი გონებაცა აქვთ და ნიჭიერებაც (ნიჭი, რომელსაც ზოგჯერ მშობლები კლავენ, ზოგჯერ - გარემო). ერთ მშვენიერ დღეს ისინი იტყვიან: მოდი, რაღაცას გავაკეთებო და გააკეთებენ."

როგორ დავიწყე წერა

"გამიმართლა, ჯიუტი ვარ და ჩემი სიჯიუტე გამომადგა" - ბესო ხვედელიძე დარწმუნებულია, რომ სწორი არჩევანი გააკეთა. მწერლობაზე სერიოზულად ათიოდე წლის წინ დაფიქრდა. მანამდე, როგორც თვითონვე ხუმრობს, რაღაცეებს მაიმუნობდა. მაიმუნობა კი პატარაობიდანვე დაიწყო, კითხვა რომ ისწავლა მაშინ.

"კითხვა ვისწავლე თუ არა, მაშინვე გამიჩნდა სურვილი, რაღაცა დამეწერა. თავიდან გაზეთებში სატელევიზიო პროგრამებს და განცხადებებს ვკითხულობდი, სწორედ მაშინ გაჩნდა პირველი ასოციაციები..."

მერე დიდი როლი ითამაშა დედამ, რომელმაც წასაკითხად "მე, ბებია, ილიკო და ილარიონი" შეურჩია. მერე იყო უამრავი საინტერესო წიგნი, რაღაცის შექმნის სურვილი, პირველი ლიტერატურული იმპულსები, საყვარელი ავტორები, მაგალითად, ჰენრი მილერი, კონკრეტული სიტუაციები, რომლებიც მძაფრად ჩაებეჭდა მეხსიერებაში და დიდი გავლენა იქონია მის ნაწერებზე, საკუთარი თავის ძიება (როგორც თავად განმარტავს, საკუთარი თავის არქეოლოგია), ახალი აღმოჩენები, ცხოვრებაშიც და ლიტერატურაშიც...

ნაწარმოებში აღმოჩენილი სიბრძნე

"ახლახანს ჩემთვის კიდევ ერთი არაჩვეულებრივი ნაწარმოები აღმოვაჩინე - ანდრეი პლატონოვის "ჯანი".

პლეხანოვზე ვცხოვრობ, ერთხელაც შინ მივდივარ, ქუჩაში ვიღაც ტიპი მაჩერებს და მეუბნება: ამერიკა-ერაყის ომი ჩვენზე თუ მოახდენს გავლენასო; მაშინ ჯერ ომი არ იყო დაწყებული. მე ვუთხარი: აუცილებლად-მეთქი; რა უნდა ვქნათო? – ის ტიპი ჩემს საუბარში ჩათრევას ცდილობდა. უცებ ხუმრობის ხასიათზე დავდექი: რა უნდა ვქნათ და მოსემ რომ ებრაელები წაიყვანა, ისე უნდა წავიდეთ და გადავსახლდეთ აქედან-მეთქი, - ვუპასუხე. ცოტა ხნის მერე წავიკითხე პლატონივის ეს მოთხრობა, მოთხრობა ადამიანზე, რომელმაც მოსეს მისია იკისრა, გაუძღვა ხალხს, რომ გადაერჩინა; დიდი წრე დაარტყეს და ისევ უკან დაბრუნდნენ განახლებულნი, გაკეთილშობილებულნი. მაგრამ მეორე დილას რომ გაეღვიძა, თანამგზავრები გაპარულიყვნენ. მიხვდა, რომ თვითონ არ ყოფილა მზად, წავიდა და კიდევ ერთი წრე დაარტყა. უკან რომ დაბრუნდა, მარტო აღარ იყო, მას დანარჩენები ელოდნენ...

დღეს ჩვენს რეალობაში ბევრი იჩემებს ამ "მოსეობას", მაგრამ არიან კი ისინი ამისათვის მზად? გაიარეს კი ეს წრე? როცა ამ წრეს გაივლიან, გაივლიან ტანჯვით, ტკივილით, თანაც არა ერთხელ, მაშინ უკვე სხვაგვარად შეხედავენ ყველაფერს, მათ შორის, საკუთარ თავსაც, პრეტენზიებიც აღარ გაუჩნდებათ. ეს წრე ყველამ უნდა გაიაროს, პოლიტიკოსმა, მწერალმა..."

ორიოდე სიტყვა ქართულ ლიტერატურაზე

"მიუხედავად 70-წლიანი მძიმე, "გაყინული" პერიოდისა, ქართულ ლიტერატურაში წყვეტა არ ყოფილა. ეს იყო დრო, როცა ჩაკლეს რწმენა, მაგრამ მწერლებმა - ოთარ ჭილაძემ, გურამ დოჩანაშვილმა და ბევრმა სხვამ, ეს რწმენა საკუთარ თავში იპოვეს - ძალით მოსპობილი რწმენა ლიტერატურაში არ დაკარგულა. რეჟიმმა ვერ დაამარცხა ლიტერატურა. ქართული მწერლობა

ბესო ხვედელიძე

ვახტ. ბასილაია. ფოტოები

ძველი ლიტერატურული ტრადიციების მემკვიდრე დარჩა... მე ვფიქრობ, უახლესი ქართული ლიტერატურაც ძველ ტრადიციებს აგრძელებს, აკა მორჩილაძე და სხვა მწერლები დავით კლდიაშვილის, აკაკი წერეთლის ლიტერატურული ტრადიციების მემკვიდრენი არიან, იმ ლიტერატურისა, რომელსაც განსაკუთრებულად ერთი ნიშნით გამოარჩევ - ქართული ლიტერატურა აღმსარებლური მწერლობაა, არ მალავს საკუთარ სისუსტეებს, აშიშვლებს მანკიერებებს. სინანული გაქვს, და არ მალავ, ამბობ ("მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატკივარი არა ჰფარავს...") - ცურტაველი, "ვეფხისტყაოსანი", ბესიკი, გურამიშვილი... მერე აქეთ რომ წამოვიდეთ, რომელი ერთი დავასახელო, "სამოსელი პირველიც" ხომ ამაზეა დაწერილი - არაფერი არა ხარ, ცომი ხარ და უნდა მოიზილო...

ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ. სხვათა შორის, ძალიან მომეწონა სოფიო კირვალიძის მოთხრობები, ესეც აღსარებაა. ავტორს გაბედულება ყოფნის და ამბობს იმას, რასაც ბევრი ვერ იტყოდა; თანაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ ყველაფრის მთქმელი ქალია.

ჩვენი თანამედროვე ლიტერატურა, ის რაც დღეს იქმნება, ძალიან საინტერესოა. მე მგონი, ჩვენ არ ჩამოვრჩენილვართ არც ჩვენს ტრადიციებს და არც მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს, ყოველთვის გვტკიოდა და განვიცდიდით. კარგი მთარგმნელობითი სკოლა რომ არსებობდეს (ქართულიდან თარგმანს ვგულისხმობ), ქართული ლიტერატურული პროდუქციით უცხოელი მკითხველი აუცილებლად დაინტერესდებოდა."

ორიოდე სიტყვა ახალ მწერლებზე და საკუთარ თავზეც

"ბოლო დროს მკითხველი წიგნს დაშორდა. ეს არც იყო გასაკვირი, ისეთი ცხოვრება მოვიდა, რომ ვისღა ეცალა ლიტერატურისთვის, ხალხი გადარჩენისთვის იბრძოდა. აქედან გამომდინარე, უკვე ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ლიტერატურაში ახალგაზრდა მწერლები მოვიდნენ, თანაც მოვიდნენ არა მარტო გრძნობით და განცდით, არამედ წიგნის სიყვარულით (ისინი განა მარტო წერენ, ბევრსაც კითხულობენ) და მკითხველიც წიგნისკენ მოაბრუნეს. მკითხველი რომ წიგნს დაუბრუნდა, ეს დღეს უკვე აშკარაა. ქართველ გამომცემლებს რომ ჰკითხოთ, თუ გუშინ ხუთი წიგნი იყიდებოდა, დღეს ათი იყიდება (ციფრებს, რა თქმა უნდა, პირობითად ვამბობ). როგორც ჩანს, მკითხველმაც რაღაც სიკეთის მარცვალი დაინახა ამ მწერლების ნაწარმოებებში, რაღაც იგრძნო. შეიძლება ითქვას, ამ თაობამ წიგნისაკენ მობრუნების ერთგვარი მისია შეასრულა.

დღეს არაერთი კარგი ნაწარმოები იწერება. ჩვენს თაობას ბევრი რამ აქვს ნანახი და განცდილი, თანაც ძალიან მცირე დროში - სამ-ოთხ წელიწადში მთელი ოცდაათი წლის ცხოვრება გავიარეთ. ეს ყველაფერი მწერლობაში აისახება. ის, რაც ამ პერიოდში გაკეთდა, არცთუ ცოტაა. ჩვენი ქვეყნის ცოცხალ ლიტერატურულ პროცესებს თუ გადავავლებთ თვალს, მწერლობა ერთგვარ შემამზადებელ ეტაპზეა, გამოჩნდა ახალი სახელები, რომლებიც მართლა ღირებულნი არიან ქართულ ლიტერატურაში: აკა მორჩილაძე, ზაზა ბურჭულაძე, დათო ქართველიშვილი... მწერლები, რომელთაც აქვთ ნიჭიც, წიგნიერებაც, ცხოვრებისეული გამოცდილებაც და რწმენაც, რაც ამ სამ ელემენტს ერთმანეთზე ადუღაბებს. პოტენციალი დიდია. ნიადაგიც მომზადებულია იმისათვის, რომ ახლო მომავალში შეიქმნას მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რომელიც დროს გაუძლებს."

ჯადო აიხსნა, ანუ მწერალი და მკითხველი

ყოველთვის ფიქრობს მკითხველზე, საკუთარ ნაწარმოებებსაც ხშირად კითხულობს.

"დღეს, როცა ჩემს მოთხრობებს ვკითხულობ, ვგრძნობ, რომ ჩემში ამ ბოლო დროს ბევრი რამ შეიცვალა; ზოგჯერ საკუთარი ნაწერი უცხოს დაწერილიც კი მგონია. თუმცა მომწონს. მხოლოდ რამდენიმე მოთხრობაა, რომელზეც შეიძლება დღეს ხელი არ მომეწერა, არა იმიტომ რომ არ ვარგა, უბრალოდ იმის გამო, რომ ახლა აღარ ვეთანხმები იმ მორალურ ღირებულებებს და ესთეტიკას, რაც ამ მოთხრობებს უდევს საფუძვლად. მათში ემოციური მუხტი ჭარბობს, რწმენა აკლია.

წერის დროს ყოველთვის ვფიქრობ პოტენციურ მკითხველზე; ვცდილობ, მკითხველის თვალით შევხედო საკუთარ ნაწერს, სუბიექტურობასა და ობიექტურობას შორის გავიარო, თან ჩემეულიც იყოს და თან მკითხველისაც გახდეს. არ ვიცი, გამომდის თუ არა.

ისე, როგორც ჩანს, შემთხვევით არაფერი ხდება, ჯადო აიხსნა და ჩემთვის ახალი ეტაპი დაიწყო. ახლა მივხვდი, რატომ ჰქვია ჩემს წიგნს "ჯადო". აქამდე რომ მეკითხებოდნენ, ვპასუხობდი, არ ვიცი, ერთი მოთხრობის სახელია-მეთქი. ახლა ვხვდები. დავწერე და ჯადო ავიხსენი, რაც მოსაყოლი და მოსანანიებელი მქონდა, ყველაფერი ამ წიგნში გავუშვი. ერთი წრე დავასრულე, ახლა თავიდან ვიწყებ..."

ახალ წრეს ბესო ხვედელიძე იმ რომანით იწყებს, რომელიც მისი პირველი ნაწარმოები იყო, ათიოდე წლის წინ რომ დაიწყო წერა, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, ბენზინი და გაქანება არ ეყო და თავი მიანება.

"ბედნიერი ვარ, რომ იმას ვაკეთებ, რაც ყველაზე კარგად ვიცი. ვიღაცამ შეიძლება მითხრას: ეე, სადა ხარო. მე იმათზე ვამბობ: თქვენ სადა ხართ-მეთქი. ცოტას ესმის ჩემი, მაგრამ ვისაც ესმის, საკმარისია. ასი წლის მერე ერთმა კაცმაც რომ გაიგოს, რასაც ვწერ, ერთმა კაცმაც რომ წაიკითხოს, უკვე ძალიან კარგი იქნება, თურმე მისთვის დამიწერია."

ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

"ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲛᲐᲓᲚᲝᲑ ᲣᲤᲐᲚᲝ"

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲩᲮᲔᲜᲙᲔᲚᲘ

ᲘᲖᲐ ᲝᲠᲭᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ

ᲚᲔᲕᲐᲜ ᲮᲐᲠᲩᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

დღევანდელ ლიტერატურულ სივრცეში პოეზიად მონათლული ლექსების უამრავი კრებული ქვეყნდება. წიგნის გამოცემა გაადვილებულია. მასმედია ხშირად გვთავაზობს მწერლობასა და მუსიკის დარგში მოჩალიჩე „პოეტებსა" და „კომპოზიტორებს", რომელთაც რამდენიმე უბადრუკი ლექსი და სიმღერა დაუწერიათ უცხოური ლიტერატურისა და მუსიკის გავლენით. შემოქმედებითი ნიჭისგან თითქმის სავსებით გამოთიშული ეს ეპიგონური პროდუქცია თავმომწონედ ცდილობს თავის დამკვიდრებას. ქართული პოეზიის ტრადიციული ღირებულებანი მათთვის არ არსებობს და ეს ღირსებად არის მიჩნეული, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ტრადიციის ამა თუ იმ ასპექტის უკუგდება მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, როცა ამ უკუგდებისა თუ უარყოფის შედეგად ახალი ღირებულება იქმნება. მარტო ტრადიციის უგულებელყოფა არაფრის მომტანია, ახლის და ღირებულის შექმნაა მთავარი, და გამონაკლისის სახით, მადლობა ღმერთს, რამდენიმე ახალგაზრდა შემოქმედის წიგნში ეს აშკარად იგრძნობა.

პოეზიის სარბიელზე ტრადიციულის მსხვრევის უარყოფითი შედეგი ყველაზე თვალსაჩინოდ ენობრივ სფეროში საჩინოვდება. ყოფასა და მასმედიაში შერყვნილი ენის გაპარტახება პოეტურ კრებულებშიც გრძელდება, თუმცა სხვა აზრით და სხვა განზომილებით, ერთი მხრივ, ის „წილადობრივ დანაწევრებას" ექვემდებარება, ხოლო მეორე მხრივ, უცხოენოვანი კონსტრუქციების გავლენით ისრისება. ყოველი ცალკეული ენა საკუთარი სტრუქტურის მქონეა, ის სისტემაა, დანაწევრებული მთელია და არა ბგერებისა და სიტყვების უბრალო ჯამი. როგორც ფიქრობენ, ენათა „მსოფლხედვის" მოშლა მოდერნიზმის ორგიის აღზევების შედეგია (ჟან ბოდრიარი), მოხმარების ხურდა ფულად ქცეული ენა მხოლოდ დიდი პოეტებისა და მოაზროვნეების ხელში უბრუნდება თავის ჭეშმარიტ საუფლოს. და რას ვხედავთ ჩვენ დღეს ახლად გამოჩეკილი პოეტების ლექსთა კრებულების მომეტებულ ნაწილში? დომინოს ქვებივით ერთმანეთზე მილაგებული სიტყვები ორგანულ მთლიანობას ვერ ჰქმნიან. ისინი ანემიურ ფრაზებად გროვდებიან და სათქმელს უნიათო, დონდლო სტრიქონებით გვაუწყებენ, რომლებშიც პოეტური ენერგიის ნატამალი არ ჭაჭანებს. მეჩვენება, თითქოს დროსა და სივრცეში დაუმაგრებელი რომელიღაც პოეტის ძალიან ცუდად თარგმნილ ლექსებს კითხულობდე. და იმას ვერაფრით დაიჯერებ, რომ ეს ქართველი პოეტის დაწერილია.

ამ უღიმღამო გალიმათიის საპირისპიროდ კითხულობ ლექსებს, რომლებშიც სტრიქონები კუნთებდაბერილი ავაზებივით მოძრაობენ, ხტიან და იზმორებიან. განცდა ძლიერია, აზრი სხარტი და მოქნილი, სიტყვები ერთიანი ენერგიით არიან დამუხტულნი და ამიტომ ლექსი მთლიანია „ერთობილი ლალივით".

ძლიერი განცდის უნაშთოდ გამოხატვა, ანუ ქართული ენის შინაგანი ბუნების პოეტურ ფრაზაში მთელი სისავსით გარდასახეულება ის უპირატესობაა, რაც უაღრესად ნიშანდობლივია იზა ორჯონიკიძისათვის. მისი ლექსების წიგნს ჰქვია „ოდესღაც და... სულ ახლახან". ეს პოეტის შემაჯამებელი წიგნია, მთელი ცხოვრების მომცველი წიგნი, და თუნდაც ამიტომ მნიშვნელოვანი. მაგრამ ეს არ იქნებოდა აღნიშვნის ღირსი, რომ ის არ ჰქმნიდეს „ცხოვრების ხედვის ილუზიას", ყველა სხვა პოეტისგან განსხვავებული მსოფლშეგრძნების ძლიერ ეფექტს.

ყოველ დროში ჭეშმარიტი პოეზიის სათავე ღრმა განცდაა, რომლის წიაღიდანაც იბადება გრძნობა და აზრი. ელიოტის თქმით, ღრმა გრძნობაში შეფარულად ჭვივის ასეთივე აზრი, და პირიქით, ღრმა აზრი უჩვეულო ემოციების აღმძვრელია. იზა ორჯონიკიძის ლექსების წიგნში ამ განცდის „ნაზი გრიგალი" ქრის. „ნაზი" - იმიტომ, რომ მას ქალის უიდუმლესი განწყობილებების სურნელი მოაქვს, „გრიგალი" - იმიტომ, რომ ისინი ძლიერი ვნებათა ღელვით მჟღავნდებიან. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ლექსებში მოზღვავებული ემოცია შესატყვისი ექსპრესიით ცნაურდება. მეტის თქმაც შეიძლება, - ცნაურდება გრძნობის ნატიფი ნიუანსებითა და ელვარე სიტყვით.

ჩვენს თვალწინ იშლება ქართლის ყოფითი დეტალებით გაცოცხლებული პეიზაჟები, რომელსაც ხშირად იმპრესიონისტული ხილვები ენაცვლება. მაგრამ მთავარი შიშვლად მოცემული ბუნების სურათი, გაზაფხულის თუ შემოდგომის ფერისცვალება არ არის, მათში აღბეჭდილი ყველა ყოფითი დეტალი, საგანი თუ ფერწერული მონასმი პოეტურ განწყობილებათა თბილ ბურუსშია გახვეული და თითქმის

"სიყვარულისთვის გმადლობ უფალო"



ედუარდ გონაძის ნახატი

ყოველთვის ადამიანური განცდის მნიშვნელოვანი მოძრაობის მიმანიშნებელია.

ეს გარემო, სიყრმის პირველი ხილვები, მიწა და სოფელი, როგორც წუთისოფელი და როგორც სიცოცხლის პირველდასაბამი, უინტიმურეს გრძნობათა თრთოლვით არის გაცხადებული და ხელშესახები საგნობრიობით არის აღბეჭდილი. ასეთ ლექსებში მძაფრად ჭვივის ურბანული ცნობიერებისათვის დამახასიათებელი სიყვარული იმისადმი, რაც ბუნებრივი და პირველქმნილია, შეუსვრელი და წმინდაა. მაგრამ ყველაფერი ეს პოეტისთვის მეტაფორის ერთი ნაწილია, მეორეში სარკისებურად ილანდება განცდის ისეთი წახნაგები, რომლებიც პირდაპირ და უშუალოდ არის დაკავშირებული მისი ბიოგრაფიის ინტიმურ მხარესთან. ასეთსავე მხარესთან არის დაკავშირებული ზოგჯერ პოეტის მოქალაქეობრივი მრწამსი, ვთქვათ ისეთ ლექსში, როგორიც არის „მცირე ანდერძი". ამ შესანიშნავ ლექსს ასეთი ეპიგრაფი ახლავს: ახალგაზრდა მწერლებს - ძალიან რომ აწუხებთ ქართული სოფლის დაცარიელება; ამ ლექსში იზა ორჯონიკიძე სამართლიანად ამათრახებს მწერლობაში მოზღვავებულ გორსალებს: „თქვენ გიტოვებთ ქალაქს - ჭინჭყლს და მიზეზიანს,/ ცეცხლმოდებულ ბაზარის გვირილას და იას,/ მეწვრილმანე ქუჩას, გულამომჯდარ დილას,/ ნაგვის ავტოს, ლიფტის ჩაწითლებულ ღილაკს,/ ბროლის ჭაღებს, სცენას და ხავერდებს წითელს,/ თქვენს აწმყოზე ზღაპრებს, ჩემს წარსულზე მითებს,/ პოეზიას, პროზას, რომანსა და ესსეს,/ დიდრონ ჯილდოს - ყველას, რაც კი დააწესეს,/ სავარძლებს და სკამებს, ზედ ასაძრომ ხერხებს,/ თქვენ გიტოვებთ, - თოხებს გამოქცეულ გლეხებს!/ ჯერ ეს იყოს, მერმე კიდევ დავამატოთ,/ ლხინიც თქვენ და ფქვილიც! მე - ჭირი და ქატო."/. ეს უკუთქმითი ლექსია და ამიტომ მაქსიმალურად მძაფრი.

რატომ ხდება ასე? რატომ არის, რომ „გიტარას უკრავს მიწისქვეშ ბიჭი/ და თავდახრილი გამვლელი ჩქარობს"? იმიტომ, რომ, პოეტის თქმით, „ძირგამომპალი ჟამია". და აი, პოეტის მრუმე განწყობილების ქვედა ზღვარი, სწორედ ამის გამო თავისუფალი ლექსით დაწერილი: „რაც უფრო ვკვდები,/ სულ უფრო და უფრო ვრწმუნდები,/ რომ აქ ჩემი არაფერია,/ გარდა ფხიზელი მარტოობის გრძელი ღამისა,/ არც ეს ოქრო არის ჩემი -/ აუხდენელის სახსოვარი, შესიებულ არათითზე შემორჩენილი.../ არაფერიც არ არის ჩემი:/ არც სამშობლო, არც მონაგარი, არც მეგობრები, აღარც წიგნები -/ წერა-კითხვის ძლივას მცოდნე ბრბოსგან ცეცხლით შეგინებული.../. „არც სამშობლო, არც მონაგარი, არც მეგობრები"? მაშ, რას ნიშნავს ეს სტრიქონები: „უკანასკნელი რაც მიხარია,/ სამშობლოს ცა და შენი მხარია", ან ეს: „წევხარ მართალი და გაქურდული/ და თავს გადგანან სამშობლოს მთები". ზოგჯერ კაცი მიდის უკანასკნელ ზღვარამდე და ყველამ იცის, რატომ ხდება ეს... მაგრამ ეს წუთი დიდხანს არ გრძელდება. პოეტის ტემპერამენტი ვერ ურიგდება მელანქოლიურ შავნაღვლიანობას. მისი ირონიული ჭკუა უფრო ხალისიან ფორმას რჩეობს ჩვენი აბსურდული ყოფის საჩვენებლად:

გაშიშვლდა ჩვენი ნესტანი,
ასმათ, თინათინ, ლამარა,
ტარიელ, ფრიდონ ავთანდილ
რბიან ფალოსის ამარა.
არ მიაშველო ფოთოლი
ლეღვო, ამაოდ დაშვრები!
ძალიან დემოკრატიულ
ეკრანთან სხედან ბავშვები...

მაგრამ მისი პოეზიის მთავარი გზა სხვა მერიდიანზე გადის. ერთ კრიტიკოსს რომ დავესესხო: „ის გამოკვეთილად პერსონალისტური ტიპის პოეტია, საკუთარი, პირადული ყოფა და ამ ყოფის ნიადაგზე აღმოცენებული განცდები გახლავთ მისი შემოქმედების მასაზრდოებელი წყარო. მისი საუკეთესო ლექსები სხვადასხვა რაკურსით შესრულებული ავტოპორტრეტებია, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ და მთლიანობაში გამოჰკვეთენ ავტორის პოეტურ ინდივიდუალობას". მარსიანის მიერ სხვა პოეტ ქალზე გამოთქმული ეს ზოგადი ხასიათის ანალიზი (ვინაიდან პიროვნული განცდაა ლირიკის საგანი) ზუსტად ესადაგება იზა ორჯონიკიძეს და მის პოეზიას. და აქ უნდა ითქვას უმთავრესი: ეს განცდა პირწმინდად დიაცური მგრძნობელობით და ეროსით არის შეფერილი. თანადროულ ქართულ პოეზიაში იზა ორჯონიკიძემ ყველაზე სრულად და მძაფრად გამოხატა ქალური ბუნების ის იდუმალი მიმოქცევები, რომელთაც „წმინდა ქართული და რუტინული" აზრის საუფლოში სასტიკი ტაბუ ედო. ეს იდუმალი მიმოქცევანი უჩვეულო გულახდილობით, სინაზით და ღირსებით, ხოლო ზოგჯერ, ამორძალური მძვინვარებით არის გამხელილი. აქ ყველაფერი სანდო და გამჭვირვალეა, და ლექსების კითხვისას ჩვენ კვლავ დაგვყურებს საფოსა და ალკეოსის ლურჯი ცა.

პირადად მე არ მეგულება სხვა პოეტი ქალი, ვისაც ასეთი ულმობელი თვითანალიზით, თავგანწირვით და შემმუსვრელი გულახდილობით გამოეხატოს ქალისთვის ყველაზე იდუმალი და საკრალური გულისთქმანი: „დღეს შენ ამხადე კუბოს სარქმელი,/ არ გეშინია რაც მიწად ეფლა, -/ მას საუკუნის წინათ აღთქმული/ შეეხოს სიო და იქცეს ფერფლად?!/ არ გეშინია ცხოვრების ხავსის,/ ნასამარევი გულის წყვდიადის?/ თუ ბროლის სასმისს იმისთვის ავსებ,/ რომ შიგ ჩააწო ლურჯი ხმიადი?/...

ამ ლექსების კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ არ არის დარჩენილი არც ერთი ნიუანსი ეროსით დაკავშირებული წყურვილის ურთიერთობაში (სიყვარული, ნდობა, იჭვი, ღალატი, უმადურობა, აუხდენელი ოცნება, ლტოლვა მიუღწევლისადმი, განშორება, სინანული და მათი ათასნაირი ობერტონი) განცდილი და ზუსტი ჭედური ხატებით რომ არ იყოს გაცხადებული იზა ორჯონიკიძის ლექსებში. და აქვე უნდა ითქვას, რომ გრძნობათა ეს სიუხვე ასეთივე უხვი და „სისავსით მუნჯი" ექსპრესიით არის გადმოცემული. ამ თვალსაზრისით, იზა ორჯონიკიძის პოეტური სამყარო სრულიად განხმულია, მისი გრძნობა შეუნიღბავია („და სიკვდილივით პირდაპირი ჩემი სტრიქონი"), იგი ჰგავს „გაშლილ დროშას, რომელსაც ტყვიას ესვრიან", იგი „ბორგავს, როგორც დიდი ჩანჩქერის წყალი", იგი უშიშარი და გულახდილია და მისეული ხედვა საკუთარი თავისა და სხვათა მიმართაც დაუნდობლად წრფელია. და იმის თქმასაც არ მოვერიდები, რომ ამ ლექსთა შორის ათი-თორმეტი ლექსი ქართული პოეზიის შედევრებია.

არის კიდევ ერთი სიახლის შემცველი ასპექტი იზა ორჯონიკიძის პოეზიაში. ტრადიციული სოფლის სამდურავი კი არა, არამედ სამდურავი კაცთა მიმართ, რაც სრულიად ახალი მოტივია. ეს არის დიაცური თვალით და ინტუიციით განჭვრეტილი მამაკაცი, რა თქმა უნდა, თავისი დადებითი და უარყოფითი ნიშანდებით. და ეს, სხვა რომ არაფერი ვთქვა, უაღრესად საინტერესოა, განსაკუთრებით ჩვენთვის, მამაკაცებისათვის. მაგალითად ეს ლექსი:

შენ რომ კაც იყო,
მეგობრები გეყოლებოდა,
ნაკლულთა და მანიაკთა
ყოჩად ყოფნას ითაკილებდი.
შენ რომ კაც იყო,
ქალნი ცრემლით
მოგიგონებდნენ -
რაღაც მშვენებას შეიძენდა
შენი ცხოვრებაც!
შენ რომ კაც იყო,
ჯერ თავს შექმნიდი,
მერე ოჯახს,
ბოლოს - სამშობლოს!
შენ რომ კაც იყო -
სიკვდილამდე
კიდევ დრო არის!

ერთი მხრივ, ეს გამკიცხავი ლექსი, მეორე მხრივ, ბავშვობაში დაძმობილებულისადმი მიმართული: „თავს ბევრჯერ ჩავრგავ შენს სანდო მკერდში/ და ნუ იფიქრებ, რომ მხოლოდ ვტირი"... გვხვდება ბევრი მაგიური სტრიქონი თუ სტროფი, ყველას ვერ ამოვიწერ. არც ღირს. ლექსი განუყოფელი მთლიანობაა. მისი დანაწილება გაუმართლებელია.

დღევანდელ მსოფლიოში, როგორც თომას ელიოტი ამბობს, პოეტს დაკისრებული აქვს კულტურის მცველის როლი. იგი პასუხისმგებელია თავისი ერისა და ენის წინაშე, რაკი ენა საფუძველია კულტურისა. იზა ორჯონიკიძის ხორცსავსე ბუნებრივ ქართულს, ახლა ეგზომ იშვიათს, იდიომური მიწისქვეშეთიდან ამომდინარე წყაროსთვალის გემო ახლავს. „ნუ ამოარჩევთ სიტყვებს, შერჩეთ მძაფრი სურნელი", - ასეთია პოეტის ენობრივი კრედო. მისთვის მთავარია „გულში გამოტანჯული სავსე სიტყვები" და სადა სინტაქსი, თუმცა რამდენსამე ლექსში გამოყენებული აქვს უაღრესად დინამიური ტმესი, რაც ქართული ენის ინტუიციურ წვდომას ასაჩინოებს.

დღევანდელ ნიჰილისტურად აქაფებულ და ცრუ თვალსაზრისებით დაბნელებულ ლიტერატურულ სარბიელზე, „სადაც ხშირად რეალობა აღარ აღიქმება რეალობად, იმდენად აბერაციული, ნორმიდან გადახრილი გახდა ხედვა თუ შემეცნება" (მარსიანი), ჩვენ კვლავ გვახარებს ქართული პოეტური ტრადიციისათვის ნიშანდობლივ აზრთა და გრძნობათა ნათელი და ძლიერი მდინარება.

შმაგი ინსტიქტებით, ლაგამაწყვეტილი უგუნურებით და თავხედური მუქარებით გაჟღენთილ გარემოში უფაროდ მდგარი პოეტი ინარჩუნებს წონასწორობას. ამ წონასწორობას მას რწმენა ანიჭებს: „სიცოცხლისათვის გმადლობ გამჩენო,/ მე საწყუკვარის გადასარჩენად/ თუ რამ გავიღე, ისიც შენია/ და ჩემთვის გროშიც არ დამრჩენია/ გადამალული, - გმადლობ უფალო,/ მე ვიდრე ვდგავარ, ვდგავარ უფაროდ!"

მკითხველისადმი მიძღვნილ წინათქმაში იზა ორჯონიკიძე წერს: „ეს წიგნი ერთგვარი ანგარიშია მკითხველის წინაშე და დიდი პასუხისმგებლობაც. მკითხველის შეძენა ძნელია, დაკარგვა კი ძალიან ადვილი. ჭეშმარიტი მკითხველი, მართალია, ცოტაა, მაგრამ იგი ყოველთვის ფაქიზია და უშეღავათო". ამ სიტყვებს რ. მუზილის შესანიშნავ გამონათქვამს დავუმატებდი: პოეზია წრეა, რომელშიც მხოლოდ განსხვავებულთა იგივეობა არსებობს, და ის, რაც უბადო და ერთჯერადია.

2003.IV

ციკლიდან "ჩემი ქართლი"

იზა ორჯონიკიძე

მოკითხვის ბარათი

როგორა ხართ უჩემოდ,
თქვენსკენ კარგი რა ისმის?
ლაჟვარდივით ლურჯებო,
ზამბახებო მაისის!

ალბათ, სველმა ქარებმა
ღობე გადაარწიეს,
დაადევნეს ღვარები
ჭია-ღუებს პაწიებს,

ხევში მიმოკარგული,
წყალი, ლოდქვეშ მძინარი,
როგორც შფოთი ქართული
ისევ მოსკდა მდინარედ?

ალბათ, ისევ მოყინა
ვაშლი ღირსი მეფეთა
და ჩერჩეტი ყოყინა
ბაღში შემოეხეტა,

ალბათ, ცრემლით მალულით
თვალები დაითხარეთ...
უქმად, უსიყვარულოდ,
როგორა ხართ, მითხარით!

2000

▪ ▪ ▪

გულღორღიანთა ამედევნა
როყიოდ თქმული...
რაღას არ იტყვის
მშობლიური სალაყბოს ენა!
დილის ცვარივით კამკამა და
სუფთაა გული
და ფეხზე აკრულ ტალახივით
მოისხლეტს წყენას.

2000

ჩუმი მონოლოგი

გულმა მთხოვა არ გაკადრო
საწყენი და საგმობელი,
აი, ზამთრის მთვარე - ბადრი,
თბილი პური, ღამე - გრძელი,

ღვინო - ერთი შემღერება,
საბანე და სასაუბრო...
გიყურებ და გული მწყდება,
ახლა მეტად, ახლა უფრო...

2000

ავდარს მოყოლილს

რა საწყალობლად ბაბანებ,
ახლავ აგინთებ ბუხარს!
აგერ, ა, მატყლის საბანი,
ჩათბი და ნურას სწუხარ,

მე მარტომ უნდა ვუსმინო
გულს ჩარჩენილის ხროტინს...
შენ ხომ სიტყვები არ გახსოვს,
რას გაიხსენებ მოტივს!

2000

შორეული თიბათვე

უკვე წამოწვა ცხელ ქვაზე გველი.
დამოკლდა ჩრდილი და უცებ დაცხა.
ღელისპირებში ნიავი ცხელი
შეუყვა ჩვენი ტირიფის ვარცხნას.

სოფელში უკვე სიმინდს მარგლავენ.
გაქრა უჟმურიც - ზამთრის ნარჩენი,
დიდხანს გამოსჩანს ცაზე ვარსკვლავი
და აივანზე დიდედაჩემი

მზითვში მოყოლილს ბერტყავს ფარდაგებს,
მერე მოაჯირს მიჯრით მიაფენს...
ყვავის ყაყაჩო, შაშვი ქადაგებს
და არემარე მიაქვს ჭიაფერს.

2000

აისი

თენდება. თითქო უხილავს მირჩა
ბორცვებზე სუსტი შუქი იელის...
ჩემი ქალაქი - კრაზანის ფიჭა,
ვაგლახად ფშუტე და ცარიელი,

იღვიძებს მძიმედ, მთვლემარე მთიდან,
(ვით მადათოვის ერთხელ კუნძული!)
თითქო გამქრალა სავანე წმინდა
და მგლოვიარე ქალი უძლური...

თვალსაწიერთან გაკრთება წამით
შორი მწვერვალის თეთრი საყელო...
ისე მარტო ვარ, ვით მორგში გვამი -
უჭირისუფლო და უსახელო.

2001

▪ ▪ ▪

დღეს სევდის ნათელს
შენი სხივიც შემოემატა,
ო, ზამთრის მზეო,
შემაცბუნა შენმა სინაზემ,
როგორც თოვლქვეშ მიწა,
გულიც ისე დარბილდა...

2001

უჟმური

შვიდი დღეა იმეორებს
წვიმა აჩემებულ მოტივს.
კიბის თავში დადგა ტბორი.
ტოტმა დაიტანა ტოტი.

რქებით მოაქვს ნისლი ნახირს.
მდორედ მეძალება ძილი.
მებრალება ჩემი ბაღი,
როგორც გალახული შვილი...

ველი, ღმერთო, როგორ ველი,
გამოჭიატებას მნათის!
ჩემი სასოების მცველი
სარკმელს შემომდგარა ფშატი.

2001

პასუხი

მე დღესაც იმედს ვეფერები,
დანგრეულ საბუდრებს ვეფოფრები, -
ნაფუძარს ჩემი პეპერების,
გუშინ გარდასული მეგობრების...

არ მინდა მე თქვენგან ნუგეში!
ვით ტინს დაკიდებულ საცოცხეს,
ქარი სასტიკი და მიდამო უხეში
კიდეც მკლავს და... კიდეც მაცოცხლებს.

2002

ორი სურათი ძველი ალბომიდან

თენგიზ რატიანს - ძმას
და სიყრმის მეგობარს

1

ხელუხლებელია თითქო ყველაფერი:
ლივლივებს ქვის ხავსი გეჯას მონადები,
კარწინ - სამურაბე ბლები და ვარდები,
ლოდზე - ლოკოკინა, სარზე - ლილიფარა,

ლურსმანზე - შემხმარი ნაწნავი ღოლოსი.
/ვიღაც მითვალთვალებს ფრთიანი ფანჯრიდან!/
წყალზე ჩამოსულა ნასიცხი ნარჩიტა
და დიდი ჯალაბით - მამალი გოროზი.

აავსებს ჩაფულას და გარბის ნინველი.
წელამდე ბალახში ჩამდგარი მზესავით,
ნეტავ დამანახა ვინმე ნათესავი
და ცელის წივილზე აშლილი ფრინველი.

2

უკვე ასაღამურდა. დაიბუდეს შაშვებმა.
დიდი ცაცხვის ყურეში, გარდა მთვარის პროფილის,
ჩანს საშუნა - ყურებზე ულვაშგადაწყობილი, -
პურმარილზე ყარამანს გრძელ ნარდს ეთამაშება.

ყარამანი ღიღინებს, შეულოცავს კამათელს,
გააგორებს საშუნაც და აჰყვება ხალისით...
სიჩუმეა ისეთი, ალბათ, გაღმაც გაისმის
დაფაზე ქვის ჭახუნი და სიმღერა ამათი...

"- ბიჭო, მოდი, ერთხელაც, როგორც გამოვჩერჩეტდი,
რად გაგიხსენ კარი და რად გამიწყრა გამჩენი..."
ეცინება ყარამანს - "კაკალი ხარ კერკეტი,
თუ არ დაშოშმინდები, უვახშმოდაც დარჩები!"

რა მახარებს, არ ვიცი, როგორც სკაში ფიჭები,
ღამე წვეთ-წვეთ ივსება ტკბილი მღერა-თამაშით,
პატარა აივანზე, ნიავების ჰამაკში,
სულაც უფლის უბეში, ვწევარ და ვიკრიჭები...

2002

ჰეიზაჟი უშენოდ

თეფშზე კენტად დარჩენილი
ვაშლის გულიდან
პაწაწკინტელა, ვარდისფერი
მოძვრება მატლი...
ივლისია,
მთელი ცა - მზეა!
მითენთილა თუთის ფურცელი,
ვარდის ხავერდი,
ჩრდილში, ჩრდილში შერბის ქვეყანა...
მხოლოდ პეპლები,
სოსანივით ლურჯი პეპლები
ღობისძირებს აყოლებულ
ანწლებს ასდევენ...
ყვავილობს ანწლი!
სდის სურნელი სულისწამღები
და ამ უდრტვინველ,
ამ საეჭვო მყუდროებას
კრაზანების ბზუილი ბზარავს...
ფანჩატურში ვზივარ და
ვკვდები!

2003

დილით, ცამოწმენდილზე

დახედე, როგორ დააცხრა სხივი
მინდვრებს მილუშულს და ახალნაწვიმს,
როგორ გაბრწყინდა ღერო და ღივი
მორცხვი მოცხარის და ავი ქაცვის!

ნამგლის ნიავის ჩქერებს ჩამოაქვთ
ყაყაჩოვარდას თბილი თრიაქი,
იქნება სულაც ამის გამოა
გულის ფართხალი და ფორიაქი,

ამ სიფრიფანა სიამეს, იქნებ,
გავუტვრინდე და ვიყუჩო წამით,
შევავლო ხელი ნუგეშის წიგნებს,
თვალი - სახლსა და სალოცავს მამის.

2003

ბავშვობის სამკითხველო "ოქროს ჩარდახი"

გასკონელი რაინდი
მელის ჩრდილში ამ კაკლის...
აბა, რას წარმოვიდგენ,
თვალთ რომ უნდა დამაკლდეს!

აბა, როგორ ვიფიქრებ,
რომ ქარს და ქარბორბალებს
თან გაჰყვება ხალისი,
როგორც ნამჯას ხორბალი,

რომ გულს გადაჰყვებიან
ტუსაღები ოცნების,
სოფლის დულცინეები,
კეთილები, მორცხვები...

სანჩოც, მისი რაინდიც
სხედან ჩრდილში ამ კაკლის...
აბა, რას წარმოვიდგენ,
თქვენც რომ უნდა დამაკლდეთ!
. . .
მწიფს გვიანი ძახველი.
თვლემს კოცონი ჩამწვარი.
ყოველ ბიჯზე ნაღმი დევს -
სევდის ნამოღვაწარი...

2003

უცრემლოდ

რა გულუბრყვილო ყოფილხარ, თურმე,
რა გულუბრყვილო და რა სათუთი,
ადევნებული მკათათვის ურმებს,
თითებდათხვრილი შავი ხართუთით...

გაგრძელება E6 გვერდზე

ᲔᲠᲗ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

რა ბედნიერი ყოფილხარ, თურმე!
ნაკუწი შენი გამზრდელის თავშლის -
მიჰყვება ნისლი ნოემბრის ურმებს,
დაზვინულს სევდით, სევდით და... ვაშლით.

2003

ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ

"რა კარგი იყო ბარდნალა..."
ᲚᲐᲓᲝ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ
"როგორ მიყვარდა ჩემი სოფელი..."
ᲜᲘᲙᲝ ᲡᲐᲛᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

როგორ მიყვარდა ჩემი ტეზერი,
მოსული ვაშლის მოტკბო სურნელი,
გადახუნძლული კვახით მესერი,
გამოვარდნილი გზაზე კუნელი,

ძველი სკივრი და ძველი ამბარი,
ხალიჩა - ფეხქვეშ დიდხანს ნადები,
სველი სოსანი და სუსამბარი
და პაპაჩემის ძველი დარდები,

ნეტარყუჩობა საბანქვეშ ღამის,
შორით ნატვრა და შორით ფერება,
თბილ ბურუსებში აპრილის ჩქამი
და სკიდან ფუტკრის გამომღერება,

როგორ მიყვარდა ღიღველა მერცხლის
და ძველ ყავარზე ზამთრების ჭვარტლი,
ლამაზი, როგორც ბუხარში ცეცხლი
ჩემი ტეზერი და ჩემი ქართლი.

2003

▪ ▪ ▪

დილას აქეთ, განა ვნებით,
განა გიჟურ ქროლვით,
თამაშ-თამაშ, ნება-ნება,
მოწრიალებს თოვლი...

გეუბნები, მიწამდეც კი
არ დაჰყვება სული...
შენც თოვლი ხარ,
შენი ცხენიც
ჭიშკარს გადასული...
...
დილას აქეთ ამოქექვა
მინდა დიდი უჯრის -
გარეთ გამოტყუება მსურს
ქარბუქების ლურჯის..

ველი ამინდს,
ველი სტრიქონს,
ნიშანს ველი მაღლით...
ალბათ, პირუტყვს გამოენთო
მეზობლიანთ ძაღლი.

2003

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡᲐᲓᲛᲘ

შენი ალერსით ლაღი,
თვალწინ, კასრივით დენთის,
ტოკავს შიშველი ბაღის
აფუებული მკერდი,

უკვე შებუმბლე შინდი,
შემოუძახე ძახველს,
მშვენიერო და ფლიდო,
ჩემსას მოსულიც გნახეს!

ამღვრევს ნალექს და ნაღვარს
ამჩატებული ქარი...
უსიყვარულოდ დახვალ,
როგორ გაგიღო კარი?

2003

▪ ▪ ▪

ღობეებს კი დაურბინეს
იებმა და ენძელებმა,
მაგრამ ტუტრუცანა მარტის
ხუმტურები ეძნელებათ.

თუ მზემ ხელი დააფარა,
თუ არ გამომარგლა გლეხმა,
ამ მორჩილებს, ამ მალალებს
გულზე დაალღვებათ ლეღმა...
ამ სათუო ფიქრში რომ ვარ,
ქარი გამაგონებს ლაღი:
"სიმძიმილთა ერდო დახაშ,
სიხარულის კარი აღი!"

2003

ᲪᲘᲡᲙᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲡᲚᲘᲡᲐ

წამოთენდა. ძილგამკრთალი
ალასლასდა, ადგა ნისლი,
ცდილობს ამარიდოს თვალი,
ეგ ზნეს ვეღარ გამოცვლის!

მიდის, გზა-გზა გუნდრუკს აკმევს,
ფეხქვეშ ეფინება წიფლებს,
ფრთხილად ააფარებს სარკმელს -
ნაძენძს - ნოტიოს და მყიფეს,

სულაც ნამლევს, სულაც ნელცივს,
სულაც დასასრულის ფერადს...
რა ვქნა, ღმერთო, ბრმა და ბეცი
წასულს - ვერ ვაშორებ მზერას,

თავსაც ვატყობ, ვეძებ ნებას,
აღარც მეძნელება თითქო,
ავდგე, კალთას გამოვება,
ჭკუას არაფერი ვკითხო.

2003

ᲫᲕᲔᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ

თურმე მიყვარს
უთქმელი და თვითრჯული ბრძენი,
სიყვარულით გაწვრთვნილი ძაღლი,
კბილით ახლაც ვარდი უჭირავს
და სარკმლიდან გადახტეს ლამის!
გინახავს მაგის ცმუკვა ძველი
ხიდის ყურესთან,
როცა ირგვლივ ვერაფერს ხედავს,
როცა ფიქრში, ხელისგულისოდენა ხავსი
ხან გაუსხლტება, ხანაც ცხადად ახასხასდება
და თაგვივით შემორბენილ ეჭვებს
წამით წაეფარება?
რა სჯობს იმ წუთებს
ვიდრე სიტყვა სტრიქონს შეავსებს,
ან წინ დუმილის მეგობართან
შეყრას რომ უსწრებს?
ვიცი, სულგრძელი,
იმედივით შეუპოვარი!
ვით გზა წყარომდე,
დიდად მწყურვალს,
მიყვარს, მიყვარს მე მოლოდინი...

2003

ᲒᲕᲠᲘᲜᲘ

მშვიდი ტაროსი. ქარი უვნებო
და ძილისმგვრელი შუადღის რინდი...
წყალმა იცის და არ გეუბნება
ბეწვის როდისღა წაიღო ხიდი...

წიოკობს კრუხი, ბატის აღალი,
თავაღერილი, ღელისკენ მიდის...
ვის დარჩა შენი ჭერხო მაღალი
და მზის ნაჭვრეტი სარკმელი დიდი?

შენი ეზოდან გიღრენს მყეფარი!
შრიალებს ცაცხვი - შენი დარგული!
თუ გინდა მიწას ამოეფარე,
უცხო, უმწეო და გულნაკლული...

ნეტავ ამაღამ დაგაძინებდნენ
და ნაღველს აღარ გაგიძაღლებდნენ
ღობეს აკრული ლოკოკინები -
სინათლით სავსე თეთრი სახლები.

2003

ᲛᲪᲘᲠᲔᲗᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲔᲑᲣᲚᲗᲐ

აივსო ჩვენი ქვეყანა
ბეჩო-ბზითა და ბრელოთი!
ჯოგიც მოსულა ნადირთა!
/"ვამაყობ საქართველოთი!"/

რა მკლავი დაუშრომელი?
მუცლები დავიბეროდით!
ღვარძლს გავაყოლეთ ჯეჯილიც!
/"ვამაყობ საქართველოთი!"/

ორასი წელი, არ მითხრა,
რომ ამ ბედასლებს ელოდი!
გავთავისუფლდით - მეგონა!
/"ვამაყობ საქართველოთი!"/

სულისხდომამდე მიყვარდით,
მკლავდით და მაინც მჯეროდით!
სადა ხართ, თუ ხართ, მენახვეთ!
/"ვამაყობ საქართველოთი!"/

2003

ᲒᲐᲜᲓᲝᲑᲐ

ეძღვნება კახა გველესიანს

გასივდა გული! ფიფქივით ლამის
გაწყალდა ყველა სიტყვა ნუგეშის!
მოდი, გავჯიქდეთ, ვინატროთ რამე,
როგორც იმ ერთხელ - სიჭაბუკეში!

მოდი, ჩავუთქვათ წმინდა წყლის ჩქამებს,
წრფელი ცისკრები და მიმწუხრები,
ყველა ღობესთან მიდგმული სკამი,
რაღაც ძვირფასი და ხელუხლები...

გადაფარული ბილიკით ხვართქლის
და გაბაწრული მაყვლის ფესვებით,
იქნებ გადმოდგეს ქონგურზე ქართლი
და მოგვაგებოს უკეთესები,

იქნებ მზირ კოშკებს, ნაქარს და ნაწვიმს,
განგაშის ცეცხლის ახსოვთ ალაგი,
თორემ საქვეყნოდ - ყოველთა თვალწინ
იხრწნება მძორი დიდი ქალაქის...

ამ სულის ხუთვას სიკვდილი მიჯობს!
ჩიტი კი წივის, წივის უბეში...
მოდი, ავჯანყდეთ, გულო და ნიჭო,
და... ლამაზები ჩავწვეთ კუბოში!

2003

ᲛᲝᲚᲝᲓᲘᲜᲘ

ეძღვნება გია ყარყარაშვილს

შენც წინაპრისა გმართებს,
იმათი ზურგით დავობ!
ებღაუჭები მათი
სამარის ხავსს და ხაოს!

აბა, ამ ქურდულ ყომარს,
ამ ჩვენს მშობლიურ ქაოსს,
ეგ საფლავები რომ არ,
რა გაუძლებდა, ძმაო?!

იქნებ არც უნდა შველა
ამდენ ფესვიდან შემხმარს!
შენს ეტლში ვსხედვართ ყველა,
წელგამართული შენ ხარ!

მიიპარება თოვლი,
თავს გაზაფხული ადგას...
შენ ვისაც ელი, მოვლენ,
ჩვენთვის იცოცხლეს რადგან...

მე იმ ნიაღვარს ვლოცავ,
გზად რომ წალეკავს ბრელოს,
ოღონდ მოგისწრონ ცოცხალს,
მამულო, საყვარელო!

2003

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲖᲦᲐᲕᲠᲘᲓᲐᲜ

/ხელმწიფის ნაბოლარა ვაჟს იმედო რქმევია
დიდედაჩემის ენციკლოპედია./

მეშინია, ფიქრიც მზარავს,
ნეტავ რა გზას აირჩევ?
ნუ გამიშლი ცაში კარავს,
ნუღარც მფრინავ ხალიჩებს,

ოღონდაც კი ფხიზლად იყავ,
ოღონდაც კი, იმედო,
ძმებმა აღარ გაგაბრიყვონ,
უკან არ მიიხედო!

მანამდე კი... მეშინია
ემაგ გზაჯვარედინის,
დიდი შფოთის
მღვრიე დროის,
უდარდელად მედინის...

2003

მაშა მაშკოვას ბიბლიოთეკა

აკა მორჩილაძის "უდაბნოს გლახები"

უახლოეს მომავალში "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" ახალ საინტერესო პროექტს წარმოგვიდგენს. "ყველა დროის საუკეთესო ქართული მცირე რომანი", ასე ქვია სერიას, რომლის პირველ ოთხ წიგნსაც რამდენიმე დღეში მიიღებს მკითხველი. ილია ჭავჭავაძის "კაცია-ადამიანი?!", დავით კლდიაშვილის "სამანიშვილის დედინაცვალი", მიხეილ ჯავახიშვილის "ლამბალო და ყაშა", ლეო ქიაჩელის "ჰაკი აძბა", ჯემალ ქარჩხაძის "გუბე", რეზო ჭეიშვილის "ვაიმე ჩემო ვენახო", ზაზა თვარაძის "სიტყვები"... მნიშვნელოვანია, რომ ამ კარგად ნაცნობ, თუ დაუმსახურებლად მივიწყებულ ნაწარმოებებს, წინ თანამედროვე ქართველი მწერლების, კრიტიკოსებისა და ლიტერატურათმცოდნეების შესავალი წერილები უძღვის, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ, ერთი მხრივ, ახლიდან გავიაზროთ უკვე კლასიკად ქცეული წიგნები, მეორე მხრივ კი, სამომავლოდ, ამგვარმა ლიტერატურულმა გიდებმა, შესაძლოა, პირველებმა გაგვაცნონ ესა თუ ის ავტორი. დანარჩენ სამ წიგნთან ერთად, გამოსაცემად უკვე მზადაა აკა მორჩილაძის "უდაბნოს გლახებიც", რომელსაც მალხაზ ხარბედიას შესავალი წერილი უძღვის წინ.



მალხაზ ხარბედია

"უდაბნოს გლახები" ერთადერთი რომანია, რომელიც გაზეთში წავიკითხე. მანამდე მხოლოდ წიგნად გამოცემულ თუ სქელტანიანი ჟურნალის ორ-სამ ნომერში დაბეჭდილ "რომნებს" (როგორც თავად აკას უყვარს ხოლმე თქმა) ვეტანებოდი.

მახსოვს, პუბლიკაციას "ქართული სიტყვის" ექვსი ნომერი დასჭირდა და პირველივე თავების წაკითხვისთანავე მივხვდი, რომ ეს თხრობითი ლაბირინთი ბოლომდე ჩამითრევდა. მთავარი იყო ორკვირიან შუალედებში ("ქართული სიტყვა" ორ კვირაში ერთხელ გამოდიოდა) ამბის ძირითადი ხაზი არ დამეკარგა, მეპოვნა არიადნეს გამძლე, საიმედო ძაფი, რათა გზა არ ამბნეოდა ამ მრავალშენაკადიან პროზაულ ლაბირინთში. ყოველი ორკვირიანი, ხრიოკი შუალედის შემდეგ ვცდილობდი პირნათელი დავბრუნებოდი "უდაბნოს საკითხავს", თუმცა ნახევარსაათიანი სიამოვნების შემდეგ ისევ ორი კვირა მიწევდა ხეტიალი (ამჯერად რეალურ, თბილისურ უდაბნოში) ახალი თავების დაბეჭდვამდე.

ერთი სიტყვით, ბევრი ვიწვალე სწრაფი კითხვით განებივრებულმა და მას მერე დავიფიცე კიდეც, რომ გაზეთში, გაგრძელებებით, რომანს (თუნდაც მცირეს) არასდროს წავიკითხავდი.

ორი დღის წინ მეორეჯერ მომიწია "უდაბნოს" გადაკითხვა, ამჯერად ერთი ამოსუნთქვით და მინდა გითხრათ, რომ წლინახევრისწინანდელი შთაბეჭდილებები კიდევ უფრო დაკონკრეტდა, გამოიკვეთა და უფრო მეტიც, ბევრ რამეზე აზრიც კი შემეცვალა.

მაშინ ვფიქრობდი, რომ ეს მოთხრობა (თუ მცირე რომანი) ძალიან განსხვავდებოდა აკას სხვა ნაწარმოებებისგან, რომ ავტორს უფრო ბუნებრივი და სტილური ხრიკებისგან თავისუფალი ტექსტი გამოუვიდა, მაგრამ ახლა ვრწმუნდები - აკა ამ წიგნშიც ისევე გვეთამაშება, როგორც ადრე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ რამდენიმე წლის წინ ავტორი ჩვენს ფანტაზიას ძველი, საუკუნისწინანდელი მეტყველებით ასუქებდა; ახლა კიდევ, შორეული წარსულის სიტყვიერი კერძებით დაპურებულებს, ისევ ჩვენი დროის "ბალანდა" დაგვიდგა დასაგემოვნებლად (როგორც ოდესღაც "ყარაბაღში" ან "ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში"), ანუ თანამედროვე, უცნაური წარმოშობის "სოციოლექტები" შემოგვთავაზა (დე, მეპატიოს ეს ნეოლოგიზმი).

"უდაბნოს გლახებშიც" ენობრივი ქსოვილი ძალზე მრავალფეროვანია, აკასგან ჩვენ მიჩვეულები ვართ ასეთ სიჭრელეს და მასში რუსული და ნახევრადქართული, ქურდული "გოვორის" გარდა (რომანის ძირითადი მოქმედება ხომ კოლონიაში ვითარდება) სხვა, სპეციფიური ქვედიალექტებიც მოიძებნება. მაგალითად, განსხვავებულ ენებზე მეტყველებენ მამა გერმანე, იმერელი "ზეკები", "ტელევიზიონშჩიკები", მეცნიერები. ერთ-ერთ მთავარ გმირს, ზაზას (იქნებ ეს "თეთრი ბაირაღების" ზაზა ნაკაშიძეა) მღვდელსაც შეარქმევენ პატიმრები მეტყველებაში გაპარული რამდენიმე "არაქურდული" სიტყვის გამო.

ზაზას ერთხელ "უცნაური დღე გამოუვა", დილიდან ქალებზე ფიქრობდა თურმე და "საიდანღაც, ძალიან შორეული და აღარარსებული წიგნის კარადიდან მასთან მოსულიყო დაუვიწყარი ამბავი ლამანჩელი გიჟისა, ერთი მურიანი სოფლის გოგო რომ დაესახა გულის ვარდად. ახლა ზაზას აღმოეჩინა, რომ თავადაც ჰყავდა ასეთი, მივიწყებული, მხიარული დროების მოგონებიდან მოსული ლენინგრადელი მეძავი გოგო მაშა მაშკოვა".

თუკი ალღო არ მღალატობს, ეს გოგოც ლიტერატურის უსასრულო და დავიწყებული თაროებიდან უნდა "მოეხსნა" ავტორს, მას, ერთი მხრივ, მეძავთა სახეების უზარმაზარ გალერეასთან მივყავართ (აკასვე "ყარაბაღიდან" დაწყებული - დოსტოევსკით, დე ქუინსითა თუ კატულუსით დამთავრებული), მეორე მხრივ კი, ამ გოგოს გვარ-სახელი იმსახურებს ყურადღებას, რომელიც ძალზე ცხადად მიანიშნებს თანამედროვე პოსტ-საბჭოთა სივრცის Net-გმირზე, მაქსიმ მაშკოვზე (ინტერნეტში ნაძრომიალები ლიტერატურის მოყვარულისთვის ეს სახელი ყველაზე დიდ ქსელურ ბიბლიოთეკას უკავშირდება).

წიგნში გამუდმებით გარბიან, ადამიანებიცა და გველებიც, გარბიან ციხიდან, უცხო და მყრალი გვირაბებიდან, სამშობლოდან, გაურბიან სიცოცხლესა და სიკვდილს, განსაცდელსა თუ სიმყუდროვეს. რომელიმე მაზალო კრიტიკოსმა ისიც შეიძლება თქვას, რომ თუკი "მადათოვი" "დათა თუთაშხიასგანაა" დავალებული - "უდაბნოს გლახები" "გორა მბორგალიდან" უნდა გამოვიყვანოთ და უსასრულო გაქცევა უნდა დავუსახოთო მთავარ თემად. მაგრამ არა, "უდაბნოს გლახებზე" ასე მარტივად ვერ იტყვი. სხვებს რომ თავი დავანებოთ, მარტო სამი პერსონაჟი იკმარებდა ამ თვალსაზრისის გასაქარწყლებლად და წიგნის თხრობით მრავალშრიანობაში დასარწმუნებლად.

ამ სამ პერსონაჟს, პატიმრებს: ზაზას, რაჯასა და პოლკოვნიკს, სამი სხვადასხვა ისტორია უმაგრებთ ზურგს და სამივე სხვადასხვანაირი თხრობით გამოირჩევა. ზაზას ამბავს თავად ავტორი გვიამბობს, პოლკოვნიკი საერთოდ არაფერს ამბობს, განსაცდელში დარჩენილ ცოლს მისტირის და მხოლოდ ორ სიტყვას ამბობს: "სად არის?"

"მოლაპარაკე პოლკოვნიკს მდუმარე პოლკოვნიკი სჯობდა. მდუმარე - გაუტეხელ, ამაყ კაცს ჰგავდა. მოლაპარაკე - ერთ დიდ, ნაპრალიან კედელს, ან შუაზე გაჩეხილ მორს. თითო ამოოხვრაზე ნაპრალი თითო გოჯით ჩაიხეოდა ხოლმე. პოლკოვნიკის ამბავი ყველაზე საშინელი იყო მთელს უდაბნოში, მიწისძვრაზე საშინელიც კი. ვინაიდან მიწისძვრას შეიძლება გადაურჩე, ამ ამბავს კი - ვერაფრით. პოლკოვნიკის ამბავს სხვები ჰყვებოდნენ. თვითონ ერთხელ თქვა და მეორეჯერ რომ ეთქვა, მოკვდებოდა."

არის კიდევ ერთი, ყველაზე ხალისიანი მთხრობელი, რაჯა, ვისი ისტორიაც ყველაზე შთამბეჭდავი გამოუვიდა ავტორს და განსაკუთრებით კი მე-16 თავს ეხება ეს, ერთ-ერთ საუკეთესო და ყველაზე სევდიან ამბავს, რაც კი აკა მორჩილაძეს დაუწერია. თავად რაჯას კი ასე ხატავს ავტორი:

"რაჯას თხრობა უყვარდა. დაისვამდა ხოლმე ვინმეს წინ, წაიტეხავდა იმის პურიდან და ლაპარაკობდა. თხრობა დედის სიკვდილით იწყებოდა და სრულდებოდა მიწისქვეშა ამბებით. შუაში იყო თოთხმეტი გაქცევის ნამცეცები. თხრობისას რაჯა ჩლიფინებდა და ყოველდღე თითო სიტყვა ავიწყდებოდა". ამ აბზაცის მარტო ერთი დეტალი რად ღირს?! ("წაიტეხავდა იმის პურიდან და ლაპარაკობდა")

რით არაა ნამდვილი აედი თუ რაფსოდი ეს ჩვენი რაჯა? ბებერი, გამომხმარი მითოლოგოსი, რომელიც თავისი მოგონილი მიწისქვეშეთის მითიური ხატებით, დიდ, მარადიულ ლიტერატურამდე ამაღლებს "უდაბნოს გლახებს".

წიგნი ლოცვით სრულდება და ფინალში ავტორი იმავე რაჯას ზურგზე გამოსახული ფერხორციანი ანგელოზების იმედად ტოვებს თავის გმირებს. წინასიტყვაობის ავტორს კი ასეთი ფინალის შემდეგ მხოლოდ ერთი აზრი აეკვიატება:

ნეტარ არიან მთხრობელნი...

უკანასკნელი და უშეცდომო პარტია

"არილი" № 2, 31 მარტი

ᲐᲜᲓᲠᲝ ᲑᲣᲐᲩᲘᲫᲔ

საზან დ`არის პიესა "გამოსათხოვარი პარტია" ყურადღებას იქცევს ორიგინალური ხელწერით, მოვლენათა მოულოდნელი განვითარებით, დახვეწილი ეფექტურობით. ორიგინალურია თვითონ პუბლიკაციის ფორმაც. "ეს პიესა ელექტრონული ფოსტით მივიღე – წერს მალხაზ ხარბედია – საზან დ`არი მაუწყებს, რომ უცხოეთში ცხოვრობს, პროფესიით დალაქია და "მოყვარული ლიტერატორი". მისტიფიკაციის გამჭვირვალე აჩრდილი თავისებურ შუქს ჰფენს პუბლიკაციას.

პიესის ავტორს წერილიც გამოუგზავნია. წერილში ნათქვამია, რომ შეიძლება წაკითხვისთანავე ეჭვი გაგიჩნდეთ, ეს ტექსტი თარგმანი ხომ არ არისო. ამგვარი ეჭვი პირადად მე არ გამჩენია, მაგრამ რაღაც ნაცნობის და უკვე წაკითხულის განცდა კი აღმეძრა.

უპირველეს ყოვლისა, ავგუსტ სტრინდბერგი გამახსენდა. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მისი ანტიფემინისტური პათოსი ამ პიესისთვის უცხოა. პიესის მთავარი პერსონაჟი მარია თავისი ინიციატივით, სავსებით სამართლიანად უპირისპირდება მამაკაცებს და ჭკუასაც ასწავლის მათ. ეს მამაკაცები ოსკარი და მარკუსი არიან. მარკუსი მარიას ქმარია, ოსკარი მათი მეზობელი. ყველანი ერთად თამაშობენ ხოლმე საღამოობით ბანქოს. ამასობაში ცხოვრებაც თამაშს ემსგავსება, თამაშის "ობიექტი" მარიაა. მარკუსისთვის, ქმრისთვის მარია ძვირფასი ნადავლივითაა, რომელსაც აკვირდება, გარკვეულწილად გამოცდასაც კი უწყობს. ოსკარს მარიას "დათრევა" სურს, რაც ასევე ნადავლად აქცევს მარიას. და იწყება პაექრობა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბრძოლა ამ ქალისათვის, რომელიც თხემით ტერფამდე თავისუფალი და საზრიანი არსებაა და სრულიადაც არ ჰგავს ნადავლს. ვიდრე მამაკაცები თავიანთ თვალსაზრისებს გამოთქვამენ (ოსკარი – ქალებს ვერ გაუგებ... არც უნდა ეცადო. ამაზე ფიქრი შორს წაგიყვანს./ მარკუსი – და რაღაც საშინელებამდე მიგიყვანს), მარია თავის ბოლო, გამოსათხოვარ პარტიას "აწყობს". საქმე ისაა, რომ მარია, მარკუსი და ოსკარი ერთად თამაშობენ და თამაში ავლენს მათ ხასიათს. მამაკაცები ცხოვრებაშიც მოთამაშეებად რჩებიან, ინტრიგების ქსელს ხლართავენ, და ამ ხლართში მარიას გაბმა სურთ ერთსაც და მეორესაც. მარია კი, თავისუფალი და გულწრფელი ქალი, ამ ადამიანებში სწორედ მოთამაშეობას ვერ იტანს.



ოსკარი მიდის მარკუსთან და ატყობინებს, რომ მისი ბინა გაიყიდა, ერთი საათის წინ სამაკლერო ბიუროდან დაურეკეს, და ის გამოსათხოვარი პარტიის სათამაშოდ არის მოსული. სინამდვილეში კი მარიასთან ერთად გაპარვას აპირებს. გაპარვაზე ყალბი თანხმობა მას მარიამ მისცა. ეს თანხმობა ყალბი იმიტომ იყო, რომ ამავე ამბის შესახებ მარიამ თავიდანვე ამცნო ქმარს. მოკლედ, მარიამ თავისი ბოლო პარტია უშეცდომოდ გაითამაშა. მან წერილიც კი დაუტოვა ოსკარს და მარკუსს: "საღამო მშვიდობისა, მარკუს და ოსკარ. არ ვიცი, ცოცხლები ხართ თუ არა, მაგრამ მაინც მინდა გითხრათ, რომ ორივენი მძულხართ. ეს ძნელი ასახსნელია, მაგრამ გასაგები იქნება. მარკუს, შენ იმიტომ მძულხარ, რომ ჩემი ქმარი ხარ. ოსკარ, შენ იმიტომ, რომ საზიზღრად ცდილობდი ლოგინში შეგეთრიე და არავინ იცის, რა დღეში ჩამაგდებდი, რომ გამოგყოლოდი. იმაზე ნაკლები ნამდვილად არ იქნებოდა, რაც ჩემს ოჯახურ ცხოვრებას მოჰყვა. თქვენს საზიზღარ თამაშში მე ჩემი პარტია მქონდა, რომელიც, როგორც ჩანს, მოვიგე. ოსკარ, ჩვენი მატარებელი თერთმეტის ათ წუთზე გადიოდა მესამე ბაქნიდან. მე ჩავჯდები მატარებელში, რომელიც თერთმეტ საათზე გადის მეექვსე ბაქნიდან. მარკუს, დიდი მადლობა, რომ ბარგი ჩამილაგე. ოსკარ, დიდი მადლობა, რომ სადგურამდე მიმატანინე. სიგარები ჩემი სახსოვარია. აქვე მოგახსენებთ, რომ ეს წერილი იმ ადამიანმა მოგიტანათ, რომელსაც ჩემი გული ეკუთვნის. მის დიდ ნიჭსა და სიმამაცეს თქვენც შეაფასებდით. მგონია, რომ მასთან ერთად ბედნიერი ვიქნები. მშვიდობით"...

ასე მთავრდება ეს წერილი, მაგრამ იქვე ირკვევა, რომ ყველაფერი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. მოსამსახურე გოგონა ბერტას მარია ატყობინებს იმ კაცის სახელს, ვისაც ნამდვილად მიჰყვება. "მე იმას მივყვები, ვისაც თამაში არ უყვარს". ამ კაცის სახელია კარლოსი. ე.ი. ეს არ არის ის კაცი, ვინც მან ოსკარსა და მარკუსს მიუგზავნა. დრამა მთავრდება.

მე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ გადმოვეცი ამ პიესის სიუჟეტი, რომ ლაბირინთივით ჩახლართული ინტრიგა გამემარტივებინა და მკითხველისთვის განმემარტა. სწორედ ეს სიუჟეტური ხვეულები და ზიგზაგები სძენს დრამას მხატვრულ ეფექტს. და ამითივე ჰგავს ეს პიესა სტრინდბერგის ნაწარმოებებს. მხოლოდ, როგორც უკვე ვთქვი, იმ არსებითი ნიშნით განსხვავდება სტრინდბერგისაგან, რომ ეს დრამა ფემინისტურია და არა ანტიფემინისტური. მარია, მართლაც, შესანიშნავი ქალია. ის სამართლიანია და უკომპრომისო, ზნეობრივი და უბოროტო. უბრალოდ, ის იმას მიუზღავს ყველას, რასაც ისინი იმსახურებენ. მისი საქციელიდან მისივე მსოფლმხედველობა გამომდინარეობს: ყველაზე უფრო სათუთი გრძნობებით თამაში არ შეიძლება. ადამიანი არ უნდა იქცეს საშუალებად რაიმე მიზნის მისაღწევად. ადამიანი უნდა გიყვარდეს უანგაროდ. მარიას არ უცდია საკუთარი მსოფლმხედველობისთვის მორალისტური ელფერი მიენიჭებინა, მან, უბრალოდ, ჭკუა ასწავლა მარკუსს და ოსკარს. ისინი კი საკმაოდ რთული პიროვნებები ჩანან და არ შეიძლებოდა, ქალის "სათქმელს" ხეირიანად ვერ მიმხვდარიყვნენ.

ამ დრამის ყველაზე კომიკური მონაკვეთი ისაა, როცა ერთმანეთს ეს ორი მამაკაცი შეეჯახება. აკი ორივე ამტკიცებდა, ქალებს ვერაფერს გაუგებო, საშინელებამდე მიგიყვანენო. არადა, ეს ბრძნული სენტენცია არაფერში არ გამოადგათ. საბოლოოდ ისე აიბნენ, რომ ერთმანეთისაც ვერაფერი გაიგეს. რა თქმა უნდა, ყოველივე მარიას გამოისობით მოხდა, მაგრამ მან საშინელებამდე კი არ მიიყვანა მამაკაცები, არამედ კუთვნილი მიუზღა: "მარკუსი. - ... რა წესია მეზობლის ცოლთან რომანის გაბმა?

ოსკარი – რა სისულელეა... მე ახლავე წავალ და...

მარკუსი – წადი, წადი და მადლობა მითხარი, რომ ჯერჯერობით ცოცხალი ხარ. ცოცხალი კი იმიტომ ხარ, რომ ჩემს ცოლთან დაწოლა ერთხელაც ვერ მოახერხე".

საზან დ`არის პიესის ყველაზე უფრო საინტერესო და გამომსახველობის თვალსაზრისით მიმზიდველი პერსონაჟი, ჩემი აზრით, მარიასთან ერთად მარკუსია. მარკუსის სახეში შეუმჩნევლად ცვლის ეჭვი ეშმაკობას, სიბრძნე დაბნეულობას, სიყვარული წამიერ გულგრილობას. სცენაზე რომ დადგმულიყო ეს პიესა, ნიჭიერი მსახიობი უეჭველად შთამბეჭდავად აამეტყველებდა ამ პერსონაჟს. მარკუსის სახეს სირთულეს ის ანიჭებს, რომ მარიას დაკარგვა მისთვის შეიძლება მართლაც ტრაგედიად იქცეს. მარკუსი მოთამაშეა, ტრაგიკული მოთამაშე.

რაც შეეხება ოსკარს, ეს კაცი უფრო მსუბუქი ფლირტის მოყვარულია. თუმცა, არც იმის დაუნახაობა იქნება სასურველი, რომ ეს თავქარიანი მოთამაშე კარგად შეჰყვა თამაშს და საკმაოდ გაბედული ნაბიჯის გადადგმა გადაწყვიტა. და მაინც, ის უფრო ვნებას აყოლილი კაცია, ვიდრე გულისხმას, უფრო ვნება იწვევს მასში გაბედულებას, ვიდრე გონების და გულის ნაზავი.

ავტორის მიმართ არ შეიძლება არ ითქვას წამახალისებელი სიტყვები. როგორც მისივე წერილიდან ჩანს, მას აინტერესებს სხვათა აზრი ამ ნაწარმოებზე. საქებარი რაც იყო, ვთქვით. სიუჟეტი ოსტატურად არის აგებული და პერსონაჟების ხასიათებიც ექსპრესიულია და ხელშესახები. ნაკლი, ჩემი აზრით, ისაა, რომ ეს პიესა, ერთგვარად, ლიტერატურულია. ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს მთლიანად ეს ნაწარმოები უფრო ლიტერატურული სამყაროდან იყოს გამოხმობილი, ვიდრე უშუალოდ ცხოვრებიდან. XXI საუკუნეში ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი ეს პიესა XIX საუკუნის ადიულტერებს წააგავს, ვინაიდან აქ არ ჩანს კონკრეტული დროის ნიშნები. ერთგვარი უკმარისობის გრძნობა, ამ თვალსაზრისით, ეტყობა ავტორსაც ჰქონდა და ამიტომაც წერდა წერილში მალხაზ ხარბედიას: "ვიცი, წაკითხვისთანავე ეჭვი გაგიჩნდებათ, რომ ეს ტექსტი თარგმანია, მაგრამ გარწმუნებთ, ეს ასე არაა". არა უშავს, გაბედული ნაბიჯი ეჭვსაც უნდა აღძრავდეს.

ᲔᲚᲔᲒᲘᲐ ᲜᲘᲚ ᲙᲔᲡᲘᲓᲘᲡ



ᲐᲚᲔᲜ ᲒᲘᲜᲖᲑᲔᲠᲒᲘ

ნილ
    სულო ჰაეროვანო
      მქროლავ ქარივით კაშკაშავ
        ლურჯო ქალაქის რიჟრაჟივით
ნათელივით ბედნიერო დღის მარწუხებისგან თავისუფალო
ქალაქის ახალ შენობებზე მოფარფატევ.

მაიას გიგანტური ქვები აღიმართება ისევ
                ისტ-ენდის ერთ ნაწილში
რძისფერ სმოგში ელავენ ფანჯრები.
                აღარც გარეგნობაა ახლა საჭირო.

გვერდით ოთახში პიტერს ძინავს, დამწუხრებულს.
შენი სული ისევ აღსდგა? გესმის ჩემი სიტყვები?
ვინმეს რომ შესწევდეს ძალა, უხილავის ხმა ისმინოს,
და მაიას კედლებში შეაღწიოს
        შენ გქონდა ძალა -
        ახლა კი რა ხარ, სულო?
ეს იყო სული შენს სხეულში -

შენი სხეული დაფერფლილა
        სარკინიგზო ლიანდაგზე
        სან მიგელ ალიენდეს უდაბნოში,
        ქალაქგარეთ,
        სული ისევ სულად იქცევა,
ან რობოტად, ფერფლამდე რომ დაამცირეს.

ნაზო სულო, გმადლობ ხელების ნაზი შეხებისათვის,
როცა იყავ ახალგაზრდა და მშვენიერ სხეულში იდექ,
        წმინდა იყოს შეხება შენი იყო იმედი სადღაც მაიას სხეულს მიღმა
რა ხარ ახლა,
        უპიროვნო, მაგრამ ნაზი -
შენ მაჩვენე შენი კუნთები (სითბო) 20 წელზე დიდი ხნის წინ
როცა შენს მკერდზე ვესვენე მთრთოლვარე
        ხელი მომხვიე კისერზე,
ერთად ვიდექით შიშველ ოთახში 103 დ ქუჩაზე,
ვუსმენდით ხის რადიოს თვალდახუჭული
და შაბდას მარადიული სიწითლე
        ალივით ენთო ჩვენს ტვინებში
ილინოის ჯეკეტის საქსოფონის მთრთოლვარე ხმაზე,
ლუის ჯორდანის წინასწარმეტყველურ საყვირზე,
თაფლის ნექტარზე, გაუღე კარი, რიჩარდ,
        ქრისტეს აპოკალიფსს -
შენობებმა სიმყარე დათმეს
აი, ეს არის ნიუ იორკული ხილვა ჩემი
        დასავლეთის საცხოვრებელ კორპუსებს მიღმა,
        სადაც წუხელ ტელეფონი არ ჩერდებოდა
        და უცხო კაცის დენვერულმა ხმამ მკითხა
მეგობრულად, თუ ვიცოდი სიახლეები დასავლეთიდან.

ვიღაცეები საქეიფოდ იკრიბებიან, იუჯინ ორეგონი და ჰოლივუდის
                მოსალოდნელი საფრთხეები.
ცუდს ვგრძნობდი წინასწარ.
"არა," - ვუთხარი - "ერთი კვირაა, აქ არ ვყოფილვარ."
        არ გაგიგია სიახლეები დასავლეთიდან?
        მოკვდა, ნილ კესიდი მოკვდა - "
პიტერის მტრედივით ღუღუნა ხმა: "ოჰ!" მეორე მხარეს ისევ მისმენენ.

შენი სურათი მომჩერებია მხნე, ცრემლიანი, დაძაბული,
                სანთელი იწვის,
საოჯახო ღმერთების მწვანე საკმეველი.
სამხედრო ტირანია იპყრობს უნივერსიტეტებს, შენი წინასწარმეტყველება
        უახლოვდება თავის კეთილ აზრს, ყველას გვამცირებს
        დიდებული წელიწადის გაღვიძებამდე.

კიზი ორეგონში რომანის ენას წერს
                თავისი ოჯახის ფერმაში მარტოა.
მეტი ნუთუ არაფერი გაქვს სათქმელი? სულ დაასრულე შენი საქმე?
შენი პირველი ვაჟი უკვე იხილე?
        რატომ დაგვტოვე აქ ყველანი?
        ბრძოლა ნუთუ უკვე მოიგე?

მე ვარ ფანტომი - ჩონჩხი კბილებით, თავის ქალა
        მისვენია ჩემს ბალიშზე
                ვუხმობ შენს სულს
ღმერთი-ექო-ცნობიერება, ვებუტბუტები
                საკუთარ თავს დამწუხრებული.

რა საჭიროა გლოვა და მოთქმა დილის ბინდ-ბუნდში,
                სამყარო ხომ გათავისუფლდა,
სურვილი ასრულდა, შენი ისტორია დამთავრდა,
                ამბავს მოყვნენ, კარმა აღსრულდა,
                მლოცველებმა დაასრულეს
თავიანთი ხილვა-მანიფესტები და ახალი ცხოვრებაც უკვე დაიწყო,
                სული დაბრუნდა ისევ წრეში,
სამყარო ცარიელი დგას, ავტობუსები ღრიალებენ
                ისევ ქუჩებში -
        ნაგავი უხვად დაუყრიათ ტროტუარებზე -
დიდებულება გამყარებულა, ფანტომ-ნაცნობი ბედისწერა
                დაუბრუნდა ავტო-გარიჟრაჟს,
შენი ბედი კი სარკინიგზო ლიანდაგზე დაეცა მსხვერპლად.

ჩემი სხეული თამამად სუნთქავს,
                მარტო ვწევარ,
                ვცოცხლობ
მას შემდეგ, რაც ხორცის ფორმებს ჩამოუბნელდათ მეგობრობა -
მძიმე ბედნიერება მაწვება გულზე,
                შენთან უსასრულოდ ვილაპარაკებდი,
                დაუღლელი სიამოვნება,
                სულის მიმართვა სულისადმი,
                ო, სულო,
ბატონო სულო, მომიტევე ჩემი ცოდვები,
ბატონო სულო, იქნებ ერთხელ კიდევ მაკურთხო,
ბატონო სულო, მომიტევე ჩემი ფანტომი - ტანის სწრაფვები,
ბატონო სულო, გმადლობ წარსული სიკეთისათვის,
ბატონო სულო, რომელიც ხარ ცათა შინა, რა განასხვავებს შენს მოკვდავ
                ფორმას,
                და უფრო შორს რას გვიჩვენებს დიადი სივრცე?
                სწრაფი ვნებები და შეკითხვათა
                თაობები? ტეხასური ჯირითი ღამით აგონიაში?
                ფსიქოდელური ავტობუსის ჰეჯირა-ჯაზი,
                მწვანე ავტო პოეზიები, შთაგონებული გზები?
        მწუხარებაა, ჯეკი უფრო მეტად ლოუელში ხედავდა ფანტომს -
                ყველაზე მარტოს, შენს კეთილ არსზე მეტს არას ვიტყვი.
ბატონო სულო, მარტო მივყვები აწი დინებას:
                მხოლოდ ღრმად ვოხრავ.

ინგლისურიდან თარგმნა
ᲓᲐᲗᲝ ᲒᲐᲒᲣᲜᲘᲐᲛ



ასი

გელა ჩქვანავა

ამერიკელები ყველაფრისგან შოუს აკეთებენ. უყვართ შოუ და სხვანაირად ვერც წარმოუდგენიათ ცხოვრება. იქნებ მართლებიც არიან. ეს ცხოვრება შოუა - პური და სანახაობა, როგორც იტყვიან.

ჯარში (საბჭოთაში, სამხედრო-სავალდებულოში) რომ ვმსახურობდი, ერთი ბიჭი მოიყვანეს, ვიტალი - ვიტიოკს ვეძახოდით. ოთხი წელი სამხედრო საფრენოსნო სასწავლებელში ესწავლა. „МИГ"-რომელიღაცის (მგონი „МИГ-29"-ის) პილოტი უნდა გამხდარიყო. დაამთავრა სასწავლებელი, ჩააბარა ყველა გამოცდა, სულ ბოლო გამოცდაც - უშუალოდ საფრენოსნო ოსტატობის დემონსტრირებას რომ გულისხმობდა, ხუთიანზე მოილია - უნაკლოდ შევასრულე ყველა ვირაჟი (მე გრაციოზულ სახელს - „პირუეტს“ ვეძახდი), თუ მარყუჟი (მკვდარიც და ყველანაირი ცოცხალი) და დავაგიჟე გამომცდელებიო, ამბობდა. ჰოდა, ამ ამბის დასველება გადუწყვეტიათ კურსანტებს, თანაც იმავე საღამოს. უშოვიათ არაყი, გამომტყვრალან და აუტეხავთ დებოში, უცემიათ მორიგე ოფიცერი. სწორედ დიპლომის აღების წინა დღეს გაურიცხავთ სასწავლებლიდან (მკაცრი დისციპლინა სუფევდა მაშინ ჯარში, ახლანდელივით კი არ იყო, ავტომატის სამი მჭიდის დაცლაში კაპიტნობას რომ იძლევიან, ხოლო თუ შენი ხელმძღვანელობით სამმა კაცმა დაცალა მჭიდი რომელიმე პოზიციურ ბრძოლაში და ჩათვალეს, რომ ამ დროს რაღაც ტაქტიკური ჩანაფიქრი გქონდა, შეიძლება გენერლობასაც გამოკრა ხელი) და წელიწადნახევრით სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოსახდელად გაუმწესებიათ.

ასე (უფრო სწორად კი ბედის მწარე ირონიით) მოხვდა ვიტია იმ სამხედრო-საჰაერო თავდაცვის სარაკეტო ნაწილში, რომელშიც მე ვმსახურობდი. სულ თვითმფრინავებზე ლაპარაკობდა. დავსხდებოდით ბიჭები და ქალებზე ვსაუბრობდით, ის კიდევ ისეთივე აზარტით თავის „მიგზე” ლაქლაქებდა, დაწვრილებით ყვებოდა, რომელ ღილაკზე როდის უნდა დაგეჭირა და ამის შემდეგ რომელი ნათურა უნდა ანთებულიყო ხელსაწყოების დაფაზე. თვითმფრინავის ფოტოსურათს ჯიბით დაატარებდა. სხვები (რუსები უმთავრესად) საცოლეების ფოტოსურათებს დაატარებდნენ ჯიბით, ის კი „მიგის“ ფოტოსურათს. „მიგი“ კარგად ჩანდა იმ ფოტოსურათზე, თვითმფრინავის წაწვეტებულ ცხვირსქვემოთ კი თვითონ ვიტია იდგა (დაახლოებით ისეთი პოზიორული სიამაყით, როგორითაც ქართველები იღებდნენ ფოტოსურათებს შავი „ГАЗ-24“-ის ფონზე). საფრენოსნო გასვლის შემდეგ გადაღებული ფოტოსურათი იყო.

მე და ვიტია „РПЦ“-შნიკები ვიყავით (Радиолокатор подсвета цели), მე „Оператор наведения“, - „Оператор захвата“. ვისაც „С 200“ ან „С 300“ კომპლექსში უმსახურია (ეს ის კომპლექსია, „სკადებს“ რომ უწოდებენ და ჰუსეინს ჩუქნიან ახლა რუსები), იცის რასაც ნიშნავს ეს. მე თვითმფრინავების აღმოჩენა მევალებოდა, ვიტიას აღმოჩენილის დაფიქსირება და მასზე ლოკატორის მიდევნება (რუსტი რომ გადმოფრინდა, მათიასი ერქვა, თუ არ ვცდები, და წითელ მოედანზე დასკუპდა მშვიდობის მტრედივით, ის დრო იყო სწორედ). გაგიჟებას იყო ვიტია, ეს რა იოლი რამე ყოფილა თვითმფრინავის ჩამოგდებაო (საზენიტო რაკეტა, მას შემდეგ, რაც ოთხასი მეტრით მიუახლოვდებოდა თვითმფრინავს, ავტომატურ რეჟიმში იწყებდა მუშაობას - შვიდგანყოფილებიანი კორპუსის წინა ნაწილში მინი რადიოსადგური ჰქონდა ჩამონტაჟებული თავისი „РПЦ“-თი და სხვა ყველაფრით, რაც თვითმფრინავის დევნისთვისაა საჭირო). ერთი პერიოდი გულიც კი აიყარა თითქოს თვითმფრინავებზე (სასწავლო პოლიგონზეც ვიყავით ყაზახეთში, ბალხაშის ტბასთან. ჩვენი თვალით ვნახეთ, როგორ ადვილად ანადგურებდა რაკეტა თვითმფრინავს - თვითმფრინავი რა თქმა უნდა ძველი იყო და უპილოტოდ იმართებოდა მიწიდან, მაგრამ მაინც.).

ვიტიას იმიტომ დავუახლოვდი, რომ რაღაცნაირად სოხუმურ ხასიათის ელემენტებს ვიჭერდი მასში - ბავშვობა ოდესაში გაეტარებინა. ოდესელები და სოხუმელები რაღაცით გვანან ერთმანეთს.

რუსტის გადმოფრენის შემდეგ არსებული ბიუროკრატიული სისტემა გაამარტივეს და ყველა პოლკის მეთაურს უფლება მისცეს, დამოუკიდებლად ჩამოეგდო თვითმფრინავი, თუკი ეს უკანასკნელი უცხო ქვეყნის აღმოჩნდებოდა. მანამდის კი თვითმფრინავის ჩამოგდებაზე ბრძანების გაცემის უფლება მხოლოდ თავდაცვის მინისტრს ჰქონდა. ამიტომაც ჩამოფრინდა ის მათიასი დაუსჯელად - სანამ სოკოლოვი (მაშინდელი მინისტრი) მოძებნეს და გააგებინეს რა ხდებოდა (ამბობდნენ მთვრალი იყოო), რუსტი უკვე წითელ მოედანზე იჯდა და მტრედებს საკენკს უყრიდა. მოხსნეს სოკოლოვი და დანიშნეს იაზოვი. ახალი მინისტრის გვარი და ინიციალები აბრევიატურასავით გაშიფრეს ჯარისკაცებმა - Язов Д.Т. - я заставлю офицеров вспотеть - даже тыловиков. არც შემცდარან ჯარისკაცები, დაიწყო დაუსრულებელი საბრძოლო განგაშები. კიდევ ერთი ლაწირაკი იქადნებოდა, რუსტის მარშრუტი უნდა გავიმეოროო. ააფრენდნენ ამერიკელები სკანდინავიის ქვეყნებიდან (სამივე ქვეყანაში ჰქონდათ საავიაციო ბაზები. „SR-71“, „SR-72“, „F-16“, „F18“, „B-52“ და „AVAKS“-ით დაკომპლექტებული, რამდენადაც მახსოვს) სტრატეგიულ გამანადგურებლებს, შემოაფრენდნენ ნეიტრალურ წყლებში და იწყებდნენ ისინიც წაღმა-უკუღმა ფრენა-გასეირნებას. ამუშავდებოდა მთელი საჰაერო თავდაცვა, თავისი „РПЦ“-ეებით და ყველა ლოკატორითა და რადარით. ამ დროს ელექტრომაგნიტური გამოსხივების წყაროებს ყოჩაღად აფიქსირებდნენ ამერიკული კოსმოსური ხომალდები კოსმოსიდან და იყვნენ საბჭოთა კავშირის საჰაერო თავდაცვის ნაწილების განლაგების აღმოჩენა-დადგენაში. ეს რუსებმაც იცოდნენ და იგივე ოინ-მახეს უწყობდნენ ამერიკელებს - ჭადრაკს ეთამაშებოდნენ თითქოს ერთმანეთს, ჩვენ კი - ფიგურები, გავრბოდით და გამოვრბოდით ყაზარმებიდან პოზიციებისაკენ, ოთხი კილომეტრი მანძილი იყო. ვიტია წინ მირბოდა (სასწავლებელში გატარებული ოთხი წლის მანძილზე ერთხელაც არ გამიცდენია დილის კროსიო, ამბობდა), მე უკან მივჩანჩალებდი და ვაგინებდი განურჩევლად ყველას და ყველაფერს, ქვეყანასაც - ორივეს ერთად, თვითმფრინავსაც, პილოტსაც და საერთოდ ყველაფერს.

ახლა, კომპიუტერულ თამაშებზე არიან ბავშვები გაგიჟებული. კომპიუტერული თამაშივით იყო ვიტიასთვის „РПЦ“-ს ოპერატორობა, მანიაკად იყო ქცეული. დასდევდა თვითმფრინავებს და სულ იმას იმეორებდა, რა იოლი ჩამოსაგდები ყოფილან ეს ოხრებიო (ბალხაშთან მოწყობილი სწავლებისას რომ ჩამოვაგდეთ ერთი ნამდვილი თვითმფრინავი პირადად ჩვენ, უკვე მოგახსენეთ.). თვითმფრინავები ათასნაირ „Помеха“ -ს გამოუშვებდნენ ხოლმე - რადიოაქტიურს, ტურბინული ეფექტისას, მექანიკურს (წვრილად დაჭრილ მილიონობით ვერცხლის ქაღალდებს გადმოუშვებდნენ, რადარებისა და ლოკატორების ელექტრომაგნიტურ გამოსხივებას ისინი ირეკლავდნენ სატყუარასავით, ამასობაში მფრინავი კურსს იცვლიდა და მიმალვას ახერხებდა) და სხვას. ყველაზე მურტალი მექანიკური იყო, მთლიანად გადაფარავდა ხოლმე ოპერატორის რადარის ეკრანს და თვითმფრინავი არც ჩანდა. ოპერატორს დიდი გამოცდილება და ინტუიციაც კი სჭირდებოდა ამ დროს, თვითმფრინავი ხელიდან რომ არ დაძრომოდა. მთელ პოლკში ნომერ პირველ დუეტად ვითვლებოდით მე და ვიტია. ერთხელაც არ გაპარვია თვითმფრინავი ვიტიას. ვიცნობ მე მფრინავთა ფსიქიკას და ვერ მატყუებენო, ამბობდა. მართალიც იყო. შვებულებაც მოგვცეს. ვიჩალიჩეთ, რომ ორივესთვის ერთად მოეცათ. უნდა წამომყვე არმავირშიო, დაიჟინა ვიტიამ - არმავირელი იყო. დავთანხდი მეც. ოღონდო, გამაფრთხილა, ჩემმა მეზობლებმა არც იციან, სასწავლებლიდან რომ გამომაპანღურეს და უნდა ვთქვა, რომ მფრინავი ვარო. მე როგორ წარმადგენ-მეთქი, ვკითხე. იფიქრა, იფიქრა და „Замполит“-ი იქნებიო, განმიცხადა (Заместитель командира по политическои части). ჩავედით არმავირში. ისე კარგად გვეცვა, ჩვენი თავი ჩვენვე მოგვწონდა.

რამდენიმე ბოთლ არაყად ლენინგრადში, მშრალი კანონით გაწამებული ფინელებისაგან ისეთ რაღაცეებს შეიძენდი, სხვაგან არ ვიცი და სოხუმში ოთხას- ექვსას მანეთად გაყიდდი (თუ გაყიდვას მოინდომებდი რა თქმა უნდა). აქვე ვიტყვი ბარემ, რომ ფინელები რუსებზე ნაკლებად არ თვრებოდნენ. თვითმფრინავში ასვლისას საზღვარზე გადასაპარებელ არაყს თუ უპოვნიდნენ მებაჟეები, პირდაპირ მებაჟეების თვალწინ გახსნიდნენ ბოთლს, ჩაიპირქვავებდნენ სულმოუთქმელად და მერე ერთმანეთს მიათრევდნენ თვითმფრინავისაკენ. სტომაქით არაყის გადატანა არ იკრძალებოდა.

მიუხედავად ჩემი ნორჩი ასაკისა, არავის შეპარვია ეჭვი, რომ „ზამპოლიტი“ არ ვიყავი. ისეთი პატივისცემით მეპყრობოდნენ, რომ მეტი არ შეიძლება. შევთვრებოდი ცოტას თუ არა, ამერიკულ ავიაციაზე ჭიკჭიკს ვიწყებდი. სკანდინავიის ქვეყნების ბაზებზე არსებული ყველა ამერიკული სამხედრო თვითმფრინავის ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემების სრული აღწერა იყო მოცემული საოპერატორო სამუშაო ადგილის ზევით დაკიდებულ ტაბულაზე და ოპერატორს ის ზეპირად უნდა სცოდნოდა. ისიც კი ვიცოდი, რომელი ქვეყნის რომელ ბაზაზე რა სახეობის და რამდენი თვითმფრინავი იყო დისლოცირებული. პლანშეტ-რადარზეც ბაზების მდებარეობის ადგილები ფლომასტერით მქონდა შემოხაზული და მათი კოორდინატები, სოხუმის ქუჩებივით, თვალდახუჭულადაც შემეძლო აღმენიშნა რუქაზე. იმდენს ვქაქანებდი, რომ ვიტიას თავის საყვარელ „მიგებზე“ სალაპარაკო დრო არ რჩებოდა. ჩვენებურ თვითმფრინავებზეც გვითხარი რამეო თუ გვთხოვდნენ, როგორც კი ვიტია პირს დააღებდა

და რამის თქმას დააპირებდა, მაშინვე ვიტყოდი, ეს სამხედრო საიდუმლეობაა (იყო კიდეც) და მაგის გათქმის უფლება არავის აქვს-მეთქი. მერე ვიტიას თვალებს გადავუბრიალებდი, როგორც ნამდვილი „ზამპოლიტი“. ვსვამდი და ვქაქანებდი. ისეთ კარგ ტოლმას რუსული „Голубцы“) აკეთებდა ვიტიას დედა, თითებს ჩაიკვნეტდი. გამოვტყვრებოდით მე და ვიტია და დავიწყებდით ღმუილს, მე ჩვენი დივიზიონის სამწყობრო სიმღერას ვმღეროდი „Мы ракетчики, мы зенитчики“ - ის, ვიტია თავის „Первым делом, первым делом самолёты, но а девушки... а девушки потом“ - ს. გაგიჟებას იყვნენ მასპინძლები, შენც თვითმფრინავებზე რატომ არ მღერიხარო „ზამპოლიტო“. კონსპირაციისათვის ასეა საჭირო-მეთქი ვუპასუხებდი. გეოგრაფიის მასწავლებელი გამოეჩხირა ერთი. მაშინ „ზამპოლიტებს“ საკუთარი ხუთი თითივით უნდა სცოდნოდათ მსოფლიო პოლიტიკური რუქა. კი არ მამოწმებდა, უბრალოდ, ქვეყნებზე მესაუბრებოდა. მე კიდევ მსოფლიო რუქისაგან, გინდა პოლიტიკურთან და გინდა წმინდა ფიზიკურ-გეოგრაფიულთან მწყრალად ვიყავი (როგორც ახლა ვარ ისე). სკანდინავიის ქვეყნები კი მქონდა გადაღეჭილი, მთვრალი ფინელებისთვისაც დამიტყაპუნებია ბეჭებზე ხელი, როცა, მაშინ უკვე ტალონებით საშოვნ 2,25 ლიტრ ტევადობის „Пшеничное“-ს საფასურად მოდურ ტანსაცმელს ვძალავდი ნაზი ღიმილით სახეზე, მაგრამ სკანდინავიის იქით რა ხდებოდა, ჩემთვის მთლად გაუვალი არა, მაგრამ საკმაოდ ნისლოვანი ტუნდრა მაინც იყო. კი ვიცოდი, რომ არჩანდა ფუნიკულიორის მაგვარი მთაა ბასკეთში, კერძოდ სან-სებასტიანში (ჩემი ბიძაშვილი ბასკეთში ნამყოფი ესპანოლოგია და იმან მითხრა), დამალულს (ნისლში ეხვევა ხშირად და არ ჩანსო) რომ ნიშნავს და არჩანდა ქართულადაც ისევე ითარგმნება, როგორც ბასკურად. ჰოდა, დავიწყე თავის მოწონება და ტრაბახი, ქართველები და ბასკები სისხლით ნათესავები ვართ-მეთქი. ესპანეთს გარდა საფრანგეთშიც ბასკეთის პროვინცია ერთი კი არა, ზედიზედ სამი რომ ყოფილა ეს არ ვიცოდი, სამაგიეროდ იმ გეოგრაფს ცოდნია. მეორე დილითვე მკითხა (დიმიტრი ერქვა, მე ამერიგოს ვეძახდი ვესტპუგაჩის საპატივცემლოდ), რატომ მოიკოჭლებ ევროპაშიო. კონსპირაციის მიზნით-მეთქი, ჩემსაზე დავდექი მე. შენ რა იცი ევროპაში რა ხდება, მსოფლიო ტერიტორიული გადანაწილების პროცესების აზრზე არა ხარ, რომლის მიხედვითაც ბასკეთის სწორედ რომ ერთი პროვინცია რჩება-მეთქი საფრანგეთს. ჰოდა, მას შემდეგ შემრჩა ეს მეტსახელი - “არჩანდა“, ჩემს ნამდვილ გვარს გავდა რაღაცით და იმიტომაც, ალბათ. სამაგიეროდ, სოხუმში რომ ჩავედით მე და ვიტია, მე ჩემი მეზობლებისთვის კაფე „Ледник“-ის ერთ-ერთ, რიგით „ბირჟავიკად“ ვიქეცი ისევ, ვიტიას ფასმა კი აიწია, იმდენი იქაქანა „მიგებზე“, მთელი ერთი წელი რომ არ ექაქანა ჯარში. მას მერე დარჩა ჩვენს ქუჩაზე გაგარინისეული გამოთქმა-ანდაზა - „Если очень захотеть, можно в космос полететь!“

ამერიკული უჩინარი თვითმფრინავები რომ არის, ახალი შექმნილი ჰქონდათ მაშინ და ისე იწონებდნენ თავს, თითქოს ხელმეორედ აღმოეჩინოთ თავიანთი ამერიკა. ვიტიამ იმ თვითმფრინავებსაც „არჩანდა“ შეარქვა და ნატრობდა მანახა როგორიაო.

შვებულებიდან ჩამოსვლის შემდეგ ვიტიამ ისევ მფრინავობაზე დაიწყო ფიქრი და დარდი. თხოვნის წერილებს სწერდა იაზოვს, ოღონდ აღმადგინეთ სასწავლებელში და პირველ კურსზე დამსვით თუ გინდათო. პირველ კურსზე ვერ დაჯდები, ახლაა ასე რომ ჭიკჭიკებ, თორემ, იქ რომ მიხვალ და აღმოაჩენ, თანაკურსანტელებზე ოთხი-ხუთი წლით ხარ უფროსი, შენით წამოხვალ სასწავლებლიდან-მეთქი, ვეუბნებოდი. არ წამოსულა. იაზოვმა მისი თხოვნა შეიწყალა, ოთხი თვით ადრე გაანთავისუფლა სავალდებულო სამსახურიდან და იმავე სასწავლებლის პირველ კურსზე დასვა, რომლიდანაც გამოაპანღურეს.

ხუმრობით ვეუბნებოდი, იქნებ ღმერთმა იმიტომ განახა რა ადვილი ჩამოსაყრელია თვითმფრინავები, რომ შენ ისევ ცაში არ იფრინო პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით და მიწაზე დაშვება გიბრძანა-მეთქი. ვიტიოკი ამაზე ბრაზდებოდა, მიყვარს თვითმფრინავები, არავითარ ოცნებათა მარყუჟში თავს არ ვყოფ და არც მიწაზე დანარცხების მეშინია, გინდა პირდაპირი მნიშვნელობით და გინდა გადატანითითო მითხრა. შენ რა იცი ჰაერში ადრენალინის გემო რა არისო. მფრინავები ომის დროს საჰაერო ბრძოლებისას ორგაზმის მაგვარ რაღაცას განიცდიანო. „Я не гагара, чтобы по земле ползать и даже не пингвин чтобы во фраке ходить - я вольный буревестник“ - ამბობდა (გახსოვთ, ალბათ, მაქსიმ გორკის „ქარიშხალა“ და „Раждённый ползать летать не сумеет!“. ვიტია „გაგარას“ მეძახდა, მე კი საპასუხოდ საკალამბურო ეფექტიანი, პირველი კოსმონავტის გვარი შევურჩიე მეტსახელად - „გაგარინი“). ვიტიოკის სასწავლებელში გამგზავრების წინა დღეს არაყიც ვიშოვეთ, მაგრამ ბევრი არ დაგვილევია, ისევ არ წაგვიჭირონ, დისციპლინარულ ბატალიონს ვინ ჩივის, მგლის ბილეთი არ მოგაკერონ მეორეჯერ და საბოლოოდ-მეთქი, ვუთხარი. თვითმფრინავთან გადაღებული ფოტოსურათი დამიტოვა სახსოვრად. მე ლექსი შევთხზე იმ საღამოს და ერთად გადაღებულ სურათზე წავუწერე:

БУРЕВЕСТНИКУ
(от гагара)
Витя наш, ты - Витёк,
гагарский срок твой истёк...
Но, когда сядешь в самолёт,
выпархивая виражей виток
не забуд и об РПЦ милок –
он всегда трезвее чем пилот! , თუ

რაღაც ამდაგვარი.

წავიდა ვიტიოკი. წერილი რომ მივწერე, ბოლოს წავაწერე „Как с оргазмом, Гагарин?!“. „С оргазмом всё грандиозно, грациозно и организованно —лучшая сторона жизни ‘то здесь - в небе, в ‘фирном оргазме, Арчанда!“ მიპასუხა ვიტიოკმა. ჩვენი მიმოწერა თითო წერილით ამოიწურა.

ჯარს შემდეგ, ომამდის ცოტა ხნით ადრე ვიტიოკის გეოგრაფი მეზობელი ვნახე, ამერიგო. „ტავარიშ ზამპალიტო“ იძახის ვიღაცა, „არჩანდაო“ რომ მიაყოლა მივიხედე და დიმიტრი შემრჩა ხელთ. მთელი ორი დღე ვილოთავეთ მე და ამერიგომ. ამ ხნის მანძილზე მისმა მეტსახელმა ჩემს ხელში ტრანსფორმაცია განიცადა და უკვე ამიგოს ვეძახოდი. სამხედრო სამსახურს თავი გავანებე-მეთქი ვუთხარი. არ გავუმხილე რომ არასოდეს ვყოფილვარ „ზამპოლიტი“, ვიტიას არ ეწყინოს-მეთქი, ვიფიქრე. ვიტია შორეულ აღმოსავლეთში მსახურობს, შვებულებით იშვითად ჩამოდისო მითხრა. გადაეცი, რომ აუცილებლად მომწეროს-მეთქი. გადავცემო, დამპირდა.

მერე ომიც დაიწყო. „სუ-25“-ის დანახვაზე სულ ვიტია მახსენდებოდა. ვიტია, „რპც“ და ჩვენი „ინტელიგენტობა“ - „სტარტავიკები“, ვინც უშუალოდ საზენიტო სარაკეტო პოლიგონს ემსახურებოდნენ და ღია ცის ქვეშ ეყარნენ, ჩვენ, რადიოტექნიკური განყოფილების მომსახურე პერსონალს ინტელიგენტებს გვიწოდებდნენ... იქნებ ვიტია „მიგის“ პილოტობიდან „სუზე“ გადაკვალიფიცირდა და ახლა სოხუმს ბომბავდეს-მეთქი გავიფიქრებდი ზოგჯერ, მაგრამ ვიცოდი, რომ ვიტია ამას არ იზამდა, რაკი სოხუმში მე ვეგულებოდი, არაფრით არ იზამდა ამას. ვინც იცოდა, რომ მე საჰაერო თავდაცვის ნაწილში ვიყავი ნამსახურევი, მეკითხებოდა, მართლა ასე ძნელია ჩვენი დამბომბავი თვითმფრინავების ჩამოგდება, როგორც ამას მთავრობა გვეუბნებაო. ძნელი არ არის, მაგრამ ძვირი ჯდება-მეთქი ვპასუხობდი. მეზარებოდა საჰაერო თავდაცვის ტექნიკურ მაჩვენებლებზე და მახასიათებლებზე რამის მოყოლა და ისევ ვიტია მახსენდებოდა, გატაცებით რომ ყვებოდა თავის თვითმფრინავზე.

ჰოდა, ერაყის ომი რომ დაიწყო, პირდაპირ ეთერში აჩვენეს, როგორ ბომბავდნენ ბაღდადს (ავღანეთის დაბომბვისა არ იყოს. მერე ისიც უჩვენეს, როგორ ეძებდნენ ტიგროსში ბაღდადში კატაპულტირებულ კოალიციური ძალების პილოტებს). გაგიჟდამეთქი ეს ხალხი, გავიფიქრე. იქნებ ტოტალიზატორის მსგავსი რაღაც მოაწყონ მალე, რამდენ რაკეტას და საიდან გაუშვებენ, რამდენი ჯარისკაცი, და მშვიდობიანი მოსახლეობა დაიღუპება იმ დღეს, იმაზე ჩამოვლენ ფსონებს-მეთქი. ალბათ, მალე ასეც იქნება. ჰოდა, ის მფრინავებიც შეიძლება ორგაზმის მაგვარ რაღაცას განიცდიდნენ დაბომბვისას და თავს ვიტიას გამონათქვამით იმართლებდნენ: „Рождённый летать, ползать не сумеет!“. ვიტიასავით რომანტიკოსები არ იქნებიან, ალბათ. ვიტია ამბობდა, მშვიდობიან მოსახლეობას არასოდეს დავბომბავო... თუმცა, რა იცი, ორგაზმის განცდა რას არ გაიძულებს კაცს. ორგაზმისთვის ციხეში ჯდება ხალხი გაუპატიურების მუხლით.

რა ვიცი, ეს ქვეყანა არც ისე დიდია და ვიტიასაც შეხვდე იქნებ სადმე. ვიტია უკვე ის იქნება, რაზეც ოცნებობდა „АСС с большой буквои“ („Ас“-ო კი არ ამბობდა, „АСС“-ს იტყოდა ხოლმე).

მე აუცილებლად ვკითხავ, „Ну, как с оргазмом, Гагарин?“-მეთქი.

არა მგონია ისე ყოჩაღად მიპასუხოს „Грандиозно, грациозно и организованно!“-ო, როგორც მაშინ, წერილში, რადგან ომიც ექნება ნანახი, ალბათ... თუმცა, თვითმფრინავიდან იმათი სახეები, ვისაც ბომბავ, არ ჩანს!

შეიძლება არც შევხვდე, მაგრამ თუ შევხვდი, არც ვიცი მე ჩემი ცხოვრების რომელ ფუნიკულიორზე ვიქნები ასული (ალბათ, არც ერთზე. ის კი არადა, შეიძლება სოხუმშიც არ ვიყო დაბრუნებული, რომლის ფუნიკულიორი ყველა ქვეყნის ფუნიკულიორს ჯობია ამქვეყნად) და რისი „Самый, самый АСС!“-ი ვიქნები... ისე კი თვითონ ვიტია „АСС“-ს თავისებურად შიფრავდა: „Автономное самообслуживание самолётами“ - მკითხველიც მიხვდება რას გულისხმობდა ვიტია თვითმომსახურებაში, თუ იმას გაითვალისწინებს, რაგვარ გრძნობებს განიცდიან მფრინავები იქ, ჰაერში რისკის დროს. იქნებ მეც ვახსენდები, როცა თეთრმწვერვალიან მთებს გადაუფრენს და ახსენდება ჩემი ლექს-დარიგება იმის შესახებ, რომ ამქვეყნად თვითმფრინავების გარდა „რპც“–ეებიც არსებობენ. იქნებ არც იყოს ცოცხალი, იქნებ ჩამოაგდეს რომელიმე ბრძოლაში შუა ორგაზმის დროს. იქნებ ისიც ფიქრობს ჩემზე, სოხუმში მოკლესო...

ეტყობა, ეს ცხოვრება მართლა შოუა, თანაც ორმაგი, ცასა და მიწას შორის გამოკიდებული, დაახლოებით ისეთი, როგორიც ვიტიამ ნახა ცაშიც და მიწაზეც - „МИГ" —ის შტურვალთან და „რპც“-ს რადართან.

რას მოვაყოლე ეს ამბავი... თავიდანვე მინდოდა მეთქვა, რომ ძალიან არ მინდა ვინმეს ორგაზმის ობიექტი გავხდე, ქალის გარდა რა თქმა უნდა...



თავისუფლების კულტურა



მარიო ვარგას ლიოსა

გლობალიზაციის ყველაზე ეფექტური კრიტიკა, როგორც წესი, ეკონომიკასთან კი არ არის ხოლმე დაკავშირებული, არამედ ამ მოვლენის სოციალურ, ეთიკურ და, უპირატესად, კულტურულ ასპექტებთან. სწორედ ასეთი ხასიათის არგუმენტები დომინირებდა 1999 წელს სიეტლის უწესრიგობებისას, შემდეგ კი დავოსში, ბანგკოკსა და პრაღაში.

ამ არგუმენტაციის მხარდამჭერნი ამბობენ, რომ ნაციონალური საზღვრების გაქრობა და ბაზრებით გაერთიანებული სამყაროს შექმნა მომაკვდინებელ დარტყმას მიაყენებს რეგიონულ და ეროვნულ კულტურებს, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, მითებს და ყველაფერ იმას, რაც ნებისმიერი ქვეყნის ან რეგიონის კულტურულ იდენტურობას განსაზღვრავს. მსოფლიოს უმეტეს ნაწილს ძალა არ შესწევს წინააღმდეგობა გაუწიოს განვითარებული სახელმწიფოების (უწინარეს ყოვლისა კი ზესახელმწიფოს - ამერიკის შეერთებული შტატების) კულტურულ ექსპანსიას, რაც აუცილებელი თანმდევია უზარმაზარი ტრანსნაციონალური კომპანიების ექსპანსიისა. ამიტომ ადრე თუ გვიან მთელს მსოფლიოს იძულებით მოახვევენ თავს ჩრდილოამერიკულ კულტურას, რაც გამოიწვევს სამყაროს სტანდარტიზაციას და კულტურულ თავისებურებათა მდიდარი ფლორის განადგურებას. ამგვარად, ყველა სხვა ერი (და აქ მხოლოდ მცირე და სუსტი ერები არ იგულისხმება), დაკარგავს თავის იდენტურობას, საკუთარ სულს და იქცევა XXI საუკუნის კოლონიად - იმპერიალიზმის კულტურული შაბლონების მიხედვით მოდელირებულ ზომბად ან კარიკატურად. კაპიტალზე, სამხედრო ძლევამოსილებასა და სამეცნიერო ცოდნაზე დაყრდნობით მთელ პლანეტაზე გაბატონებული იმპერიალიზმი თავის ძალაუფლებას იმითაც განავრცობს, რომ სხვა ქვეყნებს თავს მოახვევს საკუთარ ენასა და სააზროვნო სისტემას, თავის შეხედულებებს, თავის გასართობებსა და თავის ოცნებებს.

ეს კოშმარი, ეს ნეგატიური ანტიუტოპია სამყაროსი, გლობალიზაციის შედეგად თავის ლინგვისტურ და კულტურულ იდენტურობას რომ კარგავს და შეერთებული შტატების კულტურული დანამატი ხდება, უბრალოდ, მარქსის, მაოსა და ჩე გევარას იდეოლოგიას მონატრებული ულტრამემარცხენე პოლიტიკოსების შეთითხნილი არ გეგონოთ. ჩრდილოეთ ამერიკელი გიგანტის მიმართ რევანშისტული მძულვარებით ნასაზრდოები მსგავსი პარანოიკული ბოდვა განვითარებულ ქვეყნებსა და მაღალკულტურულ ერებშიც გაისმის და მას ყველა ჯურისა და მიმართულების პოლიტიკოსები ახმიანებენ - მემარცხენეებიც, მემარჯვენეებიც, ცენტრისტებიც.

ყველაზე უფრო თვალშისაცემია საფრანგეთის ხშირი სამთავრობო კამპანიები ფრანგული „კულტურული იდენტურობის“ დასაცავად, რომელსაც ვითომდა საფრთხეს უქმნის გლობალიზაცია. ბევრზე ბევრი ინტელექტუალი და პოლიტიკოსი გამოთქვამს შეშფოთებას, რომ, გამორიცხული არ არის, მონტენის, დეკარტეს, რასინისა და ბოდლერის სამშობლოს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში გვევლინებოდა უზენაეს ავტორიტეტად კულინარიასა და მოდაში, ხელოვნებისა და აზროვნების მრავალ დარგში, საერთოდ - ადამიანის სულიერი აქტიურობის ყველა სფეროში, დაეპატრონოს „მაკ-დონალდსისა“ და „პიტა ჰატის“ სასაუზმეები, როკი და რეპი, ჰოლივუდური ფილმები და ბლუ-ჯინსი.

ასეთი შიშის შედეგია, მაგალითად, საფრანგეთის მთავრობის მიერ ნაციონალური კინოინდუსტრიისთვის გამოყოფილი დიდი სუბსიდიები, აგრეთვე მოთხოვნა - დაწესდეს ქვოტა, რომელიც ამერიკული ფილმების ექსპორტს შეზღუდავდა და ფრანგულ კინონაწარმოებთა გარკვეული რაოდენობის დემონსტრირებას უზრუნველყოფდა. ამავე შიშმა მიაღებინა მუნიციპალიტეტებს ქუჩის რეკლამასთან დაკავშირებული მკაცრი დადგენილებები, რომლებიც დიდი ჯარიმით ემუქრება მოლიერის ენის ინგლისური ბარბარიზმებით დამბინძურებლებს (თუმცა, პარიზის ქუჩებში გავლა დაგვარწმუნებს, რომ ასეთ დადგენილებებს დიდი არაფერი შედეგი მოაქვს). ამავე შიშმა ლამის ეროვნულ გმირად აქცია ჟოზე ბოვე - ფერმერი, რომელმაც შეაჩვენა la malbouffe (საზიზღარი საკვები) და ჯვაროსნული ომი წამოიწყო მის წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს „კულტუროლოგიური“ არგუმენტი მცდარად და მიუღებლად მიმაჩნია, იძულებული ვარ ვაღიარო - იგი სრულიად უეჭველ სიმართლესაც შეიცავს. სამყარო, რომელშიც XXI საუკუნეში მოგველის ცხოვრება ნაკლებ მრავალფეროვანი, ადგილობრივი კოლორიტის ელფერებით გაცილებით ნაკლებად შეფერადებული იქნება იმასთან შედარებით, რაც წარსულში დარჩა. ფესტივალები, წეს-ჩვეულებები, ცერემონიები, რიტუალები, კონფესიები, რომლებიც წარსულში კაცობრიობის ფოლკლორულ და ეთნოგრაფიულ მრავალფეროვნებას განაპირობებდა, თანდათანობით ქრება ანდა სულ უფრო ფართო ტერიტორიებიდან განიდევნება. კაცობრიობის ძირითადი ნაწილი ხელს იღებს მათზე და ცხოვრების სხვა ფორმებს ირჩევს, რომლებიც თანამედროვე რეალიებს გაცილებით უკეთესად შეესატყვისება. ეს ხდება მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, თუმცაღა, ზოგან - უფრო სწრაფად, სხვაგან კი - შედარებით ნელა. ოღონდ ყველაფერი გლობალიზაციას არ უნდა დავაბრალოთ: ერთფეროვნებისკენ მიმართული ეს ტენდენცია იმავე მოდერნიზაციის ნაყოფია, რომლის ერთერთ შედეგს - და არა მიზეზს! - წარმოადგენს თვით გლობალიზაციაც. ცხადია, შესაძლებელია, არ მოგწონდეს ეს პროცესი და ნოსტალგიას განიცდიდე ცხოვრების გარდასული ფორმების გამო, რომლებიც ამ გადასახედიდან მხიარულებით აღსავსე, ორიგინალური და ფერადოვანი გვეჩვენება. მაგრამ ისიც უნდა გვესმოდეს, რომ ეს არის მოვლენათა სრულიად გარდაუვალი განვითარება. ტოტალიტარულ რეჟიმებს (ვთქვათ კუბაზე ან ჩრდილოეთ კორეაში) შიში აქვთ, რომ ღიაობის ნებისმიერი ხარისხი გამოიწვევს მათ განადგურებას და, რაც ძალა შესწევთ, ემიჯნებიან გარესამყაროს, ათასგვარი აკრძალვებითა და კონტროლის ფორმებით ცდილობენ გზა გადაუღობონ მოდერნიზაციას. მაგრამ, ასეც კი ვერ ახერხებენ შეაჩერონ სიახლეთა ნელი შედინება და თანამედროვეობის მიერ ამ ქვეყნების, ეგრეთ წოდებული, კულტურული იდენტურობის თანდათანობითი მოსპობა. თეორიულად, ალბათ, ნებისმიერი ქვეყანა მოახერხებდა ასე გაგებული იდენტურობის შენარჩუნებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი, აფრიკისა და ამაზონიის ყველაზე მივარდნილ კუთხეებში მოსახლე ტომების მსგავსად, შეძლებდა ეცხოვრა სრულ იზოლაციაში, სხვა ხალხებთან ყოველგვარი კონტაქტების გარეშე, სრული თვითკმარობის საფუძველზე. ამ საშუალებით შენარჩუნებული კულტურული იდენტურობა ხალხს ცხოვრების წინარეისტორიული წესისკენ მიაბრუნებდა.

მოდერნიზაცია ნამდვილად იწვევს ტრადიციული ცხოვრების მრავალი ფორმის გაქრობას, მაგრამ ამავე დროს ახალი შესაძლებლობებისკენ ხსნის გზას და მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს მთელი საზოგადოებისთვის. ამით აიხსნება, რომ, როცა კი თავისუფალი არჩევნის შესაძლებლობა მიეცემათ, ერები ყოველგვარი ჭოჭმანის გარეშე ანიჭებენ უპირატესობას მოდერნიზაციას, რაც ზოგჯერ მათი ლიდერების ან ტრადიციონალისტი ინტელექტუალების სურვილის საპირისპიროდ ხდება.

გლობალიზაციის წინააღმდეგ და კულტურული იდენტურობის დასაცავად გამოთქმული დაუსაბუთებელი მოწოდებები მომდინარეობს კულტურის სტატიკური კონცეფციიდან, რომელსაც არანაირი ისტორიული საფუძველი არ გააჩნია. მართლაც, მოდით, ისეთი კულტურის გახსენება ვცადოთ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში რომ დარჩენილიყოს უცვლელი. ასეთი რამ მხოლოდ იმ მცირერიცხოვან და განუვითარებელ საზოგადოებებს შეიძლება აღმოვუჩინოთ, რომლებიც დღემდე გამოქვაბულებში ცხოვრობენ, თაყვანს სცემენ ჭექა-ქუხილსა და ურჩხულებს და, უსაშველო პრიმიტიულობის გამო, გარდაუვალი ექსპლუატაციისა და განადგურებისთვის არიან განწირულნი. ნებისმიერი სხვა კულტურა, განსაკუთრებით, თუ მას თანამედროვე და ცოცხალი შეიძლება ეწოდოს, ევოლუციის ნაყოფს წარმოადგენს და ახალი ჩამოყალიბებულია, თუმცაღა გარკვეული ზომით იმ სახესაც ირეკლავს, რომელიც მას რამდენიმე თაობის წინ ჰქონდა. ეს ევოლუცია სრულიად აშკარად ჩანს, თუნდაც, საფრანგეთის, ესპანეთისა და ინგლისის მაგალითზე, სადაც ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში იმდენად მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა, რომ საეჭვოა მარსელ პრუსტს, ფრედერიკო გარსია ლორკასა და ვირჯინია ვულფს იმ საზოგადოებათა მემკვიდრეებად მიეჩნიათ დღევანდელი ევროპელები, რომლებმაც ისინი ჩამოაყალიბეს, ხოლო მათ, თავის მხრივ, საკუთარ ნაწარმოებებში გააცოცხლეს.

„კულტურული იდენტურობა“ სახიფათო ტერმინია. სოციალური თვალსაზრისით, ეს მხოლოდ საეჭვო ხელოვნური კონცეფციაა და სხვა არაფერი. სამაგიეროდ, პოლიტიკურ პლანში იგი საფრთხეს უქმნის კაცობრიობის ყველაზე ფასეულ მონაპოვარს - თავისუფლებას. არ უარვყოფ, რომ ერთსა და იმავე ტერიტორიაზე დაბადებულ და მცხოვრებ, ერთი და იგივე პრობლემების წინაშე მდგომ, ერთი ენის, რელიგიისა და წეს-ჩვეულებების მქონე ადამიანებს, შესაძლოა, რაღაც საერთო თვისებებიც ჰქონდეთ, მაგრამ ასეთი კოლექტიური ნიშნულით არასოდეს არ მოხერხდება ამ საზოგადოების ცალკეულ წევრთა სრულყოფილი დახასიათება. საერთოს მხოლოდ ის ძალუძს, რომ მოსპოს ან მეორე პლანზე გადაიტანოს უნიკალური ნიშნებისა და თავისებურებების ის ერთობლიობა, რომლითაც თითოეული მათგანი სხვებისგან განსხვავდება. იდენტურობის კონცეფცია მარტოდენ ინდივიდუალურ დონეზე უნდა გამოიყენებოდეს; სხვა შემთხვევაში ეს არის ერთგვარი კოლექტივისტური და იდეოლოგიური აბსტრაქცია (რედუქციონისტული და დეჰუმანისტური თავისი არსით) ყველაფერ იმისა, რაც კი ორიგინალური და შემოქმედებითია ადამიანის პიროვნებაში და რაც მასში გენეტიკური მემკვიდრეობით, გეოგრაფიული პირობებით ან სოციალურ ურთიერთობათა წნეხით არ არის შეტანილი. პირიქით, ჭეშმარიტი იდენტურობის წყაროს წარმოადგენს სწორედ პიროვნების უნარი, არ დაემორჩილოს ამ ფაქტორთა ზემოქმედებას და დაუპირისპიროს მათ საკუთარი თავისუფალი ქმედებები.

„კოლექტიური იდენტურო-

ბა“ ეს არის იდეოლოგიური ფიქცია, რომელიც საფუძვლად უდევს ნაციონალიზმს. ბევრი ეთნოლოგი და ანთროპოლოგი ფიქრობს, რომ ეს ტერმინი ადამიანთა ყველაზე არქაულ ერთობლიობებსაც კი არ უნდა მივუსადაგოთ. ჩვეულებებსა და ერთობლივ პრაქტიკას, შესაძლოა, სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდეს, როცა ამა თუ იმ ჯგუფის დაცვის აუცილებლობა ჩნდება, მაგრამ ყოველთვის დიდია ცალკეულ წევრთა ინიციატივისა და შემოქმედებითი საწყისის ძალა, რომელიც ჯგუფიდან მათი ემანსიპირებისთვის არის აუცილებელი და ადამიანთა ინდივიდუალური თავისებურებები ყოველთვის დომინანტურ როლს ასრულებს კოლექტივისტურ ნიშნებთან შედარებით, როცა კი ადამიანები განიხილებიან მათი დამახასიათებელი თვისებების მიხედვით და არა - როგორც რაღაც ერთობის პერიფერიული ელემენტები. გლობალიზაცია რადიკალურად აფართოებს ჩვენი პლანეტის თითოეული მოქალაქისთვის შესაძლებლობას, მოახდინოს თავისი ინდივიდუალური კულტურული იდენტურობის კონსტრუირება საკუთარი შეხედულებებიდან, გემოვნებიდან და პიროვნული მოტივებიდან მომდინარე ნებაყოფლობითი ქმედებების მეშვეობით. წარსულისგან განსხვავებით, დღეს უკვე ადამიანი ყოველთვის აღარ არის იძულებული, მთელი ცხოვრება მსოფლიოს იმ კუნჭულში გაატაროს, სადაც დაიბადა და იმ იდენტურობის ტყვეობაში დარჩეს, რომელიც ამ ტერიტორიაზე მცხოვრებთა ენამ, ეროვნებამ, რელიგიურმა აღმსარებლობამ და ადათ-წესებმა მოახვია თავს და ერთგვარ საკონცენტრაციო ბანაკად ექცა. ამ თვალსაზრისით, გლობალიზაცია მისასალმებელია, რამდენადაც იგი ინდივიდუალური თავისუფლების ჰორიზონტს მნიშვნელოვნად აფართოებს.

პლანეტის ამერიკანიზაციის შიში უფრო მეტად იდეოლოგიური პარანოიის შედეგია, ვიდრე რეაქცია რეალობაზე. სადავო არ არის, რომ გლობალიზაციამ ინგლისური ჩვენი ეპოქის საყოველთაო ენად აქცია, რასაც წარმოადგენდა ლათინური შუა საუკუნეებში. ისიც უეჭველია, რომ ინგლისური ენის არეალი კიდევ უფრო გაიზრდება, რამდენადაც იგი საერთაშორისო ურთიერთობებისა და ხელშეკრულებების შეუცვლელ საშუალებას წარმოადგენს. მაგრამ გამომდინარეობს თუ არა აქედან დასკვნა, რომ ინგლისური აუცილებლად სხვა ენების ხარჯზე ვითარდება? - სრულიადაც არა. პირიქით: საზღვრების გაქრობამ და მსოფლიოს ერთიანობის განუწყვეტლივ მზარდმა დონემ სტიმული შეუქმნა ახალ თაობებს, შეისწავლონ უცხო ენები და კულტურები არა უბრალოდ, როგორც ჰობი, არამედ როგორც სასიცოცხლოდ აუცილებელი საშუალება, რამდენადაც სხვა ენაზე საუბრისა და სხვა კულტურულ გარემოში კომფორტულად „ჩაწერის“ უნარი პროფესიული წარმატების კრიტიკულად აუცილებელი პირობა ხდება. მოვიყვან ესპანური ენის მაგალითს. ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინ ესპანურენოვანი ადამიანები საკუთარ თავზე ორიენტირებულ თანამეგობრობას შეადგენდნენ; ტრადიციული ლინგვისტური საზღვრების გარეთ ჩვენ მხოლოდ სიტუაციათა მეტისმეტად შეზღუდულ რაოდენობაში თუ მოვიაზრებდით თავს. დღეს ესპანური ენა დინამიკურად და წარმატებით ვრცელდება - ახალ-ახალ პლაცდარმებსა და უზარმაზარ ტერიტორიებს იპყრობს ხუთსავე კონტინენტზე. აშშ-ს ესპანურენოვანი მოქალაქეები უკვე 25-დან 30 მილიონამდე ადამიანს შეადგენენ. სწორედ ამ მიზეზის გამო, ამერიკის პრეზიდენტობის ორივე ბოლო კანდიდატი - ტეხასის გუბერნატორი ჯორჯ ბუშიცა და ვიცე-პრეზიდენტი ელ გორიც - თავის საარჩევნო კამპანიას არა მხოლოდ ინგლისურად, არამედ ესპანურადაც აწარმოებდა.

ახლა, რამდენი მილიონი ქალი და კაცი შეისწავლის მთელ მსოფლიოში გერმანულ, რუსულ, იაპონურ, ფრანგულ ენებს, ჩინურის მანდარინულ და კანტონურ დიალექტებს! საბედნიეროდ, ეს ტენდენცია უახლოეს წლებში არანაირად არ შესუსტდება, მხოლოდ გაძლიერდება. ასე რომ, ჩვენი ენებისა და კულტურების დაცვის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ენერგიული წინსვლა ამ ახალი სამყაროს მთელ სივრცეზე და არა - გულუბრყვილო პრეტენზიები და მცდელობა, ვიხსნათ ისინი ინგლისურის შემოტევისგან. ის ხალხი, ვინც ასეთ წამალს გვთავაზობს, ბევრს ლაპარაკობს კულტურაზე, მაგრამ სინამდვილეში ისინი უკულტურო ადამიანები არიან, რომლებიც ცდილობენ ამ ფანდით დაფარონ თავიანთი ნამდვილი არსი - ნაციონალიზმი. და თუკი არსებობს რაიმე, კულტურის უნივერსალისტური ტენდენციების საპირისპირო, ეს არის სწორედ ამგვარი ლოკალური, საკუთარ თავში ჩაკეტილი, დისკრიმინაციული და აბდა-უბდა წარმოდგენები, რომლებიც ნაციონალისტურ ცრურწმენებს შეაქვს კულტურულ ცხოვრებაში. კულტურების მიერ ჩვენთვის მოცემული საუკეთესო გაკვეთილი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საჭირო არ არის მათი დაცვა კომისრებისა და ბიუროკრატების მეშვეობით, რკინის გისოსებსა და საბაჟო ბარიერებს მიღმა. ასეთი მცდელობა სისხლისგან დაწრეტდა და ბანალური უღიმღამობის მეჩეჩზე გარიყავდა კულტურას. კულტურა თავისუფლად უნდა ვითარდებოდეს სხვა კულტურებთან გამუდმებული შეჯიბრის პირობებში. ეს აახალგაზრდავებს და სიცოცხლეს უხანგრძლივებს კულტურებს, განვითარების სულ მუდამ ახალ-ახალ პირობებთან ადაპტირების საშუალებას აძლევს მათ. ანტიკურ ეპოქაში ლათინურ კულტურას არ მოუკლავს ბერძნული კულტურა. პირიქით, რომაული ცივილიზაცია ელინისტური კულტურის მხატვრული თვითმყოფადობითა და ინტელექტუალური სიღრმით აივსო და სწორედ მისი შუამავლობით გავრცელდა მთელ მსოფლიოში ჰომეროსის პოემები, პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფია. გლობალიზაცია ადგილობრივ კულტურათა განადგურებას არ გამოიწვევს. მსოფლიო ღიაობის პირობებში, რაც კი ფასეული და სიცოცხლის ღირსია ადგილობრივ კულტურებში, ნოყიერ ნიადაგს ჰპოვებს ასაყვავებლად.

სწორედ ეს ხდება დღეს მთელ ევროპაში. განსაკუთრებით საინტერესო კი არის ვითარება ესპანეთში, სადაც ხელახლა ცოცხლდება რეგიონული კულტურები. გენერალ ფრანკოს დიქტატურის დროს რეგიონული კულტურები აკრძალული და იატაკქვეშა არსებობისთვის განწირული იყო. მაგრამ დემოკრატიაზე გადასვლისთანავე ესპანეთის მდიდარი კულტურული მრავალფეროვნება ისევ აღორძინდა და თავისუფალი განვითარების საშუალება მიიღო. ავტონომიების პოლიტიკურმა სისტემამ ხელი შეუწყო ადგილობრივი კულტურების აღმავლობას არა მხოლოდ კატალონიაში, გალიციასა და ბასკეთში, არამედ მთელ დანარჩენ ესპანეთშიც. ცხადია, ეს რეგიონული კულტურული რენესანსი, რომელიც პოზიტიურ და გამამდიდრებელ ფაქტორს წარმოადგენს, ჩვენ არ უნდა აგვერიოს ნაციონალიზმის ფენომენში, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის თავისუფლების კულტურას.

1948 წელს დაწერილ სახელგანთქმულ ესეში „შენიშვნები კულტურის განსაზღვრისათვის“ თომას ელიოტმა სამომავლოდ მთელ მსოფლიოში ადგილობრივი და რეგიონული კულტურების რენესანსი იწინასწარმეტყველა. იმ დროისთვის ეს იყო მეტისმეტად გაბედული ვარაუდი. მაგრამ ამ ვარაუდს გლობალიზაცია, როგორც ჩანს, XXI საუკუნის რეალობად აქცევს, და ეს უნდა გვახარებდეს. მცირე ადგილობრივი კულტურების აღორძინება კაცობრიობას ქცევისა და თვითგამოხატვის იმ მრავალფეროვან ფორმებს დაუბრუნებს, რომლებიც XVIII საუკუნის მიწურულს და, განსაკუთრებით აქტიურად, XIX საუკუნეში გაანადგურა ნაცია-სახელმწიფომ, ეგრეთ წოდებული ნაციონალური კულტურული იდენტურობის შექმნის მცდელობისას. ნაციონალური კულტურები ხშირად სისხლით მორწყულ ნახანძრალ ნიადაგზე შენდებოდა, იკრძალებოდა ადგილობრივი ენების სწავლება-გამოყენება, იკრძალებოდა „არანაციონალური“ რელიგიები და ადათ-წესები (ეს ფაქტი, უბრალოდ, დავიწყებული გვაქვს, ან კიდევ, მძიმე მორალურ კონოტაციათა გამო გვსურს მისი დავიწყება). ამგვარად, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ნაცია-სახელმწიფოებმა ჩაკლეს და კანონგარეშე დატოვეს ადგილობრივი კულტურები, ხოლო მოსახლეობას ძალით მოახვიეს თავს საკუთარი კულტურა. ოღონდ, გლობალიზაციის მოშიშართა დემაგოგიის საპირისპიროდ უნდა ითქვას, რომ თვით მეტისმეტად პატარა კულტურის სრული განადგურებაც კი უძნელესი საქმეა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მას მდიდარი ტრადიციები აქვს და თუ არსებობს ხალხი, ვინც ამ კულტურას ფარულად მაინც მისდევს. ნაცია-სახელმწიფოების დასუსტების წყალობით დღეს ჩვენს თვალწინ ცოცხლდებიან მივიწყებული, მარგინალიზებული და დამუნჯებული კულტურები და ჩვენი გლობალიზებული პლანეტის ამ დიდებულ კონცერტში აქტიური მონაწილეობის სურვილს ამჟღავნებენ.

„Foreign Policy“,
January/February 2001

"ᲛᲐᲒᲔᲜᲘ ᲓᲝᲠᲘᲐ!"

ᲓᲐᲗᲝ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ერთი ხანობა დასავლეთ საქართველოს გეოფიზიკურ ექსპედიციაში მომიწია გეოლოგად მუშაობა. საბჭოთა პერიოდი გახლდათ და ტრესტი, რომელშიც შედიოდა ეს ექსპედიცია, უშუალოდ მოსკოვს ექვემდებარებოდა.

ექსპედიციის ბაზა - ავტოფარეხი, საწვავისა თუ ფეთქებად ნივთიერებათა საწყობები და სხვა, ფოთიდან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით გვქონდა მოწყობილი, ჩვენ თვითონ კი, ექსპედიციის ხუთი წევრი, ქალაქის ერთ-ერთ განაპირა უბანში ვქირაობდით ბინას. სახლი ორსართულიანი და მრავალოთახიანი იყო; ჩვენ პირველ სართულზე სულ ორადორი ოთახი გვეჭირა.

სახლის პატრონი, სამოციოდე წლის, ჯირკისებური აღნაგობის ტანმორჩილი კაცი, სახელად და გვარად ბიქტორი ბოჯგუა, მეტად თავისებური და საინტერესო პიროვნება გახლდათ: მეგრელისათვის ერთობ უჩვეულო სიდინჯე და სიდარბაისლე ახასიათებდა; „საცერივით“ დიდი და მრგვალი თვალები ჰქონდა, კეთილი შუქით სავსე; მისი თავიც და სხეულიც, კრისტალოგრაფიურ კლასიფიკაციას თუ მოვიშველიებთ, კუბურ სინგონიას ანუ ჯგუფს განეკუთვნებოდა; მოკლე და მრუდე ფეხებით მუდამ აუჩქარებლად დაბაჯბაჯებდა; ახალგაზრდობაში ისიც და მისი მეუღლეც, ქალბატონი ძაძუ, ჩაუქი მხედრები ყოფილან: მთელი სახლი პრიზებად მოგებული ბროლითა და ვერცხლეულით ჰქონდათ სავსე, კედლებს კი მათი სანაქებო ბედაურების უამრავი ფერადი ფოტო ამშვენებდა. იმხანად ქალბატონი ძაძუ ბიქტორს სანათესაოში ჰყოლია სტუმრად და დასასვენებლად გაშვებული. დროულად და კარგად გათხოვილი ქალიშვილებიდან სამივეს თავთავიანთი ოჯახებით სხვადასხვა ქალაქებში უცხოვრიათ, ასე რომ, მთელ ამოდენა სახლში, როგორც იტყვიან, ბურთი და მოედანი მხოლოდ ბიქტორს დარჩენოდა, თუ არ ჩავთვლიდით მის საყვარელ მეწველ ძროხას, სახელად ცირუს, რომელსაც ბიქტორი ყოველდღე დილიდან შუადღემდე, ყელზე გამობმული თოკით, ქალაქგარეთ ძაღლსავით დაასეირნებდა. ეს მისი გატაცება ყოფილა, ანუ ჰობი, რითაც ის გარემოებათა გამო ცხენებთან გაწყვეტილი ურთიერთობის მონატრებას, თურმე, ნაწილობრივ მაინც იკმაყოფილებდა. სხვა მხრივ ცირუს ბიქტორი და ქალბატონი ძაძუ მართლაც არაფერში იყენებდნენ: არც კარაქს დღვებდნენ, არც ყველი ამოჰყავდათ, რძეს ხომ არა და არა ჰყიდდნენ, არამედ უსასყიდლოდ ურიგებდნენ თავიანთ კეთილ მეზობლებს და ჩვენ კი ყოველ დილას ყველას სათითაოდ ჭიქა თბილ რძეს ბიქტორი ლამის ძალით, ოსური „სირჩასავით“ გვასმევდა ხოლმე; წინააღმდეგობის გაწევას არავითარი აზრი არა ჰქონდა.

ასეთ ადამიანებთან ჩვენ თავიდანვე, ცხადია, საუკეთესო, თბილი და მეგობრული ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა, თუმც ამისათვის მხოლოდ დილაობით და ისიც მცირე ხნით თუ მოვიცლიდით, თორემ საღამოობით ველიდან ისეთი დაღლილები ვბრუნდებოდით, რომ ძილის გარდა აღარაფრის თავი არ გვქონდა.

ექსპედიციის წევრთა გაცნობა-დახასიათებით მკითხველს თავს არ შევაწყენ, მხოლოდ გამონაკლისის სახით ერთ მათგანს, კერძოდ, ექსპედიციის უფროსს, ბატონ თამაზს მაინც მოვიხსენიებ, როგორც ზოგადად საინტერესო ტიპს, ან უფრო ზუსტად, „შემთხვევას“. ის იმდენად მოყვარული იყო ფულისა, რომ ჯამაგირების დარიგების დროს, როდესაც თითოეულ ჩვენგანს სამ-სამჯერ დათვლილ-ნაფერებ ფულს - ჩვენს კუთვნილ თანხას გადმოგვცემდა, თან ერთს ისეთს ამოიოხრებდა ხოლმე, რომ ლამის იყო გულ-ღვიძლს ამოაყოლებდა; უჭირდა, ძალიან უჭირდა ფულთან განშორება. გარდა ამისა, კიდევ ერთი უცნაური რამ იქნა ჩვენ მიერ შემჩნეული, ასე ვთქვათ, იმავე „ოპერიდან“: ბატონი თამაზის ხელით დარიგებულ ფულს, რატომღაც, მუდამ ნაფტალინის მძაფრი სუნი ასდიოდა. როგორც ძველმა, გამოცდილმა თანამშრომელმა აგვიხსნა, ეს თურმე იმას ნიშნავდა, რომ ბანკიდან ჩვენამდე ეს ფული უეჭველად ბატონი თამაზის ბინის გავლით აღწევდა, სადაც ამ ახალ ბანკნოტებს ჩრჩილისაგან საიმედოდ დაცული ძველი ბანკნოტები ენაცვლებოდა. რას არ მოიგონებს რუსის ხელმწიფეო, სწორედ ამაზე უთქვამთ!

ერთ საღამოს, ველიდან გვიან დაბრუნებულს, სადაც სამხიდიან მანქანებზე დამონტაჟებულ ხუთ საბურღ დაზგას „ვმწყემსავდი“, შინ ასეთი სურათი დამხვდა: ჩემს ოთახში ვიღაც ორ უცნობ ადამიანს ეძინა - დასაკეც საწოლებზე იწვნენ და ორ ხმაში გემრიელად ხვრინავდნენ. მეორე ოთახში ბატონი თამაზი ექსპედიციის წევრებს ეთათბირებოდა. ჩემს დანახვაზე, კარგ დროს მოხვედიო, მითხრა და მოკლედ გამაცნო საქმის ვითარება: დღეს შუადღისას, ჩემს აქ არყოფნაში, მოსკოვიდან თბილისის გავლით ორი რევიზორი დაგვსხმია თავს (უნებურად ცხონებული გოგოლი გამახსენდა); ჩამოსვლისთანავე ისინი ბაზისა და ობიექტების შესამოწმებლად „გაქაჩულან“ და საერთოდ ძალიან „სტროგი“ და „ოფიციალური“ სჭერიათ, მაგრამ ბატონ თამაზს მაგრა უყოჩაღია და რევიზორები პირდაპირ რესტორანში გაუქანებია. ვახშმადქცეულ სადილს რომ შედეგიანად ჩაუვლია, ამას დამაჯერებლად მოწმობდა ჩემი ოთახიდან გამოსული ორხმიანი ხვრინვის შესაშური ჰარმონიულობა.

ბატონმა თამაზმა თათბირი განაგრძო და სახვალიოდ მოქმედების შემდეგნაირი სქემა დასახა: შენ რჩები შინ რევიზორების მისახედად (იფ!), სხვანი ყველანი კი დილაუთენია იფანტებიან ბაზისა და ობიექტების მოსაწესრიგებლად და არაუგვიანეს ცხრა საათისა, უკან ბრუნდებიან, რის შემდეგაც ყველანი ერთად ვსაუზმობთ ახლოს მდებარე კაფეში და მერეღა მივემგზავრებით უკვე მოწესრიგებული ჩვენი მეურნეობის დასათვალიერებლად; თუ ვინიცობაა რევიზორებმა ადრე გაიღვიძეს, შენ რამენაირად უნდა შეიქციო ისინი ცხრა საათამდე - აი, ერთადერთი, რაც შენ გევალება! დანარჩენს კი, ანუ რევიზიის წარმატებით ჩატარებასა და სათანადო აქტის შედგენა-დამოწმებას რევიზორების ხელმოწერით, ბატონი თამაზი თავის თავზე იღებს. გასაგებია? გასაგებია. ოღონდ არ დაიგვიანოთ-მეთქი, შევეხვეწე სათითაოდ ყველას, მოსკოველი რევიზორების გართობა იოლი საქმე არ გეგონოთ-მეთქი; მითუფრო, რაკი შინ არ ვიკვებებით და სანოვაგე არაფერი გვაქვს, ცარიელა ჩაისაც კი ვერ დავალევინებ და სხვა აბა რითი უნდა გავართო და შევიქციო-მეთქი. არ დავაგვიანებთო, დამპირდნენ, მაგრამ ჩვენი ქართული პუნქტუალობის ამბავი რომ ვიცოდი, წინასწარვე გვარიანად წავინერვიულე.

ისე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, როგორც მე ამიხდა ჩემი ცუდი წინათგრძნობა: რევიზორებმა გაღვიძება მამლებს დაასწრეს, ბატონმა თამაზმა და დანარჩენებმა კი დათქმულ დროს მთელი საათნახევრით გადააცილეს.

და აი, ვდგავარ ეზოში ორი მოსკოველი რევიზორის გარემოცვაში; დილის რვის ნახევარია; გადასარევი ამინდია, წყნარი და უკვე მზიანი; ათიოდე წუთი სწორედ ამ ამინდის ქება-დიდებას ვუნდები, მონოლოგის სახით; ამაოდ ვცდილობ ერთ-ერთი მაინც ჩავითრიო საუბარში, არაფერი გამომდის, არც ერთი არ მომყვება, ორივე „სუხარი“ გამოდგა, როგორც მოველოდი კიდეც; მხოლოდ საქმიან შეკითხვებს მისვამენ დროდადრო, კანტი-კუნტად: რა მანძილია ბაზამდე, გზა როგორია, რამდენ ჭას ვბურღავთ თითო პროფილზე და სხვა მისთანანი. ოფლად ვიწურები, დრო კი კუს ნაბიჯით მიიზლაზნება. ცუდადაა საქმე. უაზრო პაუზების რაოდენობამა და სიხშირემ უკვე ყველა დასაშვები ზღვარი გადალახა და კრიტიკულს მიუახლოვდა, ბატონი თამაზი კი არა და არ ჩანს; მკვდარსა და ცოცხალს ვუგინებ გულში მის „ნაფტალინოვან უდიდებულესობას“, მაგრამ ეს უშველის გაფუჭებულ საქმეს?! რუსმა რევიზორებმა ისეთი ცხვირები ჩამოუშვეს, ქართველები მონაგონნი ვართ. და უცებ...

ბიქტორ ბოჯგუას ბოხი და ჩახლეჩილი ხმა მომესმის საიდანღაც ზემოდან - თეთრმოაჯირიან აივანზე გადმომდგარა და იქიდან მეკითხება:

- დავითი! რას არის, რომ ნერვიულობ შენ, დავითი? - თან შეთქმულივით ცბიერად დამცქერის თვალმოჭუტული.

შეთქმულისა რა მოგახსენოთ და, გულთმისანი კი ნამდვილად ყოფილა ეს ბიქტორი; აბა, როგორ მიხვდა, რომ ვნერვიულობდი, გარეგნულად ხომ არაფერს ვიმჩნევდი!? გამოვუტყდი და ბოლომდე ნათქვამიც არ მქონდა თუ რა მაწუხებდა, რომ ყველაფერს მიმიხვდა და აი, რა შემომთავაზა:

- დააბანიებ ახლა მაგენს ხელპირს და ჩემთან ამოხვალთ სამივენი! ჩაიზე-თქო, ასე უთხარი!

გულს მომეშვა და თავისუფლად ამოვისუნთქე, ბიქტორისაგან „უარესს“ არც არაფერს მოველოდი.

ერთს კი გაიპრანჭნენ ვითომ რევიზორები, ჯერ საქმე და მერე ჩაიო, მაგრამ განმეორებით პატიჟი აღარ დაჭირვებიათ, ისე ამომყვნენ ზევით.

„ჩაის“ სუფრა ბიქტორს დიდ „ზალაში“ გაეშალა, მაგრამ არ იკითხავთ ახლა, რა სუფრა იყო და რა სისწრაფით გაშლილი? რის ჩაის სუფრა, ჯადოსნური უფრო ეთქმოდა: ჩაიც იყო და ყავაც, ცირუს რძე ხომ - თავისთავად და დიდზე დიდი რაოდენობით; ხმელი ხილიც იყო და ჯანჯუხებიც; თხილი და ნიგოზი - დარჩეული; თაფლი და ათასნაირი მურაბა; ჭადი და სულგუნი; თხლად დაჭრილი ლორი; წიწაკისა და კომბოსტოს მწნილები; ცივად მოხარშული კვერცხი და ქათამი; და რაც მთავარია, არაყი ბროლის ლამაზი სასმისებით გარშემორტყმულ ბროლისავე წახნაგოვან გრაფინში, რომელიც ბრილიანტივით ელვარებდა და ბრწყინავდა ფანჯრიდან შემოჭრილი მზის დაშნისებრ ბასრ სხივზე და ირგვლივ პატარ-პატარა ცისარტყელებს აფრქვევდა. ეს გრაფინი-ბრილიანტი აქ თავს ობლად არ გრძნობდა: როგორც ადრეცა ვთქვი, მთელი „ზალა“ ბროლეულითა და ვერცხლეულით იყო გადაჭედილი და ეს ყველაფერი მთლიანობაში მეტად შთამბეჭდავ სანახაობას წარმოადგენდა; ამას ემატებოდა კიდევ უამრავი ხავერდეულობა და ხალიჩები; ერთი სიტყვით, „სეზამი“ გამახსენდა. აქამდე მე სულ ერთხელ მომიწია აქ ყოფნა, მაგრამ მაშინ ღამე იყო, მკრთალი შუქი ენთო და წესიერად არაფერი დამინახავს.

აღარც გამკვირვებია, რომ „სეზამმა“ რევიზორებზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა; ისინი სრულიად გულგრილი, გაქვავებული სახეებით მიუსხდნენ „ჯადოსნურ“ სუფრას. არაყზე ხომ რუსული ზამთარივით ცივი უარი განაცხადეს და მე, გულუბრყვილომ, კინაღამ დავუჯერე. ბიქტორმა ისე შეუტია მათ, როგორც ჩვენ გვიტევდა ხოლმე დილაობით თბილი რძით გამასპინძლებისას, „ჰეი, სლუში, მნოგო ნი გავარიო“ და ძალით შეაჩეჩა ხელში ერთსაც და მეორესაც არყით სავსე ღვინის ჭიქები, თანაც „პეი დო დნა, პეი დო დნა“-ოც დააყოლა, მერე კი ჯანჯუხის ნაჭრებიც თავის ხელით ჩასჩარა პირში ორივეს...

მესამე ჭიქაზე მთავარმა რევიზორმა, ასაკითაც უფროსი რომ იყო, „შუმელ კამიშ“-ო, სიმღერა შემოსძახა. მეორეც უკვე მზად იყო: წამდაუწუმ ფეხზე დგებოდა და სადღეგრძელოს იწყებდა, მაგრამ თავს ვერ აბამდა და ვერ გვაგებინებდა, თუ რისი თქმა სურდა, და ისევ ჯდებოდა.

ქუჩიდან ვიღაცამ, ბიქტორო, დაიძახა.

ბიქტორი აივანზე გავიდა, მოსულს მეგრულად დაელაპარაკა, მერე შემობრუნდა და მითხრა:

- წავედი მე ახლა საქმეზე, დავითი! ცირუსაც წავაბალახებ! კიდო თითოც მისცხე მაგენს და ჩათვალე, რომ თავი ქუდში გაქ! მაგენთან მასე უნდა, ღორია მაგენი! - და წავიდა, დამიტოვა მთელი სახლი თავის ავლადიდებიანა.

ვის გულისხმობდა ბიქტორი „მაგენში“ ზოგადად, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, კერძოდ ჩემი „სტუმრებისათვის“ კი მისი ეს შეფასება ზედგამოჭრილი გამოდგა: უფროსს უკვე მაგიდაზე ჩამოედო თავი და მართლაც გოჭივით ღრუტუნებდა, თანაც რაღაცაზე გულაჩუყებული, ცრემლად იღვრებოდა; მეორე კვლავ განუწყვეტლივ დგებოდა-ჯდებოდა, დგებოდა-ჯდებოდა, მაგრამ ამჯერად, სადღეგრძელოს ნაცვლად, სრულიად მკაფიოდ, ჩემთვის უცნობ პირთა მისამართით უუშვერესი სიტყვებით იგინებოდა...

ამასობაში ბატონი თამაზიც მოვარდა, აღელვებულ-აქოშინებული; დაგვიანებისთვის ბოდიში მოგვიხადა და რევიზორებს ობიექტების დასათვალიერებლად გამგზავრება შესთავაზა. „შუმელ კამიშ“-ო, უპასუხა სიმღერით ერთმა; ობიექტების ასე და ისეო, უპასუხა მეორემ და გალეშილმა რევიზორებმა, ვითომდა ჩატარებული რევიზიის აქტს იქვე სუფრაზე საზეიმოდ მოაწერეს ხელი. ერთხანს კიდევ გაგრძელდა „ქეიფი“ ანუ ცრემლოვანი ღრუტუნი და უმისამართო დედის გინება, რასაც ბოლოს შინდაბრუნებული ბიქტორიც შემოესწრო და ძალიან კმაყოფილი დარჩა:

- ხომ გეუბნებოდი, დავითი! არ ვიყავი სწორი? მაგენი ღორია!

ძნელი იყო იმ ვითარებაში არ დათანხმებოდი კაცი ბიქტორი ბოჯგუას გრამატიკულად თუმც ერთობ გაუმართავ, მაგრამ არსებითად სავსებით სამართლიან მოსაზრებას.

ესე

უჩვეულო ბესტსელერი და მისი მებრძოლი ავტორი

არუნდატი როი

ანა კორძაია-სამადაშვილი

ლიტერატურას კანონები არ გააჩნია. ეს თითქოს საუკეთესოდ შესწავლილ წიგნის ბაზარსაც ეხება. ავიღოთ, თუნდაც, არუნდატი როი. საიდან გაჩნდა? თანამედროვე ინდოეთის ჩაგრული ფენების და ქალთა უფლებების დამცველის სტატუსი ბესტსელერის ავტორობისთვის ნამდვილად არ იქნებოდა საკმარისი.

REUTERS

ფრანკფურტის საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე დიდი ლიტერატორების "დეფიციტი" არასოდეს ყოფილა – სხვა თუ არაფერი, მშვიდობის პრემიაზე წარდგენილი ავტორები ბაზრობის დარბაზებს აუცილებლად ეწვევიან ხოლმე; თან დამსწრეთა ძირითად მასას მაინც გამომცემლები შეადგენენ, რომელთაც დაუფარავად მიაჩნიათ – ავტორი მხოლოდ მათ საკეთილდღეოდ არსებობს. მაგრამ 1997 წელს ფრანკფურტის განებივრებული საზოგადოებაც კი უჩვეულოდ იყო აღგზნებული, და სწორედ ამ წელს გავიგონე პირველად არუნდატი როის სახელი.

თავად მწერალთან შეხვედრას, უფრო სწორად, მის ნახვასა და მოსმენას ლაშა ბაქრაძეს ვუმადლი. იმხანად "პატარა საგნების ღმერთი" წაკითხული არ მქონდა და მისი ავტორის სახელი, მშვენიერი ჟღერადობის მიუხედავად, არაფერს მეუბნებოდა. ლაშამ დამარწმუნა, რომ "სერიოზულ ქალთან" გვქონდა საქმე, ამიტომ ბრბოში გზა იდაყვებით გავიკაფეთ და მწერლის უშუალო სიახლოვეში აღმოვჩნდით.

არუნდატი როი უდავოდ ლამაზი ქალია – წელში გამართული, ევროპელებისთვის უცხოდ გრაციოზული, ჩვენი გერმანელი კოლეგების თქმით, ამპარტავნული მზერით. ინგლისურად თავისებური, ინდური, ჩემთვის ტკბილხმოვანი აქცენტით ლაპარაკობს. მოკლედ, ჩვენ მოვიხიბლეთ, გერმანელებმა კი იქვე დაისისინეს, სხვებიც ამით მოხიბლაო. ცოტა საეჭვოდ კი მესახება, რომ მის მილიონ მკითხველს ზუსტად ჩვენნაირი გემოვნება ჰქონოდა და დღე და ღამე ცოცხალი არუნდატის შემყურე ყოფილიყო. და საერთოდ, წერა რომ არ სცოდნოდა, ევროპელებს წიგნს ვერც ავტორის პიროვნული ხიბლი წააკითხებდა, ვერც საშინელი სიბინძურის აღწერა და ვერც არაესთეტური სექსის ამსახავი სცენები – ამით, მე მგონი, დღეს ვერავინ ვერავის გააკვირვებს. მეოცე საუკუნის მიწურულს, როცა წიგნის ბაზარი ისედაც მესამე სამყაროს ლიტერატორთა თხზულებებით გაივსო, უცნობი ინდოელი მწერლის აღიარება, ალბათ, მაინც რაღაც კონკრეტული მიზეზით, ვთქვათ, მისი ნიჭით იყო განპირობებული.

სწორედ იმ წელს, 1997-ში, ბერლინის წიგნის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელი, ბატონი შმიტ-ბრაული, ბესტსელერის არსის შესახებ გვიამბობდა და გვიხსნიდა, თუ რა პრინციპით შეიძლება დღეს ევროპულ ბაზარზე "ბესტსელერის კანდიდატის" შერჩევა. ამისთვის, თურმე, სამი კრიტერიუმი არსებობს: რამით გამორჩეული თავად ავტორის პიროვნება და მისი ბიოგრაფია; მოქმედება ევროპელისთვის უცხო, ეგზოტიკურ გარემოში უნდა ხდებოდეს; ის, რის შესახებაც წიგნი მოგვითხრობს, ყოველი ადამიანისთვის ახლობელი და მისაღები უნდა იყოს, ციტატა: "რათა ყველა ბრიყვს ეგონოს, რომ ყველაფერი ესმის". გარდა ამისა, თურმე, იაშარ ქემალის სქელტანიანი ბესტსელერების გამოჩენამდე კიდევ ერთი პუნქტი ითვლებოდა მნიშვნელოვნად – წიგნის მოცულობა, რადგან, კვლავ ბატონ შმიტ-ბრაულის თქმით, "ომი და მშვიდობა" ჩვენი დროის მკითხველისთვის საშინელი ამბავია, დიდი ტომის დანახვაზე საშუალოსტატისტიკურ ევროპელს (და *არამარტო ევროპელს – ა.კ.ს.*), გული უსკდება.

არუნდატი როი და მისი რომანი ამ მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებენ. დიდი წიგნი კია, მაგრამ ასატანად დიდი – 384 გვერდს, რამე რომ იყოს, წაიკითხავ, განსაკუთრებით, როცა სასწაული ამბების თხრობისას ავტორი ხშირად იმეორებს: "ჯერ სად ხართ..."

ავტორის პიროვნებით დავიწყოთ: არუნდატი როი 1960 წელს სამხრეთ ინდოეთში, კერალას შტატში, სირიელი ქრისტიანების ოჯახში დაიბადა. ინდოელ ავტორთა უმრავლესობისგან განსხვავებით, როის საზღვარგარეთ არასოდეს უცხოვრია, ინგლისური ნასწავლი აქვს და მისი მშობლიური ენა რაღაც სამხრეთ ინდური მალაიალამია. არადა, კრიტიკოსები ერთხმად აქებდნენ ავტორის "ძლიერ და მოქნილ ენას" და გადმოცემის უნარს. როი სამხრეთ ინდოეთის პატარა, ღარიბ სოფელში გაიზარდა, "ადამიანთა საზოგადოების ზღვარზე" ცხოვრობდა "ისეთი ცხოვრებით, რომელიც ძალიან მგრძნობიარეს ხდის ადამიანს" – ეს მან თვითონ ჩამოაყალიბა. სწორედ ამიტომაა, რომ რომანი თვალნათლივ გვაჩვენებს ჩვენთვის უცხო კასტებისა და რელიგიების სამყაროს, დაუჯერებელ სიღატაკესა და "კარმით კუთვნილ" კეთილდღეობას.

1996 წლამდე არუნდატი არქიტექტურას სწავლობდა და სცენა-

გაგრძელება E18 გვერდზე

უცვეულო ბესტსელერი და მისი მებრძოლი ავტორი

REUTERS

რებს წერდა, "პატარა საგნების ღმერთი" მისი პირველი რომანი იყო. მისი ხელნაწერი, დიდი იმედების გარეშე, ლონდონში გაგზავნეს, და მაშინ წარმოუდგენელი რამ მოხდა: ერთ კვირაში გამომცემელი უკვე როისთან, ნიუ დელიში იყო. კარგა ხნის ყაყანის შემდეგ როიმ ძალიან დიდი ავანსი მიიღო. გამომცემელმა, როგორც ჩანს, თავის საქმე კარგად იცოდა, რადგან წიგნს არნახული წარმატება ხვდა წილად, გამოცემიდან ნახევარი წლის განმავლობაში 600 ათასი ეგზემპლარი გაიყიდა და მისმა ავტორმა ბუკერის პრემია მიიღო (ინდოელთაგან ეს ჯილდო ბოლოს 1981 წელს სალმან რუშდის გადასცეს "შუაღამის შვილებისთვის").

ასეთი რა წიგნი დაწერა 35 წლის ინდოელმა? მერწმუნეთ, წიგნის შინაარსის გადმოცემა პრაქტიკულად შეუძლებელია, მასში უამრავი აზრია ჩაქსოვილი, უამრავი გრძნობა - პოეტური, მაგრამ არა სენტიმენტალური. თუკი მშვენიერ არუნდატის დავუჯერებთ, ყველაფერი პატარა საგნების ღმერთის ბრალი ყოფილა. პატარა საგნების ღმერთი აგებს პასუხს იმაზე, რომ ყველაფერი არასწორად ხდება - იმიტომ, რომ თვითონაა გულგრილი და შეუვალი. ის ქვიშაზე კვალს არ ტოვებს, წყალზე ტალღას არ აჩენს, არც სარკეში ირეკლება; სულ მისი ბრალია "ომის ტერორი და მშვიდობის ჰორორი"... "ჯერ სად ხართ", გვაფრთხილებს ავტორი, უარესებსაც გაიგებთ. მიუკარებლის მიმართ სიყვარული წარმოუდგენელია, შეუძლებელია, და შეუძლებელი რამ, პატარა საგნების ღმერთისგან განსხვავებით, კვალს ტოვებს. როის უნდა, რომ ამუ და ველუთა გავიხსენოთ და მათი ბედის გამო აღვშფოთდეთ.

რომანის ერთ-ერთი გმირი, ამუ, 27 წლის ქალი, ინგლისელ ქმართან განქორწინების შემდეგ შვილებთან ერთად მშობლიურ სოფელში დაბრუნდა. მას აღარაფრის შანსი აღარ აქვს, დიდი-დიდი, ვინმეს შეებრალოს. "ჯერ სად ხართ!" ჩნდება ველუთა – შესანიშნავი კაცი და ოსტატი, და რა? – პარვანთა კასტას მიეკუთვნება, მიუკარებელია.

სულ ოციოდე წლის წინათ მისი კასტის წარმომადგენლებს ცოცხით ხელში უნდა ევლოთ და თავიანთი კვალი მოეგავათ, რომ ბრაჰმანებსა და სირიელ ქრისტიანებს შემთხვევით მათ ნაფეხურზე არ დაებიჯებინათ და არ წაბილწულიყვნენ. მათ მთავარ ქუჩაზე გავლა, წელს ზემოთ ტანსაცმლის ჩაცმა და ქოლგის ტარება ეკრძალებოდათ, და იმისთვის, რომ მათი სუნთქვა არავის შეხებოდა, საუბრისას პირზე ხელი უნდა აეფარებინათ. დღეს თითქოს მთლად ასე არაა საქმე, მაგრამ მაინც – მაღალი კასტის წარმომადგენელთან მიუკარებელს არაფერი ესაქმება, და სიყვარულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია...

მართლაც, ჯერ სად ვართ: ამუსა და ველუთას სასიყვარულო ამბავი "სკდება", მიუკარებელს პოლიცია ცემით კლავს – რა ბევრი გავაგრძელო, უსაშინლესი ამბავია...

ევროპისგან განსხვავებით, ინდოეთში წიგნს მტრულად შეხვდნენ: როი მიუკარებლის მიმართ აკრძალულ სიყვარულს აღწერს, და "უხამსი სასიყვარულო ეპიზოდისთვის" ავტორი კერალას უზენაესი სასამართლოს წინაშე წარდგა. მეორე მხრივ, მისი მშობლების სახლი, რომელიც რომანშია აღწერილი, მუზეუმად აქციეს.

თავად არუნდატის რეაქცია ორივე შემთხვევაში ერთობ დადებითი იყო. როგორც ჩანს, ნეკროლოგის გარდა, ის ნებისმიერ პუბლიკაციაზე თანახმაა, რადგან ამჟამად პოპულარობას სულ სხვა საქმისთვის იყენებს: ბრწყინვალე ლიტერატურული დებიუტის შემდეგ არუნდატი როი პოლიტიკაში ჩაერთო. 1998 წელს ინდოეთში ატომური ბომბის გამოცდის წინააღმდეგ იბრძოდა, მერე გუჯარათში ნარმადას კაშხალის წინააღმდეგ გამოვიდა – ამ უკანასკნელი კამპანიისთვის მან ბუკერის ფულადი ჯილდო დახარჯა (ეს ამბები მის ახალ თხზულებაში ყოფილა აღწერილი, "ილუზიის დასასრული", მაგრამ ეს წიგნი არ წამიკითხავს და ამიტომ ვერაფერს გეტყვით).

განსაკუთრებით აქტიურად არუნდატი-მატა ომების წინააღმდეგ ილაშქრებს. ბუკერის პრემიის ლაურეატობა შესანიშნავი რამაა – მისი ხმა ყველას ესმის, ჟურნალები და გაზეთები მის საპროტესტო წერილებს და პაციფისტურ ესეებს დიდი სიამოვნებით აქვეყნებენ. ვერ ვიტყვით, რომ ომის მოწინააღმდეგეთა რიგებში არუნდატი როის ჩადგომამ რამე ცვლილება გამოიწვია და ამერიკის პრეზიდენტი არაძალმომრეობის ფილოსოფიის - "აჰიმსას" მიმდევარი გახდა, მაგრამ მაინც სასიამოვნო ამბავია, მით უმეტეს, რომ ქ-ნი როი შესანიშნავად წერს და, სხვა თუ არაფერი, მისი აღმოსავლურად მაღალფარდოვანი და დაუნდობელი კრიტიკა გულს მაინც ახარებს...

"მრავალი ამერიკელი გაბრაზდა, როცა მათ და მათი მთავრობის პოლიტიკას აიგივებდნენ," წერდა როი იანვრის ბოლოს თავის ესეში "როგორ იყიდება ომი". "ამერიკის დღევანდელ პოლიტიკასთან დაკავშირებით ყველაზე ღრმააზროვანი, მახვილგონივრული, დაუნდობელი კომენტარები ხომ სწორედ ამერიკელებს ეკუთვნითო". მაგრამ არუნდატი როი ცალკეულ პიროვნებებს არ ეხება, ის სულ სხვა კუთხით ცდილობს პრობლემის წარმოჩენას: "ამერიკული ცხოვრების წესი" თავისთავად გამორიცხავს ცხოვრების სხვა ფორმის არსებობას. – თვალი გაახილეთ! ამერიკის გარდა ხომ უზარმაზარი, მრავალფეროვანი, თვალუწვდენელი სამყარო არსებობს!

"ტერორი მხოლოდ სიმპტომია", "რისხვიანი პროტესტი ავღანეთის დაბომბვის წინააღმდეგ", "კონტინენტი იწვის" და სხვა წერილებში, რომლებიც უკანასკნელი თვეების განმავლობაში გამოაქვეყნა, როი წერს, რომ მსოფლიოს საფრთხეს "ქეციანი დიქტატორები" კი არ უქმნიან, არამედ "ის ძალა, რომელიც ამერიკის მთავრობის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ლოკომოტივებს მართავს, რომელიც დღეს ბუშს აქვს ხელში ჩაგდებული." ერაყის ომი მხოლოდ ტერორიზმისა და ნავთობის ამბავი არაა. ეს არის ბრძოლა უსაზღვრო ძალაუფლებისთვის, გლობალური ჰეგემონიისთვის, და ამ ბრძოლაში გამარჯვება არავის უწერია - არც "სხვა სამყაროს", არც თავად შტატებს.

წელს, მაისში, ამერიკის შეერთებული შტატები 43 წლის მწერალს "კულტურული თავისუფლების პრემიას" (350 ათას ამერიკულ დოლარს) გადასცემს. დასაბუთება იმისა, რომ ქ-ნი როი ამ ჯილდოს იმსახურებს, ჭეშმარიტად ამერიკულია, პირადად ჩემთვის - გულისამრევად ამპარტავნული: "არუნდატი როი, როგორც ხელოვანი და როგორც მსოფლიოს მოქალაქე, იმ საზოგადოებების შესახებ წერს, რომლებიც ყველაზე ძლევამოსილი ქვეყნებისა და კორპორაციების მიერ მსოფლიოდან გარიყული აღმოჩნდა". რა კარგია!

ნიუ იორკში მიღებულ ფულს არუნდატი 50 ინდურ ორგანიზაციას დაუნაწილებს – ადამიანის უფლებათა დამცველებს, მედიებს, თეატრებს... ბევრი ვერაფერი ერგებათ, მაგრამ მაინც მადლია.

მე კი იმედი მაქვს, რომ არუნდატი როის ვერანაირი ჯილდო ვერ გააჩუმებს. სხვა თუ არაფერი, ჰინდუა და დანამდვილებით იცის, რომ ამქვეყნიური ფული და დიდება წარმავალია, და ასეთი პატარა საგნების ღმერთი კვალსაც კი არ ტოვებს ქვიშაში...

P.S. როგორც ჩანს, მებრძოლი სული არუნდატი-მატას მითოლოგიურმა არუნდატიმ დაანათლა - ჰინდუთა რწმენით, ადამიანის სახელი მის ბედს განაპირობებს, მითოლოგიური არუნდატი კი "ცოლად კურთხეულთა" ხუთეულის წევრია. საოცარი ქალი ყოფილა: მისი ბრაჰმანი ქმარი იმდენად დეგრადირდა, რომ არუნდატის თავზე შემოდგმული კალათით დაჰყავდა, ის ტუტუცი კი ზემოდან უყოფაქცევო ქალებს უთვალთვალებდა. ერთხელაც საბოლოოდ გაკადნიერდა და ცოლს ვიღაც მეძავთან მოლაპარაკება სთხოვა. ამ სამარცხვინო სცენას თავის მძიმე ხასიათით ცნობილი ბრძენი დურვასა მუნი შეესწრო, აღშფოთდა და ბრაჰმანი დაწყევლა. მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, არუნდატი "ცოლად კურთხეული" გახლდათ: მან მზე გააჩერა და უსასრულოდ გაჭიმა ბრძენის წყევლის ასახდენად საჭირო სამი დღე...